

**ეთნიკური ჯგუფები და მათი
პერიოდული გამოცემები
საქართველოში
1819-1921 წლებში**



**ETHNIC GROUPS AND THEIR PERIODICAL
EDITIONS IN GEORGIA FROM 1819 TO 1921**



**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ILIA STATE UNIVERSITY**

2023

**ეთნიკური ჯგუფები და მათი პერიოდული გამოცემები
საქართველოში 1819-1921 წლებში**

**ETHNIC GROUPS AND THEIR PERIODICAL EDITIONS IN GEORGIA
FROM 1819 TO 1921**



ნაშრომი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი #FR-19-1759). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

This book is published by the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) (Fundamental Research Grants #FR-19-1759). All ideas expressed herewith are those of authors and may not represent the opinion of the Foundation itself.

რედაქტორები: **ეკა ტყეიძე და თამარ დემეტრაშვილი**
Edited by **Eka Tchkoidze and Tamar Demetrashvili**

ISBN 978-9941-18-416-1

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

1. თამარ დემეტრაშვილი / Tamar Demetrashvili	7
პირველი ქართული გაზეთი მეფის რუსეთის ენობრივი პოლიტიკის კონტექსტში (XIX საუკუნის 20-იანი წლების საქართველო)	8
The first Georgian newspaper in the context of Tsarist Russian language policy (Georgia in the 1920s)	26
2. ქეთევან ოთარაშვილი / Ketevan Otashvili	29
„კოვკასი“ – პირველი სომხური გაზეთი სამხრეთ კავკასიაში (წინაპირობები და გამოწვევები)	30
„Covcas“ – the first Armenian newspaper in the South Caucasus (Prerequisites and Challenges)	39
მე-19 საუკუნის საქართველოს სომხური პერიოდული გამოცემები	40
Armenian periodicals of 19th century in Georgia	47
3. ელვირა ასლანოვი / Elvira Aslanovi	49
1830-1921 წლების აზერბაიჯანული ბეჭდური პრესის განვითარება საქართველოში	50
Development of Azerbaijanian Printed Press in 1830-1921 in Georgia	60
საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობა კრებულ „ვათანის“ („Vətan“) ფურცლებზე	61
Azerbaijani Population of Georgia on the Pages of Collection „Vatan“	71
4. თამარ გითოლენდია / Tamar Gitolendia	73
პირველი აფხაზური გაზეთი „აფსნი“ (1919-1921)	74
The first Abkhazian newspaper „Apsni“ (1919-1921)	88
5. ეკა ჭყოიძე / Eka Tchikoidze	91
გაზეთ „ივერიის“ ერთი პუბლიკაცია საბერძნეთის შესახებ	92
Georgian Newspaper Iveria (19th c.) about Greece	99
პონტოს საკითხი (το ποντιακό ζήτημα) ბათუმის ბერძნული გაზეთის მასალების მიხედვით (1920)	100
Batumi's Greek newspaper (1920) about Pontic question	116
The Greek Community's Contribution to Batumi's Political, Social and Economic Life, 1860s-1900s	117
Orthodoxy as an Important Element of Modern Greek Identity in the 1860s-1910s (An Example of the Greek Church of St. Nicholas in Batumi)	137
დანართი I	
თამარ გითოლენდია / Tamar Gitolendia	155
დანართი II	
ქეთევან ოთარაშვილი / Ketevan Otashvili	185
დანართი III	
შორენა ოსიპოვა / Shorena Osipova	206

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია სტატიები, რომლებიც 2020-2023 წლებში მომზადდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ეთნიკური ჯგუფები და მათი პერიოდული გამოცემები საქართველოში 1819-1921 წლებში“ (FR-19-1759) ფარგლებში.

საქართველო ოდითგანვე მრავალეთნიკური ქვეყანა იყო. აქ მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები და ისინი ეთნიკურ ქართველებთან ერთად ჩართულნი იყვნენ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. XIX-XX საუკუნეებში საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები ქართული კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ – ერთი მხრივ, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივ საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ ამავედროულად თავიანთ ეთნიკურ იდენტობასაც არ კარგავდნენ. ჰქონდათ სკოლები, თეატრები, გამოსცემდნენ გაზეთებს მშობლიურ ენებზე. მათი ყოფა სათანადოდ შუქდებოდა კიდეც იმდროინდელ პრესაში.

პროექტის მთავარი მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების საქმიანობის, ინტერესების, მსოფლმხედველობის და ზოგადად, ისტორიის შესწავლა 1819-1921 წლებში საქართველოში მათ ენებზე დაბეჭდილი პერიოდული გამოცემების მიხედვით.

ამ პერიოდში საქართველოში მცხოვრებ ეთნოსთა განწყობებს, პრობლემებს და აქტუალურ საკითხებს ყველაზე უფრო ნათლად პერიოდული გამოცემები ასახავს. 1819 წელს დაიბეჭდა პირველი ქართული გაზეთი – „საქართველოს გაზეთი“. ამ თარიღიდან იწყება პერიოდული გამოცემების ისტორია საქართველოში და შესაბამისად, პროექტის საანალიზო პერიოდის საწყისად სწორედ ეს წელი განისაზღვრა, ხოლო 1921 წელი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდს მოიცავს, რომელმაც არასრული სამი წელი (1918-1921) იარსება და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა საქართველოს უახლეს ისტორიაში.

პროექტის ფარგლებში მოძიებულ იქნა საქართველოში დაბეჭდილი და მხოლოდ საქართველოში შემონახული ისეთი გაზეთები, რომლებიც დღეს დეზიდერატას წარმოადგენს არაერთი ბიბლიო-

თეკისთვის. შესაბამისად, მათი დამუშავება პროექტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იყო.

ეს მასალები გვიჩვენებს ამ პერიოდის ეთნოსების მდგომარეობას საქართველოში, მათ მსოფლმხედველობას, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, დავინახოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი თანამედროვე ვითარებასთან.

ჟურნალისტიკის განვითარების და ახალი პერიოდული გამოცემების გამოჩენის კვალდაკვალ პრესა საქართველოში მცხოვრებ ეთნოსთა შესანიშნავ მატრიანედ დარჩა. განსხვავებული ინტერესის მქონე ჯგუფების მიერ დანახული და პრესის ფურცლებზე ასახული რეალობა იმჟამინდელი ყოფის ზუსტ სურათს გვაძლევს. შესაბამისად, ეთნიკური ჯგუფების ისტორიის შესასწავლად და ეპოქის უკეთ გასააზრებლად პრესაში გამოქვეყნებული მასალების გათვალისწინება აუცილებელ წინაპირობად მიგვაჩნია.

პროექტის წევრებმა თავისი კომპეტენციის გათვალისწინებით მოიძიეს და დაამუშავეს საქართველოში 1819-1921 წლებში გამოსული სომხური, აზერბაიჯანული, ბერძნული, აფხაზური და ებრაული გაზეთები. კვლევის შედეგები პერიოდულად წარმოვადგინეთ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ გამართულ სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებზე. კრებულში შევიტანეთ, ასევე, პროექტის ფარგლებში მომზადებული ორი სტატია ინგლისურ ენაზე, რომლებიც Scopus და ERIH plus-ის ბაზებში შემავალ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში დაიბეჭდა გასულ წელს.

დანართის სახით წარმოდგენილია: 1846-1921 წლებში გამოცემული სომხური გაზეთების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა; აფხაზურენოვანი გაზეთ „აფსნის“ 1919 წლის ნომრების (№1-2) თარგმანები, ვინაიდან „აფსნის“ შინაარსი აფხაზური ენის გარდა არ არის ხელმისაწვდომი არცერთ სხვა ენაზე; სიონისტური მიმართულების ქართველ ებრაელთა გაზეთის „ხმა ებრაელისა“ 1918 წლის და რუსულენოვანი გაზეთის „Еврейская жизнь“ 1920 წლის რამდენიმე ნომრის მასალები. ორივე ეს გაზეთი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე კრებულში შესული სტატიები და დანართი კონკრეტული ეპოქის მკვლევართათვის და ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის ბევრი მიმართულებით იქნება გამოსადეგი, საინტერესო და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ისტორიის შესწავლას ახალ პერსპექტივას შესძენს.

თამარ დემეტრაშვილი
Tamar Demetrashvili

**პირველი ქართული გაზეთი მეფის რუსეთის ენობრივი
პოლიტიკის კონტექსტში
(XIX საუკუნის 20-იანი წლების საქართველო)***

ალექსანდრე პირველის საიდუმლოდ შემუშავებული 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი და „საქართველოს მმართველობის“ შესახებ დებულება თბილისში 7 თვის დაგვიანებით, 1802 წლის 12 აპრილს, წაუკითხეს სიონის ტაძარში შეკრებილ ქართველ საზოგადოებას. რუსეთის იმპერია ქართლ-კახეთში გაბატონდა და ამით საფუძველი ჩაეყარა მის შემდგომ გაფართოებას მთელ საქართველოსა და კავკასიაში (დუმბაძე, 1973, გვ. 818-20).

ქართლ-კახეთის ახალ მმართველობას „საქართველოს მმართველობა“ ეწოდა, რომლის სათავეში იდგა „მთავარმმართველი“, სამხედრო მოხელე – უმაღლესი პასუხისმგებელი პირი რუსეთის სახელმწიფოს წინაშე ჯერ ქართლ-კახეთის, შემდეგ კი მთელი სამხრეთ კავკასიის საქმეებზე. მთავარსარდლის თანაშემწედ ითვლებოდა „საქართველოს მმართველი“, რომელსაც უმთავრესად სამოქალაქო მმართველობის საკითხები ეხებოდა. მმართველობა დანაწილდა 4 განყოფილებადა, ანუ „ექსპედიციად“^{*}: აღმასრულებელი, სამოქალაქო საქმეების, სისხლის სამართლის საქმეთა და სახაზინო ქონებათა ექსპედიცია (დუმბაძე, 1973, გვ. 827).

რუსეთი შეუდგა თავისი მმართველობის რუსიფიკატორული ინტერესების გატარებას ქართლ-კახეთში – გააუქმა ეროვნული დაწესებულებები და მართვა-გამგეობის ენად რუსული აქცია. საქართველოში მაშინ რუსული ენის მცოდნეები იშვიათად მოიძებნებოდნენ. განყოფილებების/ექსპედიციების უფროსებად დანიშნული რუსი მოხელეები არ იცნობდნენ ქვეყანას, არ იცოდნენ ადგილობრივი ქართული ენა, რაც რუსულ მმართველობას ხალხთან ურთიერთობას ურთულებდა და სიძნელეებს უქმნიდა. ამიტომ რუსი მოხე-

* მოხსენება წაკითხულია საქართველოს ეროვნული არქივის მიერ ორგანიზებულ მე-5 საერთაშორისო კონფერენციაზე „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“, 25 სექტემბერი, 2020 (გაიმართა ონლაინ). სტატია გამოქვეყნდება უახლოეს მომავალში კონფერენციის მასალებში.

ლევების ხალხთან დასაკავშირებლად განყოფილებებში მრჩეველებად ქართველი თავადები დანიშნეს (დუმბაძე, 1973, გვ. 827-28).

კვლევის მიზანია XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის ენობრივი პოლიტიკის საწყისი ეტაპების გარკვევა სამი ძირითადი სამიზნე უწყების – სასწავლებლის, სტამბისა და პირველი პერიოდული გამოცემის – საფუძველზე.

I. „საქართველოს გაზეთი“

1819 წლის 8 მარტს თბილისში დაიბეჭდა პირველი ქართული გაზეთი – „საქართველოს გაზეთი“¹. ამ თარიღიდან იწყება პერიოდული გამოცემების ისტორია საქართველოში. პირველ ნომერს უსწრებდა გაზეთის გამოცემისა და პროგრამის შესახებ „გამოცხადება“ – განცხადება, რომელშიც განმარტებული იყო გაზეთის გამოცემის საჭიროება: „სარგებლობისა და კმაყოფილებისათვის მცხოვრებთა ამის ქვეყანისათა მომავალის მარტის თვის პირველის რიცხვითგან წინა დადებულ არს, რომელ გამოიცემოდენ ტფილისსა შინა ბუნებითსა ქართულსა ენასა ზედა დაბეჭდილნი ფურცელნი, რომელსაცა ეწოდება, საქართველოს გაზეთი“ (გამოცხადება, გვ. 1). გაზეთი გამოდიოდა და თბილისში რიგდებოდა პარასკეობით, ხოლო სხვა ქალაქებში ფოსტით ეგზავნებოდათ ხელმომწერებს. სტამბა გამართული იყო კავკასიის კორპუსის შტაბის შენობაში (გამოცხადება, გვ. 2).

გაზეთის ბეჭდვა და გავრცელება დამოკიდებული იყო ხელმომწერების რაოდენობაზე. მათი ოდენობა 500 მაინც უნდა ყოფილიყო, რათა დაეფარათ სტამბის, ქალაქისა და ფოსტით გაგზავნის საფასური: „ხელწერილი და თეთრი მიღებულ იქმნებიან მომავალის თებერვლის პირველი რიცხვითგან აქ კორპუსის შტაბის სახლსა შინა...“ (გამოცხადება, გვ. 2). ხელმომწერებს დაუთქვეს ერთთვიანი ვადა – 1 თებერვლიდან 1 მარტამდე, თუმცა დათქმული დროისთვის ხელისმომწერთა რაოდენობა ბევრად ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე გამომცემლები ვარაუდობდნენ, რასაც ვრცელი განცხადება მიუძღვნეს „საქართველოს გაზეთში“: „ვადა ქართულის გაზეთის მისაღებელად კელის მოწერისა თუმცა მარტის პირველს შესრულდა,

1 საქართველოს გაზეთის შესახებ იხ.: გუგუშვილი (1935). ქართული ჟურნალისტიკის სათავეებთან. *ლიტერატურული მემკვიდრეობა*, I; გუგუშვილი, 1941; ლეონიძე (1939). პირველი ქართული გაზეთის 120 წლისთავი „საქართველოს გაზეთი“. *კომუნისტი*, 22 მარტი, №66; კასრაძე, 1942; გოცაძე, 1954; Ватейшвили, 1973; ტაბიძე, 2012; Вейденбаум, 1901; ჯოლოგუა, 2013.

მაგრამ რიცხვი კელის მომწერთა დიას შორს იყო იმ დადებულს თერთის რიცხვზე, რომელიცა ითქვა გაზეთის გამომცემთ პირველს გამოცხადებაში“ („საქართველოს გაზეთი“, 1819, №3, გვ. 4).

გაზეთის რედაქცია ცდილობდა მკითხველისა და ხელმომწერების მოზიდვას და საამისოდ ყველანაირ ხერხს მიმართავდა. ისინი გაზეთის ფურცლებიდან მოუწოდებდნენ საზოგადოებას, რომ განვითარება მხოლოდ სწავლა-განათლებლით მიიღწეოდა. ამის დასტურად მოჰყავდათ ევროპაში გამოცემული გაზეთების სტატისტიკური მონაცემები. მაგალითად, როგორც „ქართული გაზეთის“ გამომცემლები აცხადებენ, ლონდონში იმ დროს გამოდიოდა ყოველდღე განთიადისა და შვიდი მწუხრის რვა სხვადასხვა გაზეთი, კვირაობით კი – ათი სახეობის გაზეთი. ყოველდღე განთიადის 15000-მდე, მწუხრის 13000-მდე და კვირის 26000-მდე ეგზემპლარი ვრცელდებოდა. შემოსავალი გაყიდვიდან ყოველ კვირას შეადგენდა 5008 ფუნტ სტერლინგს, რომელიც რუსულ ფულზე 100 000 რუბლზე(მანეთზე) მეტი იყო. რუსეთშიც წიგნებისა და სხვა გამოცემების ბეჭდვა წარმატებით მიმდინარეობდა („საქართველოს გაზეთი“, 1819, №3, გვ. 3-4).

ხელმომწერების ნაკლებობას გამოუწვევია გაზეთის დაგვიანებით, 8 მარტს, გამოსვლა. მიუხედავად ამისა, გამომცემლებს მიზნად არ ჰქონიათ სარფიან საქმედ ექციათ გაზეთის ბეჭდვა. როგორც თავად აცხადებდნენ, მხოლოდ ამ ქვეყნის მცხოვრებთა სარგებლობა აინტერესებდათ, ამიტომ საკუთარი თანხისა და სხვა საჭირო ნივთების გაღების ფასად მაინც გამოსცეს ქართული გაზეთი. გაზეთის წლიური გამოწერა 2 მანეთი ღირდა, ხოლო საფოსტო მომსახურება ქალაქგარეთ გასაგზავნად 20 კაპიკით ზრდიდა საფასურს,² რაც ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე ფინეთში. ფინეთში, რომელიც რუსეთს საქართველოზე უფრო გვიან შეუერთდა, იმავე წელს დაბეჭდილა გაზეთი მათ „ბუნებითსა ენასა ზედა“. გაზეთს იქაც კვირაში ერთხელ გამოსცემდნენ მხოლოდ იმ სხვაობით, რომ წლიური გამოწერის საფასური ფინეთში რვა რუბლი(მანეთი) და ათი შაური თეთრი ფული იყო, საქართველოში კი ბევრად ნაკლები, მხოლოდ ორი რუბლი(მანეთი) („საქართველოს გაზეთი“, 1819, №3, გვ. 4).

პირველ ქართულ გაზეთს ხელმომწერების შეგროვებაში სომეხი არქიეპისკოპოსი ნერსე დაეხმარა. ნერსე იყო ხელისუფლებასთან

2 ევგენი ვეიდენბაუმის ცნობით, გაზეთი ხელმომწერთათვის 3 მანეთი ღირდა. ვინაიდან მას 1819 წლის ნომრები არ უნახავს და მხოლოდ 1820 წლის გაზეთებს იცნობდა, მან არ იცოდა პირველი წლის გაზეთის საფასური, ხოლო 1820 წლიდან გაზეთის ფასი მართლაც გაიზარდა და 3 მანეთი გახდა, რასაც ემატებოდა საფოსტო მომსახურების 20 კაპიკი (Вейденбаум, 1901, გვ. 299).

დაახლოებული პირი, რომელიც სომხეთის ეკლესიაში გამოწვეული უკმაყოფილების გამო გადმოიხვეწა საქართველოში, სადაც მას ალექსეი ერმოლოვი მფარველობდა. მას ბევრი ოფიციალური პირი უარყოფითად ახასიათებდა – ინტრიგანად და პატივმოყვარედ მიაჩნდათ (ტაბიძე, 2012, გვ. 77-78). მთავრობის ერთგულების მიზნით ის დაეხმარა ქართულ გაზეთს, შეაგროვა ხელმომწერები, რაც ჯერ თავად გაზეთის რედაქციამ დაუფასა და „საქართველოს გაზეთის“ მესამე ნომერში საგანგებოდ განაცხადეს ნერსეს დახმარების შესახებ: „... ამის გამო სრულიად შეუძლებელ იქმნებოდა დაწყება გაზეთისა მის გამოცემისა, თუ არ ენებებინა მისს ყოვლად სამღვდელოებას სომეხთარქიეპისკოპოსს ნერსესს მიღება თვს ზედა საკუთრისა თანა შემწეობისა და მოწოდება მრავალთა მიღებისათვის მისისა. მისის ყოვლად სამღვდელოებისათა მხოლოდ სომეხთ სამღვდელოთ კელი მოუწერიათ უმეტეს ასის გაზეთის ფურცლის აღებასა ზედა“ („საქართველოს გაზეთი“, 1819, №3, გვ. 3-4), ხოლო ცოტა მოგვიანებით ხელისუფლებამ გაწეულ სამსახურს საკადრისად უპასუხა – 1819 წელს იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ის წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა, რაც ასევე დაიბეჭდა სამთავრობო გაზეთის 1819 წლის 1 აგვისტოს ნომერში. მოყვანილია ალექსანდრე I-ის „ღრამოტის“ (სიგელის) ტექსტი და კორპუსის კამანდირის (მეთაურის) მილოცვის წერილი („საქართველოს გაზეთი“, 1819, №22, გვ. 1-2).

„საქართველოს გაზეთის“ ენა

როგორც აღვნიშნეთ, „საქართველოს გაზეთი“ ქართულ ენაზე იბეჭდებოდა და ის იყო ერთადერთი პერიოდული ორგანო იმდროინდელ საქართველოსა და კავკასიაში.

ცნობილი ეთნოგრაფი, ისტორიკოსი და კავკასიოლოგი ევგენი ვეიდენბაუმი (1845-1918) აღნიშნავს, რომ 1900 წელს საქართველოს გაზეთის არც ერთი სრული ბეჭდური გამოცემა არ მოიპოვებოდა. მისთვის მხოლოდ 2 ნომერი იყო ცნობილი ცალკეული ფურცლების სახით: 1819 წლის 25 აგვისტოსი, რომელიც ინახებოდა თბილისში სიონის ტაძრის საეკლესიო მუზეუმში და 1821 წლის 23 სექტემბრის №37, რომელიც კერძო კოლექციაში იყო დაცული (Вейденбаум, 1901, გვ. 298).

ე. ვეიდენბაუმმა კავკასიის სამხედრო შტაბის არქივში ნახა „საქართველოს გაზეთის“ 1820 წლის სრული ხელნაწერი ეგზემპლარი

სარგებლობისა და გამაყვარებლობისა მცხოვრებთა ამის ქვეყანისათა მომავლისა შარტის თვისა შირველის რიცხვადან წინა დადებულადან, რომელ გამოცემადენ თეოდოსის შინა ბუნებისა ქართლისა ფასსა ზედა დადებულნი ფურცელნი, რომელსაჲცა ეწოდება, საქართველოს განსეთი

გ. ზეოთს ამის შინა შთანქორი იქნებოდნ შემდგომნი მუხლნი.

ა. სასგლოთ ბოძება და კიდე მოსვლითა, რომელნიცა მასაჲრებენ საქართველოსა და სხვათა აქაურთა სარგებლობათ შინა სამსახროსა და სამოქალაქოს სამსახურსა შინა.

ბ. საკუთარი მმართველობის განწყობანი და დადგინებანი, რომელნიცა ეუთვნებოდნ ამ ქვეყნის დაყარვასა და კეთილმდგომარეობასა.

გ. სხვა და სხვანი საქართველოსა და თანამგზავრებთა მისთა ადგილთა ამაჲნი, რომელნიცა სმოგადლობის საუთარის ყურადღების ღირსნი არიან.

დ. ცოდნის ასაღებად ზოგიერთადან დაწყობილებათა, რომელნიცა შეესებოდნ ნაწილსა სხვა და სხვათა კვლევებათსა.

ე. გამოკრებიანი ჟურნალთა დაგზავნობადან, რომელნიცა გამოიცემოდნ რუსეთსა შინა და რომელთაჲცა თვისსა ჰმარსამებდნ მალეჲთა რომელ მსცენ საკუთარი გამაყვარება რეაბილიტაცია.

ვ. გზებითა გამოცემულ იქნება მომავლისა ჩუქნის იანვრის თვემდის თვითსა კვანძი თვითა დაუჭარი ფურცელი.

ზ. ამა გამოვითს გამოცემით იმედი აქვთ, რომელ ყოველნივე უზადნი ამის მიღება ზედა კვლის შთანქორი სრულის ზომით გამაყვარებლობის იქნებოდნ ეთაჲცა გულის მოდგინებისა და მოწყობისა სარგებლობა და შესაქცევთა მუხლთა მიერ, ეგრეთვე მისის წარმართება და სარწმუნოს თაჲს ღრმად წარგზავნით.

ნ. კვეთის ცემენ ეგრეთვე თანათა თვისთა ამის იმედითა, რომელ იდინი ეგრე ჰყო ბენ ნამკლავებანებათ შინა მომარსა რომელთაჲცა სწავლთა მიღება ამისი შესაძლებელ არს თქმ, შირველსა და იანვრისა გამოცემისა ფსადენ განმარებულს ქვეყანასა ადგილთა მათგან, სადაცა აღრით ჭარბი და არსების განათლება და სადაც ყოველს წელს გამოიცემოდნ რაოდენიმე ასნი ამის მსგავსნი გამოვანი და ჟურნალნი.

ო. რადი ამ გამოვითვე კვლის მომწყობათ აღმოაჩენს, თუ რაოდენ შორს განერცხვლებდნ აქაურთა მცხოვრებთა წადილთა, რათა და ასლოდნ თანესი თანესი რეგულაციათა შინა ერთა თანა ადრიით განმარტადან განათლებულთა.

პ. ამა მიზნისა გამო მოსაწერ ფასი დანიშნულარს ფრიად მომიჯრი, ხრულიდის თანამოცის ფურცლისაჲთ თბილისსა შინა გამოცემისათვის რარი რუბლი ეფცხლის ფული, დასავთ ქალაქთა და ადგილთა მცხოვრებნი წარსაგზავნებელ ფურცელთა ამათ მისცემენ ერთსა ბაზას სრულის ღირსსა თვის, ეს თითოჲს რიცხვი მთელი საგზაო არს სახეილადა საჭარისა ქალაქისა ფასის მიცემისა თვის დასაბუჟებელ და წარგზავნისა თვის მათისა ფორტით, და ამისთვისა დასაბუჟებელ რიცხვი თითოჲს ამაგზავნისათვის დანიშნული შემადანილი იქნებათ დასაბუჟებელადან.

რუსულ ენაზე. მკვლევარი დაზუსტებით აღნიშნავს, რომ გაზეთი თავდაპირველად დგებოდა რუსულად, შემდეგ ითარგმნებოდა ქართულად და იბეჭდებოდა მხოლოდ ქართულ ენაზე. მას უცნაურად მიაჩნდა სახელმწიფო გაზეთის ქართულად გამოცემა, მაგრამ ამას იმით ხსნიდა, რომ რუსული ჟურნალი არ იყო გავრცელებული ამ მხარეში იმდენად, რომ „თავადაზნაურობა, რომლებიც ესწრებოდნენ „ექსპედიციებს“ საქართველოს უმაღლეს მმართველობაში³, ხელსაც ვერ აწერდნენ რუსულადო“ (Вейденбаум, 1901, გვ. 300).

გაზეთის რედაქცია არაერთ ნომერში აქვეყნებდა განცხადებას რუსული ენის მცოდნეთათვის, რომელთაც მოუხმობდნენ სახელმწიფო სამსახურში სამუშაოდ. მაგალითად, განცხადება რუსული ენის მცოდნეთათვის თელავისა და სიღნაღის „ოკრუჟნის“ სასამართლოში მთარგმნელის თანამდებობაზე („საქართველოს გაზეთი“, 1819, №10, გვ. 3).

პირველად კავკასიაში ცენზურა 1837 წლის 23 დეკემბრის განკარგულებით შემოიღეს, რომლის თანახმადაც თბილისში ადგილობრივ ენებზე გამოცემული ბეჭდური ერთეულების ცენზურა მთავარმართებლის უწყებას დაევალა (Патрушева, 2018 <http://opentextnn.ru/censorship/russia/encslov/?id=7326>).

თუმცა მანამდე მოქმედებდა 1804 წლის 9 ივნისის დამტკიცებული საცენზურო დებულება, რომელიც მთელ რუსეთის იმპერიაში მოქმედებდა. ამ დებულების მთავარი და ძირითადი შინაარსი ასეთი იყო: ცენზურა ზედამხედველობას უწევდა ბეჭდვით ერთეულებს, ვალდებული იყო შეესწავლა დასაბეჭდად განკუთვნილი ყველა სახის ნაწარმოები. უნივერსიტეტებში შექმნილი საცენზურო კომიტეტები პროფესორებით იყო დაკომპლექტებული. ცენზორი იყო პასუხისმგებელი ნებისმიერი წიგნისა და ნაწარმოების დაბეჭდვაზე. საცენზურო კომიტეტის ცენზორს უნდა წარმოედგინა წერილობითი დასკვნა. თუ ცენზორი საეჭვოდ მიიჩნევდა დასაბეჭდ მასალას, მაშინ წარადგენდა კომიტეტის წინაშე განსახილველად. თუ ცენზორი მისთვის გადაცემულ ხელნაწერში აღმოაჩენდა არასასურველი მოძღვრების, მანკიერი აზრებისა და ცნებების გავრცელების საფრთხეს, იგი ხელნაწერს უგზავნიდა გამომცემელს ასეთი შინაარსის ტექსტის შეცვლის ან წაშლის მიზნით. ამ გზით შესწორებულ ხელ-

3 სავარაუდოდ, ე. ვეიდენბაუმი გულისხმობს ქართველ თავადაზნაურებს, რომლებიც იმ ორგანიზაციის წევრები იყვნენ, რომელსაც ეწოდებოდა „საქართველოს კეთილშობილთ დეპუტატთ შეკრებილება“. ისინი მთავრობას ეხმარებოდნენ მუშაობაში, აწესრიგებდნენ წარჩინებულ წოდებათა საქმეებს.

ნაწერს ცენზორი დასაბეჭდად ამტკიცებდა (Скабичевский, 1892, 96).

რუსეთის იმპერიაში 1804 წლიდან მოქმედი საცენზურო დებულების მიხედვით, საქართველოში გაზეთი ვერ დაიბეჭდებოდა ისე, თუ ცენზურას არ გაივლიდა, მაგრამ იმდროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქართული არ იცოდნენ, ქართულ ენაზე დაბეჭდილ გაზეთზე კი ცენზურა რთული განსახორციელებელი იყო. სწორედ ამიტომ იყო, რომ გაზეთი პირველად რუსულად დგებოდა, შემდეგ ითარგმნებოდა ქართულად და მხოლოდ ამის შემდეგ ბეჭდავდნენ ქართულ ენაზე. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ გაზეთში, ძირითადად, იბეჭდებოდა „განწესებანი და განკარგულებანი“, სავაჭრო „გამოცხადებანი“, „უცხო ქვეყნის ამბავნი“. ამ რუბრიკების დიდი ნაწილი კი თავისთავად რუსულ ენაზე არსებობდა⁴. მთავარი იყო მზა რუსული მასალის შერჩევა-დალაგება და ქართულად თარგმნა (კასრაძე, 1942, გვ. 6).

მაგალითად, „საქართველოს გაზეთის“ 1819 წლის №10-ის გამოცხადებანის რუბრიკაში დაიბეჭდა ინფანტერიის გენერლის, საქართველოს მთავარმართებელ ალექსეი ერმოლოვის მითითება – „ისპოლნიტელნის ექსპედიციიდან ეცხადება საყოველთაო საცნობელად საქართველოსა შინა“, რომელიც ეხება საქართველოში გაყიდვა-დაგირავების საქმის გაუმართაობას და მდგომარეობის გამოსწორებას. ერმოლოვის ბრძანების ეს დოკუმენტი შესულია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში – მითითება საქართველოს უზენაესი მთავრობის სასამართლოსა და სასჯელაღსრულების ექსპედიციას, 1819 წლის 23 აპრილით დათარიღებული, №1298 (ორიგინალი სახელი რუსულ ენაზე – Предписание ген. Ермолова Верховнаго Грузинскаго Правительства Экспедиции Суда и Расправы, от 23-го апреля 1819 года, №1298) (Акты, 1874, Т. 6, ч. I, №32, გვ. 27). „საქართველოს გაზეთის“ „გამოცხადებანის“ რუბრიკაში დაბეჭდილი „ერმოლოვის მითითება“ ამ რუსულენოვანი დოკუმენტის სრული ქართული თარგმანია.

ასევე საქართველოს უზენაესი მთავრობის აღმასრულებელი ექსპედიციისადმი 1819 წლის 7 მაისით დათარიღებული გენერალ ერმოლოვის მითითების (ორიგინალის სათაური: Предписание ген. Ермолова Верховнаго Грузинскаго Правительства Исполнительной

4 საქართველოს გაზეთში დაბეჭდილი საზღვარგარეთის დეპეშები ნოდარ ტაბიძემ შეადარა იმ პერიოდის რუსულ პრესას და დაადგინა რუსული ჟურნალ-გაზეთების სია, საიდანაც გაზეთის რედაქცია ამ მასალებს თარგმნიდა (ტაბიძე, 2012, გვ. 140-141).

Экспедиции, от 7-го мая 1819 года, №1492) (Акты, 1874, Т. 6, ч. I, №33, გვ. 28) ზუსტი თარგმანია 1819 წლის 16 მაისის „საქართველოს გაზეთის“ №11-ში დაბეჭდილი განცხადება: „ისპოლნიტელნის ექსპედიციისაგან იცხადების ყოველგან საქართველოსა შინა“, რომელშიც მოყვანილია თევზით მოვაჭრეთა საჩივარი იმის გამო, რომ თავად ორბელიანების კარს (თავადი ორბელიანი და მეფის ასული სოფია) უკანონოდ ურთმევია მათთვის ბაჟი („საქართველოს გაზეთი“, 1819, №11).

როგორც ჩანს, ოფიციალური ბრძანებები და გამოცხადებები, ვინაიდან თავისთავად რუსულ ენაზე არსებობდა, ცენზურის მიზნით თარგმანს არ მოითხოვდა. პირიქით, რუსულ ენაზე გამოცემული ბრძანებები ითარგმნებოდა ქართულად „საქართველოს გაზეთისთვის“, რომ ეს ბრძანებები მოსახლეობისთვის გასაგები გამხდარიყო და შეესრულებინა თავისი ძირითადი და უპირველესი ფუნქცია, რომელიც ამ გამოცემას ეკისრებოდა – ცარიზმის განმტკიცება საქართველოში.

1819 წლის 21 მარტის „საქართველოს გაზეთის“ №3-ში გაზეთის გამომცემლები მიმართავენ საზოგადოებას და სთხოვენ, რომ საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალები ქართულ ენაზე მიაწოდონ: „მოყვარეთა სიტყვიერისა სწავლისათა, რათა მოსცენ მათ ქართულსა ენასა ზედა სხვა და სხვა ცნობანი, მოთხრობანი ღურად ღებისა ღირსთა საგანთათჳს, რომელნიცა ყოველნივე კმაყოფილებით მოხსენებულ იქნებიან გაზეთსა ამას შინა“ („საქართველოს გაზეთი“, 1819, №3, გვ. 4). თუმცა ამ განცხადებას გამოძახილი არ მოჰყოლია, ადგილობრივი მასალა გაზეთში თითქმის არ იბეჭდებოდა და აქედან გამომდინარე, „მრავალსაფეხურიანი პროცესი (იგულისხმება ქართულიდან რუსულად თარგმნა, რათა ცენზურა გაეგლო და შემდეგ ისევ ქართულად დაბეჭდილიყო – ხაზგასმა თ. დ.) თავიდანვე გამოირიცხა“ (ტაბიძე, 2012, გვ. 139). მართალია, ადგილობრივ მასალას ქართულ გაზეთში 59,5% უკავია (კასრაძე, 1942, გვ. 7), მაგრამ ამ მასალათა უმეტესობა სამხედრო პირთა წარჩინება-დაჯილდოების ცნობები და საჯარო ვაჭრობის განცხადებებია.

„საქართველოს გაზეთმა“ სამ წელს იარსება. 1820 წლიდან გამოცემას „ქართული გაზეთი“ ეწოდა. პერიოდული ორგანოს დახურვა ხელმომწერების სიმცირემ განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი ქართულ ენაზე გამოდიოდა, ქართველი თავადაზნაურობა არ თანაუგრძნობდა იმპერიის რეჟიმის გამტარებელ გაზეთს. ქართველი ხალხი გულგრილი იყო, როგორც ე. ვეიდენბაუმი უწოდებს, „ერმოლოვის გაზეთის“ მიმართ.

II. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი

XIX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში ერთადერთი სასწავლებელი არსებობდა, სახელწოდებით კეთილშობილთა სასწავლებელი. მეფის რუსეთი ზრუნავდა ამ სკოლაზე და „საქართველოს გაზეთის“ ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობდა.

1802 წლის 22 სექტემბერს საქართველოს მმართველ პეტრე კოვალენსკის ინიციატივით თბილისში გაიხსნა ორკლასიანი სასწავლებელი თავად-აზნაურთა შვილებისთვის. პირველ კლასში ისწავლებოდა წერა-კითხვა რუსულ და ქართულ ენებზე, არითმეტიკა, მეორე კლასში – რუსული და ქართული ენების გრამატიკა, კატეხიზმო, საღვთო და საერო ისტორია, არითმეტიკა, გეომეტრია, ხატვა, ცნობა-დარიგებებს ადამიანისა და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობათა შესახებ. პირველ წელს სასწავლებელში 45 მოსწავლე სწავლობდა. გუბერნიის რეგისტრატორები პლეშჩევი და პაკროვსკი, რომლებიც საქართველოს მმართველობის კანცელარიის თანამშრომლები იყვნენ, ასწავლიდნენ რუსულ ენას, კავკასიის გრენადერთა დივიზიის მღვდელი გრიგოლი კი – ქართულ ენას (АКТЫ, 1868, Т. II, ч. 4, №365, გვ. 195).

თუმცა 1803 წელს თბილისში დაბრუნებულ კავკასიის მთავარმართებელ ციციანოვს, პეტრე კოვალენსკის ერთი წლის გახსნილი სასწავლებელი დახურული დახვდა, რასაც მოხსენებით ატყობინებს სახალხო განათლების მინისტრ გრაფ ზავადოვსკის (АКТЫ, 1868, Т. II, ч. 4, №367, გვ. 196-197).

ციციანოვის 1803 წლის 27 ივნისის მოხსენებას ერთვის თბილისში კეთილშობილ თავად-აზნაურთა სასწავლებლის დაარსების, შენობის აგებისა და ხარჯთაღრიცხვის პროექტი (АКТЫ, 1868, Т. II, ч. 4, №366, გვ. 196). ახალდანიშნულმა მთავარმართებელმა გარემოებათა გამო გაუქმებული სკოლა⁵ აღადგინა და 1804 წლის 21 მაისს საზეიმოდ გახსნა, მას კეთილშობილთა სასწავლებელი ეწოდა.

სწავლა ქართულ და რუსულ ენებზე მიმდინარეობდა. 1802 წლის 28 დეკემბრით დათარიღებულ ზავადოვსკისადმი მიწერილ წერილში ციციანოვი ამბობს, რომ „მყარი და სასარგებლო საფუძველი აქვს რუსული ენის სწავლებას ქვეყანაში, სადაც სამართალწარმოება სრულად რუსულ ენაზე მიმდინარეობს“ (АКТЫ, 1868, Т. II, ч. 4, №365, გვ. 195). ქართული ენის სწავლებასაც აუცილებელ პირობად

5 სასწავლებლის დახურვის მიზეზების შესახებ (იხ.: გაფრინდაშვილი, 2003, გვ. 13-16).

მიიჩნევს, მისი სიტყვებით, „თავადაზნაურობის დიდმა ნაწილმა მშობლიური ენაც არ იცის წესისამებრ“ (Акты, 1868, Т. II, ч. 4, №366, გვ. 196).

ხელისუფლება თარჯიმნების დიდ ნაკლებობას განიცდიდა. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში აღმოსავლური ენების სწავლებისა და თარჯიმნების მომზადების საკითხი 1805 წლიდან დადგა, რაც ასევე ირკვევა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩარტორიისკისადმი მთავარმართებელ ციციანოვის მიმართვით, რომელიც დათარიღებულია 1805 წლის 29 ოქტომბრით.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩარტორიისკიმ იკითხა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში აღმოსავლური ენების სწავლების შესახებ და მოითხოვა სპარსული, ქართული და რუსული ენების სრულყოფილად მცოდნე თარჯიმნები. ციციანოვის პასუხიდან ირკვევა, რომ სპარსული, ქართული და რუსული ენების თარჯიმნები ამ მხარეში არ ჰყავთ, მხოლოდ სპარსული და არაბული ენის ერთი თარჯიმანი მუშაობდა პირადად მასთან, იგი მხოლოდ ქართული ენიდან თარგმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სასწავლებელში ქართული და რუსული ენების გრამატიკას სწავლობდნენ, სპარსული და არაბული ენები ჯერ არ ისწავლებოდა. ციციანოვი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორის ანგარიშზე დაყრდნობით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ატყობინებს, რომ მოსწავლეებმა უკვე იციან გრამატიკულად რუსული ენა და დაწყებული აქვთ ლათინურის სწავლა, ისინი მზად არიან არაბული, სპარსული და სომხური ენების შესასწავლად. თუმცა ასტრახანის სასწავლებლის გამოცდილებით, სადაც სამხედროების შვილები აღმოსავლურ ენებს ძველი მეთოდით სწავლობდნენ, 3 წელზე ადრე სავარაუდო მთარგმნელები ვერ მომზადდებოდნენ (Акты, 1868, Т. II, ч. 4, №377, გვ. 200).

როგორც ჩანს, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში აღმოსავლური ენების სწავლება 1819 წელზე ადრე არ დაწყებულა.

1819 წლის 25-30 ივნისს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში დანიშნული იყო მოწაფეთა გამოცდები – „ეგზამენები“. გამოცდებს მოსდევდა ჩვეულებრივი საჯარო აქტი, რომელსაც ესწრებოდნენ უმაღლესი პირები: მთავარმართებელი, ეგზარქოსი, გუბერნატორი, შტაბის უფროსი და მშობლები, რომლებიც ალტაცებულნი იყვნენ „იხილესრა შვილნი თვისნი განსხვავებულნი სხვათაცა ჰსწავლათა შინა, ამა ჟამამდის მათდამი უცნობელთა ეს იგი: ფორტიფიკაციასა, სიტუაციასა, პოეზიასა და ტანცაობასა

შინა, და გარდა ამისა თათრულსა და სპარსულსა ენათა ზედა, რომელთა ჰსწავლასა აქამდის შემოუღებელ იყო სასწავლებელსა შინა:“ გამოცდების ბოლო დღეს, მუსიკით გაფორმებულ ღონისძიებაზე, დამსახურების მიხედვით დაჯილდოებულმა მოსწავლეებმა ქართულ და რუსულ ენებზე წარმოთქვეს სამადლობელი სიტყვა („საქართველოს გაზეთი“, 1819, №18, გვ. 2). როგორც გაზეთიდან ირკვევა, სპარსული და თათრული (აზერბაიჯანული) ენის სწავლება კეთილშობილთა სასწავლებელში 1819 წლიდან დაუწყიათ.

ღონისძიებაზე გამომსვლელთა შორის იყო საქართველოს სამხედრო-სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-მაიორი და კავალერი რ. ხოვენი და სკოლის დირექტორი ბუკრინსკი. როგორც სკოლის დირექტორის სიტყვიდან ირკვევა, 1818 წლიდან კარდინალური გარდატეხა მომხდარა სკოლის ცხოვრებაში – ყოველგვარი პირობა შექმნილა საფუძვლიანი განათლების მისაღებად. სწორედ ამ რეფორმის ფარგლებში 1819 წლიდან განხორციელდა თათრული და სპარსული ენის შემოღება სასწავლებელში („საქართველოს გაზეთი“, 1819, №20).

1819 წლიდან გერმანული და ლათინური ენების შეზღუდვის ხარჯზე თათრული (აზერბაიჯანული) ენის სწავლების გაძლიერების საკითხი დადგა. მოტივი იყო ასეთი: სამხედრო მოხელეებისთვის თათრული ენის ცოდნა იყო აუცილებელი (АКТЫ, 1878, Т. VII, №73, გვ. 66).

რუსეთის იმპერიის ცარიტულ მიზნებთან პირდაპირ კავშირში იყო ციციანოვის მიერ სკოლის გახსნის, რუსული ენის სწავლებისა და აღმოსავლური ენების თარჯიმნების მომზადების საკითხი, რომელიც ხელს უწყობდა და აჩქარებდა ჯერ საქართველოს, შემდეგ მთელი კავკასიის კოლონიზაციის პროცესს. ქართული ენა იმ პერიოდში ჯერ კიდევ არ განიცდიდა ისეთ შეზღუდვებს, როგორსაც შემდგომ წლებში. ეს იმით იყო განპირობებული, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას ესაჭიროებოდა სპეციალისტები, რომლებიც რუსულიდან ქართულად და პირიქით მთარგმნელებად გამოდგებოდნენ.

III. საგამომცემლო საქმე 1801-1819 წლებში

კეთილშობილთა სასწავლებელში სახელმძღვანელოები რუსეთიდან იგზავნებოდა, რუსულად იყო შედგენილი და ვერ აკმაყოფილებდა აქაური სასწავლებლის მოთხოვნებს. ციციანოვმა დღის წესრიგში დააყენა თავისი ინიციატივით აღდგენილი კეთილშობილთა

სკოლისთვის სასწავლო წიგნების ქართულად თარგმნისა და ბეჭდვის საკითხი.

იმ დროს უკვე აღარ არსებობდა თბილისში 1749 წელს დაარსებული ერეკლე II-ის სტამბა, რომელიც 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს განადგურდა და ამის შემდეგ ამ აღდგენილ სტამბაში სულ 2 წიგნი დაიბეჭდა 1800 წელს ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII-ის (1798-1800) ძალისხმევით (მაჩაიძე და სამაშვილი, 2010, გვ. 309, 313). დასავლეთ საქართველოში კი 1800 წლიდან ფუნქციონირებდა ქუთაისის, სოფელ წესისა და საჩხერის სტამბები, რომლებშიც ბოლო წიგნი 1817 წელს გამოიცა (ქართული წიგნი, 1941, გვ. 88).

მე-19 საუკუნის პირველ ათწლეულში თბილისში ტიპოგრაფიის გამართვის საკითხი სამი მიმართულებით მიმდინარეობდა:

1) ციციანოვის მიერ წამოწყებული საქმე, რომელიც უკავშირდებოდა კეთილშობილთა სასწავლებლისთვის წიგნების ბეჭდვას და თბილისში სტამბის გამართვას. ამ მიზნით მან წამოიწყო გამოძიება ერეკლე II-ის სტამბასთან დაკავშირებით. გამოძიების მიხედვით ძირითადი ეჭვიმტანილი ამ სტამბის ნაწილების მითვისებასთან დაკავშირებით იყო ქრისტეფორე ბადრიძე, ერეკლეს სტამბის მუშაკი⁶;

2) 1796-1801 წლებში მოზდოკში მოქმედებდა სტამბა, რომელიც დააარსა და გამართა მოზდოკის ეპარქიის ეპისკოპოსმა გაიოზ ვაგოშაშვილმა (გაიოზ რექტორი, 1746-1821 წწ.). ის იყო თელავის სასულიერო სემინარიის პირველი რექტორი, კათალიკოს ანტონ პირველის მოწაფე და მისი გრამატიკული მოძღვრების მიმდევარი. 1793 წელს მან თხოვნით მიმართა ხელისუფლებას მოზდოკის ეპარქიაში ქართული ტიპოგრაფიის საჭიროებასთან დაკავშირებით. იმ მოტივით, რომ იქაურმა ოსურმა მოსახლეობამ იცოდა ქართული, პირველ ეტაპზე წიგნები ქართულად ეთარგმნათ და დაებეჭდათ. მან ქართული ლიტერების პუანსონები და მატრიცები, რომლებიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში ინახებოდა, სთხოვა ხელისუფლებას. მისი თხოვნა ხელისუფლებამ დააკმაყოფილა და გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ აკადემიიდან მიიღო ქართული შრიფტის მატრიცები (Ватейшвили, 1973, გვ. 72). მოზდოკში ქართული სტამბის გამართვაში მას დაეხმარა თბილისიდან ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის გამო გადახვეწილი ერეკლე II-ის სტამბის დიდი ოსტატი

6 ერეკლე II-ის სტამბის განადგურების შემდეგ მისი მდგომარეობისა და ქრისტეფორე ბადრიძესთან დაკავშირებული გამოძიების შესახებ იხ.: Ватейшвили, 1973, გვ. 64-69.

რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილი (ქართული წიგნი, 1941, გვ. 71).

სწორედ ამ სტამბაში დაიბეჭდა ქართული ანბანი, რუსული ენის სახელმძღვანელო და ქართული ენის გრამატიკა (ქართული წიგნი, 1941, გვ. XII, 75). ეს წიგნები გაუგზავნა გაიოზმა კეთილშობილთა სასწავლებელს, რაც ირკვევა ციციანოვის გაიოზისადმი მიწერილი მადლობის წერილით, რომელიც 1805 წლის 29 იანვრითაა დათარიღებული – გაიოზმა თბილისის კეთილშობილთა 2-კლასიანი სასწავლებლისთვის გამოგზავნა ქართული ენის გრამატიკის 630 (დაბეჭდილი 1796-1800 წლებს შორის) და ქართული ანბანის (დაბეჭდილი 1797 წელს) 600 ეგზემპლარი. ციციანოვი ასევე სთხოვს გაიოზს მოზდოკის ქართული ტიპოგრაფიის კეთილშობილთა სასწავლებლისთვის გადმოცემას (Акты, 1868, Т. II, ч. 4, №375, გვ. 199). ვინაიდან იმ დროს გაიოზი უკვე სარატოვისა და პენზის ეპისკოპოსი იყო, მოზდოკის სტამბა მის გარეშე ფაქტობრივად აღარ ფუნქციონირებდა. 1805 წლის 1 აპრილს მიწერილ წერილში გაიოზი სიამოვნებით თანხმდება ციციანოვის თხოვნას და მოზდოკში კათოლიკოს გიორგი მამასახლისთან დაცულ ქართულ სტამბას თბილისში აგზავნის (Акты, 1868, Т. II, №2091, გვ. 1061-1062). თუმცა ციციანოვი ამ სტამბის თბილისში გამართვას ვერ მოესწრო, ვინაიდან 1806 წლის თებერვალში ის ბაქოს მიდამოებში მოკლეს. მისმა შემდგომმა მთავარმართებელმა გუდოვიჩმა კი გადაწყვიტა, რომ გაიოზის ნაჩუქარი სტამბა არა მხოლოდ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის საჭიროებისთვის, არამედ ადგილობრივი ადმინისტრაციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლადაც გამოეყენებინა, ვინაიდან სტამბა აღჭურვილი იყო როგორც ქართული მხედრული და ნუსხური, ასევე რუსული საეკლესიო და საერო შრიფტებით (Ватейшвили, 1973, გვ. 74).

თუმცა ამ ორივე სტამბის ნაწილების შეერთებითაც მისი გამართვა თბილისში ვერ მოხერხდა.

3) თბილისის სასულიერო ტიპოგრაფიის დაარსების მცდელობა. ამ საქმის ინიციატორი იყო რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდის წევრი, არქიეპისკოპოსი ვარლამი (ერისთავი), რომელმაც 1809 წელს შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართა თხოვნით თბილისში სასულიერო ტიპოგრაფიის დაარსებასთან დაკავშირებით (Ватейшвили, 1973, გვ. 78). მისი საკუთარი ქართული სტამბა 1803 წლიდან მოსკოვის სინოდის სტამბის ფარგლებში შედიოდა. მან რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გზით⁷ 1810 წელს მი-

7 ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ამ საკითხის განხილვა

ილო თბილისში სასულიერო ტიპოგრაფიის დაფუძნების ნებართვა. აქ დაბეჭდილ საერო და სასულიერო წიგნებზე ცენზურა დაევალა სასულიერო ხელისუფლებას. სტამბის ხელმძღვანელად კი გიორგი პაიჭაძე დაინიშნა. ეს ის გიორგი პაიჭაძეა, რომელიც ჯერ ერეკლე II-ის სტამბაში 20 წელი მოღვაწეობდა, ხოლო ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ მონაწილეობს სოლომონ II-ის ინიციატივით ქუთაისში სტამბის გაშენებაში. მან თბილისში ჩამოიტანა ქართული და რუსული შრიფტების ახალი ნიმუშები. ამ სტამბაში პირველი წიგნი 1815 წელს დაიბეჭდა – იოანე ქართველიშვილის უთარილო გრამატიკა – „ქართული ღრამმატიკა“, შერეული ნუსხურ-მხედრული შრიფტით (Ватейшвили, 1973, გვ. 84-85; ქართული წიგნი, 1941, გვ. 88).

1816 წელს თბილისში გაიწყო სამხედრო უწყების სტამბა, რომლის ქართული შრიფტით გამართვა მოგვიანებით, 1819 წლისთვის, მოხდა. 1820 წლიდან კი ლითოგრაფიაც დაემატა (გოცაძე, 1954, გვ. 54).

პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“ სწორედ ამ სტამბაში დაიბეჭდა მხედრული შრიფტით. იმავე სტამბაში დაიბეჭდა 1819 წელს რუსულ-ქართული სასაუბრო ასევე მხედრული შრიფტით. ეს წიგნიც კეთილშობილთა სასწავლებლისთვის იყო განკუთვნილი, რაც სათაურიდანაც ჩანს: „შეკრება რუსულთა უზნობათა, საზოგადოდ ცხოვრებასა შინა სახმარებელთა, დართვითა ქართულისა თარგმნისათა, სასარგებლოდ კეთილშობილთა ყრმათა“ (Тифлис, 1819, При Военно-походной типографии). წიგნის თავფურცელი და ტექსტი რუსულსა და ქართულ ენებზეა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარშია დაბეჭდილი მანიფესტების, მოწოდებებისა და სხვადასხვა ოფიციალური საბუთების, განკარგულებებისა და დებულებების მთელი რიგი ფურცლოვანი გამოცემები. საბუთების ამ კოლექციაში ოფიციალური სახელმწიფო რუსული ენის პარალელურად ყველგან ქართული ენაც იხმარება.

ქართული წიგნი XIX საუკუნის პირველ ნახევარში უფრო მეტი დაიბეჭდა ქვეყნის გარეთ, ვიდრე თბილისში. 1801-1851 წლებში სულ 134 ქართული წიგნიდან თბილისში მხოლოდ 21 გამოიცა (ქართული წიგნი, 1941, გვ. XVI). 1801-დან 1815 წლამდე კი არც ერთი წიგნი არ დაბეჭდილა.

მიმოწერის გზით 1809 წლიდან 1811 წლამდე მიმდინარეობდა (Ватейшвили, 1973, გვ. 81).

დასკვნა

პირველი ქართული გაზეთი იყო მთავარმართებლის ოფიციალური ორგანო, რომელიც მხარს უჭერდა მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მეფის რუსეთის ინტერესებს ატარებდა საქართველოში და კავკასიაში რუსული მმართველობის განსამტკიცებლად დაარსდა.

„საქართველოს გაზეთი“ არ იყო ეროვნულ ქართულ ნიადაგზე შექმნილი პერიოდული გამოცემა, რომელიც იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ინტერესებს ემსახურებოდა. ამიტომაც იყო გულგრილი ქართული საზოგადოება პირველი ქართულენოვანი გაზეთის მიმართ.

„საქართველოს გაზეთი“ იმდროინდელ საქართველოსა და კავკასიაში ერთადერთი პერიოდული გამოცემა იყო. შემთხვევითი არაა, რომ კავკასიაში ქართულენოვანი გაზეთი უსწრებდა ყველა რუსულენოვან პერიოდულ გამოცემას – XIX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის იმპერია ჯერ კიდევ ფეხს იდგამს კავკასიაში საბატონოდ. მოგვიანებით სრულიად სხვაგვარად წარიმართა ენობრივი პოლიტიკა საქართველოში – ქართული ენის სწავლების შეზღუდვა მეცხრამეტე საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც იმ პერიოდში გიმნაზიად გადაკეთდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიამ უკვე მყარად მოიკიდა ფეხი საქართველოსა და კავკასიაში. საგაზეთო მასალების ოფიციალურ ბრძანებებთან შედარებამ ნათლად უჩვენა, რომ გაზეთში იბეჭდებოდა ოფიციალური ბრძანებების ქართული თარგმანები, რაც ემსახურებოდა ამ ბრძანებების გაცნობას ქართულ ენაზე ქართველი მოსახლეობისთვის, რომელმაც იმ დროს რუსული არ იცოდა.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში რუსეთის იმპერიის ენობრივი პოლიტიკის საწყისი ეტაპების გარკვევა ჩვენ ვცადეთ სამი ძირითადი სამიზნე უწყების სასწავლებლის, სტამბისა და პირველი პერიოდული გამოცემის – საფუძველზე, საიდანაც ნათელი ხდება, რომ იმპერიას სჭირდებოდა სკოლა, რომელშიც მოამზადებდა სახელმწიფოს ერთგულ მოხელეებს, ასევე სჭირდებოდა სტამბა და გაზეთი იმპერიის პროპაგანდისტული მიზნების განსახორციელებლად.

ბიბლიოგრაფია:

- გაფრინდაშვილი, ჯ. (2003). თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია, 1802-2002, თავი I. მძიმე და რთული გზა სასწავლებლიდან გიმნაზიამდე. თბილისი.
- გოცაძე, მ. (1954). ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. 1. თბილისი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და სტამბა.
- გუგუშვილი, პ. (1935). ქართული ჟურნალისტიკის სათავეებთან, ლიტერატურული მემკვიდრეობა. I. ტფილისი. სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- გუგუშვილი, პ. (1941). ქართული ჟურნალისტიკა. ტ. 1. თბილისი. სახელგამი.
- დუმბაძე, მ. (1973). ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 4. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. თბილისი. საბჭოთა საქართველო.
- კასრაძე, ტ. (1942). პირველი ქართული გაზეთის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია: საქართველოს გაზეთი ჩყით [1819] №1-43, ჩყკ [1820] №20; ქართული გაზეთი ჩყკ [1820] №40, 46, ჩყკა [1821] №12, 37. თბილისი. კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა.
- ლეონიძე, გ. (1939). პირველი ქართული გაზეთის 120 წლისთავი „საქართველოს გაზეთი“ კომუნისტი. №66.
- მაჩაიძე, დ. სამაშვილი, მ. (2010). ძველნაბეჭდი ქართული გამოცემები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექციის აღწერილობა. ტ. 1, საქართველოში დაბეჭდილი წიგნები, 1709-1818. თბილისი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
- ტაბიძე, ნ. (2012). ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. 1. თბილისი. უნივერსალი.
- ქართული წიგნი. (1941). 1629-1920. ტ. 1. თბილისი. წიგნის პალატის გამოცემა.
- ჯოლოგუა, თ. (2013). ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე). თბილისი. არტანუჯი.

Ватейшвили, Дж. (1973). Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX века. Москва. Наука.

Вейденбаум Е. Г. (1901). Первая грузинская газета, Кавказские этюды.

- Тифлис. Издание Центральной книжной торговли.
- Патрушева Н. Г. (2018). Цензурные учреждения на Кавказе. Цензура в России. Материалы к энциклопедическому словарю. <http://opentextnn.ru/censorship/russia/encslov/?id=7326>
- Скабичевский, А. М. (1892). Очерки истории русской цензуры: (1700-1863 г.). Санкт-Петербург. Ф. Павленков.
- Отношение кн. Цицианова к министру народного просвещения гр. Петру Васильевичу Заводовскому, от 28-го декабря 1802 года, №21. Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею: Кавказ и Закавказье за время управления генерала от инфантерии, князя Павла Дмитриевича Цицианова. 1802-1806: IV. Учебная часть. Ад. Берже [председатель комиссии и автор предисловия]. Тифлис. 1868. Т. II, ч. 4, №365.
- Всепопданнейшее донесение кн. Цицианова, от 27-го июня 1803 года. Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею: Кавказ и Закавказье за время управления генерала от инфантерии, князя Павла Дмитриевича Цицианова. 1802-1806: IV. Учебная часть. Ад. Берже [председатель комиссии и автор предисловия]. Тифлис. 1868. Т. II, ч. 4, №366.
- Донесение кн. Цицианова гр. Заводовскому, от 27-го июня 1803 года, №1360, Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею: Кавказ и Закавказье за время управления генерала от инфантерии, князя Павла Дмитриевича Цицианова. 1802-1806: IV. Учебная часть. Ад. Берже [председатель комиссии и автор предисловия]. Тифлис. 1868. Т. II, ч. 4, №367.
- Отношение кн. Цицианова Пензенскому архиерею Гайю, от 29-го января 1805 года, №70. Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею: Кавказ и Закавказье за время управления генерала от инфантерии, князя Павла Дмитриевича Цицианова. 1802-1806: IV. Учебная часть. Ад. Берже [председатель комиссии и автор предисловия]. Тифлис. 1868. Т. II, ч. 4, №375.
- Отношение кн. Цицианова к кн. Чарторыйскому, от 29-го октября 1805 года, №789. Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею: Кавказ и Закавказье за время управления генерала от инфантерии, князя Павла Дмитриевича Цицианова. 1802-1806: IV. Учебная часть. Ад. Берже [председатель комиссии и автор предисловия]. Тифлис. 1868. Т. II, ч. 4, №377.
- Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею: Кавказ

ი Закавказье за время управления генерала от инфантерии Алексея Петровича Ермолова. 1816-1827: I. Гражданская часть. Ад. Берже [председатель комиссии и автор предисловия]. Тифлис. 1874. Т. 6, ч. I, №32.

Отношение гр. Паскевича к кн. Ливену, от 25-го апреля 1829 года, №254. Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею: Кавказ и Закавказье за время управления генерала-фельдмаршала графа Ивана Федоровича Паскевича-Ереванскаго. 1827-1831: I. Гражданская часть: Учебная часть. Ад. Берже [председатель комиссии и автор предисловия]. Тифлис. 1878. Т. 7, №73.

საგაზეთო პუბლიკაციები:

საქართველოს გაზეთი, „გამოცხადება“, ხელმისაწვდომია

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/31733/1/Sakartvelos_Gazeti_gamocxadeba_1819.pdf

„საქართველოს გაზეთი“, 14 მარტი, 1819, №2, ხელმისაწვდომია

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/31641/1/Sakartvelos_Gazeti_1819_№2.pdf

„საქართველოს გაზეთი“, 21 მარტი, 1819, №3 ხელმისაწვდომია

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/31643/1/Sakartvelos_Gazeti_1819_№3.pdf

„საქართველოს გაზეთი“, 16 მაისი, 1819, №11, ხელმისაწვდომია

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/31665/1/Sakartvelos_Gazeti_1819_№11.pdf

„საქართველოს გაზეთი“, 4 ივლისი, 1819, №18, ხელმისაწვდომია

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/31681/1/Sakartvelos_Gazeti_1819_№18.pdf

„საქართველოს გაზეთი“, 18 ივლისი, 1819, №20, ხელმისაწვდომია

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/31685/1/Sakartvelos_Gazeti_1819_№20.pdf

„საქართველოს გაზეთის“, 1 აგვისტო, 1819, №22, ხელმისაწვდომია

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/31689/1/Sakartvelos_Gazeti_1819_№22.pdf

THE FIRST GEORGIAN NEWSPAPER IN THE CONTEXT OF TSARIST RUSSIAN LANGUAGE POLICY (GEORGIA IN THE 1920S)

By the manifesto of September 12, 1801, the Russian Empire dominated Kartli-Kakheti and this laid the foundation for its further expansion throughout Georgia and the Caucasus.

Russia pursued the Russification's interests of its rule in Kartli-Kakheti. From this period, the language of the board was Russian, which people did not understand.

We tried to find out the initial stages of the language policy of the Russian Empire in Georgia at the beginning of the 19th century on the basis of three main target agencies: the school, the printing house and the first periodical. It becomes clear that the empire needed a school to train loyal government officials, as well as a printing press and newspaper to fulfill the empire's propaganda goals.

The first attempt to achieve these goals was a two-grade school for the children of nobles, which opened in Tbilisi in 1802. On May 31, 1804, the newly appointed governor of the Caucasus, Tsitsyanov, rebuilt the school, which was abolished due to circumstances, and renamed the School of the Nobles. Studies were conducted in Georgian and Russian languages. The issue of teaching Oriental languages and training translators at the Tbilisi Noblemen's School has been raised since 1805. However, the teaching of Tatar (Azerbaijani) and Persian had not begun till 1819.

A printing house was established in the headquarters of the Caucasus Corps in Tbilisi, where the first newspaper "Georgian Newspaper" was published in March 8, 1819, in Georgian language.

The first Georgian newspaper was the official organ of the Governor. It was established for strengthen Russian rule in Georgia and the Caucasus. "Sakartvelos Gazeti" was not a periodical publish on patriotic and national Georgian soil, which served the interests of the Georgian society at that time.

Georgian Newspaper was the only periodical publish in Georgia and the Caucasus at that time. It is no coincidence that the Georgian-language newspaper in the Caucasus preceded all Russian-language periodicals – in

the 1920^s the Russian Empire was still not completely dominant in the Caucasus. Later, the language policy was completely different – the restriction of teaching the Georgian language in the school of the nobles began in the 1930^s, which was transformed into a gymnasium in this period. In the second half of the 19th century, the Russian Empire gained a foothold in Georgia and the Caucasus.

ქეთევან ოთარაშვილი
Ketevan Otashvili

„კოვკასი“ – პირველი სომხური გაზეთი სამხრეთ კავკასიაში (წინაპირობები და გამოწვევები)*

მეცხრამეტე საუკუნე სამხრეთ კავკასიაში რადიკალური ცვლილებებით დაიწყო. 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტთან ერთად გამოგზავნილი რესკრიპტი საქართველოს კოლონიზაციას გულისხმობდა (Акты Кавказской археологической комиссии, 1866, გვ. 516). რუსეთის იმპერიის კოლონიალისტური პოლიტიკა საქართველოში მრავალრიცხოვანი უცხო ეთნიკური ჯგუფების მოზიდვას და დასახლებას გულისხმობდა. ეს იმ დროს, როცა ქართველ გლეხს მიწა არ ჰყოფნიდა და თავისუფალ მიწებზე დასახლებას უკრძალავდნენ.

რუსეთის იმპერიის დემოგრაფიული პოლიტიკის რეალიზაცია საქართველოში სომხურ ელემენტს ჰქონდა მინდობილი. საზღვრის-პირა რეგიონებში რუსეთის იმპერიის მიმართ ლოიალურად განწყობილი სომხური მოსახლეობის ჩასახლებამ პერმანენტული ხასიათი მიიღო. სომხები რუსეთისგან დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას იღებდნენ და მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მათი პოზიცია იმდენად განმტკიცდა, რომ საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში საკმაოდ ძლიერი იყო სომხური სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალი, ჩამოყალიბდა ძლიერი სომხური ბურჟუაზია, რომელიც პირველობის შესანარჩუნებლად სააქციონერო საზოგადოებებში ერთიანდებოდა (Sunny, 1994, გვ. 118).

საკმაოდ დიდ ძალას და გავლენას ფლობდა სომხური ეკლესია. ქართული ეკლესია კი ავტოკეფალიის დაკარგვისა და საკუთრების ჩამორთმევის შემდეგ უმძიმეს მდგომარეობაში იყო. აიკრძალა ქართულად წირვა-ლოცვის ჩატარება, იმ ფონზე, როდესაც რუსი მოხელეები საქართველოს განაპირა რეგიონებში მოსახლე აფხაზ და

* მოხსენება წაკითხულია საქართველოს ეროვნული არქივის მიერ ორგანიზებულ მე-5 საერთაშორისო კონფერენციაზე „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“, 25 სექტემბერი, 2020 (გაიმართა ონლაინ). სტატია გამოქვეყნდება უახლოეს მომავალში კონფერენციის მასალებში.

ოს ხალხს მშობლიურ ენაზე დამწერლობისა და მწიგნობრობის შექმნას ჰპირდებოდნენ და რითაც იმპერია განმანათლებლურ მისიას იჩემებდა. სინამდვილეში, თითოეული მოქმედება დამპყრობლური პოლიტიკის ნაწილი იყო, რაც იმპერიის ტერიტორიაზე რუსული საეკლესიო მსახურების დანერგვისკენ იყო მიმართული. ყოველივე ამის ფონზე, სომხური ეკლესიის უფლებები და გავლენა იმდენად გაიზარდა, რომ სომხური თემის დახმარების გარეშე პირველი ქართული გაზეთი 1819 წლის 8 მარტს ვერ შედგებოდა ხელმომწერთა სიმცირის გამო. როგორც „საქართველოს გაზეთის“ რედაქტორის რუბრიკაში წერია, სომხეთის გრიგორიანული ეკლესიის საქართველოს ეპარქიის არქიეპისკოპოსმა ნერსემ სომეხ სამღვდელთაში სახელდახელოდ ასზე მეტი ხელმომწერი იშოვა და ამით გამომცემლებს საქმე გაუადვილა (საქართველოს გაზეთი. (1819) №3, გვ. 12).


თბილისი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ამიერკავკასიის კულტურული და ეკონომიკური ცენტრის სტატუსს ინარჩუნებდა, სომეხი ინტელიგენციის კონცენტრაციის ადგილადაც იქცა. აქვე დაიბადა სომხური სკოლის და ახალი სალიტერატურო ენის ფორმირების იდეა.

საუკუნის დასაწყისში თბილისში პავლე ციციანოვის¹ მიერ დაარსებულ კეთილშობილთა სასწავლებლის გარდა, სკოლა არც ქართველებს ჰქონდათ და არც სომხებს. თუ ვინმეს წერა-კითხვის სწავლა უნდოდა, მღვდლებს მიაბარებდნენ. 1814 წელს რუსეთის მთავრობის მხარდაჭერით, საქართველოს სომხური ეპარქიის ეპისკოპოსმა ნერსემ 20 მოსწავლისთვის გახსნა სკოლა, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნას და იმ პერიოდის სტანდარტებს. პედაგოგების კვალიფიკაციაც საეჭვო იყო (Արուսյან, 1958, გვ. 154-190). ვითარება იცვლება 1817 წლიდან, როდესაც თბილისში დაარსდა ე. წ. ქართული სასულიერო სემინარია. სემინარია შედგებოდა რიტორიკის ორი კლასისგან, სწავლობდნენ ძირითადად რუსულ ენასა და ლიტერატურას, რუსეთის და მსოფლიო ისტორიას და რიტორიკას.²

რაც შეეხება სომხურ სკოლას, სკოლის პროგრამა ჯერ კიდევ 1807 წ. შეადგინეს კათალიკოსმა ნერსემ და ჰოვანეს ლაზარიანმა. 1822 წელს აგებული შენობის არქიტექტორი სამხედრო ინჟინერი

1 პ. ციციანოვი 1802 წ. დაინიშნა კავკასიის სასაზღვრო ხაზის ინსპექტორად და საქართველოს გუბერნიის მთავარსარდლად.

2 სურვილის მიხედვით ისწავლებოდა ლათინური, ბერძნული, გერმანული და ფრანგული ენები.



ნერსესიანის სასწავლებელი

ლაზარევი იყო. სკოლა კი 1824 წლის 1 დეკემბერს გაიხსნა და იყო სრულიად ეროვნული მოვლენა. სომხურ სკოლას კათალიკოს ნერსე აშტარაკეცის პატივსაცემად ეწოდა ნერსესიანის სკოლა. ამ სკოლის ირგვლივ შემოიკრიბა მოაზროვნე სომხობა და დაიწყო თანამედროვე სალიტერატურო ენის, აშხარაბარის ფორმირება. ეკლესია მათ საშინელ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ძლიერ გუნდს, დიდ ცოდნას და პროგრესულ მიმართულებას რეფორმისტები გამარჯვებისკენ მიჰყავდა. მათ შეცვალეს 1807 წ. პროგრამა და სწრაფად დაიწყეს ახალი სასწავლო პროგრამის შემუშავება აშხარაბარის დასამკვიდრებლად, ასევე სახელმძღვანელოების ბეჭდვა აშხარაბარზე.

ამ ყველაფერს ტემპს სძენდა ნერსესიანის სკოლის სტამბა. როგორც ცნობილია, 1817 წ. გევორგ არწრუნმა ევროპაში მოგზაურობისას იყიდა ამსტერდამში არსებული სომხური სტამბა, ჩამოიტანა თბილისში და შესწირა ჯერ კიდევ იდეის დონეზე არსებულ ნერსესიანის სკოლას. სტამბა ასამუშავებლად ჯერ კიდევ 1819 წ. იყო მზად, მაგრამ მხოლოდ 1823 წ. ამოქმედდა, მას შემდეგ, რაც სკოლის მშენებლობა დასრულდა და ლაზარევიანის სემინარიის ინსპექტორი, ჰ. ალამდარიანი ჩაუდგა მას სათავეში (Մխիթարյան, 1994, გვ. 59). ამავე წელს ნერსესიანის სკოლის სტამბაში უკვე დაიბეჭდა კათალიკოს სიმეონ ერევანცის „საიმპერატორო დღესასწაულთა წიგნი“. ნერსესიანის სკოლის სტამბაში ქართული ასოებიც ჰქონდათ. 1829 წ. აქ დაბეჭდეს ნერსე აშტარაკეცის ლოცვების პატარა წიგნი „საქართველოს სომეხთათვის ქართულის ასოებით, ხოლო სიტყვები კი სომხურად იყო“ (ჭიჭინაძე, 1909, გვ.14).

სტამბის უპირველესი ფუნქცია სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვა იყო, რასაც წარმატებით ართმევდა თავს. 1825-1828 წლებში

ნერსესიანის სკოლისთვის 30 სახელძღვანელო დაიბეჭდა აშხარაბარზე. სულ მალე აშხარაბარზე ეროვნული პერიოდული გამოცემის აუცილებლობაც შეიქმნა, პროგრესსა და თანამედროვე იდეებს ფართო აუდიტორიაში გაიტანდა.

ახლადარჩეული ნერსე კათალიკოსი 1845 წელს თბილისს ეწვია, სადაც ოფიციალურ მოვალეობას ასრულებდა მეფისნაცვალ მ. ვორონცოვი. ცნობილია, რომ ნერსე და ვორონცოვი წლების განმავლობაში მუშაობდნენ ბესარაბიაში, კარგად იცნობდნენ ერთმანეთს და ჯერ კიდევ მაშინ ბჭობდნენ კავკასიელი ხალხის განათლების აუცილებლობის შესახებ. ნერსე აშტარაკეცის და მ. ვორონცოვის შეხვედრასთან უნდა იყოს დაკავშირებული 1846 წელს თბილისში სომხური გაზეთის, „კოვკასის“ (Կովկաս) დაარსება. გაზეთის პირველ რედაქტორად მეფისნაცვლის სამდივნოს მოხელე ო. კონსტანტინოვი დაინიშნა.

თავისუფლად შეიძლება იმ ვარაუდის დაშვება, რომ ვორონცოვმა სწორედ ნერსეს გავლენით ჩაიფიქრა რუსული გაზეთის, „კავკაზის“ (Кавказ) სრული ასლის სომხურ ენაზე გამოცემა. სომხური რედაქციის შედგენაც „კავკაზის“ რედაქტორს, ო. კონსტანტინოვს დაევალა. ამ უკანასკნელმა სომხური ენის არცოდნის გამო დასახმარებლად სომეხ პედაგოგ ჰაკობ არზანიანს მიმართა, მან კი, თავის მხრივ, დახმარება სთხოვა ნერსესიანის სკოლის მასწავლებელს ჰაკობ კარენიანს.

„კოვკასის“ პირველი ნომერი 5 იანვარს გამოვიდა. პირველი ნომერი რუსული გამოცემის სომხურენოვანი ასლი იყო, რის გამოც სომეხი რედაქტორები თავს რეალიზებულად არ თვლიდნენ, ამიტომ 12 იანვარს დაბეჭდეს ახალი ნომერი, რომელსაც დამატებული ჰქონდა ახალი ამბები სომხეთიდან³ და სალიტერატურო გვერდი, სადაც სომეხი ავტორები და კორესპონდენტები ბეჭდავდნენ საკუთარ ნაწარმოებებს ან თარგმანებს. მ. ვორონცოვმა ახალი ნომერი შეამოწმებინა ნერსესიანის სკოლის ზედამხედველს, მღვდელ ჰოვსეფ ერეციანს და მხოლოდ ამის შემდეგ გავრცელდა. ხოლო ჰ. ერეციანი კოვკასის ოფიციალური მემკვიდრე და მკვლევარი გახდა (Մխիթարյան, 1994, გვ. 132).

ფაქტია, რომ პირველი სომხური გაზეთი, პირველი „ქართული გაზეთის“ მსგავსად, მეფისნაცვლის კანცელარიას ეკუთვნოდა და

3 საშინაო ამბების რუბრიკაში რუსული „კავკაზიდან“ იბეჭდებოდა მთელი იმპერიის ტერიტორიაზე მომხდარი ამბები, თუმცა ცალკე იყო გამოყოფილი გრაფა სომხეთიდან მოსული ამბებისთვის.

მიზნად ისახავდა საიმპერატორო ბრძანებებისა და პოლიტიკის გავრცელებას, თუმცა „კოვკასის“ რედაქციას გარკვეულ თავისუფლებას აძლევდა.

გაზეთის გამოცემის საქმეში „კოვკასის“ რედაქტორს და მის სომეხ თანაშემწეებს ადგილობრივი სომეხი მოსახლეობისა და სამღვდელოების ხელშეწყობის იმედი ჰქონდათ, მაგრამ პირველ წელს ას ოცდათვრამეტმა გამომწერმა ძლივს დაფარა სტამბის ხარჯები. რუსმა რედაქტორმა, ო. კონსტანტინოვმა გაზეთის დახურვა გადაწყვიტა. ჰ. არზანიანმა და ჰ. კარენიანმა გაზეთის შენარჩუნების თხოვნით მიმართეს ო. კონსტანტინოვს და თავის თავზე აიღეს გაზეთის ყველა ხარჯის დაფარვა.

აღებული პასუხისმგებლობის შესასრულებლად და გადასანაწილებლად ჰ. არზანიანმა და ჰ. კარენიანმა პირველ რიგში 1846 წ. 1 სექტემბერს ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი თითოეულის მოვალეობა სარედაქციო საქმეში. ზუსტდებოდა ფულადი სახსრების შენახვის, ხარჯის და შემოწირულობის, ნივთების მიკუთვნების და ბეჭდვის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები.

პოლიტიკური ამბების ამორჩევა და თარგმნა ჰ. არზანიანის მოვალეობაში შედიოდა, ხოლო ლიტერატურული მასალის შერჩევა, რედაქტირება და მართლწერა – ჰ. კარენიანის. შეთანხმების დოკუმენტიდან ჩანს, რომ მათ ჰქონდათ სამუშაო სივრცე, სადაც უნდა გამოცხადებულიყვნენ ყოველდღე შუადღის შემდეგ და დაეძებნათ და მოემზადებინათ მასალები. „კოვკასის“ რედაქტორები თანხმდებოდნენ, რომ სტატიის დასაბეჭდად ორმხრივი მოწონება იყო საჭირო. შეთანხმება უკვე შედგენილი და ორმხრივად ხელმოწერილი იყო, როცა 1846 წ. რედაქტორებს შეუერთდა მღვდელი გაბრიელ პატკანიანი.

ვინაიდან გაზეთის სარედაქციო ინფორმაცია და რედაქტორი მხოლოდ გაზეთის რუსულ დედანზე „კავკაზზე“ იყო მითითებული, „კოვკასის“ სარედაქციო შემადგენლობის შესახებ მეოცე საუკუნის ბოლომდე ზუსტი ინფორმაცია არ არსებობდა.

სომხური პერიოდიკის შესწავლის პირველ მცდელობას წარმოადგენს პრესის ისტორიკოსის, ნ. ჰაროს ნაშრომი „სომხური პრესა რუსეთსა და კავკასიაში“, რომელიც რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გამოცემულ პირველ გაზეთად „კოვკასს“ მიიჩნევს, რადგან იმ დროს მისთვის უცნობი იყო ბევრი დეტალი და ასევე 1816 წელს ასტრახანში გამოცემული „არეველიან წანუცმუნქის“ 27 ნომერი.

ამის გამო „კოვკასის“ ჰაროსეული დათარიღება და სარედაქციო შემადგენლობაც არასწორია. თუმცა მისი, როგორც პირველი მკვლევრის წვლილი „კოვკასის“ ისტორიის შესწავლაში, უდავოდ დიდია.

გაზეთ „კოვკასის“ რედაქტორებად ნ. ჰარო მიიჩნევა ჰ. კარენიანს და მიქაელ პატკანიანს (Հայր 1878). ეს შეცდომა 1882 წ. გაიმეორა ალ. ერიციანმა და შემდეგ ყველა მეცნიერმა, ვინც ამ ორი ავტორიტეტული მკვლევრის ცნობებს ეყრდნობოდა.

პირველი მეცნიერი, რომელმაც ჰაროს ვარაუდი ეჭვქვეშ დააყენა, იყო გ. ლევონიანი, რომელმაც 1934 წ. გამოცემულ თავის ბიბლიოგრაფიულ სიაში მიუთითა სამი რედაქტორის გვარი: ჰაკობ კარენიანი, მიქაელ პატკანიანი, მოგვიანებით ჰაკობ არზანიანი (Լևոնյան, 1934, გვ. 81). ამ ავტორიტეტული მკვლევრის აზრი სხვა მკვლევრებმაც გაიზიარეს და ასე შევიდა სომხეთის ეროვნული ბიბლიოთეკის კატალოგებში.

„კოვკასის“ პირველი და ერთადერთი თანამედროვე მემატიანის, ჰ. ერიციანის ინფორმაციით, პირველი რედაქტორები იყვნენ ჰ. არზანიანი და ჰ. კარენიანი.⁴ სწორედ ისინი ეახლნენ ო. კონსტანტინოვს და სთხოვეს, არ დაეხურა გაზეთი „კოვკასი“. მიქაელ პატკანიანის შესახებ კი დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სარედაქციო მოღვაწეობით ის არ არის ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ მიქაელ პატკანიანი, როგორც მთარგმნელი და ავტორი, აქტიურად თანამშრომლობდა როგორც გაზეთ „კოვკასთან“, ასევე „კავკაზთან“, გაზეთ „კოვკასის“ მესამე რედაქტორი იყო გაბრიელ პატკანიანი, რომელმაც გაზეთ „კოვკასის“ დახურვის შემდეგ სარედაქციო მოღვაწეობა გააგრძელა და 1850 წ. გამოსცა გაზეთი „არარატი“.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ იხელმძღვანელა სომხეთის ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემებით. შესაბამისად, კატალოგებში „კოვკასის“ რედაქტორად შევიდა მ. პატკანიანი. დღეისთვის ეს ინფორმაცია გასწორდა და გამოსაცემად მზადდება საქართველოს სომხური პერიოდული პრესა და სომხური წიგნის ბიბლიოგრაფია.

საკამათო იყო ასევე „კოვკასის“ გამოცემის თარიღი: ნ. ჰარო გამოცემის დაწყების თარიღად 1847 წ. მიიჩნევა, შეწყვეტის – 1848 წ. გ. ბარბანალიანი გაზეთის არსებობის შეწყვეტას უკავშირებს 1848 წელს რუსეთში ცენზურის გამკაცრებას. დღეს უკვე ზუსტად ვიცით, რომ „კავკაზის“ გამოცემა 1846 წ 5 იანვარს დაიწყო, ხოლო სომხური

4 და არა ჰაკობ კარენიანი და მიქაელ პატკანიანი, როგორც მანამდე მიიჩნეოდნენ მკვლევარები.

ასლის პირველი ნომერი 14 (26) იანვარს დაიბეჭდა ნერსესიანის სკოლის სტამბაში. გაზეთი გამოდიოდა შაბათობით, მისი ღირებულება იყო 7 რუბლი თბილისში, 7.50 ვერცხლის მანეთი ქალაქგარეთ. გაზეთის ოფიციალურ რედაქტორად ითვლებოდა „კავკაზის“ რედაქტორი ო. კონსტანტინოვი. 1847 წელს გაზეთის მუქი სათაური შეიცვალა მუქ ფონზე ამოყვანილი ყვავილოვანი შრიფტით. პირველ წელს გამომწერთა რიცხვი 138 იყო, მეორე წელს – 192.

ჩვენი კვლევის მიზანი არ არის ამ გაზეთების დეტალური შედარება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სომხურენოვანი „კოვკასი“ სტრუქტურულად სრული ასლი იყო „კავკაზისა“: ნუმერაცია, ფასი, გამოსვლის დღე. რუბრიკები განლაგებული იდენტურად (სათაურები, ქვესათაურები), საიმპერატორო ბრძანებები, საშინაო და საგარეო ამბები, ისტორიული, გეოგრაფიული და ზნეობრივი ნაწილი, სალიტერატურო განყოფილება. წარმოდგენილი იყო თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები, კავკასიის მთიელების წინააღმდეგ წარმოებული ომები, სომეხი საზოგადოების ცხოვრების ამსახველი მასალა. თუმცა ამ ყველაფრის გარდა, სომხურ გაზეთს ჰქონდა საკუთარი მისია – უნდა გაეტარებინა ეროვნული ინტერესი. ეს არ ეწერა მის სამოქმედო პროგრამაში, მაგრამ გაზეთის მოღვაწეობის უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენდა.

რაც შეეხება ამ ორი გაზეთის შინაარსს, რუსული გაზეთიდან იბეჭდებოდა ოფიციალური პოლიტიკური ამბები და მისი განხილვა-ანალიზი. ამ სახის სტატიები იბეჭდებოდა ძირითადად პირველ გვერდზე. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „კავკაზში“ დაბეჭდილი სომხური მასალა, ძირითადად „კოვკასიდან“ ითარგმნებოდა და სომხეთში მიმდინარე მოვლენებს ან ხელოვნების სფეროს ეხებოდა. ანუ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს გაზეთები ორმხრივად ცვლიდნენ მასალას. ამ გარემოებას კარგად იყენებდნენ სომეხი მოღვაწეები და რუსულენოვან მკითხველს აცნობდნენ თავის კულტურას.

„კოვკასში“ დაბეჭდილი სტატიების მცირე ჩამონათვალიც კი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის გაზეთის მესვეურთა მიზნებზე. გაზეთის პირველივე ნომერში დაიბეჭდა მელქო ლომიძის სტატია, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი ნერსე აშტარაკელის დეკემბრის ვიზიტი თბილისში; დორპატის უნივერსიტეტის პროფესორის, კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციის სამთო საქმის მთავარი მოხელის, ჰერმან აბიხის ვრცელი სტატია „ასვლა არარატის მთის მწვერვალზე“ ერთდროულად დაიბეჭდა ორივე ენაზე (Кавказ, 1846, №5-11; Кովкასი, 1846, №5-8, 10-11); „კავკაზის“ რედაქციამ „Санкт-

Петербургские ведомости“-დან გადმობეჭდა მარი ბროსეს ორი სტატია, რომელიც იმავდროულად ითარგმნა და დაიბეჭდა „კოვკასში“. პირველი სტატია, „სომხური მწერლობა“ ეძღვნებოდა მხითარაინთა ძმობის მოღვაწეობას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჰოვანეს ხოსროვიანის სერიოზული გამოცვლევა „ქრისტიანობის ნაშთები ჩერქეზ სომხებში“ (Чиркызы, 1846, №42, 44-46), რომელიც, ჰ. ერიციანის მიხედვით, კონსტანტინოვს სათარგმნად მიუცია მიქაელ პატკანიანისთვის „კავკაზში“ დასაბეჭდად (Кавказ, 1846, №40, 42). ამ სტატიის თარგმანის გამო მ. ვორონცოვმა პატკანიანი დააჯილდოვა 50 რუბლით, ხოლო ავტორს იმპერატორისგან მიეცა გასამრჯელო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კოვკასის სომხური რედაქცია ცდილობდა გაეშუქებინა ისეთი საკითხებიც, რომლებიც საინტერესო იქნებოდა ქართული საზოგადოებისთვის, მაგალითად, სტატია ერეკლე მეორის მიერ სტამბის დაარსების შესახებ, ინფორმაცია საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის შესახებ და სხვა.

„კოვკასის“ პირველი და ერთადერთი მემატიანე ჰ. ერიციანი ცდილობდა აღედგინა გაზეთის რედაქციის თანამშრომლების სია, კორესპონდენტების რაოდენობა და რედაქტორების მოღვაწეობა. „კოვკასთან“ თანამშრომლობდა 6 ვარდაპეტი, 9 მღვდელი და ეპისკოპოსი, 6 მასწავლებელი, ნერსესიანის სკოლის 7 და ლაზარიანის სემინარიის 4 მოსწავლე, 1 სამხედრო, 6 პოლიტიკური ფიგურა, 3 ექიმი, 3 მოქალაქე. მათი რაოდენობა საერთო ჯამში შეადგენდა 45 თანამშრომელს და მათი სახელების ჩამოთვლა დღევანდელ სტატიაში შორს წაგვიყვანს. მნიშვნელოვანი იქნება მხოლოდ რუსეთის სომხურ ქალაქებში მცხოვრები კორესპონდენტების ჩამოთვლა, რადგან კორესპონდენტები ამავდროულად გაზეთებსაც ავრცელებდნენ თავიანთ ქალაქებში: მოსკოვში – მკრტიჩ ემინი, სანკტ-პეტერბურგში – ალაფონ აქიმიანი, ბაქოში – დავით როსტომიანი, ერევანში – არსენ გელამიანი, სიმფეროპოლში – სარგის ტიგრანიანი, ყიზლარი – გასპარ ლომიძე, შამახში – მოვსეს ზოჰრაპიანი, კიშინიოვში – ექიმი არტემ ჰოვანესიანი. ცალკე უნდა აღინიშნოს ალექსანდროპოლში ჰოვ. ტიგრანიანის ღვაწლი, რომელმაც 1847 წლის 11 ახალი ხელმოწერის სია გამოგზავნა წერილთან ერთად. ასევე თბილისის საპატიო მოქალაქე გაბრიელ თამამშიანი, რომელმაც კოვკასის 16 ეგზემპლარი გამოწერა სომხური სკოლებისთვის.

ამგვარად, იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხებისთვის „კოვკასის“ გამოცემა იყო რუსეთის ინტერესებს ამოფარებული ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც სათავე დაუდო

არა მხოლოდ სომხური პერიოდიკის ისტორიას, არამედ ისეთ დიდ საქმეებს, როგორიც არის ეროვნული განათლება და ახალი სალიტერატურო ენის ფორმირება.

ბიბლიოგრაფია:

- ვარდანიანი, თ. (2002). სომხები თბილისში. დროის გამოწვევები და თემის პერსპექტივები. <http://www.noravank.am/am.pdf>
- პარსამიანი, ვ.; ჰარუთიუნიანი შ. (1979). სომეხი ხალხის ისტორია (1801-1978 წწ.). ერევანი.
- საქართველოს გაზეთი. 1819. N3.
- ჭიჭინაძე, ზ. (1909). ისტორია ქართული სტამბისა და წიგნის ბეჭდვისა, 1709-1909. თფილისი.
- Արուսյան, Խ. (1958). Աճնարկ Թիֆլիսում ապրող հայերի կյանքի ու հատկապես նրանց հարսանեկան սովորությունների մասին, երկերի լիակատար ժողովածու. Երևան.
- Գալեմքեարեան, Գ. (1893). Պատմութիւն հայ լրագրութեան, ի սկզբանէ մինչև մեր օրերը 1794-1860, Վիեննա
- Հարո [Տեր-Հարությունյան, Ն.]. (1878). Հայ մամուլը Ռուսաստանում և Կովկասում: Թբիլիսի
- Լևոնյան, Գ. (1934). Հայ պարբերական մամուլը. Յերևան. Մեքլոնյանի ֆոնդ.
- Մխիթարյան, Մ. (1994). Արևելահայ մամուլի սկզբնավորումը և լուսավորական շարժումը. Երևան.
- Suny, R. G. (1994). The Making of Georgian Nation. Indiana University Press.
- Zekian, B. L. (1997). The Armenian Way to Modernity. Armenian Identity between Tradition, Innovation, Specificity and Universality. Venezia: Supernova 68-70
- Агаян, Ц. (1978). Присоединение Восточной Армении к России. (1814-1830). Сборник документов. Ереван. Академии Наук Армянской ССР.
- Акты, собранные Кавказской археографической комиссией. 1866-1904. Тифлис.
- Загурский, Л. (1873). Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г. Записки Императорского русского географического общества, кн. VIII
- Март, Н. (1915). Кавказский культурный мир и Армения. Петроград.

„COVCAS“ – THE FIRST ARMENIAN NEWSPAPER IN THE SOUTH CAUCASUS (PREREQUISITES AND CHALLENGES)

„Covcas“ – the first Armenian newspaper in the South Caucasus was published In 1846 under the Protectorate of M. Vorontsov. The newspaper was founded to spread Imperial orders and politics among the local population. The newspaper's structure and content were taken from the Russian newspaper „Kavkaz“.

As only Russian newspaper „Kavkaz“ had an editorial board, until the end of the twentieth century there was no information about the editorial staff of „Covcas“. According to the available data, three editors of „Covcas“ have been identified: Hakob Arzanyan, Hakob Karenian and Gabriel Patkanyan.

On September 1 of 1846 editors have signed the agreement detailing the responsibilities of each in the editorial, issues related to the storage of funds, expenses, and donations were specified in the order of printing.

The Armenian newspaper had 45 correspondents all over the Russia they were also responsible for distributing the newspaper in their own cities. This Promoted to spread of new literary Armenian language reform in the Armenian diaspora of Russia.

However, the publishing of the Armenian newspaper had national importance hidden under the interests of Russia, which gave rise not only to the history of printing but also to other great ideas such as national education and the formation of a new literary language.

მე-19 საუკუნის საქართველოს სომხური პერიოდული გამოცემები

მე-19 საუკუნის სომხურ პერიოდულ გამოცემებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით გაზეთ „არარატს“, რომელიც „კოვკასის“ დახურვის შემდეგ გამოიცა და პირველი ორიგინალური სომხური გაზეთი იყო. არარატის დამფუძნებელი და რედაქტორი იყო ნერსესიანის სკოლის ზედამხედველი გაბრიელ პატკანიანი. როდესაც გაზეთი „კოვკასი“ გამომწერთა სიმცირის გამო დახურვის საფრთხის წინაშე დადგა, მისმა რედაქტორებმა ჰ. კარენიანმა და ჰ. არზანიანმა დახმარება სთხოვეს და მესამე რედაქტორად მიიწვიეს გ. პატკანიანი. სწორედ აქ მიიღო მან პირველი სარედაქტორო გამოცდილება.

გაზეთ „კოვკასის“ დახურვის შემდეგ გაბრიელ პატკანიანი მთლიანად დაკავდა პედაგოგიური საქმიანობით. ნერსესიანის სკოლაში ასწავლიდა მთელ რიგ საგნებს, ხოლო 1850 წლიდან არის ასევე სკოლის ზედამხედველი. ამავდროულად ძმასთან, მიქაელ პატკანიანთან ერთად ხსნის კერძო სკოლას, რომელმაც მთელ ქალაქში გაითქვა სახელი. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, ის ცდილობდა ახალი გაზეთის გამოცემას, რომელიც შეცვლიდა „კოვკასს“. ამისთვის, პირველ რიგში, სტამბა უნდა დაეარსებინა.

გაბრიელ პატკანიანი ჯერ კიდევ ასტრახანში მუშაობისას (1831 წ.) უშედეგოდ ცდილობდა ხელში ჩაეგდო ადგილობრივი გაჩერებული სტამბა, ასევე ნორ ნახჭევანში ცდილობდა სტამბის დაარსებას, მაგრამ საზოგადოების მხრიდან მნიშვნელოვანი მხარდაჭერის მიუხედავად, როგორც თვითონ წერდა, პოლიტიკური მიზეზების გამო კვლავ წარუმატებლად დასრულდა (Պատկանյանը, 1851, Արարատ, №21, გვ. 321-324). მოგვიანებით, კიშინიოვსა და ოდესაში იპოვა პროფესიონალები, რომლებმაც დაამუშავეს მანამდე მათ ხელთ არსებული ასო-ნიშნები. ამის შესახებ მოგვითხრობს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი შუშანიკ ნაზარიანი: „1848 წ. თბილისში ის ორი წლის მანძილზე სრულად იყო დაკავებული სტამბის მოწესრიგებით, დღე და ღამეს ატარებდა სახელოსნოში“ (Նազարյան, 1956, გვ. 199).

საბოლოოდ 1850 წ. პატკანიანმა მეფისნაცვლის კანცელარიისგან მიიღო სტამბის გახსნის, შემდეგ კი გაზეთის გამოცემის ნებართვა. ამის შესახებ რუსეთის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (სსრკ. ფონდი – 1268, აღწერა – 3, საქმე – 266, ბრძანება – 46) ინახავს კავკასიის კომიტეტის კანცელარიის 1849 წ. 14 ივლისი – 1850 წ. 4 დეკემბრით დათარიღებულ საქმეს „მღვდელ პატკანოვისთვის თბილისში სომხური ლიტერატურული გაზეთის „არარატის“ გამოცემის ნებართვის შესახებ“. საქმეში არსებული მასალები მოწმობს, რომ კავკასიის კომიტეტმა პატკანოვს გაზეთის გამოცემის ნება მისცა ისე, რომ არ დაეხედა პოლიტიკურად დატვირთული სტატიები. გაზეთს ჰყავდა ოფიციალური ცენზორი ი. ორბელი, ამასთანავე, გაზეთის ყოველი ნომრის ასლი ეგზავნებოდა კავკასიის კომიტეტს. დოკუმენტს ხელს აწერს კომიტეტის საქმეთა მმართველი ბუტკოვი და უგზავნის განათლების მინისტრს, გრაფ ორლოვს.

1850 წ. 1 სექტემბერს გამოიცა გაზეთ „არარატის“ პირველი ნომერი, სადაც რედაქტორი საპროგრამო სვეტში „გაზეთი არარატი“ მიმოიხილავდა სომხური ჟურნალისტიკის ისტორიას „მხითარია-ნული გამოცემებიდან დაწყებული „არარატის“ დაარსებამდე“ და წერდა, რომ საუკუნის დასაწყისიდან ყოველი პერიოდული გამოცემის გაელვება საფუძველს უყრის მეორე გაზეთის დაბადებას და მეცნიერების განთიადის მოახლოებას. მართლაც, კოვკასის დახურვიდან მოკლე დროში შვიდი ახალი სომხური გაზეთი გამოიცა თბილისში. მათ შორის პირველი იყო „არარატი“.

გაზეთ „არარატის“ პირველივე ნომერში გამოქვეყნდა მკითხველის წერილი, რომელიც პირდაპირი გეგმა იყო რედაქტორისთვის, ამიტომაც წერილს მიეცა ოფიციალური პროგრამის სახე:

მკითხველის პირველი რჩევა უკავშირდებოდა გაზეთის ენას. ის გასაგები უნდა ყოფილიყო მკითხველისთვის და დახმარებოდა მშობლიური ენის უკეთ ათვისებაში.

მეორე რჩევა შეეხებოდა ბუნების მოვლენების შესახებ მასალების დაბეჭდვის აუცილებლობას, საიდანაც მკითხველი გაერკვეოდა, თუ, მაგალითად, ყინვისგან რატომ გვცევა, ცეცხლი როგორ იწთება, სეტყვა და ელვა როგორ ჩნდება და ა.შ.

და ბოლო, მესამე რჩევა – გაეშუქებინათ პოლიტიკური საკითხები და განეხილათ არა მარტო ცალკეული ქვეყნები, არამედ გამორჩეული პიროვნებები.

წერილს ხელს აწერდა თბილისელი ხაჩიკ ჰავერჟიანი. თავიდან ფიქრობდნენ, რომ წერილი თავად შეადგინა გ. პატკანიანმა. თუმცა

შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ჰავერჟიანის ფსევდონიმით წერდა თბილისში მოღვაწე ექიმი, სტეფანოზ ბასტამიანი, რომელმაც პირველმა თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. წერილის ბოლოს ხ. აბოვიანის ლოცვებში მოხსენიების თხოვნით, ბასტამიანს სურდა, მომავალი თაობისთვის გაეცნო თანამედროვე ლეგენდა, რომლის სახელი იცოცხლებს სამუდამოდ (ჰავერჟორენ) (არარატი, 1850, №1, გვ. 1).

საინტერესოა, რატომ არ ახსენებს აბოვიანის სახელს და რატომ მიმართავს ალეგორიას? თავად პატკანიანი 1847-1848 წ. დაწერილ ჰიშატაკარანში აღიარებს, რომ ხ. აბოვიანმა მასთან ურთიერთობა გაწყვიტა. შესაძლოა, ამის მიზეზი იყო გ. პატკანიანის მიერ „კოვკასში“ დაბეჭდილი სტატია 1846 წ. არარატის მთაზე მოგზაურობის შესახებ, რომელშიც წარუმატებლად მიიჩნევს ექსპედიციას. მთამსვლელებმა ვერ შეძლეს ნოეს კიდობნის ნაშთების ნახვა, თუმცა პაროტის ან აბიხის სამეცნიერო ექსპედიციის მიზანი კიდობნის ძიება არ ყოფილა.

შესაძლოა, ბასტამიანის წერილი ემსახურებოდა ორი დიდი მოღვაწის „შერიგებას“. პატკანიანი თვლიდა, რომ გაზეთის ამოცანები შეესაბამებოდა ბასტამიანის წინადადებებს და იმოწმებდა დასავლეთის სომეხთა მაგალითებს, რომლებიც აარსებდნენ პირველ სკოლებს, სტამბებსა და გაზეთებს: „პოლისის და იზმირის სომხებმა თურქთა ხელქვეშ შეძლეს საერო საქმე ეკეთებინათ და ეარსებათ, ჩვენი მხრის სომხებს რუსეთის ტკბილი მხარდაჭერის ქვეშ რატომ არ შეუძლიათ იგივე?“ (არარატი, 1850, №1, გვ. 5).

რედაქტორი გაბრიელ პატკანიანი არ მიჰყევდა გაზეთისთვის ბუნებრივ ჟანრს და ფორმატს. მიუხედავად იმისა, რომ იგი „არარატს“ უწოდებს გაზეთს, სინამდვილეში ის არც გაზეთი იყო და არც ჟურნალი, არამედ საკითხავების წიგნი, რომელიც განკუთვნილი იყო კითხვის ელემენტარული უნარების განვითარებისთვის და უცოდინრობის აღმოსაფხვრელად. „არარატის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა რელიგიური და სამეცნიერო მასალა, რომელთაც სრულიად განსხვავებული მხრიდან აჩვენებდა რედაქტორი. განმარტავდა ნაწყვეტებს სახარებიდან, დღესასწაულებს, საბუნებისმეტყველო და ასტროლოგიურ თემებს. წერდა 1851 წ. 16 ივლისს მოსალოდნელი მზის დაბნელების შესახებ და ხსნიდა თავისი არსით.

გ. პატკანიანი გრაბარს მიაკუთვნებდა მსოფლიოს მკვდარ ენათა ჯგუფს, რადგან მის ასათვისებლად სომეხი ბავშვი ისევე წვალობდა, როგორც რომელიმე უცხო ენის – არაბულის ან სანსკრიტის შესწავლისას. ის დარწმუნებული იყო, რომ გრაბარი თავისი რკინის უხეშ

წესებში აერთიანებდა უბედური ერის განვითარების ისტორიას და მიმართულებას. ჟურნალისტური მოღვაწეობის დასაწყისში უწევდა სტატიების წერა გრაბარზე, მაგრამ არარატი უკვე გამოსცა აშხარაბარზე და დაიწყო ბარბარიზმების გაძევება ენიდან და სომხური ენობრივი ფორმების შემოტანა. სტატიაში „რომელია არარატიანთა ენა“ აღწერს ლაზარიანის სემინარიის ლექტორების მიერ სომხური სალიტერატურო ენის ფორმირების ისტორიას. სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ბავშვებისთვის ენის სწავლებისას სემინარიის პედაგოგები სიფრთხილით აშორებდნენ „უცხო და მახინჯ“ სიტყვებს, არბილებდნენ გამოთქმას, რის წყალობითაც მოკლე დროში შეიქმნა ერთი მარტივი ენა, რომელიც ღირსია ეწოდოს არარატიანთა ენა (არარატი, 1850, №2, გვ. 18). ის თვლიდა, რომ ერთი საერთო აშხარაბარის შემოღება უფრო დაახლოვებს ჩვენს ერს გრაბართან, ვიდრე ახლა, ენის გარეშე რომ დავრჩით.

აგებულია: ყოველკვირეული გაზეთი „არარატის“ (პოლიტიკური, სავაჭრო და ფილოლოგიური გაზეთი) გამოცემა დაიწყო 1850 წლის 1 სექტემბერს და გამოდიოდა 1851 წლის 28 აპრილამდე. სულ გამოიცა 33 ნომერი. გაზეთის სათაური მოკაზმული იყო ყვავილებით და ორნამენტებით, ხოლო სტატიებს დართული ჰქონდა ილუსტრაციები.

პირველ ნომერში გამოქვეყნდა იმ პირთა სია, რომლებიც დაეხმარნენ „არარატის“ გამოცემას. მათ შორისაა თბილისის 3 მოქალაქე (ხ. ბასტამიანი, ს. სვეშნიკოვი და მ. სტეფანოვი), რომლებმაც რედაქტორს უბიძგეს გაზეთის გამოცემისკენ. რედაქტორი მიყოლებით 14 ნომერში იუწყებოდა, რომ სტამბას აახლებდა ნახჭევანის სასწავლებლის ზედამხედველ ტერ-გრიგორიანცის დახმარებით. გაზეთის ცენზორი იყო სომეხი მღვდელი, პედაგოგი და მეცნიერი, იოსიფ ორბელი.

გამოცემის პირველ თვეებში გაზეთი რუბრიკებდაც არ იყო დაყოფილი. 14 ნომრის შემდეგ ჩნდება სალიტერატურო, ზნეობრივი და ისტორიული, შემდეგ კი რელიგიური, ასტრონომიული, საბუნებისმეტყველო რუბრიკები. თუმცა ხშირად მასალა არ იბეჭდებოდა მისთვის განკუთვნილი რუბრიკის ქვეშ. მაგალითად, ლექსებს ბეჭდავდნენ, სადაც დაეტოვდა. 25-ე ნომრიდან იწყებენ გადმობეჭდვას რუსული გაზეთებიდან „ზაკავკაზსკი ვესტნიკიდან“; ს. პეტერბურგის გაზეთ „სევერნაია პჩელა“ და გაჩნდა რუბრიკები საშინაო ამბები და საგარეო ამბები. ბოლო გვერდზე გაკეთდა რუბრიკა განცხადებები: „ვისაც სურს რაიმე დაბეჭდოს საკუთარი სარგებლისთვის, უნდა

მისცეს გაზეთ „არარატი“ თითო კაპიკი ვერცხლი ყოველ ოთხ ასოზე“ თუმცა, გაზეთში პირადი განცხადება არასოდეს გამოქვეყნებულა.

გ. პატკანიანმა გამოსცა არარატის სამი ნომერი, რომელიც საინტერესოა როგორც სიახლე სომხური ჟურნალისტიკის ისტორიისთვის. თითოეული ნომრის მასალა სრულად მიეძღვნა კონკრეტულ თემას.

პირველი ასეთი ნომერი (1850 წ. №10, გვ. 145-160) მიეძღვნა ნიკოლოზ პირველის ძის, ალექსანდრეს ვიზიტს თბილისში 1850 წლის 25-29 სექტემბერს. ხუთივე დღე დეტალურადაა აღწერილი: მოქალაქეების სიხარული და საზეიმო ღონისძიებები.

მეორე სპეციალური ნომერი, №16, მიეძღვნა 7 წლის ჰოვანეს ლაზარიანის გარდაცვალებას. 15 დეკემბერს თბილისელმა გ. შადინიანმა გ. პატკანიანს მისწერა ლაზარიანთა თავსდამტყდარი ტრაგედიის შესახებ და სთხოვდა არარატის ფურცლებზე გამოეცხადებინა, როგორც ეროვნული უბედურება. ლაზარიანის სემინარიის დამაარსებელ ჰოვაკიმს ოთხი ვაჟი და ორი ასული ჰყავდა. მათგან მხოლოდ ხაჩატურს ჰყავდა ვაჟი ჰოვანესი, ლაზარიანთა გვარის ერთადერთი მემკვიდრე, რომლის სიკვდილითაც მოისპო ლაზარიანთა გვარი. სწორედ ამიტომ გ. პატკანიანმა ცალკე ნომერი მიუძღვნა პატარა ჰოვანესის ხსოვნას. ნომერი მთლიანად მოამზადა რაფაელ პატკანიანმა, რომელიც ლაზარიანის სემინარიის კურსდამთავრებული იყო. 23 დეკემბერს, შადინიანის წერილის მიღებიდან 8 დღეში, ნომერი გამოიცა.

მესამე მიზნობრივი ნომერი, №11, მიეძღვნა ჰომეროსს, ილიადას. მთავარი სათქმელი კი სომეხთა ლეგენდარული მეფის ზარმაირ ჰაიკაზუნის მონაწილეობა იყო ტროას ომში პრიამოსის მხარეს. როდესაც ზარმაირი თავს დაესხა აქილევსს, სასტიკი შეტაკებისას ორივე დაშავდა და ომს გამოეთიშნენ. მეორე დღეს სომეხმა მეომრებმა ვერ იპოვეს ზარმაირი. ბევრი ეძებეს გვამებს შორის, მაგრამ სად იყო? ამ კითხვის პასუხად კი დაბეჭდილია რაფაელ პატკანიანის ცნობილი პოემა „ზარმაირ სომეხთა სარდლის სიკვდილი“ (არარატი, 1850, №11 გვ. 171-174). პატკანიანი ამით „ერთ ცრემლს უძღვნის ლეგენდარული სარდლის ხსოვნას“.

გ. პატკანიანი ითავსებდა მეცნიერის, ჟურნალისტის და რედაქტორის ფუნქციებს. მისი დამსახურებით „არარატი“ იმ დროის მოვლენების ამსახველი პირველწყარო გახდა. მაგალითად, სურბ გევორგის (მეიდნის სურბ-ასტვანაწინ) ეკლესიის დასავლეთ კედელზე ყოფილა სომხური წარწერა, რომელიც დღემდე არ შემონახულა. ამ

წარწერის შესახებ ვგებულობთ „არარატის“ 1850 წლის №4, ნომრიდან (გვ. 51). სტატია „ქალაქ თბილისის აღწერილობა“ გვაუწყებს, რომ ეს ეკლესია იყო კათოლიკე, მისი ამშენებელი ყოფილა თავადი უმეკი, ეკლესია „აგებულია წელსა 700-სა“, რაც შეესაბამება ქრისტეშობიდან 1251 წელს. როგორც ი. ორბელი ფიქრობდა, შემდეგ ძველი სომხური წარწერა ბოროტი განზრახვით წაუშლიათ და ახალი გაუკეთებიათ, რათა ეკლესია უფრო ძველად დაეთარილებინათ. ის აქვეყნებდა ძველ ხელნაწერებს და ისტორიულ წყაროებს, თავისებურად ცდილობდა მეცნიერული ისტორიის შექმნას დახმარებოდა, რადგან თვლიდა, რომ არსებობდა მხოლოდ მეფეების, სარდლების, მთავრების ისტორიები, ხოლო ისტორია, როგორც მეცნიერება, არ გააჩნდათ. თუ ამ ყველაფერს სისტემურად თავს მოუყრიდნენ, იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობდნენ, როგორ ცხოვრობდნენ, რას ქმნიდნენ (კულტურა, ვაჭრობა და ა.შ.), უკვე შეიქმნებოდა მეცნიერული საფუძველი ახალი ისტორიის სახელმძღვანელოსთვის.

გ. პატკანიანმა გაზეთის სათაური, „არარატი“ აირჩია სწორედ ეროვნული შინაარსის გამო, ამიტომაც გამოცემა, ხანმოკლე არსებობის მანძილზე, ემსახურებოდა სომეხი ხალხის ეროვნული ღირსების გალვიძებას.

იმ დროის პერიოდული გამოცემებისთვის დამახასიათებელი იყო, რომ კონკრეტული პირი აარსებდა სტამბას, თავად აფუძნებდა გაზეთს და თვითონვე რედაქტორობდა. ამის გამო გაზეთის და იმ პიროვნების ბედი ერთგვარად გადაჯაჭვული იყო. 1849 წ. გაბრიელ პატკანიანმა თავის ნახტევანელ მეგობრებს სთხოვა, მიემართათ კათალიკოსისთვის მისი ნახტევანში გადაყვანის მოთხოვნით. მათ გააკეთეს შესაბამისი განცხადება, რომელსაც ხელს აწერდა ქალაქის მერი ხალიბიანი და გაუგზავნეს კათალიკოსს. ერთი წლის შემდეგ, როდესაც პატკანიანი უკვე ნერსესიანის სკოლის ზედამხედველი გახდა, გამოსცა გაზეთი „არარატი“ და აღარსად სურდა გადასვლა, ურთიერთობა დაეძაბა კათალიკოს ნერსესთან. ნერსემ გაიხსენა წელიწადნახევრის წინ მიღებული პეტიცია და გაბრიელი სასწრაფოდ გაამწესა ნორ ნახტევანში – 1851 წ. გ. პატკანიანი კათალიკოსმა ნერსემ გადაიყვანა ნახტევანში და არარატის არსებობა ამით დასრულდა.

ბიბლიოგრაფია:

- Խառատյան, Ա. (2016). Հայ մամուլի պատմություն. Եր.: ԵՊՀ հրատ.
 Նარագიანი, ა. (2016). სომხური პრესის ისტორია. ერევანი. ესუ.
 Նազարյան, Շ. (1956). Գ. Պատկանյանի կյանքն ու գրական-հասարակական գործունեությունը. Երևան, Բանբեր Մատենադարանի, №3, էջ 199.
 ნაზარიანი, შ. (1956). გ.პატკანიანის ცხოვრება და ლიტ.-საზ. მოღვაწეობა. ერ.მატენადარანის მაცნე, №3, გვ. 162).
 Հակոբյան, Պ. (1972). Արուսյանի վերջին վերելքը Արարատի գագաթի վրա. Պատմա Բանասիրական Հանդես, N1, էջ 127-144.
 ჰაკობიანი, პ. (1972). აბოვიანის ბოლო ასვლა არარატის მწვერვალზე. საისტორიო-ფილოლოგიური გამოცემა, №1, გვ. 127-144.
 Պատկանյանը, Գ. (1851). տպագրություն ի Հայս. Արարատ 1851, №21, էջ 321-324
 პატკანიანი, გ. (1851). სომხური ბექდვა. არარატი 1851, №21, გვ. 321-324.

ARMENIAN PERIODICALS OF 19th CENTURY IN GEORGIA

The Russian Empire supported the establishment of ethnic minorities in Georgia, especially Armenian cultural centers. From the 1920s, a strong educational center was launched in Tbilisi, which is connected with the cultural development of the Armenian people at the beginning of the century and the formation of the modern literary language, Ashkharabar. It was the Nersesian school (the school named after the Catholicos Nerse Ashtarakets), around which the thinking Armenians united. Thanks to a printing press donated by Grigor Artsruni in 1817, the Nersesian School played a crucial role in the history of Armenian journalism. The first Armenian-language newspaper, the *Caucasus*, was published here, which was partly an Armenian copy of the Russian *Caucasus*. That is why its popularity among the population was not as great as this national event deserved.

In 1850, the first independent newspaper, *Ararat*, was registered at the Nersesian School Press, which was registered as a literary newspaper. However, the Central State Historical Archive of Russia keeps the case of the publication of “*Ararat*” by Priest Patkanov, and it is clear that the newspaper is viewed with suspicion by the Caucasus Committee of Affairs and demands special supervision over articles of political content. It is noteworthy that this priest Patkanov was Gabriel Patkanian, who in 1847 joined the editorial team of the newspaper “*Caucasus*” as a third member. Although seven periodicals were published in Armenian in Tbilisi in 1846-1871, only “*Kovkas*” and “*Ararat*” were referred to as Nersesian school children.

At this point, my goal is to study the editorial policy of the *Ararat* newspaper, as well as copies of the newspaper, along with little-known or unexplored episodes about Nersesian’s school, and to obtain information that only the modern press can provide.

ელვირა ასლანოვი
Elvira Aslanovi

1830-1921 წლების აზერბაიჯანული ბეჭდური პრესის განვითარება საქართველოში

მეცხრამეტე საუკუნის 20-იანი წლებიდან თბილისი სამხრეთ კავკასიის ხალხების, მათ შორის აზერბაიჯანელების, კულტურულ ცენტრად იქცა. თბილისის, როგორც ინტერნაციონალური კულტურული ცენტრის ფორმირებაში გარკვეული წვლილი აზერბაიჯანულმა პერიოდულმა პრესამაც შეიტანა.

ვფიქრობთ, ამ პერიოდის ეროვნული ბეჭდური პრესა მნიშვნელოვანი და საინტერესო მასალაა აზერბაიჯანის ისტორიის, კულტურის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული აზროვნების შესასწავლად. თბილისში დასტამბულმა პირველმა რუსულენოვანმა გაზეთმა „ტიფლისკიე ვედომოსტიმ“ („Тифлисские ведомости“) (1828-1832) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არა მხოლოდ თბილისის, არამედ მთელი კავკასიის კულტურული ცხოვრებისა და ბეჭდვითი საქმის განვითარებაში.

გაზეთის დანართები სამ – ქართულ (1829 წ.), სპარსულ (1830 წ.) და თათრულ (ავტ. შენიშვნა – აზერბაიჯანულ) (1832 წლის 1 იანვრიდან) ენებზე გამოიცემოდა. აზერბაიჯანულენოვანი დანართის სახელწოდება „თიფლის ეხბარი“ („Tiflis əxbəri“) ითარგმნება, როგორც „თბილისის უწყებანი“ (Zeynalov, 1973, გვ. 10). ჩვენამდე გაზეთის არცერთ ცალს არ მოუღწევია, მაგრამ გაზეთი რომ გამოიცემოდა, ამას მოწმობს არაერთი საარქივო დოკუმენტი (Акты собранные Кавказской археологической комиссией, 1881, გვ. 14; Иваненко, 1886, გვ. 165; Ениколопов, 1928 გვ. 140-146.), რომელთაგან ერთ-ერთში აღნიშნულია, რომ „ტიფლისკიე ვედომოსტის“ აზერბაიჯანული ვერსიის პირველი ნომერი 1832 წლის 1 იანვარს გამოვა და შემდგომში იგი კვირაში ერთხელ გამოიცემა. გაზეთზე წლიური ხელმოწერის ღირებულება რუსული ვერსიის ანალოგიურად იქნება 8 ვერცხლის მანათი, ხოლო ნახევარი წლით – 5 ვერცხლის მანათი. გაზეთის მთავარი რედაქტორი იქნება სასახლის მრჩეველი პ. ს. სანკოვსკი (Ениколопов, 1928 გვ. 142).

„თიფლის ეხბარის“ ამიერკავკასიის გარდა, ირანსა და თურქეთში კითხულობდნენ. თავდაპირველად გაზეთს მცირერიცხოვანი

გამომწერი ჰყავდა. მისი მთავარი რედაქტორი სასახლის მრჩეველი პ.ს. სანკოვსკი იყო, ხოლო „თიფლის ეხბარის“ მასალებს რედაქტირებას უკეთებდა მ. ენიკოლოპოვი, რომელმაც კარგად იცოდა აღმოსავლური ენები. პ.ს. სანკოვსკის გარდაცვალების შემდეგ (1832 წლის 19 ოქტომბერი) გაზეთი მალევე, 1833 წლის დასაწყისში, დაიხურა. გაუქმდა „ტიფლისკიე ვედომოსტიც“, რომელმაც სამხედრო ორგანოების მკაცრი ცენზურის პირობებში სულ რამდენიმე ნომრის გამოცემა მოახერხა. ამის შემდგომ თბილისში აზერბაიჯანულ ენაზე რამდენიმე წლის განმავლობაში არაფერი გამოცემულა.

1838 წელს დაიწყო რუსულენოვან გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ („Закавказский вестник“) გამოცემა. კავკასიის მეფისნაცვლის მითითებით, გაზეთი ადგილობრივ ენებზეც უნდა გამოსულიყო. მისი აზერბაიჯანულენოვანი ვერსია პირველად 1845 წელს თბილისში დაიბეჭდა, რომელსაც „გაფგაზინ ბუ თერეფინინ ხებერი“ („Qafqazın bu tərəfinin xəbəri“ – „კავკასიის ქვეყნის უწყებანი“) ერქვა.

დაახლოებით ოთხ-ნახევარი წლის შემდეგ „გაფგაზინ ბუ თერეფინ ხებერიც“, მეფის ადგილობრივი მმართველობის გადაწყვეტილებით, დაიხურა.

გაზეთში, ძირითადად, იმპერატორის ბრძანებულებები, დადგენილებები, გადაწყვეტილებები, კანონები, ახალი ამბები, განცხადებები და სხვადასხვა სახის ინფორმაცია ქვეყნდებოდა. გაზეთის მთავარი რედაქტორი იყო პლატონ იოსელიანი, ხოლო მთარგმნელი – ბაბაჯან ლაზარევი. დაუზუსტებელი ინფორმაციით, გაზეთი 1846 წელს დაიხურა.

საყურადღებოა, რომ იმდროინდელი ინტელიგენცია, ძირითადად, რუსულენოვან გაზეთ „კავკაზთან“ („Qafqaz“ – კავკასია) (1846-1918) თანამშრომლობდა. გაზეთის ფურცლებზე დიდი ადგილი ეთმობოდა აფ. ჰაგან-შირვანის, ნ. გენჯიევის, მ. ფიუზულის. მ. შ. ვაზეხის, ა. ბაკიხანოვის, მ. ფ. ახუნდოვის, გ. ზაკირის, აშულ პერი ხანუმის და სხვ. ნაწარმოებებს, მათ ბიოგრაფიებსა და მოღვაწეობას.

გამომდინარე იქიდან, რომ „ტიფლისკიე ვედომოსტისა“ და „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ აზერბაიჯანულენოვანი გაზეთები დანართის სახით გამოიცემოდა, ისინი აზერბაიჯანული ეროვნული პუბლიცისტიკის ფუნდამენტად არ მიიჩნევა.

აზერბაიჯანულ ენაზე ბეჭდური პრესის გამოცემის პირველ ნაბიჯად გაზეთი „ექინჩი“ („Əkinçi“ – „მხვენელი“) ითვლება. გაზეთ „ექინჩის“ პირველი ნომერი ბაქოში 1875 წლის 22 ივლისს გამოვიდა, რომლის დაფუძნება ცნობილ აზერბაიჯანელ განმანათლებლს,



პუბლიცისტსა და მკვლევრს, ჰასან-ბექ ზარდაბი-მელიქოვის (1842-1907) სახელს უკავშირდება.

გაზეთ „ექინჩის“ გამოსვლა მნიშვნელოვანი კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა იყო არა მხოლოდ აზერბაიჯანის, არამედ მთელი თურქული სამყაროსთვის. ამ პერიოდს აზერბაიჯანის თანამედროვე სახელმწიფოდ და საზოგადოებად ჩამოყალიბების ეტაპს უწოდებენ.

გაზეთი ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ფეოდალური წყობით განპირობებული ეკონომიკურ-სოციალური პრობლემების დაძლევისა და კულტურული დონის ამაღლებაზე ზრუნავდა. მის მთავარ ამოცანას უმეცრებისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა.

გაზეთის ფურცლებზე წამოწეული საკითხებით შემოფოთებულმა მთავრობამ იგი 1877 წელს დახურა. თუმცა რუსეთის თვითმპყრობელობა უძლური აღმოჩნდა აზერბაიჯანული ინტელიგენციის მებრძოლი სულისა და ენთუზიაზმის წინაშე. ბევრმა მათგანმა მოღვაწეობა თბილისში განაგრძო. აზერბაიჯანელებს თბილისის ცენტრში უხსოვარი დროიდან ჰქონდათ სავაჭრო დახლები, აბანოები, ჩაიხანები, დუქნები, ქარვასლები. თბილისში ასეული წლების მანძილზე

ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ აზერბაიჯანული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები (Мамедли, Соловьева, 2017, გვ. 641).

ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ გაზეთი „ზია“ წერდა: „გარკვეული მოვლენების გამო, ჩვენ გადავწყვიტეთ, გამომცემლობა თბილისში გავხსნათ“ (Aşırılı, 2009, გვ. 49). ხოლო 1881 წლის გაზეთი „ზია-კავკასიის“ მე-16 ნომერში წერდნენ: „რამდენი ხანია, გვინდა დავიწყოთ გაზეთის გამოცემა... ნათელი გახდა, რომ კავკასიაში ამ საქმისთვის თბილისი ხელსაყრელი ადგილია“ (Aşırılı, 2009, გვ. 49).

თბილისში მცხოვრები აზერბაიჯანული ინტელიგენციის ხელშეწყობით მთელი რიგი ეროვნული და კულტურული ღონისძიებები იმართებოდა. ამ საქმისთვის თბილისი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, სარფიანი და ხელსაყრელი ცენტრი იყო. ის კავკასიის აკვნად ითვლებოდა. 1872 წელს თბილისის აზერბაიჯანულმა დრამატულმა თეატრმა დაიწყო ფუნქციონირება. ხოლო 1877 წელს თბილისში პირველი ოფიციალური აზერბაიჯანულენოვანი სახელმწიფო სკოლა გაიხსნა. თანდათან გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების გამოცემის ოფიციალური ნებართვის საქმეც გადაწყდა (Керимли, 2011, გვ. 172).

1879 წელს ჰაჯი ზიალოვის სახლში, ცნობილი აზერბაიჯანელი განმანათლებლისა და პოეტის ჰაჯი სეიდ უნსიზადეს ხელმძღვანელობით, აზერბაიჯანულ ენაზე გაზეთ „ზიას“ („Ziya“ – „სინათლე“) პირველი ნომერი გამოიცა. 1879 წლის 21 ივლისიდან კი სტამბა ვორონცოვის ქუჩის №35-ში გადავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ სეიდ უნსიზადემ შეიძინა სახლი, სადაც სტამბაც გადაიტანა (Aşırılı, 2009, გვ. 49). 1879-1880 წწ-ში გაზეთის 76 ნომერი გამოიცა.

1880-1884 წწ. გაზეთი „ზიაი-გაფგაზიას“ („Ziyayi-Qafqaziyya“ – „კავკასიის სინათლე“) სახელწოდებით გამოდიოდა. მისი არსებობის 4 წლის მანძილზე 183 ნომერი გამოიცა. გაზეთში განათლებისა და კულტურისადმი მიძღვნილ სტატიებთან ერთად იბეჭდებოდა კრიტიკული წერილები ცრურწმენაზე, საზოგადოებრივ პრობლემებზე, ამავე დროს ისტორიისა და ლიტერატურის ცალკეული საკითხებიც განიხილებოდა. გაზეთები „ზია“ („ზიაი გაფგასიე“) და „ექინჩი“ ღირსეულად ასრულებდნენ საზოგადოებრივ და ეროვნულ მოვალეობას და დიდი წვლილი შეჰქონდათ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეში.

1883 წელს თბილისში გაზეთ „ზიას“ სტამბაში ჯალალ უნსიზადემ (სეიდ უნსიზადეს შუათანა ძმა, პედაგოგი, განმანათლებელი) დაიწყო ჟურნალ „კეშკულის“ („Kəşkül“ – „დერვიშის ტომარა“) გა-

მოცემა, რომელიც 1884 წლიდან გაზეთის სახით გამოდიოდა. ჟურნალის სულ 11 ნომერი დაიბეჭდა, ხოლო მე-12 ნომრიდან, ჯალალ უნსიზადეს ინიციატივით, იგი გაზეთის სახით გამოიცემოდა. 1891 წლამდე მისი 123 ნომერი გამოვიდა, ბოლო 11 ნომერი შემახაში დაიბეჭდა.

ჟურნალ „ქეშკულის“ რედაქტორი და თანამშრომლები იმ დროის საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ. აქ იბეჭდებოდა, როგორც სამეცნიერო სტატიები (ლინგვისტიკა, ლიტერატურა, ხელოვნება) და პუბლიცისტური წერილები, ასევე ორიგინალური მხატვრული თხზულებები, თარგმანები ევროპული და აღმოსავლური ლიტერატურის ნიმუშებიდან (Çobanlı, 1970, გვ. 15).

„ქეშკული“, რომელიც „ექინჩის“ ტრადიციებს აგრძელებდა, რუსი და დასავლეთ ევროპელი კლასიკოსების მსგავსად მოუწოდებდა მწერლებს, თანამედროვე ცხოვრებაზე ეწერათ.

1891 წელს „ქეშკულის“ დახურვის შემდეგ თბილისში აზერბაიჯანულენოვანი გაზეთის გამოცემის რამდენიმე მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, მაგალითად, მ. შახტატლი შეეცადა 1896 წელს აზერბაიჯანულ ენაზე გამოეცა გაზეთი „ტიფლისი“ („Tiflis“ – „თიფლისი“), ხოლო 1900 წელს ჯალალ უნსიზადე ცდილობდა „დანიშის“ („Danış“ – „ილაპარაკე“) გამოცემას, თუმცა მეფის რუსეთის კოლონიალურმა მმართველობამ მათ ეს შესაძლებლობა არ მისცა.

1902 წელს უცხოეთიდან დაბრუნებულმა შახტატლიმ განაახლა ბრძოლა თბილისში აზერბაიჯანულენოვანი გაზეთის გამოსაცემად. სოფელში გაყიდა მამისეული სახლი, ახალი გაზეთის გამოცემის თაობაზე მიმართა შესაბამის მმართველ ორგანოებს, პარალელურად დაუკავშირდა პოტენციურ თანამშრომლებს და 1903 წლის 30 მარტს თბილისში გაზეთ „შერგი-რუსის“ („Şərqi-rus“ – „აღმოსავლეთ რუსეთის“) გამოცემა დაიწყო. თავდაპირველად გაზეთი კვირაში სამჯერ გამოდიოდა, ხოლო 1904 წლიდან – ყოველდღიურად.

გაზეთს „შერგი რუსს“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აზერბაიჯანის საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. გარდა იმისა, რომ იგი მე-20 საუკუნის პირველი ყოველდღიური აზერბაიჯანული გაზეთია, საყურადღებოა იმითაც, რომ მან გამოზარდა ისეთი ჟურნალისტი და რედაქტორი, როგორიც ჯალილ მამედგულიზადე იყო.

გაზეთის დახურვის შემდეგ აზერბაიჯანელი ავტორები თავიანთ პუბლიკაციებსა და თხზულებებს, ძირითადად, თბილისში გამოშვებულ რუსულენოვან პერიოდიკაში აქვეყნებდნენ და მშობლი-

ური ხელოვნებისა და ლიტერატურის პროპაგანდასთან ერთად, ეროვნული ბეჭდვითი ორგანოების შექმნისთვისაც იბრძოდნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ ეროვნული ბეჭდვითი საქმის განვითარება აუცილებელი იყო თბილისის აზერბაიჯანულ ლიტერატურულ წრეებში რევოლუციური იდეების გასავრცელებლად, ნაციონალური კულტურის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, პროგრესული იდეების გასააქტიურებლად და დროის შესაბამისად ხალხის გასავითარებლად.

თბილისში გამოშვებული ჟურნალ-გაზეთები გამოსვლიდან მცირე დროში იხურებოდა, მაგრამ აზერბაიჯანელ ავტორებს რუსულენოვან პრესაში გამოქვეყნების საშუალებაც ჰქონდათ. კერძოდ, პროგრესული რუსი და ქართველი ჟურნალისტები ითვალისწინებდნენ აზერბაიჯანული პრესის ირგვლივ შექმნილ ვითარებას და ყოველნაირად უწყობდნენ ხელს, რომ თბილისის რუსულენოვანი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მათი პუბლიკაციებიც დაბეჭდილიყო.

თბილისის რუსულენოვან პრესაში ფართოდ შეუქდებოდა აზერბაიჯანის ცხოვრება, ჟურნალ-გაზეთებში სპეციალური ადგილი ეთმობოდა რუბრიკას „მუსულმანური ცხოვრება“, რომელსაც აზერბაიჯანლები ამზადებდნენ.

აზერბაიჯანელი ავტორების ძირითადი თემები იყო: პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, პიროვნების თავისუფლება, სოციალური თანასწორობა, ხალხთა მეგობრობა, აღზრდისა და განათლების საკითხები, კულტურულ-ლიტერატურული განვითარება, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობები და სხვ.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროგრესულ იდეებს თბილისის რუსულენოვანი პერიოდიკის ყველა ორგანო არ იზიარებდა. მაგალითად, „ტიფლისკი ლისტოკი“ („Тифлисский листок“), „ზაკავკაზიეს“ („Закавказье“), „ნოვოე ობრაზოვანიეს“ („Новое образование“), „ზნანიეს“ („Знание“), „არგონავტს“ („Аргонавты“), „ზაკავკაზსკოე ობრაზოვანიეს“ („Закавказское образование“) მთელი რიგი სოციალურ-პოლიტიკური თუ ლიტერატურული საკითხების გადაწყვეტისას ლიბერალური, ორსახოვანი პოზიცია ეჭირათ, ზოგჯერ უაღრესად რეაქციულიც.

1906 წლის 21 თებერვალს აზერბაიჯანელი ჟურნალისტი, განმანათლებელი და სატირიკოსი, აზერბაიჯანულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი ჯალილ მამედგულიზადე (1866-1932) თხოვნით მიმართავს თბილისის გუბერნატორს ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ („Molla Nəsrəddin“ – „მოლა ნასრედინი“) გამო-

ცემის თაობაზე, რომელსაც მხარი დაუჭირეს კავკასიასა და რუსეთის იმპერიის სხვა რეგიონებში გამომავალმა აზერბაიჯანულმა და რუსულენოვანმა გაზეთებმა.

თბილისის გუბერნატორის კანცელარიის 1906 წლის 4 მარტის განკარგულების საფუძველზე, ჯალილ მამედგულიზადემ ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ პირველი ნომერი გამოსაცემად ომარ ფაიგ ნემანზადესთან (1872-1937, აზერბაიჯანელი პუბლიცისტი, ჟურნალისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე) ერთად მოამზადა.

ჟურნალის პირველი ნომერი 1906 წლის 7 აპრილს დაიბეჭდა და მკითხველმა არა მხოლოდ თბილისში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც შეიძინა. 1906-1917 წწ. ჟურნალი გამოდიოდა თბილისში, 1921 წ. – თავრიზში, ხოლო 1921-1931 წწ – ბაქოში. 1918 წლამდე „მოლა ნასრედინის“ 370 ნომერი გამოვიდა და ყოველი მისი ნომერი მკითხველმა დიდი ინტერესით მიიღო.

აზერბაიჯანულენოვანი პერიოდიკის დიდმა ნაწილმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აზერბაიჯანელი ხალხის კულტურულ განვითარებასა თუ პოლიტიკური მსოფლმხედველობის ფორმირებაში.

1918-1921 წწ. თბილისში პერიოდული პრესის არაერთი ნიმუში გამოდიოდა. სხვადასხვა ენაზე გამოცემულ ამ ჟურნალ-გაზეთებში ნათლად აისახა როგორც პროგრესული, ისე რეაქციული პოზიციები. ამ ჟურნალ-გაზეთებს შორის მუდმივი იდეოლოგიური დავა მიმდინარეობდა (Керимли, 2011, გვ. 185).

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები თავიანთი დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლების იდეის პროპაგანდის მიზნით, თანამშრომლობდნენ შემდეგ დემოკრატიულ ბეჭდვით ორგანოებთან: „ალ ბაირალი“ („Al bayraq“ – „წითელი დროშა“), „გალაჯაკი“ („Gələcək“ – „მომავალი“), „ვატანი“ („Vətən“ – „სამშობლო“), „გალაჯაკი ტიფლის“ („Gələcək Tiflis“ – „მომავალი თბილისი“), „გარდაშ გაილისი“ („Qardaş qayğısı“ – „ძმური ზრუნვა“), „ისლამ გურჯისტანი“ („İslam Gürcüstanı“ – „ისლამური საქართველო“), „განჯლარ იურდუ“ („Gənclər yurdu“ – „ახალგაზრდობის ქალაქი“) და სხვ. სამწუხაროდ, ზემოთ აღნიშნული ჟურნალ-გაზეთების დიდმა ნაწილმა ჩვენამდე სრული სახით ვერ მოაღწია.

გაზეთ „ალ ბაირალს“, რომელიც 1918 წლიდან გამოდიოდა, სხვებთან შედარებით, დემოკრატიული პოზიცია ეკავა. იგი ერთი წლის განმავლობაში თბილისის, ხოლო 1919 წლიდან ბაქოს „მუსულმანი საზოგადოებრივი მუშაკების“ ორგანოს წარმოადგენდა. რამდენიმე ნომრის შემდეგ ეს გაზეთიც დაიხურა. 1918 წლის 26 ივნისიდან თბი-

ლისში დაიწყო გაზეთ „გელეჯექის“ გამოცემა, რომელიც მთელი თავისი შინაარსით აზერბაიჯანელი ხალხის განვითარებისა და ნათელი მომავლისთვის იღწვოდა.

ამ ყოველდღიური გაზეთის რედაქტორები იყვნენ სამედალა აღამალიოღლუ (1867-1930, აზერბაიჯანელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე) და აზიზ შარიფზადე (1895-1988, ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, მთარგმნელი), რომლებიც ამავე დროს თბილისში გამომავალ რუსულენოვან გაზეთ „პრობუჟდენიასაც“ რედაქტორობდნენ.

გაზეთი „გელეჯექი“ მიმდინარე მოვლენებთან ერთად, სხვა პოლიტიკურ საკითხებსაც განიხილავდა და თავის პოზიციასაც ნათლად გამოხატავდა. აკრიტიკებდა სამხრეთ კავკასიაში გამეფებულ თვითნებობას, რეაქციული ნაციონალიზმის გამოვლენას, მხარს უჭერდა კავკასიის ხალხთა შორის მეგობრობის გაღრმავებას.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-ლიტერატურულ გაზეთ „მაზბარის“ („Məzdar“ – „გამომჟღავნება“) პირველი ნომერი 1908 წლის დასაწყისში დაიბეჭდა. გაზეთის მრავლისმომცველი გეგმის თანახმად, თანამშრომლებს მკითხველამდე უნდა მიეტანათ როგორც ადგილობრივი, ისე სხვა ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები, განეხილათ ლიტერატურისა და ხელოვნების, მეცნიერების სხვადასხვა დარგისა და განათლების ცალკეული საკითხები, გარკვეული ყურადღება დაეთმობოთ საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური პრობლემებისთვის.

აზერბაიჯანელ ხალხს თანადგომას უცხადებდა და მათი დამოუკიდებლობის მომხრე იყო 1918 წელს თბილისში აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე გამოცემული გაზეთი „გარდაშ გაილისი. გაზეთში დასტამბული თბილისელი აზერბაიჯანელების პუბლიკაციების თანახმად, მათი ავტორები რუსი იმპერიალისტებისა და სომეხი ნაციონალისტების მიერ აზერბაიჯანში ჩადენილ დანაშაულებს, მათ სისხლისმღვრელ ქმედებებს საკუთარ ტრაგედიად მიიჩნევდნენ. აქვე იმასაც აღნიშნავდნენ, რომ მათ ძმებს, თანამემამულეებს ამ დანაკარგს ვერავითარი მატერიალური და მორალური მხარდაჭერა ვერ აუწაზღაურებდა. ამ გაზეთის მხოლოდ ერთი ნომერი გამოიცა.

სამხრეთ კავკასიაში არსებული შოვინიზმისა და ნაციონალიზმის მხილებასთან ერთად, ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურებოდა გაზეთი „გელეჯექ თიფლისი“ („Gələcək Tiflis“ – „ტიფლისის მომავალი“), რომელიც 1918 წლის 27 ივნისიდან აზიზ შარიფის რედაქტორობით კვირაში ორჯერ გამოდიოდა. გაზეთში აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის პარალელურად ვხვდებით მასალებს

აზერბაიჯანელ პოეტებზე, ცნობილ თეატრალურ თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებზე. 1919 წლის 1 აპრილს გაზეთი დაიხურა.

აჭარის ეროვნული საბჭოსა და სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ისლამური საზოგადოების ორგანო გაზეთი „სედაი მილლეთი“ („Sədai milləti“ – „ერის ხმა“) 1919 წლიდან ბათუმში, ნურუ საფარბექზადეს რედაქტორიბით, კვირაში სამჯერ გამოდიოდა. გაზეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის იყო, ეკონომიკის საკითხებსაც განიხილავდა და ძირითადად, აჭარაში მცხოვრები მუსულმანების ცხოვრებას აშუქებდა. სულ გამოვიდა გაზეთის 74 ნომერი.

გადარჩენის საზოგადოების ყოველდღიური გაზეთი „ისლამ გურჯისტანი“, რომელიც პოლიტიკური და ლიტერატურული ხასიათის ინფორმაციის გავრცელებას ემსახურებოდა, ბათუმში ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე 1919 წლიდან გამოდიოდა. აღნიშნული გაზეთი, რომლის რედაქტორი და გამომცემელი ჰუსეინ თახსინ ხომსუზადე იყო, შემდგომ მამედ-მამედ-ბექ აბაშიძის (თურქული გვარი სანჯაქბეიზადე) მორალური და ფინანსური მხარდაჭერით გამოიცემოდა. 1919 წლის მანძილზე 131 ნომერი გამოიცა, 1921 წელს განახლდა, 1922-ში კი – დაიხურა.

1913 წლის 13 ივლისიდან თბილისში იბეჭდებოდა გაზეთი „გენჯლერ იურდუ“, რომელიც „ახალგაზრდების საზოგადოების“ ორგანოს წარმოადგენდა და საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და სამეცნიერო პრობლემებს აშუქებდა. ჟურნალის დამფუძნებლებმა თავდაპირველად მისი ყოველკვირეულად გამოცემა გადაწყვიტეს, მოგვიანებით კი გაზეთი თვეში ორჯერ გამოდიოდა.

1920-21 წლებში მუსულმანების ნაციონალურ კავშირთან არსებული ირანისა და კავკასიის მუსულმანების საგანმანათლებლო საზოგადოების კრებულ „ვათანის“ 2 ნომერიც თბილისში გამოიცა. პირველი ნომერი 1920 წლის 5 დეკემბერს გამოქვეყნდა, მეორე კი – 1921 წლის 10 იანვარს. გაზეთის მესამე ნომრის გამოცემა თებერვალში იგეგმებოდა, მაგრამ იგი აღარ გამოსულა, რაც, სავარაუდოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოებასთან არის დაკავშირებული.

თბილისმა თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აზერბაიჯანული კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და საგანმანათლებლო საქმის განვითარებაში. საყურადღებოა, რომ მეცხრამეტე საუკუნის აზერბაი-

ჯანული ლიტერატურა საერთაშორისო ასპარეზზე სწორედ თბილისური გარემოს ხელშეწყობით გავიდა.

მეოცე საუკუნის დასაწყისშიაც კი, როდესაც ბაქო ეროვნული კულტურის ცენტრად იქცა, თბილისი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, თავის ადგილს ინარჩუნებდა აზერბაიჯანელი ხალხის ცხოვრებაში.

ბიბლიოგრაფია:

“Акты собранные Кавказской археологической комиссией”, VIII том, (1881). Тип. Главного Управления Наместника Кавказского, Тифлис.

Ениколопов, И. (1928). Первая тюркская газета на Кавказе „Культупа и письменность Востока“, книга III, Баку.

Иваненко, В. (1901). „Гражданское управление Закавказья“, От присоединения Грузии до наместничества великого князя Михаила Николаевича. Тифлис.

Керimli, В. (2011). Тюрки в Грузии. Баку. Текнур.

Мамедли, А. Соловьева, Л. Т. (2017), Азербайджанцы, Москва, Наука.

Aşırılı, A. (2009). Azərbaycan mətbuatı tarixi (1875-1920), Bakı, Elm və Təhsil.

Çobanlı, M. (1970). «Ziya»-dan «Çənlibel»-ədək (1878-1998)». Gürcüstanda Azərbaycan mətbuatı. Bakı. Təhsil.

Zeynalov, N. (1973). Azərbaycan mətbuatının tarixi (I hissə). Bakı. ADU-nun nəşriyatı.

საგაზეთო პუბლიკაციები:

Vətən, 5 dekabr, 1920, N 1, Tiflis (აზერბაიჯანულ ენაზე – „ვათანი“, 5 დეკემბერი 1920, №1, თბილისი).

Vətən, 10 yanvar, 1921, N 2, Tiflis (აზერბაიჯანულ ენაზე – „ვათანი“, 10 იანვარი 1921, №2, თბილისი).

DEVELOPMENT OF AZERBAIJANIAN PRINTED PRESS IN 1830-1921 IN GEORGIA

Since 20s of 19th century, Tbilisi became the cultural center for South Caucasian peoples, including outstanding Azerbaijani enlighteners. Russian and Georgian, as well as Azerbaijani printed press has played significant role in formation of Tbilisi, as an international center. The mentioned periodicals turned out to be very significant and interesting source of the history, culture, social-political and literary thought of Azerbaijan and Azerbaijanis.

First printed publications: "Tiflis Ekhbari", "Gafgazin o Tainin Ekhbari", also newspaper in Russian published in Tbilisi "Kavkaz" can be regarded as some kind of preparatory stage of Azerbaijani national printed press formation.

In 1879 in Tbilisi, under leadership of Seid Unsizade, first issue of newspaper "Zia" in Azerbaijani language was published. This newspaper was published in the period from 1880 to 1884, under the title "Ziai-Gafgazia". There, together with the articles dealing with education, culture, history and literature, there were published the critical articles about superstitious beliefs, as well as social problems.

In 1883, in Tbilisi, at the typography of newspaper "Zia", Jalal Unsizade launched magazine "Keshkuli", which was published as a newspaper from 1884. It should be stated that strengthening of imperial politics of Russianization in late 19th and early 20th centuries in the region was reflected in the attitude of the government to Azerbaijani language. In that period, for several years, all attempts of publication in Azerbaijani language were vain, while in the newspapers and magazines in Russian language the articles and works of Azerbaijani authors were published together with the other ones in Russian language.

For almost one century, Tbilisi has been playing significant role in development of Azerbaijani press. The main goal of printed publications of that period was awakening of the national consciousness in Azerbaijani people and setting the ways for future development, fighting against ignorance, darkness and unfairness, revealing true face of Russian imperialist policies.

საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობა კრეპულ „ვათანის“ („VƏTƏN“) ფურცლებზე*

XIX-XX საუკუნეების ეთნიკურ-ენობრივი პროცესების საკვანძო მომენტად შეიძლება ჩაითვალოს თბილისში 1918 წლის 28 მაისს აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადება, რის შემდგომაც აზერბაიჯანულ ენას, თავისი არსებობის მანძილზე, თავისუფალი ფუნქციონირებისა და განვითარების შესაძლებლობა პირველად მიეცა. ეს მოხდა ორ დღეში, მას შემდეგ, რაც საქართველომ ამიერკავკასიის ფედერაციიდან გასვლის შესახებ განაცხადა.

1918-1921 წლებში თბილისში პერიოდული პრესის არაერთი ნიმუში გამოდიოდა. სხვადასხვა ენაზე გამოცემულ ამ ჟურნალ-გაზეთებში ნათლად აისახა როგორც პროგრესული, ისე რეაქციული პოზიციები (Керимли, 2011, გვ. 89). პერიოდულ ორგანოებს შორის მუდმივი იდეოლოგიური დავა მიმდინარეობდა.

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები თავიანთი დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლების იდეის პროპაგანდის მიზნით თანამშრომლობდნენ დემოკრატიულ ბეჭდურ ორგანოებთან: „ალ ბაირალი“ (ალისფერი დროშა), „გალაჯაკი“ (მომავალი), „ვათან“ (Vətən – სამშობლო), „გალაჯაკი ტიფლის“ (მომავალი თბილისი), „გარდაშ გაიგისი“ (ძმური ზრუნვა), „ისლამ გურჯისტანი“ (ისლამური საქართველო), „განჯლარ იურდუ“ (ახალგაზრდობის ქალაქი) და სხვ. (Керимли 2011, გვ. 89).

აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა მხოლოდ 23 თვე შეინარჩუნა – 1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წითელმა არმიამ სოციალისტური მმართველობა დაამყარა და ქვეყანა სსრკ-ის შემადგენლობაში შევიდა, როგორც აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

1920 წლის 5 დეკემბერს თბილისში აზერბაიჯანულ ენაზე დაი-

* მოხსენება წაკითხულია საქართველოს ეროვნული არქივის მიერ ორგანიზებულ მე-5 საერთაშორისო კონფერენციაზე „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“, 25 სექტემბერი, 2020 (გაიმართა ონლაინ). სტატია გამოქვეყნდება უახლოეს მომავალში კონფერენციის მასალებში.

ბეჭდა გაზეთი „Vətən, რომლის მხოლოდ 2 ნომერი გამოიცა. ორივე ნომერი დღეს ბიბლიოგრაფიულ იმვიათობად ითვლება და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იმვიათ გამოცემათა განყოფილებაშია დაცული. მეორე ნომერი გამოიცა 1921 წლის 10 იანვარს. მუსლიმანური კალენდრით ორივე კრებული 1339 წლით თარიღდება, I ნომერი – რაბილ ავვალის თვეში (მუსლიმანური კალენდრის მესამე თვე, რომელიც გაზაფხულს ნიშნავს), ხოლო კრებულის II ნომერი – რაბილ ახირის თვეში (მუსლიმანური კალენდრის მეოთხე თვე, რომელიც გაზაფხულის ბოლო თვეს ნიშნავს). პირველი ნომერი 12, მეორე კი – 8-გვერდიანია.

იმ პერიოდისათვის, როდესაც თბილისში აზერბაიჯანულ ენაზე გაზეთი „ვატანი“ გამოიცა, აზერბაიჯანისგან განსხვავებით, საქართველო ჯერ კიდევ დემოკრატიული რესპუბლიკა იყო. ამიტომ აზერბაიჯანელებმა მიზნად დაისახეს, რომ თავისუფლების იდეა და დემოკრატიული უფლებები საქართველოდან დაეცვათ.

გაზეთს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანული ეთნიკური უმცირესობის შესწავლის თვალსაზრისით.

გაზეთი „ვატანი“ მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ირანისა და კავკასიის ახალგაზრდა მუსლიმანთა საგანმანათლებლო საზოგადოების შესახებ, რომელიც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მოღვაწეობდა თბილისში და გამოსცემდა გაზეთს. ეს საზოგადოება, თავის მხრივ, მუსლიმურ ეროვნულ საბჭოს ექვემდებარებოდა, რომელიც თბილისში საგანმანათლებლო საქმიანობას უძღვებოდა.

გაზეთის სატიტულო გვერდზე დაბეჭდილია მირზა ფათალი ახუნდოვის მიმართვა: „სტატიები თურქულ და მარტივ ენაზე უნდა იყოს დაწერილი“ (Vətən, 1920, №1). გამომცემლები საზოგადოებას სტატიების თურქულ ენაზე გამოქვეყნებას სთავაზობდნენ, რაც ცოცხალი და ყველასთვის გასაგები სახალხო ენის შემუშავებას, ლიტერატურის დემოკრატიზაციას, საზოგადოებასა და მოქალაქეებში მაღალი თვითშეფასების აღძვრას ემსახურებოდა. გაზეთის გამომცემლები ეროვნული პროგრესის მნიშვნელოვან ნაბიჯად მიიჩნევდნენ მშობლიურ ენას.

გაზეთში სტატიების ავტორები ყურადღებას ამახვილებდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე, მათი აზრით, საჭირო იყო ეროვნული თვითშეგნების ამაღლება და ეროვნული იდეოლოგიის შემუშავება. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეროვნულ

ნული იდეოლოგიის ფორმირების გზებისა და საშუალებების ძიებას. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანელები თავის თავს მუსლიმანებად და არა თურქებად იხსენიებენ. აზერბაიჯანული ინტელიგენციისთვის ეს ძირითადი და მთავარი პრობლემა იყო.

როგორც მ. რასულზადე¹ ეროვნული ენის აღორძინების საქმეში ხაზგასმით აღნიშნავდა, „ჰასან ბეი² სავსებით დასაშვებად მიიჩნევდა მშობლიური თურქული ენის საფუძველზე თურქი (აზერბაიჯანელი) ერის არსებობას. მათ მიერ გამოყენებული ლიტერატურული ენის ხალხურ-სალაპარაკო მეტყველებასთან მიახლოება მისთვის კულტურული ერის ძირითად ელემენტს წარმოადგენდა (Балаев, 2009: გვ. 14).

გაზეთში ტერმინ მუსლიმანს ხანდახან „თურქი“ ენაცვლება – ტერმინი მუსლიმანური იდენტიფიცირებულია თურქულ ანუ ნაციონალურ იდეოლოგიასთან.

დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-1920 წლები) აზერბაიჯანის მთავრობის ენობრივი პოლიტიკის არსი შედარებით ადეკვატურად აისახება ტერმინით „ნაციონალიზაცია“. ენობრივი თვალსაზრისით, ეს ტერმინი აღიქმება, როგორც იმპერიის (კონკრეტულ შემთხვევაში რუსული) ენის მიზანმიმართული განდევნა და ამავე დროს, ეროვნული (აზერბაიჯანული) ენის პოზიციის და სტატუსის აღდგენა. ეს პროცესი კი ნიშნავს ენობრივი სიტუაციის მთელი სტრუქტურის გარდაქმნას, მისი ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტის აღმოფხვრასა და ახლით შევსებას (Балаев, 2009: გვ. 379).

მთავრობის 1918 წლის 27 ივნისის დადგენილება, რომლის თანახმად, „თურქული ენა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ენად გამოცხადდა“ (Балаев, 2009, გვ. 379), ამ მიმართულებით პირველი გადადგმული ნაბიჯი იყო.

ბოლო ორი საუკუნის მანძილზე 1918-20 წლები გარდამტეხ პერიოდად მიიჩნევა აზერბაიჯანული ენის ფუნქციონირებისა და განვი-

1 მ. რასულზადე – საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი და პუბლიცისტი, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აზერბაიჯანის პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერი. აზერბაიჯანის ეროვნული დამოუკიდებლობის მოძრაობის ხელმძღვანელი.

2 ჰასან ბეი ზარდაბი – ისლამურ სამყაროში პირველი მეცნიერი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. იგი არის აზერბაიჯანის პროფესიული თეატრის ერთ-ერთი შემქმნელი. მან გააცნობიერა გაზეთის საჭიროება მშობლიურ ენაზე და დიდი შრომის შედეგად წარმატებას მიაღწია ბაქოში გაზეთ „აკინჩის“ აზერბაიჯანულ ენაზე, 1875 წლის 22 ივნისს გამოცემის საქმეში. ეს გაზეთი აზერბაიჯანული ეროვნული პრესის საფუძველია. პირველი თურქულენოვანი გაზეთი ქვეყნდებოდა როგორც აზერბაიჯანში, ასევე რუსეთში.

თარების თვალსაზრისით, რადგან XX საუკუნის შემდგომ პერიოდში აზერბაიჯანულ ენაში მიმდინარე პროცესები იყო იმ ტენდენციების ერთგვარი გაგრძელება და გაღრმავება, რომელთაც ეროვნული დამოუკიდებლობის დროს ჩაეყარა საფუძველი.

ბოლშევიკებიც კი, რომლებიც ცდილობდნენ თავი შორს დაეჭირათ ეროვნული ენებისადმი მეფის რუსეთის დისკრიმინაციული პოლიტიკისაგან, იძულებული გახდნენ, გარკვეული პირობები შეექმნათ აზერბაიჯანული ენის ფუნქციონირებისათვის. თუმცა, სახელმწიფო დაწესებულებებში მაქსიმალურად შეზღუდეს მისი გამოყენება.

აზერბაიჯანულ ენას წარსულში სხვადასხვა სახელით იცნობდნენ – XIX-XX საუკუნის დასაწყისში გამოიყენებოდა სახელწოდება აზერბაიჯანულ-თათრული ენა, რომელიც შემდგომში: თურქული, აზერბაიჯანულ-თურქულითა და აზერბაიჯანულით შეიცვალა. თუმცა ეს პრობლემა არც დღესაა საბოლოოდ გადაჭრილი.

აზერბაიჯანული დამწერლობა 1922 წლამდე არაბულ გრაფიკას იყენებდა. აზერბაიჯანულ ენაზე დაბეჭდილი გაზეთ „ვათანის“ წერილობითი გრაფიკა არაბულია, მაგრამ დამატებულია სიმბოლოები, რომლებიც აზერბაიჯანული ენისთვისაა დამახასიათებელი.

აზერბაიჯანული ენის ტრადიციების ჩამოყალიბება ისლამურ პერიოდს უკავშირდება. გარკვეული მოდიფიკაციის მიუხედავად, არაბული დამწერლობა თურქული ენების ფონეტიკურ მრავალფეროვნებას ვერ გამოხატავდა. გარდა ამისა, დამწერლობის მოცემულ სისტემას სერიოზული ნაკლოვანებები ჰქონდა: კერძოდ, დიაკრიტიკული ნიშნების სიუხვე; ხმოვანი ასოების ნაკლებობა, ერთი და იმავე ბგერის სხვადასხვა ელფერის წარმოსათქმელად რამდენიმე ნიშნის თანაარსებობა – ყოველივე ეს გარკვეულ სირთულეებს უქმნიდა დამწერლობის ათვისების პროცესს.

ამ საკმარის რთულ გრაფიკულ სისტემაზე ზოგჯერ თვით აზერბაიჯანული კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლებიც საუბრობდნენ. არაბული დამწერლობის სირთულეზე ჯერ კიდევ XVI საუკუნეში მ. ფუზულიზ ამახვილებდა ყურადღებას (Алиев, 1987, გვ. 293). არაბული გრაფიკის რეფორმა პირველად აზერბაიჯანელმა განმანათლებელმა და მოაზროვნემ მირზა ფათალი ახუნდოვმა დაიწყო.

3 მუჰამედ სულეიმან ოღლი ფუზული – XV საუკუნის თურქულენოვანი პოეტი. ცხოვრობდა ბაღდადში და წერდა აზერბაიჯანულ, სპარსულ და არაბულ ენებზე.

ახუნდოვმა მის მიერ შემუშავებული პროექტის⁴ თანახმად, „მუსლიმანურ ანბანს“ ევროპული ანბანების მსგავსად, ლათინური ასოები შეუნაცვლა მუსლიმანი ხალხებისთვის ცივილიზაციისაკენ მიმავალ გზაზე არსებული დაბრკოლებების დასაძლევად (Мирахмедов, 1953, გვ. 72–79).

უდავოა, რომ ახუნდოვი ანბანს დიდ როლს ანიჭებდა ხალხის განათლებისა და მეცნიერების განვითარების საქმეში. ბუნებრივია, ახუნდოვის პროექტი მიუღებელი აღმოჩნდა იმდროინდელი ისლამური სამყაროს სახელმწიფოებისა და მეფის რუსეთისთვის, მაგრამ მან აზერბაიჯანული ინტელიგენციის დიდი მხარდაჭერა მოიპოვა. არაბული გრაფიკის რეფორმის დაწყება 1918 წლის მარტში, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ მოხერხდა. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1919 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით, შეიქმნა სპეციალური კომისია, ლათინური გრაფიკის საფუძველზე ახალი აზერბაიჯანული ანბანის შესამუშავებლად.

თუმცა, იმდროინდელი საომარ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო ეროვნულმა მთავრობამ ამ იდეის რეალიზება ვერ მოახერხა, რადგან 1920 წლის აპრილში აზერბაიჯანი ბოლშევიკური ექსპანსიის მსხვერპლი გახდა.

„ვათანის“ პირველი ნომრის პირველ გვერდზე დაბეჭდილია ისმაილიას სასახლის სალონის ილუსტრაცია, წარწერით: „ისმაილიას სასახლის სალონი მარტის მოვლენებამდე“. მარტის მოვლენების სახელით ცნობილია ბაქოს 1918 წლის ეთნიკური დაპირისპირება, რომელსაც ათასობით მუსლიმანი აზერბაიჯანელი შეეწირა.

1923 წელს ჩატარებული რესტავრაციის დროს სასახლეში ბევრი რამ შეიცვალა. ისმაილიას სასახლე დღესდღეობით აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის შენობაა, სადაც ტარდებოდა მუსლიმანური საქველმოქმედო საზოგადოების სხდომები, იმართებოდა მუსლიმან ქალთა შეკრებები, ბაქოს ინტელიგენციის, სასულიერო პირთა შეხვედრები, ხოლო 1890-1920 წლებში იდგმებოდა სპექტაკლები.

მეორე ნომრის პირველ გვერდზე აია-სოფიას ილუსტრაციას აწერია „აია-სოფიას მეჩეთი“. ამ დროს ამ ტაძარს მართლაც მეჩეთის სტატუსი ჰქონდა.

გაზეთი 50 მანათი ღირდა და რედაქცია და გამომცემლობა თბილისის მუსლიმანური თეატრის შენობაში იყო განთავსებული.

4 არაბული გრაფიკის თურქულ ენებთან ადაპტირების რეფორმის პროექტი.

სტატიები, ძირითადად, რელიგიური, კულტურული და ლიტერატურული ხასიათისაა. გაზეთის დამფუძნებლები და სარედაქციო კოლეგია გეგმავდა მკითხველისთვის მრავალმხრივი ინფორმაციის მიწოდებას. პირველ ნომერში გამოქვეყნდა 10 სტატია: 1. რამდენიმე სიტყვა; 2. დრო (ლექსი); 3. განათლება; 4. ნიჭი და გონება (ლექსი); 5. თურქული თეატრი; 6. კავკასია; 7. საბრალო ქალი (მოთხრობის I ნაწილი); 8. მსოფლიო (ლექსი); 9. მმართველი; 10. თეატრალური დასი „ითიჰადი“ (არაბ. გაერთიანება).

მეორე ნომერში კი დაიბეჭდა შემდეგი სტატიები: 1. დარღვევები ისლამში; 2. მასწავლებლების გზამკლვეი; 3. შრომა (ავტორი ფ. თოფიქი); 4. ლიტერატურა; 5. უთავოები; 6. საბრალო ქალი (ავტორი ფ. თოფიქი) (გაგრძელება); 7. ლექსები; 8. ლექსი გამომცემლებისგან.

გაზეთში დაბეჭდილი მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობაში გაზეთი ეროვნული სულის გაღვიძებას და განათლების სურვილის აღძვრას ცდილობს: „...ჩვენი მიზანია განათლება და სხვა არაფერი, ...ჩვენი ნაკლის გამოსასწორებლად არსებობს ერთი საშუალება – მეცნიერება“ (Çobanlı, 1970, გვ. 23).

გაზეთის მთავარი ამოცანა იყო უმეცრების წინააღმდეგ ბრძოლა და აზერბაიჯანელი ხალხის პროგრესული განვითარების გზაზე დაყენება. გაზეთი ასევე განმარტავდა, რომ მათი შევიწროების, მათ ირგვლივ გამეფებული უსამართლობის მთავარი მიზეზი მეფის რუსეთის თვითმპყრობელობა იყო – მისი დესპოტური, ტირანული და კოლონიალური მმართველობა. მაშინდელი აზერბაიჯანული კულტურის საკვანძო საკითხებიდან შეიძლება გამოვყოთ: ხალხის ცხოვრებიდან აღებული თემების, ცოცხალი, მოსახლეობისათვის გასაგები ხალხური ენის დამუშავების საფუძველზე ლიტერატურის დემოკრატიზაცია; საზოგადოებასა და მოქალაქეებში თავმოყვარეობის, საკუთარი თავის პატივისცემის გაღვივება.

გაზეთი ინტელიგენციას, რომელიც აზერბაიჯანულ ენაზე არ საუბრობდა, ხალხისა და სამშობლოს ბედისადმი გულგრილობაში ადანაშაულებდა და ურჩევდა, მშობლიურ ენაზე ელაპარაკათ. კრებული აზერბაიჯანული სკოლის შექმნასთან ერთად, სხვა საგანმანათლებლო ცენტრების გაფართოებასა და მშობლიურ ენაზე წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

გაზეთში წამოწეულ მწვავე პრობლემათა შორის იყო სახელმწიფოს მშობლიურ ენაზე მართვა. „ვათან“ პირდაპირ მიმართავდა

ხალხს: „რატომ უნდა იყოთ დამოკიდებული სხვაზე და არად აგდებდეთ მეცნიერებას? რატომ არ უნდა იცოდეთ ჩვენი მშობლიური თურქული ენა?! რატომ არ უნდა იცოდეთ ჩვენი მეზობელი ქვეყნების ენები და არ იყოთ იქ მიმდინარე მოვლენების საქმის კურსში?! არ კითხულობდეთ აღმოსავლეთში განსწავლული ჩვენი მეცნიერების ნაშრომებს, არ ბეჭდავდეთ მათ?!“ („Vətən, 1921, №2).

ენობრივი ნაციონალიზაციის ტემპები მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული აზერბაიჯანული ენის სრულყოფილად მცოდნე კადრების მომზადებაზე, ბევრ განათლებულ აზერბაიჯანელს მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა არ შეეძლო, ეს პრობლემა დღესაც აქტუალურ საკითხად რჩება. ამისთვის საჭირო იყო მოკლე დროში აზერბაიჯანულ ენაზე განათლების სისტემის შექმნა.

გაზეთ „ვათანში“ წამოწეულია მუსლიმანი ქალის თემატიკა, რასაც ეძღვნება მოთხრობა „საბრალო ქალი“. ავტორად მითითებულია ფ. თოფიქი, რომელიც, ალბათ, ავტორის ფსევდონიმია. მოთხრობის მთავარი თემაა მუსლიმანი ქალის ხვედრი საზოგადოებაში – ქალთა უფლებების დარღვევის, არასრულწლოვანი გოგონების ნაადრევად გათხოვებისა და ცემის ფაქტები. მოთხრობის დასასრულს მთავარი მოქმედი გმირი ოჯახის დედა, ყოველმხრივ შევიწროებული, ჩაგრული გულსუმი ამაყად ამბობს: „ადამიანს იმედი ყოველთვის უნდა ჰქონდეს, უნდა სჯეროდეს და ნატვრა ყოველთვის აუზნდება“. ეს არის XX საუკუნის ქალის ლოზუნგი. ავტორი გულსუმის სახით საზოგადოებას ქალის უფლებების დაცვისკენ მოუწოდებს. 1901 წელს გაზეთ „Kacnuı“-ში ქალების შესახებ ცნობილი აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწე ალი მარდან ბეი თოფჩიბაშევი წერდა: „... გონიერი დედა რომ იყო, პირველ რიგში, დაცული უნდა იყოს ადამიანის უფლებები, ქალის უფლებები, რომელიც მუსლიმან ქალს, გარემოებების ძალით, წართმეული აქვს“ (Гасанов, 2014, გვ. 150). როგორც ოჯახის საფუძველი, მხოლოდ გონიერ დედას შეუძლია გააცნობიეროს მთელი თავისი მნიშვნელობა საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის. მხოლოდ მას შეუძლია მისცეს შვილებს, მომავალ მოქალაქეებს პირველი ბიძგი, რაზეც დამოკიდებულია მათი მომავალი.

გაზეთი დიდ ადგილს უთმობს მუსლიმანურ თეატრს. ამ პერიოდში თბილისში არსებობდა მუსლიმანური თეატრალური საზოგადოება „İttihad“ (არაბ. გაერთიანება, ერთობლიობა), რომელიც ასევე მუსლიმანური თეატრის შენობაში იყო განთავსებული, სადაც პატარა ბიბლიოთეკაც ფუნქციონირებდა. საზოგადოება İttihad, ძირითადად, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა

– ბაქოსა და თბილისში ჰქონდა სკოლები და სამკითხველო დარბაზები, საზოგადოების წესდების თანახმად, თვეში ერთხელ ტარდებოდა საქველმოქმედო თეატრალური წარმოდგენები.

სტატიაში ავტორი, ძირითადად, საუბრობს პრობლემებსა და საჭიროებებზე: მთავარ პრობლემად ნიჭიერი რეჟისორებისა და მსახიობების სიმცირე სახელდება. ნახსენებია აზერბაიჯანული თეატრის ისეთი ცნობილი სახეები, როგორებიცაა: აზერბაიჯანული თეატრისა და კინოს მსახიობი და რეჟისორი, ეროვნული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჰუსეინ არაბლი, აზულფათეჰ ველი, ალი-აქბერ სეიფი. ისინი ხშირად ჩამოდიოდნენ თბილისში და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ იქ არსებული აზერბაიჯანული თეატრის განვითარებაში.

პირველი კლასიკური აზერბაიჯანული თეატრი თარიღდება 1872 წლით, როდესაც მეტეხის ციხესთან, ძველ მაიდანზე, ბარონების ქარვასლაში, რომელიც ვორონცოვის №1 მდებარეობდა, თბილისის მოწინავე აზერბაიჯანული ინტელიგენციის (აბდულა ხალილოვის, იბრაგიმ ბექ ზეინალოვის, მამედ ჯაფაროვის) ინიციატივით, დაიდგა ფათალი ახუნდოვის სპექტაკლი „ვერზი-ხანი-სერაბი“, მესამე მოქმედება (Binnətoğlu, 2009, გვ. 12).

თუმცა, საქართველოს აზერბაიჯანელებისთვის ეს არ იყო პირველი წარმოდგენა. იქ, სადაც აზერბაიჯანელები კომპაქტურად იყვნენ დასახლებულნი, მართავდნენ სახალხო წარმოდგენებს მოედნებზე, ჩაიხანებსა და ყავახანებში, წელიწადში ერთხელ რამაზანის თვეში იმართებოდა რელიგიური სანახაობები, მაგალითად „გარა-გიოზი“ (Binnətoğlu, 2009, გვ. 18).

ბარონების ქარვასლას 1912-1947 წლებში ჯერ „აუდიტორია“, ხოლო შემდეგ „ნარიმანოვის კლუბი“ ერქვა. თეატრი ფუნქციონირების შეწყვეტის შემდეგ მხოლოდ 2004 წლის 30 ივლისს აღდგა ამავე შენობის პირველ სართულზე, როგორც თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრი. თბილისის აზერბაიჯანულმა თეატრმა რთული გზა განვლო – აქ სხვადასხვა დასი მოღვაწეობდა, არ ჰქონდათ მუდმივი სარეპეტიციო ადგილი, ამიტომ რეპეტიციებს საკუთარ სახლებში, სარდაფებსა თუ ქარვასლებში ატარებდნენ.

1900-1920 წლებში აზერბაიჯანულ ენაზე სპექტაკლები იდგმებოდა გრიგოლ არწრუნის თეატრში – მაშინდელი ქარვასლა, სადაც დღეს გრიბოედოვის თეატრია. ქართული დასის მსახიობებმა მეპატრონეს თხოვნით მიმართეს და შენობის თეატრად გადაკეთებულ დარბაზში დაიდეს ბინა. თეატრს „სათავადაზნაურო ბანკის თეატრი“

ეწოდა, მაგრამ ხალხი მას „არწრუნის თეატრს“ ეძახდა; „არტისტული საზოგადოების“ თეატრში (დღევანდელი შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი); „კაზიონის თეატრში“ (დღევანდელი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი); „ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლში“ („სახალხო სახლი“) (დღევანდელი კოტე მარჯანიშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო დრამატული თეატრი); სპექტაკლები იმართებოდა კულტურის ცენტრებში: „მირ“, „არაქსი“, „ავლაბარ-პალასი“, „აუდიტორია“, ორთაჭალის, შეითან ბაზრის,⁵ ავლაბრის უბნებში, სადაც აზერბაიჯანული მოსახლეობა ცხოვრობდა.

თეატრი საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობდა – 1912-1913 წლებში 40-ზე მეტი სპექტაკლი დაიდგა, რომლებსაც აზერბაიჯანელებთან ერთად ქართველები, სომხები, ებრაელები და ქურთებიც ესწრებოდნენ. მაყურებელში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მუსიკალური კომედიები (Binnətoğlu, 2009, გვ. 28).

„ვათანის“ ფურცლებიდან ჩანს, რომ იგი თანამედროვე ერისა და საზოგადოების ჩამოყალიბებაში უპირატესობას განათლებას ანიჭებდა. გაზეთის გამომცემლები დაწყებული საქმის ბოლომდე მისაყვანად არაერთ სტატიაში (მაგალითად, „მასწავლებლების გზამკლევით“, „რამდენიმე სიტყვა“, „თეატრი“, „თეატრალური საზოგადოება „ითიჰადი“) მიმართავენ საზოგადოებას და სთხოვენ როგორც ფინანსურ, ისე ადამიანური რესურსით დახმარებას.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის 23 თვის მანძილზე შექმნილ დემოკრატიულ ატმოსფეროზე ნათლად მეტყველებს პერიოდულ გამოცემებში ახალი შეხედულებები აზრის თავისუფლებაზე, პრესის თავისუფლებაზე, ასევე მიმდინარე მოვლენებისადმი ახლებური დამოკიდებულება. მანამდე კი აზერბაიჯანი, როგორც სახელმწიფო, არ არსებობდა. სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და მთელი

5 შეითან ბაზარი (არაბ. შადტან – ავი სული, დემონი, ეშმაკი, სატანა), ეშმაკის ბაზარი – XVIII საუკუნის თბილისში, აბანოთუბანსა და თათრის მოედანს შორის მდებარე პატარა ქუჩის სახელი. შეითან ბაზარი თათრის (ქვემო) მოედანს სამხრეთ მხრიდან ემიჯნებოდა. მის გაყოლებაზე ჩამწკრივებული სავაჭრო დუქნებით თათრის მოედნისაგან ცალკე (XIX საუკუნის დასრულებამდე) არსებული, დამოუკიდებელი სავაჭრო რიგი – ქუჩა იყო, XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის გეგმებზე შეითან ბაზრის ადგილზე მ. ვორონცოვის სახელობის ქუჩაა. ტერმინი „შეითან ბაზარი“ იმდენად გამჯდარი იყო ძველი თბილისელების მეხსიერებაში, რომ მისი სახელი მექანიკურად გადაიტანეს თათრის მოედანზე და შეცდომით თათრის (ქვემო) მოედანსაც შეითან ბაზარს ეძახდნენ (იხ.: ენციკლოპედია „თბილისი“ ციტირებული გელოვანთან, 2020, გვ. 167).

რიგი პრობლემების გადაწყვეტის შემდეგ, მოვლენებისადმი პრესის დამოკიდებულებაც შეიცვალა.

პერიოდიკის თავისუფლებამ დიდხანს არ გასტანა. შესაბამისად, თანამედროვე სამყაროსთან აზერბაიჯანის კავშირიც შეწყდა. ბოლ-შევიკურმა ოკუპაციამ ჩაახშო თავისუფალი აზრი, რაც მაშინდელ პრესაზეც აისახა – გაზეთ „ვათანის“ მესამე ნომრის გამოცემა თებერვალში იგეგმებოდა, მაგრამ იგი აღარ გამოსულა, რაც, სავარაუდოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოებასთან არის დაკავშირებული.

ბიბლიოგრაფია:

- Алиев, Г. (1981). Советский Азербайджан. Баку. Тахсил.
- Балаев, А. (2009). Мамед Али Расулзаде (1884-1955), Москва. Издательство «Флинта».
- Binnətoğlu, A. (2009). Teatr haqqında söhbətlər, Bakı, Elm və Təhsil.
- Гасанов, Г. (2014). Али Мердан бек Топчибашев – Журналистическая деятельность 1898 – 1914. Маяк Азербайджана. Баку. Типография Чашыюглу.
- გელოვანი, ნ. (2020). „თბილისის სპარსული სკოლა „ეთაფაყ-ე ირანინან“, აღმოსავლეთმცოდნეობა №9. თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- Мирахмедов, А. (1953). Мирза Фатали Ахундов. Баку. Азербайджанское государственное издательство.
- Çobanlı, M. (1970). «Ziya»-dan «Çənlibel»-ədək (1878-1998)». Gürcüstan-da Azərbaycan mətbuatı. Bakı. Təhsil.

საგაზეთო პუბლიკაციები:

- Vətən, 5 dekabr, 1920, N 1, Tiflis (აზერბაიჯანულ ენაზე – „ვათანი“, 5 დეკემბერი 1920, №1, თბილისი).
- Vətən, 10 yanvar, 1921, N 2, Tiflis (აზერბაიჯანულ ენაზე – „ვათანი“, 10 იანვარი 1921, №2, თბილისი).

AZERBAIJANI POPULATION OF GEORGIA ON THE PAGES OF COLLECTION “VATAN”

After declaration of Democratic Republic of Azerbaijan in Tbilisi, the Azerbaijanis residing in Georgia extensively collaborated with the periodicals. Their goal was protection of the idea of freedom and democratic rights. One of such periodical was collection “Vatan” (Vatan – Native Land) published in Tbilisi in Azerbaijani language.

Collection “Vatan” was the mouthpiece of The Education Society for Young Moslems of Iran and Caucasus, subordinated to the National Moslem Board. This Board guided educational activities in Tbilisi.

Only 2 issues of this newspaper were published and both of them are preserved in the Department of Rare Publications of the National Library of Parliament of Georgia. The collection is of particular significance, with respect of research of Azerbaijani ethnical minority residing in Tbilisi in 1918-1921. Moreover, it is also unique as it was never studied properly.

Request of the publishers was quite interesting – they offered the society to publish the articles in Turkish language, development of the people’s language that would be live and known to all and on this basis – democratization of the literature, providing high self-esteem in the society and in the citizens.

The articles were mostly of religious, cultural and literary nature and their extended and detailed discussion will be provided in the presentation but by detailed study of the newspaper work we can state that it could not achieved the stated goals.

თამარ გითოლენდია
Tamar Gitolendia

პირველი აფხაზური გაზეთი „აფსნი“ (1919-1921) *

პირველი აფხაზური გაზეთი „აფსნი“ (აფხ. „Аҧсны“) გამოვიდა 1919 წლის 27 თებერვალს დიმიტრი გულიას რედაქტორობით საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მმართველობის დროს სოხუმში. დღეისათვის გაზეთი „აფსნი“ ისტორიული დოკუმენტური წყაროა. იგი სრულიად შეუსწავლელია რამდენიმე მიზეზის გამო: გაზეთის ნომრები (ბეჭდურად) ენგურის აქეთ ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. გარდა ამისა, გაზეთი არის აფხაზურენოვანი და დაბეჭდილია 1919-1921 წლებში მოქმედი აფხაზური შრიფტით, რაც განსხვავდება დღეს მოქმედი შრიფტისგან.

კვლევის მიზანია პირველი აფხაზური გაზეთ „აფსნის“ აღწერა, ავტორთა მსოფლმხედველობისა და გაზეთის გამოცემის მიზეზების მიმოხილვა, გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული ფაქტების რეპრეზენტაცია და ანალიზი. იგი წარმოდგენას გაგვიღრმავებს საანალიზო პერიოდის (1919-1921 წწ.) საქართველოს ეთნიკურ, პოლიტი-

* აღნიშნულ თემაზე მოხსენებები წარვადგინეთ შემდეგ კონფერენციებზე: 1. ეროვნული არქივის V საერთაშორისო კონფერენცია „არქივმცოდნეობა, წყარომცოდნეობა—ტენდენციები და გამოწვევები“ საქართველოს ეროვნული არქივი. 24-25 სექტემბერი, თბილისი, 2020. მოხსენების სათაური: „პირველი აფხაზური გაზეთი „აფსნი“ (1919-1921)“ სტატია გადაცემულია დასაბეჭდად; 2. საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო და გენდერი – 6“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სტუ-ს გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. თბილისი, 2022 წლის 11 მარტი. მოხსენების სათაური: „ქალი ავტორები გაზეთ „აფსნის“ ფურცლებზე (1919-1921)“; 3. კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესი. თსუ, თბილისი, 14-16. XI. 2022. მოხსენების სათაური: „აფხაზეთის განათლების პოლიტიკა გაზეთ „აფსნის“ ფურცლებზე (1919-1921)“.

ერთი სტატია „პირველი აფხაზურენოვანი გაზეთი „აფსნი“ დაიბეჭდა საზოგადოებრივ-სალიტერატურო ჟურნალ „რიწაში“, 2021, №3. გვ. 80-85.

აფხაზური ტექსტების თარგმნაში დაგვეხმარნენ თსუ კავკასიოლოგიის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტის ლექტორი და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების ცენტრის მთავარი სპეციალისტი ქალბატონი რიტა მარღანია და ჟურნალისტი და მთარგმნელი ქალბატონი ირმა ოსია. უღრმეს მადლობას მოვახსენებთ მათ გაწეული შრომისთვის.

კურ და კულტურულ სიტუაციაზე და დაგვეხმარება თანამედროვე ვითარებასთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გააზრებაში.

გაზეთი „აფსნი“ გვაწვდის საყურადღებო ინფორმაციას საქართველოს ისტორიის, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების, აფხაზი ხალხის ადგილისა და როლის შესახებ დემოკრატიული საქართველოს ისტორიაში; იგი ასახავს აფხაზური საზოგადოების მიერ საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბების პროცესს.

გაზეთ „აფსნის“ დაარსება განაპირობა აფხაზი ხალხის განვითარებისა და სასიკეთო ცვლილებების დიდმა სურვილმა. ქართველ და აფხაზ საზოგადო მოღვაწეთა რწმენით, აფხაზურენოვანი პერიოდული ორგანოს დაარსება აფხაზი ხალხისთვის „ახალი დროების“ დადგომას მოასწავებდა, ხოლო 27 თებერვალი აფხაზებისთვის ღირსშესანიშნავ თარიღად იქცა – „დღესასწაულთა შორის უმნიშვნელოვანესი“ – ასე შეფასდა აღნიშნული მოვლენა. („АПСНЫ“, 1919, №1. გვ.1).

დემოკრატიული გაზეთი „აფსნი“ გამოიცემოდა 2 წლის განმავლობაში სხვადასხვა პერიოდულობით: 1919 წელს დაიბეჭდა 35 ნომერი (პირველი ნომერი გამოვიდა 1919 წლის 27 თებერვალს), 1920 წელს გამოვიდა 43 ნომერი, ხოლო 1921 წელს მოესწრო 3 ნომრის გამოცემა (ბოლო ნომერი გამოქვეყნდა 1921 წლის 5 თებერვალს. შემდეგ მოხდა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია). გაზეთის პირველი ათი ნომერი დაიბეჭდა ნ. ზახაროვას ტიპოგრაფიაში, ხოლო შემდეგი ნომრები – ა. ზაიდშერის ტიპოგრაფიაში. გაზეთის ფასი თავდაპირველად იყო 1 მანეთი და 50 კაპიკი, ხოლო მოგვიანებით – 5 მანეთი. სახელწოდება „აფსნი“ (აფხ. „АПСНЫ“) ქართულად ითარგმნება, როგორც „აფხაზეთი“.

აფხაზური ინტერნეტიბლიოთეკის გვერდზე (ქ. სოხუმი) ხელმისაწვდომია გაზეთის მხოლოდ 44 ნომრის სკანირებული ვერსია (დედნის შესაბამისი)¹. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გაზეთ „აფსნის“ თანამედროვე აფხაზურ ანბანზე გადაყვანილი ვერსიები ერთ კრებულად გამოიცა სოხუმში 2006 წელს აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიისა და დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზთმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ. გამოცემის რედაქტორია უ. შ. ავიძბა. კრებულში თავმოყრილია გაზეთ „აფსნის“ თანამედროვე აფხაზურ ანბანზე გადაყვანილი 81 ნომერი, ხოლო ამავე კრებულის წინასიტყვაობაში

1 ხელმისაწვდომია გაზეთ „აფსნის“ 1919 წლის 1-38 ნომერი (აკლია 8, 9, 11); 1920 წლის 6 ნომერი და 1921 წლის 3 ნომერი. АПСНЫ интернет-библиотека http://apsnyteka.org/1801-agazet_apsny_1919_1921_2006.html

აღნიშნულია, რომ დაკარგულად ითვლება 4 ნომერი. შესაბამისად, აფხაზური წყაროს თანახმად, 1919-1921 წლებში დაბეჭდილი უნდა ყოფილიყო 85 ნომერი. გაზეთ „აფსნის“ ჩვენთვის ხელმისაწვდომი 44 ნომრის დედანი (დაბეჭდილი 1919-1921 წლებში მოქმედი ანბანით) შევადარეთ 2006 წელს გამოქვეყნებულ თანამედროვე აფხაზურ ანბანზე გადაყვანილ ნომრებს და დავადგინეთ შესაბამისობა. რაც შეეხება დანარჩენ 37 ნომერს, მისი დედანთან შესაბამისობა ეჭვქვეშ დგას დედნის ხელმოწვედომლობის გამო.

მასალებში, რომლებიც ასახულია „აფსნის“ პირველ ნომერში, მეტწილად საუბარია გაზეთის დაარსების მნიშვნელობაზე, გაზეთის მიზნებზე, პოლიტიკურ სიახლეებზე, კერძოდ, საქართველოს სოციალურ-დემოკრატიულ ყრილობაზე, ერობის² არჩევნებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე. დიმიტრი გულია მკითხველებს მოუწოდებს, გულისყურით გაეცნონ ინფორმაციას, სიახლეებს და გაიაზრონ ის. ამას, მისი აზრით, იმიტომ ჰქონდა გადაწყვეტი მნიშვნელობა, რომ თუკი წამოჭრილ საკითხებს სწორად გადაწყვეტდნენ, ეს წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნებოდა აფხაზებისთვის („Аҧсны“, 1919, №1, გვ. 1).

იქიდან გამომდინარე, რომ პუბლიცისტური ტექსტის ძირითადი მიზნებია ინფორმირება, დარწმუნება და კრიტიკა, გაზეთი „აფსნი“ ხასიათდება სამივე კრიტერიუმის მიხედვით. აქ გვხვდება როგორც ინფორმაციული და დამარწმუნებელი პუბლიკაციები, ასევე კრიტიკული წერილები. კრიტიკის სამიზნე ძირითადად არის რუსეთის იმპერიის პოლიტიკა, რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში მიღებული ნეგატიური გამოცდილება.

„აფსნის“ ფურცლებზე აქტუალური თემებია: რედაქციის განცხადებები, რომლებითაც იწყება ყოველი ნომერი; სოხუმის ოლქში მიმდინარე მოვლენები; აფხაზეთის სახალხო საბჭოს გადაწყვეტილებები და დეპუტატთა გამოსვლის სიტყვები; საქართველოს ურთიერთობები საერთაშორისო საზოგადოებასთან³. გაზეთის ფურცლებზე ასევე აქტუალური თემებია – მუჰაჯირობა, განათლება, რელიგია, კულტურა. ვხვდებით სარეკლამო განცხადებებს, სარიტუალო განცხადებებსა და სადღესასწაულო მილოცვებს. მიუხედავად იმისა, რომ საანალიზო წლებში საქართველოში ფოტოგრაფია

2 ერობა – ყველაზე წვრილი სათემო ერთეული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

3 აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მივლინებების დროს საქართველოს დელეგაციაში ყოველთვის შედიოდნენ აფხაზეთის წარმომადგენლები.

უკვე შემოსული იყო, გაზეთში არ გვხდება არცერთი ფოტო.

გაზეთ „აფსნის“ სარედაქციო ჯგუფის წევრები და კორესპონდენტები იყვნენ იმდროინდელ მოვლენებში ჩართული ადამიანები, საზოგადოების ინიციატივიანი წევრები, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი ხედვა და სიძნელების გადალახვის უდიდესი სურვილი. ისინი ცდილობდნენ განეხორციელებინათ თავიანთი შეხედულებები, რომლებიც მიმდინარე ისტორიული ვითარებითა და საყოველთაო განწყობით იყო ნაკარნახევი. გაზეთ „აფსნის“ (1919-1921 წწ.) სარედაქციო კოლეგიის წევრები და ავტორები არიან ქართველი და აფხაზი საზოგადო მოღვაწეები, აფხაზი განმანათლებლები, სახალხო მასწავლებლები, მწერლები, ლიტერატურული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები, აქტივისტები, რომლებიც განსაზღვრავდნენ რეგიონში საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართულებას. აქედან გამომდინარე, გაზეთის ფურცლებზე პოლიტიკურ საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ისეთ თემებსაც, როგორიცაა: განათლება, კულტურა, მწერლობა... გაზეთში დაიბეჭდა 120-ზე მეტი მხატვრული ნაწარმოები (ლექსები, მოთხრობები, პიესები, თარგმანები) და 4 ლექსი რუსულ ენაზე. (Y.III. Aფსნა, 2006, გვ. 608).

გაზეთ „აფსნის“ (1919-1921 წწ) შექმნაში 195-მა ავტორმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის 19 ავტორი პუბლიკაციებს ფსევდონიმით აწერდა ხელს. ყველაზე ნაყოფიერი ავტორები იყვნენ: დიმიტრი გულია (127 პუბლიკაცია),⁴ სამსონ ჭანბა (46 პუბლიკაცია), მოსე ბულია (53 პუბლიკაცია), მ. ახაშბა (40 პუბლიკაცია), მ. ლაკრბა (36 პუბლიკაცია), დიმიტრი ალანია (30 პუბლიკაცია), მიშა ხოკერბა (25 პუბლიკაცია)... ქართველ და აფხაზ ავტორთა გვერდით გვხვდებიან რუსი და ევროპელი ავტორებიც. უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთის ფურცლებზე ვხვდებით ისეთ ავტორთა პუბლიკაციებს, როგორებიც არიან: გენერლები პეტრე უსლარი⁵ და ივანე ბართლომეი⁶, სწორედ მათ სახელებს უკავშირდება აფხაზური დამწერლობის შექმნა.

4 თანამედროვე აფხაზი მეცნიერის, ვ. ბიგუაას ცნობით, დიმიტრი გულია გაზეთ „აფსნის“ სტატიებს აქვეყნებდა ასევე ფსევდონიმით „დონგან“ (Бигуаа 2012, II). ამ ფსევდონიმით გაზეთში დასტურდება 13 პუბლიკაცია.

5 პეტრე უსლარი (1812-1875 წწ.) – რუსეთის არმიის გენერალი. 1858 წელს უსლარს დაევალა კავკასიის ისტორიის შედგენა (Енциклопедия Кругосвет. <https://www.krugosvet.ru>). 1862 წელს მან შექმნა აფხაზური დამწერლობა.

6 ივანე ბართლომეი (1813-1870 წწ.) – რუსი არქეოლოგი და ნუმისმატი, გენერალ-ლეიტენანტი. იკვლევდა კავკასიურ ენებს. 1865 წელს მისი რედაქციით გამოიცა ახალი აფხაზური ანბანი.

აღსანიშნავია, რომ ავტორთა შორის არის 8 ქალი ავტორი – აგირ-ფჰა მარია, ალანია-ფჰა მაშა, ჰაშ-ფჰა ბაბუჩკა, ჰაშ-ფჰა ოლია, წურწუშია მატრონა, ჩაჩხალია-ფჰა მარია, შაყრილ-ფჰა ტატიანა, ჯინჯიალ-ფჰა მაშინა. ქალი ავტორების პუბლიკაციები წარმოადგენს ორიგინალურ და ფოლკლორულ მოტივებზე შექმნილ ლექსებს, ასევე ზეპირი ისტორიის სახით შეკრებილ ფოლკლორულ იგავ-არაკებს. გვხვდება 1 საავტორო საინფორმაციო სტატიაც. ზოგიერთმა მათგანმა შეძლო გაეგრძელებინა შემოქმედებითი საქმიანობა და მათი სახელები და გვარები შემოინახა ლიტერატურულმა კრებულებმა, ხოლო ზოგიერთი მათგანის ბიოგრაფია უცნობია გაზეთ „აფსნის“ შემდეგ.

მარია აგირ-ფჰა არის 2 პუბლიკაციის ავტორი (დაიბეჭდა 1920 წლის 28-ე და 37-ე ნომერებში). მისი ტექსტები წარმოადგენს იგავებს და განეკუთვნება დიდაქტიკური ჟანრს; მაშა/მარია ალანია-ფჰა 1919 წლის მე-10 ნომერში აქვეყნებს თავის ლექსს „გაზაფხული“. შემდგომი პერიოდის საზოგადო მოღვაწე გ. ძიძარია წერს მასზე, როგორც აფხაზური ლექსის ორიგინალური ფორმის ავტორზე და ხაზს უსვამს მაშა/მარია ალანია-ფჰას მნიშვნელოვან წვლილს რევოლუციამდელი აფხაზი ინტელიგენციის განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ პირველი აფხაზი მწერლები განიცდიდნენ თავიანთი თანამედროვე ქართველი და რუსი მწერლების გავლენას. ფაქტობრივად, ბევრი ნაშრომი წარმოადგენდა მიბაძვას (მაგალითად შეიძლება დავასახელოთ დ. გულიას ლექსი „გაზაფხული“, რომელიც ძალიან ჰგავს ილია ჭავჭავაძის ლექს „გაზაფხულს“ და სხვ.) ამიტომ, როცა აფხაზი ავტორების შემოქმედებას განიხილავენ შემდგომი პერიოდის მკვლევრები, აღნიშნავენ, ვინ არის მათ შორის ორიგინალური პოეტური ფორმების ავტორი და ერთ-ერთი ასეთი არის სწორედ მაშა/მარია ალანია-ფჰა; ბაბუჩკა ჰაშ-ფჰა 1919 წლის 32-ე ნომერში აქვეყნებს ფოლკლორულ მოტივებზე შექმნილ ლექსს „ნანასო“ და წარმოადგენს ჩონგურის სიმღერას; 1919 წლის 26-ე ნომერში დაიბეჭდა ოლია ჰაშ-ფჰას ლექსი „ფუ გვადა“ (ჩონგურის სიმღერა). მისი ლექსები მოგვიანებით შევიდა აფხაზური ლექსების ანთოლოგიის I ტომში, რომელიც 1992 წელს დაიბეჭდა სოხუმში; მატრონა წურწუშია 1920 წლის მე-9 ნომერში აქვეყნებს ფოლკლორულ მასალას (სახელწოდებით – „ახაგა“). ამ პუბლიკაციის შემდეგ ავტორის ბიოგრაფია უცნობია; 1920 წლის მე-9 ნომერში დაიბეჭდა მარია ჩაჩხალია-ფჰას ლექსი „აიძიძირუირა“, ხოლო იმავე წლის მე-13 ნომერში დიდაქტიკური იგავი „ნესტორ აქუჯმა შიშიზ“. მარია ჩაჩხალია-ფჰას

როგორც პირველი აფხაზი ქალი პოეტის ლექსები შემდგომში იბეჭდებოდა გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ (1983 წლის 8 ივლისის ნომერი); 1920 წლის 23-ე ნომერში გამოქვეყნდა ტატიანა შაყრილ-ფჰა საავტორო სტატია გუდაუთის სიახლეებზე; მაშინა ჯინჯიალ-ფჰა 1919 წლის მე-17 ნომერში აქვეყნებს დიდაქტიკურ იგავს საეკლესიო ცხოვრებიდან.

ტექსტებზე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ აფხაზ ქალთა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის დროისათვის მათთვის (ისევე როგორც გაზეთის სარედაქციო ჯგუფისათვის) მნიშვნელოვანი იყო, პირველ რიგში, საზოგადოებრივი ჩართულობა, ხოლო შემოქმედებითი თვალსაზრისით, – ხალხური ცხოვრების ამსახველი დიდაქტიკური ჟანრის იგავებისა და ლექსების წერა, საკუთარი განცდების გამოსატყობად, უშუალოდ აფხაზური ზეპირსიტყვიერი ნიმუშების სახეცვლილება, რაც არ საჭიროებდა ნეოლოგიზმებს, ნასესხობებს, ისეთი ცნებების აღმნიშვნელ სიტყვებს, რომლებიც ხალხური ყოფისათვის არ იყო დამახასიათებელი, ამიტომ მათი წერის სტილი და ენა მიახლოებულია ხალხურს.

პირველი აფხაზურენოვანი გაზეთი „აფსნი“ (აფხ. Аҧсны) (1919-1921) გამოსვლის დღიდანვე პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობის ასპარეზად იქცა. „აფსნის“ სარედაქციო ჯგუფის წევრებმა იმთავითვე დაიწყეს ზრუნვა საზოგადოების განათლებული ნაწილის ჩამოყალიბებაზე და გაზეთის მეშვეობით შეუდგნენ განათლების პროპაგანდას. აფხაზეთის მოსახლეობის განვითარებისა და უკეთესი მომავლის შექმნის მიზნით ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებად განისაზღვრა სასკოლო განათლება და წერა-კითხვის გავრცელება ზრდასრულებსა და ხანდაზმულებში, ყურადღება მიექცა საგამომცემლო საქმიანობას. („აფსნი“, 1919, №2, №13, №16, №20). რაც შეეხება, დემოკრატიული მმართველობის პერიოდში აფხაზეთში განათლების განვითარების ხედვას, ამ თემაზე ოფიციალური პროგრამული დოკუმენტი ჩვენთვის უცნობია, თუმცა განათლების პოლიტიკის გააზრება გაზეთ „აფსნიში“ გამოქვეყნებული წერილების მიხედვითაც არის შესაძლებელი.

გაზეთ „აფსნის“ ფურცლებიდან ირკვევა, რომ:

პირველი აფხაზურენოვანი გაზეთის გამოცემისას აფხაზური დამწერლობის ისტორია უკვე 60 წელს ითვლიდა, თუმცა ამის მიუხედავად, გაზეთის სხვადასხვა ნომრიდან დასტურდება, რომ აფხაზური დამწერლობა და წერა-კითხვა ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული სახალხოდ. სარედაქციო ჯგუფმა გადაწყვიტა გაზეთი

გამოეყენებინა ხალხში აფხაზური წერა-კითხვისა და განათლების გასავრცელებლად. ამისათვის სარედაქციო კოლეგია აფხაზურად წერა-კითხვის მცოდნე პირებს მოუწოდებდა გაზეთის წაკითხვაში დახმარებოდნენ მათ, ვინც ჯერ კიდევ არ იცოდა წერა-კითხვა. აფხაზურად წერა-კითხვის ცოდნა და, ზოგადად, განათლება თავისთავად დასახული იყო ცხოვრების ხარისხის, კეთილდღეობის ამაღლების გზად. სარედაქციო ჯგუფი ყოველ ადამიანს ავალდებულებდა თავისი ერის ისტორიისა და მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის ცოდნას და ამას პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევდა პატარა ერის გადარჩენის თვალსაზრისით.

ყურადღება მიექცა სასკოლო განათლებას, ასევე, სემინარიებში, რეალურ სასწავლებლებსა და ქალთა გიმნაზიებში სასწავლო პირობების გაუმჯობესებას. 1919 წლის მე-16 ნომერში დ. გულია წერს სასკოლო სახელმძღვანელოების არასაკმარისი რაოდენობის შესახებ, რაც აფერხებდა მუშაობას. პრობლემის მოსაგვარებლად სასწავლო დაწესებულებების კომისართან გაიგზავნა წერილი ფულადი სახსრების გამოყოფის მოთხოვნით. დღის წესრიგში დადგა სოფლებში საკვირაო სკოლების გახსნის საკითხიც. („Аҧсны“, 1919, №16, გვ. 1).

მასწავლებლების მოტივაციის ასამაღლებლად წარიმართა იდეოლოგიური მუშაობა. მასწავლებელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოცხადდა. განათლების იდეოლოგიები ცდილობდნენ, თითოეული პედაგოგისათვის დაენახებინათ, რომ „ერი მიისწრაფვის განათლების მიღებისკენ“, რათა გაეცნობიერებინათ თავიანთი მნიშვნელობა და პასუხისმგებლობით მოჰკიდებოდნენ საქმეს („Аҧсны“, 1919, №2, გვ.4). გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული იდეოლოგიური ხასიათის პუბლიკაციები წარმოადგენს ორატორული ხელოვნების ნიმუშებს. მასწავლებლის პროფესია აღმატებულ საქმიანობად და დიდ პატივად იქნა აღიარებული. დ. გულია მასწავლებლებზე წერდა, რომ „ისინი ისტორიას შემორჩებიან, როგორც აფხაზეთის პირველი განმანათლებლები“ („Аҧсны“, 1919, №13, გვ.3).

მნიშვნელოვანი გახდა კურსდამთავრებულთა და მასწავლებელთა მოხალისეობრივი საქმიანობისათვის ბიძგის მიცემა. თითოეულ მოხალისეს სასკოლოდ უნდა მოემზადებინა ერთი ან ორი მოსწავლე მაინც, რაც საშუალოდ გამოდიოდა 30 მოსწავლე. „აფხაზეთისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა.“ – წერდა დ. გულია მოხალისეობრივ საქმიანობაში შედიოდა ასევე ხანდაზმულთათვის

აფხაზური ანბანის სწავლება („Аҧсны“, 1919, №13, გვ.3).

ყურადღება მიექცა საგამომცემლო საქმიანობას – სახელმძღვანელოების ტირაჟის გაზრდას, ახალი სახელმძღვანელოების თარგმნას, ფართო აუდიტორიისათვის განკუთვნილი შემეცნებითი ლიტერატურის ბეჭდვას. ამის დასტურია გაზეთის სხვადასხვა ნომერში გამოქვეყნებული ახალი გამოცემების შესახებ ინფორმაცია აფხაზურენოვანი წიგნების ყიდვის მსურველთათვის. ზახაროვის ტიპოგრაფიაში აფხაზურ ენაზე დაიბეჭდა ანბანის წიგნი, ამოცანები (მათემატიკა), დიდი დღესასწაულები, ანდაზები და ციტატები, „როგორ გავზარდოთ აბრეშუმის ჭია“, „ბატების გაზრდა“, „ქათმების მკურნალობა“, „დაავადებების სამკურნალო წიგნი“, „გორსკაია შკოლა“, საეკლესიო წიგნები, დ. გულიას ლექსები და სატირები ... („Аҧсны“, 1919, №2, გვ. 4).

განათლებისა და ეროვნული სკოლის განვითარების საკითხებს დ. გულიამ 15 სტატია მიუძღვნა. თანამედროვე აფხაზი მეცნიერი ვ. ბიგუაა აღნიშნავს, რომ ბევრი აფხაზი განათლების პრობლემას მნიშვნელობას არ ანიჭებდა და „გასაკვირი არ არის, რომ სტატიებში უმოწყალო თვითკრიტიკა უღერს.“ მისი აზრით, დ. გულიამ პრობლემა შეგნებულად გაამწვავა, რათა ხალხის ყურადღება მიექცერო მშობლიურ ენაზე განათლების მიღებაზე (ბიგუაა 2012, II), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიული მმართველობის პერიოდში, მთელ საქართველოში, განათლების გავრცელებაზე ზრუნვა ზოგადი ტენდენცია და გამოწვევა იყო და მასობრივი ხასიათი ჰქონდა. იგი მიზნად ისახავდა ხალხის, სხვადასხვა სოციალური ფენის დაახლოებას, რასაც აგრეთვე ადასტურებს საქართველოში გამოშვებული ქართული და ეთნიკურ უმცირესობათა (აფხაზური, სომხური, აზერბაიჯანული) პერიოდული გამოცემების მასალებიც. რაც მთავარია, ხალხის ნაწილი მზად იყო ამ გარდაქმნისათვის.

იქიდან გამომდინარე, რომ გაზეთი „აფსნი“ სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით/თანხმობით დაარსდა, გაზეთი ემსახურებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ინტერესებს; თუმცა გაზეთის შინაარსი ადასტურებს, რომ უმთავრესი პრიორიტეტი მაინც აფხაზი ხალხის ამოცანებისა და საჭიროებების გაშუქება იყო.

აფხაზებთან თანამშრომლობა საქართველოს ცენტრალური მთავრობის ინტერესებშიც შედიოდა, რათა საერთო ძალისხმე-

ვით ესწრაფათ მიზნისკენ. ამიტომ დემოკრატიული საქართველოს ერთიან ბრძოლაში ჩართულ იქნა სოხუმის ოლქიც. ამ მიზნით „საქართველოს ცენტრალურმა მთავრობამ აფხაზეთში გაგზავნა თავისი წარმომადგენლობა და ამ გზით დემოკრატიული მოძრაობა შევიდა აფხაზეთში“⁷(„АПХСНУ“, 1919, №1, გვ.2-3).

სოციალ-დემოკრატიული მმართველობის დროს, დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპებიდან გამომდინარე, აფხაზები იმედოვნებდნენ, რომ შეძლებდნენ დიადი საქმეების განხორციელებას და დემოკრატია მისცემდა მათ განვითარების საშუალებას. გაზეთი „აფსნი“ გახდა პლატფორმა, საიდანაც ვრცელდებოდა აფხაზ დემოკრატთა იდეები. ერთი მხრივ, აფხაზთა ძირითადი იდეა იყო მოეპოვებინათ საშინაო საქმეების დამოუკიდებლად მართვის უფლება, მეორე მხრივ, აფხაზი ერის გადაწყვეტილებები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, სწორედ ამიტომ დემოკრატთა ყრილობაზე აფხაზ წარმომადგენლებს უნდა გაერკვიათ, თუ რა როლი შეესრულებინათ მათ ერთიან სახელმწიფოში; ამასთანავე საქართველოს ერთიანი პოლიტიკა მისაღები უნდა ყოფილიყო აფხაზებისთვისაც:

„...აფხაზეთს ექნება მართვის სადავეები, მას აქვს ავტონომია, თუმცა როგორც სახელმწიფო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და აფხაზები უნდა იყვნენ ურთიერთკავშირში – აი, რა იდეის მიმდევრები ვართ ჩვენ...

... აფხაზეთის საკითხების გადაჭრის ყრილობაზე ჩვენ გვსურს შემდეგი: აფხაზეთს გააჩნდეს საშინაო საქმეების დამოუკიდებლად წარმართვის სრული უფლებამოსილება. ექნებათ ავტონომია, თუმცა იქნებიან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში.“ („АПХСНУ“, 1919, №1, გვ. 2-3).

გაზეთში შუქდებოდა მიმდინარე პოლიტიკური სიახლეები. კერძოდ:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის სიახლეები;
- სხვა ნაციონალურ პარტიათა სიახლეები;
- ადგილობრივი (აფხაზეთის) ერობის არჩევნებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები;
- სოხუმის საოლქო საარჩევნო კომისიის მიმართვები;
- აფხაზეთის სახალხო საბჭოს გადაწყვეტილებები;

7 წერილი აფხაზური ენიდან თარგმნა რ. მარღანიაძე.

- აფხაზეთის სახალხო საბჭოს დეპუტატთა გამოსვლის სიტყვები.
- საერთაშორისო მოვლენების ამსახველი ახალი ამბები.

საინტერესოა ადგილობრივი თვითმმართველობის – ერობის საკითხიც. გაზეთმა ხალხს ამცნო, რომ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, კანონმდებლობაში რიგი ცვლილებების შეტანით დაიწყო ერობების დაარსება თანაბარი უფლებებით ყველა ეროვნების ხალხისთვის... („Аҧсны“, 1919, №1, გვ. 3-4). მოსახლეობას განემარტა აფხაზეთის სახალხო საბჭოსა და ერობის ფუნქციები: „არ უნდა გვერეოდეს აფხაზეთის საბჭოსა და ერობის არჩევნები: აფხაზეთის საბჭო კანონის ძალით ზედამხედველობს მთელს რეგიონს, ხოლო ერობა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებს. (სოხუმის საოლქო არჩევნების კომისია („Аҧсны“, 1919, №1, გვ. 3-4). გაზეთი უხსნიდა მკითხველს, რომ ერობების ფუნქცია იყო საშინაო საქმეების მართვა, ერობა მოაგვარებდა რიგ საკითხებს და დაეხმარებოდა ადგილობრივ მოსახლეობას ეროვნული პრობლემების მოგვარებაში. ამგვარად შთამბეჭდავ მომავალს უსახავდა ხალხს. ერობის დანიშნულება განიმარტა კანონიერი უფლებებით სარგებლობად, რაც მათ მოიპოვეს რევოლუციის შედეგად („Аҧсны“, 1919, №1, გვ. 3-4).

სახალხო საბჭოს არჩევნების წინ გაზეთი მოსახლეობის აქტიურობის მნიშვნელობას უსვამდა ხაზს. დეტალურად განუმარტავდა არჩევნებში მონაწილეობის ეტაპებს, რათა გასაგები გაეხადა ხალხისათვის, რომ აფხაზეთის მომავალი და კეთილდღეობა მათ ხელში იყო („Аҧсны“, 1919, №1).

2012 წელს გაზეთი „აფსნი“ მიმოიხილა აფხაზმა მეცნიერმა ვ. ბიგუაამ. ის წერს, რომ დ. გულია თანამოაზრეებთან ერთად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეებს თანაუგრძნობდა და მათთან თანამშრომლობდა. საერთო სურათიდან გამომდინარე, დ. გულიამ რადიკალიზმი არარეალისტურად მიიჩნია და მხარი დაუჭირა აფხაზეთის ავტონომიის იდეას, თუმცა მას ოპონირებას უწევდნენ უფრო რადიკალური პატრიოტული პოზიციების მქონე მ. ა. ლაკრბა და დ. ი. ალანია. ორივე მათგანი აფხაზეთის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის იდეის მომხრე იყო. (Бигуаа 2012, II). სტატიაში აღნიშნულია, რომ დ. გულია პოლიტიკურ საკითხებში (განსაკუთრებით ქართულ-აფხაზურ ურთიერთობასთან დაკავშირებით) მეტ-ნაკლებად ნეიტრალურ პოზიციას იკავებდა, ყოველ შემთხვევაში, ის მკვეთრად არ ეწინააღმდეგებოდა „აფხაზეთში

საქართველოს ბატონობას“, თუმცა უკმაყოფილებას გამოთქვამდა აფხაზეთში საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის გამო. გულლიამ აირჩია კულტურული და საგანმანათლებლო საკითხებით პოზიციონირება. უპირველეს ყოვლისა, მან დააყენა ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული ამოცანების გადაწყვეტა: მოსახლეობის გაუნათლებლობის აღმოფხვრა, მშობლიური ენის შენარჩუნება და განვითარება აფხაზური სკოლების დაარსებითა და ეროვნული წერილობითი ლიტერატურის განვითარებით, საზოგადოების მანკირებებთან ბრძოლით და ა.შ. ის თავისუფლების მიღწევას სწორედ ამ პრობლემების გადაწყვეტას უკავშირებდა, მაგრამ ზოგიერთებმა შესთავაზეს მას ამ პრობლემების გადაჭრის განსხვავებული ხედვა. (Бигуаа 2012, II). შესაძლებელია, რომ დ. გულია განათლებასა და კულტურაზე პედალირებით ცდილობდა საკუთარი მსოფლხედვის ირიბად, გვერდითი, შემოვლითი გზით განხორციელებას და მისვლას „საბოლოო მიზნამდე“. თუმცა, ვ. ბიგუაა ზემოთ აღნიშნული ნარატივში იმოწმებს გაზეთ აფსნის 1920 წლის იმ ნომრებს, რომლის დედანი ჩვენთვის არ არის ხელმისაწვდომი⁸. ამდენად, ვერ დავადასტურებთ და ვერც უარვყოფთ დ. გულიასა და ლაკრბა-ალანიას, ასევე სხვა ოპონენტთა პოლემიკას ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე.

გაზეთის ფურცლებიდან ისმოდა ძალიან ბევრი მოწოდება და ამ მოწოდებებს დაჰკრავდა დიდი ემოციური ელფერი, რაც ზეგავლენას ახდენდა მკითხველზე. პუბლიკაციებიდან იგრძნობოდა უდიდესი ენთუზიაზმი, გულწრფელობა, აღფრთოვანება და დასახული ეროვნული მიზნების განხორციელების დიდი იმედი. სარედაქციო კოლეგია მოუწოდებდა მკითხველს და გაზეთთან თანამშრომლობის (ავტორობის) მსურველებს გაეზიარებინათ თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილება, პრობლემები, სირთულეები, რომელთა წინაშეც იდგა იმდროინდელი საზოგადოება, ესაუბრათ საჭირობო საკითხებზე. რედაქცია მოუწოდებდა ხალხს გაერთიანებისკენ, რათა ერთიანი ძალებით ესწრაფათ უკეთესი მომავლისკენ.

1921 წლის კონსტიტუციის მკვლევარი, ვ. მენაბდე, წერს: „1921 წლის 21 თებერვლამდე ანუ კონსტიტუციის ფორმალურად დამტკიცებამდე სამი წლის განმავლობაში, დამოუკიდებლობის მოპოვებიდანვე, ნაბიჯ-ნაბიჯ ფუძნდებოდა ის პოლიტიკური წესრიგი, არსე-

8 1920 წლის გამოცემებიდან ხელმისაწვდომია 1920 წლის 1-ელი, მე-2, 39-ე, 41-ე და 43-ე ნომრების დედნები.

ბითად, რისი კონსტიტუციონალიზაციაც დამფუძნებელმა კრებამ ოკუპაციამდე ოთხი დღით ადრე გააკეთა“ (მენაბდე 2021, გვ. 114). ეს დინამიკა გაზეთ „აფსნის“ ფურცლებიდანაც იკითხება, თუმცა 1921 წლის 21 თებერვალს მოხდა საქართველოს ანექსია. გაზეთ აფსნის ბოლო ნომერი (№3) 1921 წლის 5 თებერვალს გამოვიდა. 1921 წლის 20 აპრილიდან, საბჭოთა მთავრობის პერიოდში, გაზეთმა „აფსნიმ“ შეიცვალა სახელწოდება და იბეჭდებოდა ახალი სახელით – „აფსნი ყაფში“ „წითელი აფხაზეთი“ (აფხ. Аҧсны Կаҧшы). რედაქტორი იყო სერგეი ჭანბა. გაზეთი „აფსნი“ 1919-1921 წლებში იყო დემოკრატიული გაზეთი, ხოლო „აფსნი ყაფში“ 1921 წლიდან გახდა რეგიონული კომიტეტისა და აფხაზეთის ცენტრალური აღმასკომის პარტიული გაზეთი, შემდეგ – საქართველოს კომუნისტური პარტიის, აფხაზეთის სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს აფხაზეთის რეგიონული კომიტეტის პერიოდული ორგანო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაზეთს დაუბრუნეს თავდაპირველი სახელი – „აფსნი“ (აფხ. Аҧсны).

იქიდან გამომდინარე, რომ საანალიზო პერიოდი (1919-1921 წწ.) თვისობრივად განსხვავდება როგორც წინა – ცარისტული რუსეთის მმართველობის, ასევე შემდგომი – საბჭოთა პერიოდის სინამდვილისგან – ქართველი და საქართველოში მცხოვრები ეთნოსების საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ბევრ საკითხს ჰფენს ნათელს. ერთი შეხედვით, პროვინციული/პერიფერიული გაზეთი „აფსნი“ საკმაოდ მნიშვნელოვანი გაზეთია. თავისი არსით იმ დროისთვის (1919-1921 წწ.) არის საკმაოდ ინოვაციური პერიოდული ორგანო. გაზეთი მოსახლეობისადმი უდიდესი მზრუნველობით გამოირჩევა, რასაც ადასტურებს არაერთი დადებითი მოწოდება და კომპლექსური ინფორმაცია, რომლებიც აფხაზეთის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად. იკვეთება, რომ საანალიზო პერიოდში აფხაზებს ჰქონდათ თვითგამოხატვის სრული თავისუფლება და გაზეთი მათ ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა.

ბიბლიოგრაფია:

ენციკლოპედია ლექსიკონი. (2008). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). თბილისი. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

მენაბდე, ვ. (2021). უშუალო დემოკრატიის იდეა საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში. საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი. სპეციალური გამოცემა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია. თბილისი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის გამომცემა. გვ. 113-170.

Аѡзѡа. У.Ш. (2006).

http://apsnyteka.org/1801-agazet_apsny_1919_1921_2006.html
გამოყენების თარიღი: 26.05.2021.

Бигуаа В.А. (2012). Публицистика на страницах газеты „Апсны“ (I), <http://www.kavkazoved.info/news/2012/11/07/publicistika-na-stranichah-gazety-apsny-i.html> გამოყენების თარიღი: 26.12.2022.

Бигуаа В.А. (2012). Публицистика на страницах газеты „Апсны“ (II), <http://www.kavkazoved.info/news/2012/11/08/publicistika-na-stranichah-gazety-apsny-ii.html> გამოყენების თარიღი: 26.12.2022.

Бигуаа В.А. (2012). Публицистика на страницах газеты „Апсны“ (III), http://www.kavkazoved.info/news/2012/11/13/publicistika-na-stranichah-gazety-apsny-iii.html?fbclid=IwAR0SbbxxyiZT4NxSkX-kUFTLw1ro9zkGkz70laXU_h4gWYHyPDJGyKF2cbKg გამოყენების თარიღი: 26.12.2022.

Энциклопедия Кругосвет. <https://www.krugosvet.ru> გამოყენების თარიღი: 26.05.2021.

წყაროები:

Агазет „Апсны“ 1919, №1 – № 38 (გარდა 8,9,11 ნომრებისა)

Агазет „Апсны“ 1920, №1, – № 2 , №39, – № 41, №43

Агазет „Апсны“ 1921, №1, – №2 , №3. Абхазская интернет –библиотека http://apsnyteka.org/1573-apsny_gazeta_1919_1921.html

html გადამოწმებულია 26.01.2023

Агазет “Апсны” (1919-1921 шш.) Еикәиршәеит, Апхьажәеи азгәаҭа-
қәеи иҭит У. Ш. Аҟәа, Аҟәа – 2006. Абхазская интернет –библи-
отека

http://apsnyteka.org/1801-agazet_apsny_1919_1921_2006.html

გადამოწმებულია 26.01.2023

THE FIRST ABKHAZIAN NEWSPAPER “APSNI” (1919-1921)

The first Abkhazian newspaper “Apsni” was published during the period of the Democratic Republic of Georgia, in February 27, 1919. It became possible due to the effort of the Abkhazian intelligents and members of the Abkhaz community Council. This newspaper’s publication was conditioned by the development of the Abkhaz people and the great desire for beneficial changes. Both Georgian and Abkhaz public figures regarded that the establishment of an Abkhazian-language periodical body would bring “new times” for the Abkhaz people. Thus, February 27th became a significant date for Abkhazians.

In total, 85 issues of “Apsni” were published. Along with political, the newspaper also covered non-political topics, such as education, culture, writing, stories from daily life.

Abkhaz public figures, with the help of the newspaper, aimed to spread education; to promote Abkhazian reading and writing literacy, to arouse learning interest, which would help to improve their cultural level. “Apsni” provides noteworthy information about the history of Georgia, Georgian-Abkhazian relations, the place and role of the Abkhaz people in the history of the Democratic Republic Georgia.

Apparently, peripheral “Apsni” is newspaper of great consequence without spreading stereotypes. By its essence “Apsni” is an innovative periodical body for that time (1919-1921). The newspaper is distinguished by the great care for the population, which is proved by a number of positive proclamations and complex information to raise the awareness of the Abkhazian population. It becomes clear that during the period under consideration, Abkhazians had freedom of expression and the newspaper served to protect their national interests.

ΕΤΟΣ Ε'. ΑΡΙΘ. 159

Κυριακή 21 Φεβρουαρίου 1916

ΣΕΛΙΣ 136

ΑΡΓΟΝΑΥΤΗΣ

ΕΠΗΜΕΡΙΣ ΤΩΝ ΕΝ ΡΩΣΙΑ ΚΑΙ ΠΟΝΤΟ ΕΛΛΗΝΩΝ ΕΞΕΛΙΟΜΕΝΗ ΑΠΛΗ ΤΗΣ ΕΒΔΟΜΑΔΟΣ

ΠΟΛΙΤΙΚΗ ΦΙΛΟΛΟΓΙΚΗ ΚΑΙ ΤΩΝ ΕΙΔΗΣΕΩΝ

ΙΔΡΥΘΕΙΣΑ ΤΩ 1912

Υπεύθυνος συντάκτης
Αχιλλεύς Δημητριάδης

Υδρυτής διευθυντής
Στ. Χ. Γαληνός

Υπεύθυνος διαχειριστής
Σ. Χ. Γαληνός

ΕΛΕΥΘΕΡΟΣ ΠΟΝΤΟΣ

ΕΠΗΜΕΡΙΣ ΟΡΓΑΝΩΝ ΤΩΝ ΠΟΝΤΩΝ ΕΛΛΗΝΩΝ

ΕΚΔΕΤΗ ΤΟ ΥΠΟ ΤΗΣ ΕΠΙΣΤΡΑΤΙΑΣ ΤΟΥ ΠΟΝΤΟΥ Γραφεία Όθω Δεδουκάνου Κορυμβόσκηνα 30

ΥΠΕΥΘΥΝΟΣ Σ. Κ. ΘΕΟΦΑΚΤΟΣ

ΕΤΟΣ Α' Βικτούρ Τετάρτη 29 Απριλίου 1920 ΑΡΙΘ. 84

ΠΟΝΤΟΣ-ΣΕΒΑΣΤΕΙΑ

Οι «Καίτοι του Λονδίνου» άγγελλουσιν ότι, δ Μουσταφά Κεμάλ, μετά την έκδηλωσέν του άνωταμένην αντίστασιν από μέρος των πληθυσμών, μουσουλμανικών και μη, των Βιλαετιών Άγκώρας και Ίκω-λού, άντιβρασιον δομημένοι οργανοί του άν τοις Βιλαετίαις του τοις «Εθνικών Τουρκικών» Όργανοι

αυθόγηθεν εις θαυμαστά πατριωτικά έργα τοις έτοις «Ελληνας, προς τας χώρας ταύτας, είνως άνδρικών άσπασκονήτους άνδρας, άν τή πρώτη γραμμή άγωνισέντες και μετασχόντες της «Μαγιάλης Βουλγαρίας» Επικουρίας του 10ου αιώτος, ήης άσπασκονήσης διά μεγαλοπρεπούς φιλοηλθείας. Έντου, προς τας χώρας ταύτας, τας ύπερχώας και άκασκονήτους έλληνας, σπράζεται ήδη ή Τουρκική άπειλή, άδικανος νά έκδηλωθί προς θυμιάς, όπου άγέρεται δ άπρόσβουτος

170.000 κροτοχριστιανών Έλλήνων, ής έκτολεμισθέντων, διατηρούντων δέ ζωοποιήτων άνδρικών της Έλληνικής αύτών καταγωγής. Πόσον οί μη Τουρκικοί Μουσουλμανικοί ή ως τοιούτοι θεωρημένοι κληρικολοι οίτοι πρόβαντες τοις Τούρκοις άπιστοσύματα διαπισώδη άν της μήπω ληξάνσης δ Κωνσταντινίδας περί των εργασιών του Πόντου, καθ' ήν άπαλείβου, ότι άγόνοντο και εργαζόταντο (Καζιλή-Μαατρίων), τότε οίτοι μισοήτας και περιφρονοήτους τοις Τούρκοις, κατωχόμενος δέ άνι Ελ-

ποι δά άγώνισθαι, δά προμαχτώσαι βωμών και έστιών. Άλλά τί δυνάται άνω ύπλων, άνω κύματων, άνω οργανώσεως πατριωτικής; Θα ίδωσι την χώραν αύτών κερουμένην, και τοις πατέρας, τας μητέρας, τας θυγατέρας, τοις υιούς αύτών άγομένους εις την στρατήν και την άτίμιαν, δά ίδωσιν έκπλούμενον τόν άπασιν σφραγίσιν των «Εθνικών Τουρκικών» Όργανώσεων, βορειότερον προς τό θίμα Τραπεζούντος, Πληροφορία ήτοι Κορυμβόσκηνα. δά.

ეკა ჭყონძე
Eka Tchkoidze

ბაგაეთ „იპერიის“ ერთი პუბლიკაცია საბერძნეთის შესახებ*

მე-19 საუკუნე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბერძნეთის ისტორიაში, რადგან სწორედ ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი თანამედროვე ბერძნულ სახელმწიფოს. 1821 წელს საბერძნეთი ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყდა, რის შედეგადაც 1822 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. თანამედროვე ბერძნული სახელმწიფო ოფიციალურად აღიარებულ იქნა 1830 წელს. თუმცა, ოსმალეთთან დაპირისპირება პირველ მსოფლიო ომამდე არ დასრულებულა, რის გამოც მთელი მე-19 საუკუნე დაძაბულობით იყო აღსავსე. ცხადია, ბერძნულ-თურქულ ურთიერთობებზე დიდ ზეგავლენას ახდენდა ყველა ის საერთაშორისო კონფლიქტი, რომელშიც ოსმალეთის იმპერია იყო ჩართული, მაგრამ ყველაზე დიდ როლს მაინც რუსეთ-თურქეთის ომები და მათი შედეგები თამაშობდა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სანამ საბოლოოდ თავის ტერიტორიებს დაიმტკიცებდა, საბერძნეთს დაპირისპირება მხოლოდ ოსმალეთთან როდი უხდებოდა. ამ პროცესებში მოგვიანებით აქტიურად ჩაერთნენ იტალია და ბალკანეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოები, რომლებიც უშუალოდ მეზობლობდნენ საბერძნეთს და თავიანთი ტერიტორიული პრეტენზიები გააჩნდათ (განსაკუთრებით, ბულგარეთი და ალბანეთი).

საბერძნეთისთვის ერთ-ერთი და განსაკუთრებულად მტკივნეული საკითხი კუნძულ კრეტის შემოერთება გახდა. ამას მხოლოდ ის არ განაპირობებდა, რომ ეს იყო და არის საბერძნეთის ყველაზე დიდი და მჭიდროდ დასახლებული კუნძული. ამის მთავარი მიზეზი მისი გამორჩეული სტრატეგიული მდებარეობა გახდა. ამან განაპირობა მისი დაძაბულობით აღსავსე ისტორია. კრეტა, როგორც ბიზანტიის იმპერიის ნაწილი, მე-13 საუკუნიდან მოექცა ვენეციელთა მმართველობის ქვეშ. შესაბამისად, დანარჩენი ბერძნულენოვანი სამყაროს ბედი საკმაოდ გვიან გაიზიარა. კრეტა ოსმალებმა მხოლოდ მე-17 საუკუნის ბოლო მეოთხედში იგდეს ხელთ.

* სტატია მოხსენებად წარმოდგენილი იქნა VI საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ კონფერენციაზე „ენა და კულტურა“ (7 მაისი 2021 წელი); ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სტატია დაიბეჭდა იმავე კონფერენციის შრომებში, ქუთაისი 2021, გვ. 416-420.

1821 წლის აჯანყებას კრეტელებიც შეუერთდნენ, მაგრამ 1829-30 წლებში გაფორმებულმა საერთაშორისო შეთანხმებებმა ის გამო-რიცხეს საბერძნეთის შემადგენლობიდან. კრეტა 1841 წლამდე ოს-მალეთის სულთანმა ეგვიპტის ვალის, მუჰამედ ალი ფაშას გადასცა სამმართველოდ (Καλλιφτεδάκις, 2010, გვ. 14).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საბერძნეთის ისტორიაში ოს-მალეთთან დაძაბულობის რამდენიმე კერა არსებობდა. მათ შორის ერთ-ერთი იყო სწორედ კუნძული კრეტა, სადაც არეულობა არა და არ ცხრებოდა. 1854 წელს კრეტელებმა ყირიმის ომით ისარგებლეს და, თუმცა, უშედეგოდ, მაგრამ მაინც აჯანყდნენ ოსმალების წინააღ-მდეგ. მათი მოთხოვნა იყო საბერძნეთთან შეერთება. ყველა აჯანყე-ბის ჩახშობის შემდეგ თურქები აძლიერებდნენ ზეწოლას ადგილობ-რივ მოსახლეობაზე და აიძულებდნენ მიეღო ისლამი. რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, ეს გამუსულმანებული ადგილობრივები შემდგომში უფრო მეტ ფანატიზმსა და აგრესიას ავლენდნენ თანა-მოძმე ქრისტიანებისადმი, ვიდრე თავად თურქული ხელისუფლების მესვეურნი (Koliopoulos-Veremis, 2010, გვ. 46). აქვე უნდა დავძინოთ, რომ ყველა მცდელობის მიუხედავად, კრეტაზე მუსულმანთა რაო-დენობის მაჩვენებელს არასოდეს მიუღწევია 40%-ზე მეტისთვის. მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ქრისტიანი მოსახლეობა აქ 62,5%-დან 77,4%-მდე მერყეობდა (Kallivretakis, 2006, გვ. 16).

გამუდმებულმა დაძაბულობამ და აუტანელმა ზეწოლამ კრეტა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მთელ ხმელთაშუა ზღვისპირეთში ყველაზე ფეთქებად რეგიონად აქცია; თავად ოსმალეთის იმპერიას უზარმაზარი თავსატეხი გაუჩინა და დიდი სახელმწიფოებისთვის (განსაკუთრებით ინგლისი) ძნელად მოსაგვარებელ პრობლემად იქცა. ასე დამკვიდრდა იმდროინდელ დიპლომატიაში ტერმინი „კრე-ტის საკითხი“ (Koliopoulos-Veremis, 2010, გვ. 47). მე-19 საუკუნეში კრეტაზე დაფიქსირებული აჯანყებების რაოდენობა არც მეტი არც ნაკლები, 9-ს აღწევს: 1821, 1833, 1841, 1858, 1866, 1878, 1889, 1895, 1897 წლებში (Kallivretakis, 2006, გვ. 16).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ სწორედ კრე-ტაზე აჯანყებებს რამდენიმე პუბლიკაცია მიეძღვნა გაზეთ „ივე-რიაში“, რომელთა ავტორი ილია ჭავჭავაძეა. ამ პუბლიკაციების განხილვა და მათში წარმოდგენილი მაშინდელი საერთაშორისო ვითარების მიმოხილვა საგანგებო კვლევის საგანი არასოდეს გა-მხდარა. ცხადია, პუბლიკაციების სიუხვის გამო ამ საკითხს ვერ ამოვწურავთ, მაგრამ წინამდებარე სტატიაში ამ საკითხთან დაკა-

ვშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოვაჩინოთ ილიას ერთი პუბლიცისტური წერილის მაგალითზე.

1878 წელს რუსეთ-თურქეთის ომში ამ უკანასკნელის მარცხმა თავისი ზეგავლენა იქონია კრეტაზეც. დამარცხებული ოსმალეთი იძულებული შეიქნა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო, განსაკუთრებით, კუნძულის ქრისტიანი მოსახლეობის სასარგებლოდ. ქ. ხალეპაში (ალეპო) 1878 წელს ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა სპეციალური შეთანხმება გააფორმეს, სადაც კუნძულის სასარგებლოდ თურქეთმა მთელი რიგი ვალდებულებები იკისრა (Καλλιπρετάκης, 2010, გვ. 18-19). ამ დოკუმენტის საფუძველზე 1878-1889 წლებში კრეტაზე ისეთი ტიპის მმართველობა დამყარდა, რომელშიც საპარლამენტო წყობის მცირედი ელემენტებიც კი შეინიშნებოდა (Καλλιπρετάκης, 2010, გვ. 19). 1889 წელს ისევ დაიძაბა სიტუაცია კუნძულზე, რაც გამოიხატებოდა ხშირ შეიარაღებულ თავდასხმებში, განსაკუთრებით, ქრისტიანების წინააღმდეგ. არც ეს უკანასკნელნი იყვნენ გულ-ხელ დაკრეფილნი და კუნძული ისევ გადაიქცა არეულობის კერად. სწორედ ამ წლის შემოდგომაზე, გაზეთ „ივერიის“ 2 ნოემბრის ნომერში (№ 233) გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძემ სტატია „აშლილობა კრიტის¹ კუნძულზე“² ამ ორგვერდიან პუბლიკაციაში ავტორი სიღრმისეულად განიხილავს ყველა იმ საშიშროებას, რასაც ეს მორიგი დაძაბულობა დამართებდა „ომის ცეცხლისგან შიშში მყოფს ევროპას“³ ილიამ კარგად იცის, რომ კრეტაზე არეულობის მთავარი მიზეზი სარწმუნოებრივ ნიადაგზეა წარმოშობილი: „ქრისტიანენი, რომელნიც დამორჩილებულს ხალხს წარმოადგენენ, და მაჰმადიანები, რომელნიც მბრძანებლად არიან, ვერ ჰრიგდებიან ერთმანეთში“. მან ისიც კარგად უწყოდა, რომ კრეტელების მთავარი მიზანი საბერძნეთთან შეერთება იყო: „კრიტის კუნძულს თვალი საბერძნეთისკენ უჭირავს... ის აზრი, რომ მკვიდრნი მისნი სისხლითა და ხორციით ეკუთვნიან საბერძნეთის ერსა და სრულიად უცხონი არიან ოსმალთათვის, რა თქმა უნდა, დიდ პატივსადებ საბუთს აძლევს გულიც საბერძნეთისკენ იქონიონ“ (ჭავჭავა-

1 კრიტი – ასე გამოითქმის კუნძულის სახელწოდება მასში არსებული ხმოვნის ახალი ბერძნული წაკითხვით. მსჯელობისას უპირატესობას ვანიჭებთ „კრეტას“, მაგრამ როცა ციტატა მოგვყავს ილიას პუბლიკაციიდან, ცხადია, სტილი დაცულია.

2 სტატია გაზეთის 1-2 გვერდზეა დაბეჭდილი. ხელმისაწვდომია http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/49953/1/Iveria_1889_N233.pdf

3 სტატიას ვიმოწმებთ შემდეგი გამოცემიდან: ჭავჭავაძე, 1984, გვ. 898.

ვაძე, 1984, გვ. 900). მომდევნო აბზაცში ილია ასკვნის, რომ კრეტელების მოთხოვნა შეუერთდნენ საბერძნეთს, არის აბსოლუტურად სამართლიანი და შესაბამისად, ზნეობრივიც, მაგრამ, სამწუხაროდ, სამართლიანობასა და ზნეობას პოლიტიკაში კუთვნილი ადგილი არ უჭირავს. ბევრ სახელმწიფოს ახასიათებს სიხარბე, ჯიბრი და მტრობა. სწორედ ამის გამო, არავინ არაფერს აკეთებს, რომ ოსმალეთს კრეტა გამოგლიჯოს და თავის მხრივ, არც ოსმალეთი იწუხებს თავს კრეტელებს მისცეს შეღავათი და ადამიანური ცხოვრების შესაძლებლობა ეროვნული ღირსების შელახვის გარეშე⁴.

სტატიიში ნათლად ჩანს, რომ ავტორი კარგადაა გათვითცნობიერებული საერთაშორისო მოვლენებში და იცის რეგიონის სპეციფიკა. ის ხაზს უსვამს, რომ კრეტა, როგორც აღმოსავლეთის საკითხის ერთ-ერთი ნაწილი, დიდი ხანია დაძაბულობის კერა იყო და ეს დაძაბულობა თავისი მნიშვნელობით და მასშტაბებით სცილდებოდა რეგიონის საზღვრებს. სრულიად შესაძლებელი იყო „იქიდან წამოსული ნაპერწკალს“ მთელი ევროპა ერთმანეთისთვის დაეჯახებინა. ავტორი ასევე ავლენს ხალეპის კონვენციის დეტალების ცოდნას და სხვადასხვა პუნქტზე ამახვილებს ყურადღებას⁵: საბაჟო შემოსავლის ორი-მესამედი ოსმალეთს კრეტაზევე უნდა დაეტოვებინა და მისი საჭიროებისთვის მოეხმარებინა (მაგ. გზები გაეყვანა და სკოლები მოეწყო, და სხვ საკითხებიც გაეთვალისწინებინა); მოსამართლეები მხოლოდ ადგილობრივები უნდა ყოფილიყვნენ ადგილობრივების მიერ არჩეულნი (ჭავჭავაძე, 1984, გვ. 899). სპეციალურ ლიტერატურაში დასტურდება, რომ ამ პერიოდში კრეტელების მოთხოვნა ნამდვილად იყო ადგილობრივი გადასახადების ნაწილის კრეტის ბიუჯეტში დატოვება. ასევე, ეკონომიკური მოთხოვნების ჭრილში უნდა განვიხილოთ მათი სურვილი გაეხსნათ ბანკი, რის შესახებაც ოსმალეთისგან მათ მიიღეს დაპირება (Kallivretakis, 2006, გვ. 27).

გარკვეული პერიოდის შემდეგ ოსმალეთმა დაარღვია ხალეპის კონვენციის პირობები. მართალია, მოთხოვნების მიზეზი და დარ-

4 ჩვენი აზრით, სწორედ ეს მონაკვეთია სტატიის მთავარი განწყობილების გამომხატველი: „კრეტელებსაც შეღავათი მიეცეს ადამიანურად სულის ბრუნებისა, ადამიანურად ცხოვრებისა, მათის ეროვნული ღირსების დაუჩაგრელად და შეუზუთველად“ (ჭავჭავაძე, 1984, გვ. 899). ილიასთვის მნიშვნელოვანია კეთილდღეობა (ადამიანური ცხოვრება), მაგრამ ის ხაზს უსვამს, რომ ეს არასდროს არ უნდა მიიღწეოდეს ეროვნული ღირსების შებღალვის და დათმობის ხარჯზე.

5 მცირედი უზუსტობაა გაპარული თარიღში, 1878 წლის ნაცვლად, ამ კონვენციას 1879-ით ათარიღებს.

ღვევების შედეგები ძირითადად ეკონომიკური ხასიათის იყო, მაგრამ კრეტის მთავარი მოთხოვნა, შეერთებოდა საბერძნეთს, დღის წესრიგიდან არასდროს გამქრალა (Λ. Καλλιφρετάκη, 2010, გვ. 22). ეს ილიამაც კარგად უწყობდა: „კრიტელნი მაინც იღწვიან თავის ეროვნული ღირსების დასაცავად და პატარა საბერძნეთს შესდგომიან, შენნი ვართ, მიგვიღე და შეგვივრდომეო“ (ჭავჭავაძე, 1984, გვ. 900). ამ მოცემულობაში, ცხადია, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო თავად საბერძნეთის პოზიცია. არც ამ ასპექტს ტოვებს უყურალებოდ ილია და დასძენს: „საბერძნეთს ძალიან სწყურობს კრიტის შემოერთება, მაგრამ ევროპის დაუკითხავად ეს ვერ გაუხედნია“. ეს მართებული შენიშვნაა. საბერძნეთი, ცხადია, აკვირდებოდა კრეტაზე მიმდინარე მოვლენებს. განსაკუთრებით, 1889 წლის არეულობის დროს საბერძნეთი გეგმავდა ჩარეულიყო და კრეტის ქრისტიანი მოსახლეობა დაეცვა, მაგრამ ოსმალების ახლად დანიშნულმა სამხედრო მმართველმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და შეძლო ასე თუ ისე სიტუაცია გაეკონტროლებინა. ამ მოცემულობაში ბევრმა ქრისტიანმა პოლიტიკოსმა, პარტიული მიკუთვნებულობის მიუხედავად, დატოვა კრეტა და საბერძნეთს მიაშურა. მათ შორის იყო საბერძნეთის მომავალი პრემიერ-მინისტრი, კრეტაზე დაბადებული და გაზრდილი ელეფთერიოს ვენიზელოსი (1864-1936) (Kallivretakis, 2006, გვ. 29; Καλλιφρετάκης, 2010, გვ. 22-23). ამ უკანასკნელის პოლიტიკური კარიერა და სახელმწიფო საქმეებში აქტიური მონაწილეობა სწორედ ამ პერიოდში (1889 წლის ამბების დროს) დაიწყო.

სტატიის დასასრულ ილია ჭავჭავაძე მიანიშნებს, რომ „თვით ევროპაც შიშობს ამ აწეწვას, რადგან ჯერ აღმოსავლეთის საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტისათვის მზად არ არის. აი, მიზეზი, რის გამოც კრიტის საქმე ჯერ-ხანად არც ჰოა და არც არაა, და ამ ჰო-არაობაში მოგებული რჩება მარტო ბრალიანი ოსმალეთი და უბრალო კრიტი კი იჩაგრება“ (ჭავჭავაძე, 1984, გვ. 900).

ამ პუბლიკაციაში ყველაზე თვალში საცემი ის სიტბო და თანაგრძნობაა, რითიც გამსჭვალულია მთელი სტატია. ეს პათოსი მარტო ჩაგრულისადმი თანაგრძნობით არ იყო ნაკარნახევი. ილიას მიაჩნდა, რომ კრეტელთა მოთხოვნა (საბერძნეთს შეერთებოდნენ) სამართლიანი იყო და ამიტომაც არ დაიშურა თავისი გულმხურვალე მხარდაჭერა და ეს განწყობა ქართველ მკითხველსაც გაუზიარა. ამ სტატიიდან კარგად იკვეთება თუ რა კარგადაა ინფორმირებული ილია ჭავჭავაძე იმდროინდელი საერთაშორისო ვითარების შესახებ და რა ზუსტად არჩევს ის ისეთ თემებს, რომლებზე მსჯელობაც

ქართველი მკითხველისთვის იქნება სასარგებლო. სტატია განსაკუთრებულად ამაღელვებელია, რადგან ის წარმოაჩენს, რომ ილია მხოლოდ დაჩაგრული ქართველებისადმი თანაგრძნობით არ არის გამსჭვალული. მას ყველა ჩაგრული პატარა ერის ბედი ანაღვლებს. ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებულ ერუდიციაზე ისიც მეტყველებს, რომ კრეტის ისტორიაში ეს კონკრეტული აჯანყება (ანუ 1889 წლის) არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც სხვები⁶ (მაგალითად, 1897 წლის, რომელსაც ილია სტატიების სერიას უძღვნის), მაგრამ ის იმდენად კარგადაა ჩახედული ამ კონკრეტული რეგიონის საქმეებში, რომ უყურადღებოდ არც ამ, თუნდაც შედარებით უმნიშვნელო ფაქტს არ ტოვებს.

ილიას მსჯელობა არ არის მხოლოდ ემოციური (ჩაგრულის გულშემატკივრობა, სამართლიანი მოთხოვნების მხარდაჭერა). ის საკითხს სიღრმისეულად სწავლობს; ეცნობა შესაბამის დოკუმენტებს და ეძებს და აყალიბებს არგუმენტებს არის თუ არა ესა თუ ის მოთხოვნა სამართლიანი. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ საბერძნეთისადმი ინტერესი, სხვადასხვა რეგიონის მასთან შეერთების კანონიერი საფუძვლები და ამ კონკრეტული კუნძულის სამართლიანი მოთხოვნებისადმი მხარდაჭერა მე-19 საუკუნის დასასრულ სწორედ ქართული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლის, ილია ჭავჭავაძის საშუალებით გაჟღერდა.

6 შესაბამის ლიტერატურაში (ძირითადად, ბერძნულად და ინგლისურად) ძალიან ცოტა რამ წერია მასზე და ხშირ შემთხვევაში ბრჭყალებშია ჩასმული სიტყვა აჯანყება, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, შედარებით უმნიშვნელო იყო იმავე საუკუნეში მომხდარ სხვა აჯანყებებთან შედარებით. იხ. მაგალითისთვის. Καλλιψτεάκης, 2010, გვ. 22.

ბიბლიოგრაფია:

- Kallivretakis, L. (2006). A Century of Revolutions: The Cretan Question between European and Near Eastern Politics. კრებულში: Paschalis M. Kitromilides (ed.), „Eleftherios Venizelos: The Trials of Statesmanship“, Institute for Neohellenic Research/ National Hellenic Research Foundation, Edinburgh University Press. 11-36.
- Καλλιβρετάκης, Λ. (2010). Η πορεία του Κρητικού ζητήματος στο 19ο αιώνα: Το σκηνικό των πρώτων πολιτικών σκιρτημάτων του Ελευθέριου Βενιζέλου. კრებულში: Ελένη Γαρδίκια-Κατσιαδάκη (Ed.) „Crete in the 19th century: The stage of the early political activities of Eleftherios Venizelos“, Εθνικό Ίδρυμα Ερευνών και Μελετών «Ελευθέριος Κ. Βενιζέλος» & Υπουργείο Παιδείας, Χανιά-Αθήνα. 13-33.
- Koliopoulos, J. S. – Veremis, Th. M. (2010)..Modern Greece: A History since 1821. John Wiley & Sons Ltd, Wiley & Blackwell. West Sussex. United Kingdom.
- ჭავჭავაძე, ი. (1984). აშლილობა კრიტის კუნძულზე. კრებულში: ჭავჭავაძე ილია, „თხზულებანი“, თბილისი. საბჭოთა საქართველო. 898-900.
- გაზეთი ივერია, 2 ნოემბერი 1889 (№ 233), ხელმისაწვდომია http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/49953/1/Iveria_1889_N233.pdf

„GEORGIAN NEWSPAPER IVERIA (19th C.) ABOUT GREECE“

The largest Greek island Crete was one of the most important points in Ottoman-Greek relationships. Despite the Cretans participated in 1821 revolution, they became a part of Greece much later. During the 19th century Crete was a serious matter of conflict not only in those relationships, but also for the whole Europe. Thus, the “Cretan question” was created as a diplomatic term, being a very important part of the Eastern question.

A well-known Georgian newspaper Iveria and namely, its editor Ilia Chavchavadze (1837-1907) dedicated a number of articles to the Cretan question in the 2nd part of the 19th century. Those publications had never become a subject of a special analysis. In the current paper an attempt is made to this direction.

A publication dated on 2/11/1889 concerns a revolution broken up a few months earlier in Crete. In the current article we examine how accurate is information provided by this publication and how Ilia Chavchavadze analyzes European politics and specifically, Greek-Turkish and Greek-European relationships, having as a point of reference the island of Crete.

პონტოს საკითხი
(το ποντιακό ζήτημα)
ბათუმის ბერძნული გაზეთის მასალების მიხედვით (1920)*

ტერმინი „პონტოს საკითხი“ (ბერძნ. το ποντιακό ζήτημα) მოიცავს ყველა იმ ასპექტს, რაც უკავშირდება პონტოს რეგიონის მართლმადიდებელი ბერძნების მცდელობას ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში მოიპოვონ ან შექმნან გარკვეული პოლიტიკური ავტონომია, ან გამოეყონ ოსმალეთს და შეუერთდნენ საბერძნეთს; ეს უკანასკნელი მოთხოვნა პონტოს გათავისუფლების მსურველ რადიკალურ ფრთას ჰქონდა. ქრონოლოგიურად ეს მოვლენები მოიცავს დაახლოებით ხუთ წელს (1917-1922 წწ.). ეს არის თანამედროვე საბერძნეთის ისტორიაში ყველაზე მძიმე და დაძაბული პერიოდი. შესაბამისად, ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ასპექტი, რაც საგანგებო მსჯელობას და სიღრმისეულ განხილვას მოითხოვს. საქართველოსთან მიმართებაში ეს საკითხი რამდენიმე კუთხით არის საინტერესო. ჯერ ერთი, ეს არის საქართველოს უშუალო მეზობელი შავიზღვისპირეთის რეგიონი, რომელთანაც კონტაქტები საუკუნეებს ითვლის: ანტიკურობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ამის საილუსტრაციოდ ტრაპიზონის იმპერიის მაგალითის მოყვანაც საკმარისია; მეორე და უმთავრესი ფაქტორი არის ის, რომ ამ პროცესებში ძალიან აქტიურად მონაწილეობდნენ ბათუმის რეგიონში მცხოვრები ბერძნები. ბათუმი იმდენად ხელსაყრელ პუნქტად იყო მიჩნეული სტრატეგიული თვალსაზრისით, რომ ტრაპიზონიდან სპეციალურად ჩამოდიოდნენ და სახლდნებოდნენ ბერძნები, რომ თავიანთი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა აქედან განეგრძოთ¹. სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ბათუმში გამომავალი ბერძნული გაზეთი „თავისუფალი პონტო“ (Ελευθεριος Πόντος).

* აღნიშნული მოხსენება წავიკითხეთ საქართველოს ეროვნული არქივის მიერ ორგანიზებულ მე-5 საერთაშორისო კონფერენციაზე „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“, 25 სექტემბერი, 2020 (გაიმართა ონლაინ). სტატია გამოქვეყნდება უახლოეს მომავალში კონფერენციის მასალებში.

1 აქვე იმასაც დავძენთ, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ამ პერიოდში სწორედ ტრაპიზონის და ბათუმის ნავსადგურებია მიჩნეული შავი ზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის ყველაზე მოწესრიგებულ ნავსადგურებად (Helmreich, 1974, გვ. 270).

„თავისუფალი პონტოს“ 90-ე ნომერში, 1920 წლის 20 მაისს გამოქვეყნდა საბერძნეთის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის, ელფთერიოს ვენიზელოსის (1864-1936) პარლამენტის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა². გაზეთის ეს მონაკვეთი ცალკე ქვეთავად გამოაქვეყნა პონტოს ერთ-ერთმა აქტივისტმა, ექიმმა თეოფილაქტოს თეოფილაქტოსმა/ Θεοφύλακτος Θεοφύλακτος³ (1885-1962) თავის ვრცელ მემუარებში „ჩაუქრობელი ცეცხლის ირგვლივ“ („Γύρω στη φωτιά“, პირველად დაიბეჭდა 1958 წელს). დაახლ. 500 გვერდიანი ნაშრომი 7 თავისგან შედგება და ბევრი უნიკალური ფოტო ახლავს დანართად. მე-2 თავის სათაურია „ბათუმი – პუნქტი, სადაც გადატანილ იქნა ბერძნულ-პონტოური ეროვნული მოძრაობა“. სწორედ ამ თავში, მე-15 ქვეთავად არის შეტანილი გაზეთ „თავისუფალი პონტოს“ ზემოთ აღნიშნული პუბლიკაცია, სადაც ელფთერიოს ვენიზელოსის სიტყვა დაიბეჭდა ავტორის, თეოფილაქტოსის ვრცელი კომენტარებითურთ. აღსანიშნავია, რომ ბათუმსა და იქ მოღვაწე ბერძენ აქტივისტებზე ნაშრომის სხვა თავებშიც გრძელდება საუბარი, რადგან ავტორმა ზოგადად საქართველოში, და არამხოლოდ ბათუმში, რამდენიმე წელი გაატარა.

თეოფილაქტოსი და მისი მემუარები საგანგებო კვლევის საგანი საქართველოში არასოდეს გამხდარა. ჩვენს მოხსენებაში, ცხადია, მთლიანად ნაშრომს (მისი მოცულობის გამო) ვერ ამოვწურავთ, მაგრამ ჩვენ მიერ შერჩეული ეს კონკრეტული მონაკვეთი, ანუ საგაზეთო პუბლიკაცია, უდავოდ იმსახურებს განხილვას.

პუბლიკაციის ავტორი, თეოფილაქტოს თეოფილაქტოსი პონტოს ბერძნული ქალაქის, არღირუპოლის Αργυρούπολη (Gümüşhane) რეგიონშია დაბადებული 1884/5 წელს. ქალაქის სახელწოდება შეიძლება ითარგმნოს როგორც ვერცხლის ქალაქი და მას ეს სახელი იქ არსე-

2 ზუსტად როდის წარმოთქვა ვენიზელოსმა ეს სიტყვა, პუბლიკაციაში არ არის დაკონკრეტებული. სავარაუდოდ, პარიზის კონფერენციის დასრულებიდან მოკლე ხანში, დაახლ. 1920 წლის თებერვალში.

3 უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ მისი სახელიც და გვარიც აბსოლუტურად იდენტურია. ზოგჯერ მას იხსენიებენ როგორც თეოფილაქტოს თეოფილაქტულდ, ანუ ამ ვერსიაში გვარი მომდინარეობს ბერძნული სახელის Θεοφύλακτος-ს ნათესაობითი ბრუნვიდან, რაც საბერძნეთსა და განსაკუთრებით, კვირპოსზე ძალიან გავრცელებულია; ორსავე ქვეყანაში თითქმის ყველა მამაკაცის სახელის ნათესაობითი ბრუნვა გვხვდება როგორც გვარი. მაგ. ქრისტოდულუ, დიმიტრიუ, ათანასიუ, ნიკოლაუ და ა.შ.

ჩვენი ავტორის შემთხვევაში სახელიც და გვარიც აბსოლუტურად იდენტურია. იხ. ასევე, საბერძნეთის ეროვნული ბანკის საგანმანათლებლო ფონდის ბერძნული სალიტერატურო და საისტორიო არქივი <https://greekarchivesinventory.gak.gr/index.php/f4qy-s5bx-g9km>

ბული ვერცხლის მდიდარი საბადოების გამო ეწოდა. ეს სწორედ ის რეგიონია, საიდანაც 1774 წელს ერეკლე მეორეს ჩამოჰყავს ბერძენი მაღაროებელები და ასახლებს ახტალის მიდამოებში, რომ იქ არსებული ბუნებრივი წიაღისეულის გადამუშავება დაიწყო. აქ თავიდან ვერცხლის საბადოები იყო და მალევე ბერძნებმა აღმოაჩინეს სპილენძის საბადოებიც (ბერძენიშვილი, 1973, გვ. 440-441). თეოფილაკტოსმა დაწყებითი და საშუალო განათლება ტრაპიზონში მიიღო. შემდეგ ჩაირიცხა ათენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1907 წელს. სწავლა განაგრძო პარიზის უნივერსიტეტში. შემდეგ დაბრუნდა ტრაპიზონში, სადაც შექმნა თავისი პირველი კლინიკა. პარალელურად აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებით დაკავდა: გაჭირვებულთა დახმარებიდან დაწყებული სკოლების გახსნით დამთავრებული, ყველა საქველმოქმედო ღონისძევაში აქტიურად მონაწილეობდა. 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით თურქეთმა გამოაცხადა საყოველთაო მობილიზება და როგორც ჩანს, ოსმალურ ჯარში მსახურებისთვის თავის არიდების მიზნით, თეოფილაკტოსმა დატოვა ტრაპიზონი და ჩამოვიდა ბათუმში. ამ დროს ის უკვე დაქორწინებულიც იყო და პირველი ვაჟიც ჰყავდა თვეების. ამ პერიოდიდან იწყება მის ბიოგრაფიაში ა. ვ. ქართული პერიოდი (Θεοφυσάκτου, 1997, გვ. VIII-IX). პირველი მსოფლიო ომის დროს დაიბომბა ბათუმი და თეოფილაკტოსი იძულებული გახდა ოჯახით თბილისში გადასახლებულიყო. აქედან ის პეტერბურგში წავიდა და როგორც ექიმმა მონაწილეობა მიიღო მოძრავი საავადმყოფოს მოწყობაში. ამ საავადმყოფოთი ის ჩამოვიდა კავკასიაში და დროებით ისევ თბილისში დასახლდა. მას შესთავაზეს საავადმყოფოს დირექტორობა, მაგრამ უარი თქვა, რადგან სამშობლოსთან ახლოს უნდოდა ყოფნა და ბათუმისკენ გაემშურა.

1916 წელს აპრილში ტრაპიზონში რუსული ჯარი შევიდა და თეოფილაკტოსიც თავის სამშობლოში დაბრუნდა ბათუმიდან⁴. აქ ის ისევ აქტიურად ჩაერთო საზოგადოების სამსახურში; თავისი პროფესიიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საჭირო იყო თავისი თანამემამულეებისთვის. 1918 წელს რუსულმა ჯარმა ტრაპიზონი დატოვა და თეოფილაკტოსი ისევ ბათუმს დაუბრუნდა. „ბათუმი ჩემთვის და ჩემი ახლობლებისთვის იყო მეორე ტრაპიზონი“ – წერს ის თავის მემუარებში (Θεοφυσάκτου, 1997, გვ. IX-X) და ამ ქალაქს ყოველთვის სითბოთი და სიყვარულით იხსენიებს. ამ პერიოდიდან

4 ამ პერიოდში ტრაპიზონში განვითარებულ მოვლებზე, იქაურ ახალ მმართველობასა და დროებითი მთავრობის შესახებ იხ. ჭყონიძე, 2018, გვ. 109-110.

სწორედ ბათუმში იწყება თეოფილაქტოსის პოლიტიკური კარიერა და ამ ყველაფერს ის თავის მემუარებში დაწვრილებით აღწერს. მემუარების სრული სათაურია „ჩაუქრობელი ცეცხლის ირგვლივ – ბიოგრაფიული მოგონებები, პონტოს დამოუკიდებლობისთვის წარმოებული ბრძოლები“.

თეოფილაქტოსი 1920 წელს საბოლოოდ დამკვიდრდა საბერძნეთში, თესალონიკეში და განაგრძო აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა. პონტოდან დევნილი ბერძნების უმრავლესობა სწორედ თესალონიკეში და ზოგადად, მაკედონიის რეგიონში დასახლდნენ. თეოფილაქტოსი პროფესიულ საქმიანობასთან ერთად პონტოს ბერძნებთან აქტიურად თანამშრომლობდა. გარდაიცვალა 1962 წელს და დატოვა მდიდარი არქივი, დოკუმენტები, ოქმები, ფოტოები. მათი ნაწილი თავის მემუარებშიც აქვს გამოყენებული; წიგნში გამოქვეყნებული სხვადასხვა დოკუმენტებისა და აქტების მთლიანი ტექსტები ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარს ძალიან უადვილებს საქმეს (პრაქტიკულად, ეს არის მემუარები წყაროებით). გამოცემას ახლავს პონტოს რეგიონის დეტალური რუკა, სადაც დატანილია მისი სოფლებიც კი.

თეოფილაქტოსის მემუარების მეორე თავის 15-ე ქვეთავი დასათაურებულია როგორც „პონტო და ვენიზელოსის განცხადებები (გაზეთიდან თავისუფალი პონტო, №90, 25 მაისი, 1920 წ.) (წიგნის გვერდები 112-119). პუბლიკაცია ორ ნაწილად იყოფა. 1-ელ ნაწილში (გვ. 112-117) ვენიზელოსის სიტყვა და ავტორის კომენტარებია წარმოდგენილი, მეორე ნაწილი (გვ. 117-119) მთლიანად ეთმობა ისევ თეოფილაქტოსის კომენტარებსა და მოვლენების ვრცელ ანალიზს. ელფეთერიოს ვენიზელოსი (1864-1936), გამორჩეული და მნიშვნელოვანი ფიგურა თანამედროვე საბერძნეთის ისტორიაში, დაიბადა კუნძულ კრეტაზე მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო. 1910-33 წწ ინტერვალში ვენიზელოსი 8-ჯერ იყო პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე და ეს ცვალებადობა საბერძნეთის არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციით იყო განპირობებული. მთავარი დაპირისპირებული მხარეები იყვნენ მონარქიის და დემოკრატიის მომხრეები. ვენიზელოსი დემოკრატ-ლიბერალების ფრთას წარმოადგენდა.

პირველ მსოფლიო ომში საბერძნეთმა საწყის ეტაპზე ნეიტრალური პოზიცია აირჩია. ის პროცესებში მხოლოდ 1917 წლის მერე ჩაერთო, როცა ანტიმონარქისტულმა რევოლუციამ, რომელიც სწორედ ვენიზელოსის მეთაურობით განხორციელდა, წარმატებას მი-

აღწია და ის ისევ მოიყვანა ხელისუფლებაში. საბერძნეთში ამ ცვლილებას ღიად მხარს უჭერდა ინგლისი და საფრანგეთი (Helmreich, 1974, გვ. 39). ვიდრე უშუალოდ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის სიტყვას განვიხილავდეთ, უპრიანია პონტოს საკითხთან დაკავშირებული დეტალები მიმოვიხილოთ პარიზის კონფერენციის დაწყებამდე, უშუალოდ კონფერენციის დროს და დასრულების შემდეგ.

პონტოს საკითხის ნებისმიერ ასპექტზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ კონფერენციას უძღოდა მარსელში 1918 წლის ნოემბერში სპეციალური 5-კაციანი კომისიის შექმნა, რომელსაც დაევალა პარიზის კონფერენციისთვის პონტოელების პოზიციისა და მოთხოვნების გაცნობა. სწორედ ამ წლიდან იწყება თავად პონტოს რეგიონში, და ასევე რუსეთის იმპერიის ბერძნულ სათვისტომოებში, საიდუმლო ორგანიზაციების დაარსება, რომელთა მიზანიცაა თავისი წვლილი შეიტანონ პონტოს რეგიონში დამოუკიდებელი, ბერძნული რესპუბლიკის შექმნის საქმეში. ეს იყო პონტოელების უმრავლესობის განწყობა. მხოლოდ მცირე ჯგუფი უჭერდა მხარს პონტოს საბერძნეთთან შეერთების იდეას. ამ მისწრაფებებს ბევრი ფაქტორი უშლიდა ხელს; პირველ რიგში კი ძალიან დიდი მანძილი, რაც ამ რეგიონს საბერძნეთთან აშორებდა (Αγτζίδης, 1992, გვ. 167-168).

ამ პროცესებში ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ფაქტორი. ამის საილუსტრაციოდ იმის გახსენებაც კმარა, რომ პონტოელების პირველი ეროვნული ყრილობა ჩატარდა თბილისში 1917 წლის მაისში (Αγτζίδης, 1992, გვ. 168). მოგვიანებით, 1919 წლის 23 ივლისს ბათუმში, რომელიც ამ დროს ბრიტანელების ხელშია, ჩატარდა პონტოელი ბერძნების გენერალური საბჭოს პირველი შეკრება, რომელმაც აირჩია „პონტოს ეროვნული საბჭო“ («Εθνικό Συμβούλιο του Πόντου»). სწორედ ამ საბჭომ დაიწყო გაზეთ „თავისუფალი პონტოს“ გამოცემა მანამდე გამომავალ გაზეთ „არგონავტის“ ტიპოგრაფიაში. (Αγτζίδης, 1992, გვ. 175). ეს ტიპოგრაფია ეკუთვნოდა ცნობილ ბერძენ მეწარმე, სტავროს ღალინოსს, რომელიც ტრაპიზონიდან ბათუმში პონტოელების ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე გაზეთის გამოცემის მიზნით საგანგებოდ გადმოსახლდა (დეტალები ჭყოიძე, 2018, გვ. 107-108). ახალი გაზეთის დაარსების ამბავს თავად თეოფილაქტოსი ასე აღწერს: „როცა დავაფუძნეთ პონტოს დამოუკიდებლობის პოლიტიკური ორგანიზაცია, აბსოლუტურად აუცილებელი გახდა გაზეთი; შეგვიძლია მას [გაზეთს] პოლიტიკური ორგანოც დავარქვათ. იქ, ბათუმში არსებობდა გაზეთი „არგონავტი“, რომელმაც

დიდი ხნის წინ შეწყვიტა არსებობა. დარჩენილი იყო სტამბის რალაც ნაწილი (ერთი-ორი დასაკაბადონებელი ინსტრუმენტი). მოვძებნე მისი მფლობელები და შევთანხმდით, ტიპოგრაფია გვეყიდა. შევექმენით ორგანიზაცია, რომელმაც გამოსცა ფასიანი ქაღალდები და ასე შევაგროვეთ ფული და შევიძინეთ ტიპოგრაფია. დავამატეთ გარკვეული თანხა, რაც გვაკლდებოდა და გამოვეცით „თავისუფალი პონტო“, რომელიც გახდა ყველა პონტოური ორგანიზაციის ოფიციალური საგამომცემლო ორგანო. გაზეთის გამოცემისა და რედაქტირების პასუხისმგებლობა მე ავიღე“ (Θεοφύλακτου, 1997, გვ. 49).

პარიზის კონფერენციამდე პონტოელების საკითხის შესწავლით საგანგებოდ დაკავდა თავად ელევთერიოს ვენიზელოსი (Αλλαμάνη და Παναγιωτοπούλου, 1978, გვ. 112). მან პონტოს რეგიონში სპეციალური სამხედრო წარმომადგენელი, გენერალი კათენიოტისი გააგზავნა დეტალების უკეთ გასაცნობად და მის ანგარიშებზე დაყრდნობით შეიმუშავა პოზიცია, რომელიც პრესასთან სპეციალურ განცხადებებშიც დააფიქსირა 1919 წლის იანვარში. ის სომხური სახელმწიფოს ფარგლებში ბერძნულ-სომხური ელემენტის თანამშრომლობას უჭერდა მხარს. იგივე პოზიციას იზიარებდნენ სტამბულის ბერძნულ-სომხური წრეები, უფრო კონკრეტულად: სომხური საპატრიარქო, მსოფლიო საპატრიარქო და სომხური საბჭო. პონტოელების სხვა მოთხოვნებს, როგორიც იყო პონტოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება, ან, მით უმეტეს, პონტოს საბერძნეთთან მიერთება, ვენიზელოსი მათ განიხილავდა მინიმუმ უტოპიურად (Αλλαμάνη და Παναγιωτοπούλου, 1978, გვ. 113). ვენიზელოსის ეს პოზიცია იყო მაქსიმუმი, რისი მხარდაჭერაც მას პოლიტიკურად შეეძლო საბერძნეთიდან ასე შორს მდებარე რეგიონისთვის. ეს იყო მისი ძალიან ბრძნული გადაწყვეტილება (Smith, 2006, გვ. 158). მისმა პოზიციამ პონტოელების ორგანიზაციების ნაწილის მძაფრად უარყოფითი განწყობილება გამოიწვია, რადგან პარიზის კონფერენციაზე გაუღერებული მათი მთავარი გზავნილი საბერძნეთთან შეერთება იყო (Αλλαμάνη და Παναγιωτοπούλου, 1978, გვ. 113).

ელევთერიოს ვენიზელოსი პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მონაწილეთა შორის ძალიან დიდი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა. ის დელეგატებიც კი, რომლებიც მის პოზიციებს არ ეთანხმებოდნენ, მისადმი, როგორც პიროვნებისადმი, დიდ სიმპათიას ღიად აფიქსირებდნენ (Helmreich, 1974, გვ. 39). ვენიზელოსი მკვლევარების მიერ სამართლიანად განიხილება როგორც თანამედროვე საბერძნეთის შემოქმედი და ყველაზე მნიშვნელო-

ვანი ფიგურა. ბერძნების მადლიერება გამოიხატება ბოლო დროს მისი უამრავი ბიუსტისა და ძეგლის საჯარო სივრცეში დადგმით და ათენის საერთაშორისო აეროპორტისთვის მისი სახელის მიკუთვნებით (Kitromilides, 2006, გვ. 1).

პარიზის კონფერენციაზე დაფიქსირებული საბერძნეთის პოზიციები მონაწილეთა მიერ ყველაზე არარეალისტურად და, თუ შეიძლება ითქვას, „პრეტენზიულად“ განიხილებოდა (Helmreich, 1974, გვ. 38). ვენიზელოსმა კონფერენციის უმაღლეს საბჭოზე საბერძნეთის მოთხოვნები 22 იანვარს (4 თებერვალს) გააჟღერა (კონფერენცია ოფიციალურად 18 იანვარს დაიწყო). მოთხოვნების ბერძნული პაკეტი რამდენიმე საკითხს (ანუ რეგიონს მოიცავდა), რაც იმას ნიშნავდა, რომ პონტოს საკითხი ვერ იქნებოდა ის მთავარი ლერძი, რომლის ირგვლივაც ბერძნული მხარე თავის აქცენტს გააკეთებდა. ბერძნული მხარე პრეტენზიებს აცხადებდა შემდეგ რეგიონებზე: 1. ჩრდილოეთ ეპიროსი, 2. თრაკია, 3. დასავლეთ მცირე აზია (ცენტრი ზმირნაში ანუ იზმირში), 4. კვირპოსი, 5. კუნძული როდოსი და მიმდებარე კუნძულები (ე.წ. თორმეტკუნძულის რეგიონი (Dodecanese/Dodekanisa) (საბერძნეთის მოთხოვნების მიმოხილვა იხ. Helmreich, 1974, გვ. 39-40). ყველა იმ ტერიტორიის დაბრუნება, რომელსაც საბერძნეთი ესწრაფოდა, ავტომატურად ნიშნავდა მის დომინანტურ ძალად გადაქცევას ეგეოსის აუზსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ამ მოთხოვნებმა დიდი სახელმწიფოების კეთილგანწყობა ვერ გამოიწვია. ყველაზე უფრო ნეიტრალურად ამ მოთხოვნებს საფრანგეთი შეხვდა, რადგან არც ერთ საკითხში საბერძნეთის ამბიცია ღია კონფლიქტში არ მოდიოდა მის გეგმებთან. ამერიკის შეერთებული შტატები გარკვეულ საკითხებში მხარდაჭერას უცხადებდა საბერძნეთს (მაგ. ზმირნის ირგვლივ), მაგრამ გარკვეულ პუნქტებში ეწინააღმდეგებოდა (მაგ. აღმოსავლეთ თრაკიასთან მიმართებაში) (Helmreich, 1974, გვ. 41, იხ. ასევე, გვ. 48). რაც შეეხება გაერთიანებულ სამეფოს, 1916-1922 წლებში მის პრემიერ-მინისტრ ლოიდ ჯორჯს (David Lloyd George 1863-1945) ზოგიერთი მკვლევარი სახიფათოდ პრო-ბერძენად/ელინოფილად მიიჩნევს (dangerously pro-Greek)⁵ (Bennett, 1995,

5 ბრიტანელი დიპლომატებიდან საბერძნეთისადმი კეთილგანწყობით გამოირჩეოდა ინდოეთში ბრიტანეთის მეფისნაცვალი ჯორჯ კერზონიც George Curzon (1859-1925) (Αλλαμάνη და Παναγιωτοπούλου, 1978, გვ. 113). ზოგადად, უნდა აღვნიშნოთ, რომ კერზონი, არა მხოლოდ ბრიტანეთში, არამედ მთლიანად გამარჯვებულ სახელმწიფოების პოლიტიკოსთა შორის, ყველაზე მაღალი თანამდებობის პირი იყო, რომელიც პარიზის სამშვიდობო კონფერენ-

გვ. 77) და ელფეთერიოს ვენიზელოსის გავლენის ქვეშ მყოფს, რაც სიმართლეს მოკლებული ნამდვილად არ იყო. ლოიდ ჯორჯი და ვენიზელოსი 1912 წლიდან მეგობრობდნენ და მათ ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, მაგრამ პირადი სიმპათიების გარდა, ლოიდის ელინოფილური განწყობა სახელმწიფო ინტერესებითაც იყო გამოწვეული. ტრადიციულად ინგლისი ეყრდნობოდა თურქეთს მისი ინტერესების დასაცავად ახლო აღმოსავლეთში, შუა აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში. ომის მერე თურქეთის დანაწილების პერსპექტივის გათვალისწინებით, უკვე საფუძველმოკლებული იყო ინგლისს თავისი აღმოსავლეთის პოლიტიკა დამარცხებულ თურქეთზე დაეფუძნებინა. შესაბამისად, ინგლისურ-ბერძნული მეგობრობა სწორედ ის ალტერნატივა იყო, რომელიც ინგლისის ტრადიციულ პარტნიორს, თურქეთს ჩაანაცვლებდა (Bennett, 1995, გვ. 77-78).

პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ბერძნული მხარე პონტოს საკითხს ცალკე არ განიხილავდა. ის იყო ზოგადად კონსტანტინოპოლისადმი მისი დამოკიდებულების ნაწილი. ბერძნული დელეგაცია მოითხოვდა თურქეთს უარი ეთქვა სტამბოლზე და ადმინისტრირების საერთაშორისო მოდელის მომხრე იყო, რაც ასევე ითვალისწინებდა დარდანელის სრუტისა და ბოსფორის საერთაშორისო კონტროლს. იგივე მოთხოვნები ჰქონდა ტრაპიზონსა და ადანაზე (ქალაქი კილიკიაში) და ღიად მხარს უჭერდა ახალი სომხური სახელმწიფოს შექმნას, რასაც კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოების დელეგატები იზიარებდნენ (Helmreich, 1974, გვ. 41, იხ. ასევე, გვ. 40). ეს ნიშნავდა იმას, რომ კონფერენციის ბერძნული დელეგაცია ღიად დაუპირისპირდა პონტოს დემოკრატიის შექმნას და მხარი დაუჭირა ტრაპიზონის გაერთიანებას სომხურ სახელმწიფოს შემადგენლობაში. შესაბამისად, ნათელი იყო, რომ პონტოს რესპუბლიკად გამოცხადებას კონფერენციის მონაწილეთა მხარდაჭერის არანაირი შანსი არ ჰქონდა, ამიტომ ვენიზელოსი შეეცადა უფრო მნიშვნელოვან ბერძნულ ინტერესებზე გაეკეთებინა აქცენტი ამ ეტაპზე. ცხადია, ამას ისევ მოჰყვა პონტოელების განაწყენება, რომლებმაც კონსტანტინოპოლიდან ისევ დააფიქსირეს თავის მთავარ მოთხოვნად საბერძნეთთან მიერთება თუ არა, „პონტოს ბერძნული რესპუბლიკის“ შექმნა მაინც. ისიც ცნობილია, რომ სწორედ ბათუმში შექმნილმა ბერძნულმა საბჭომ 1919 წლის თებერვლის ბოლოს საბერძნეთის

ციის მსვლელობის მანძილზე მხარს უჭერდა საქართველოს მისწრაფებებსაც. კობახიძე, 2015, გვ. 28.

მთავრობისგან მოითხოვა პონტოში სამხედრო შენაერთების გაგზავნა (Αλλαμανή და Παναγιωτοπούλου, 1978, გვ. 113).

ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, საფრანგეთის და ბრიტანეთის მთავრობები ვრცელი სომხური სახელმწიფოს შექმნას (ტრაპიზონიდან კილიკიამდე) მიიჩნევდნენ არაპრაქტიკულად და არარეალისტურად (Helmreich, 1974, გვ. 201). სომხეთის რესპუბლიკის გარდა ამ სახელმწიფოს უნდა მოეცვა თურქეთის 7 ვილაიეთი (დეტალები იხ. (Helmreich, 1974, გვ. 48).

1919 წლის აპრილიდან პონტოელების ინტერესების ოფიციალური გაჟღერება მთავარეპისკოპოს ქრისანტოს⁶ დაევალა. მან გაიზიარა ვენიზელოსის კომპრომისული პოზიცია სომხეთის ფედერაციულ სახელმწიფოში პონტოს გაერთიანებაზე ავტონომიის სტატუსით. ამ პოზიციას კონფერენციის მონაწილეთაგან ბევრის მხარდაჭერა მოჰყვა (განსაკუთრებით, უილსონი და კლემენსო). თუმცა, უარყოფითი რეაქცია მოჰყვა თავად პონტოელებისა და სომხებისგან (Αλλαμανή და Παναγιωτοπούλου, 1978, გვ. 113). 1919 წლის 1/14 მაისს პონტოელების წარმომადგენლობამ სპეციალური დოკუმენტით მოითხოვა პონტოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა საბერძნეთის მფარველობის ან ა.შ.შ.-ის მანდატის ქვეშ. ზოგადად, პონტოს საკითხისადმი ცუდად ორგანიზებულმა და არაკოორდინირებულმა პოზიციამ ცოტა გააღიზიანა კონფერენციის მონაწილეები და უარყოფითად განაწყო ისინი. ბრიტანეთის საგარეო ოფისის პირველმა მდივანმა ერიკ ადამმა (Eric Graham Forbes Adam (1888-1925) შეისწავლა ქრისანტოსის მოთხოვნები და დაასკვნა, რომ პონტოსთვის ავტონომიის მინიჭება გზას გაუხსნიდა მათ ახალ პრეტენზიებს საბერძნეთთან შეერთებზე და თავის მხრივ შექმნიდა სხვა უმცირესობებისთვის ცუდ პრეცედენტს (Αλλαμανή და Παναγιωτοπούλου, 1978, გვ. 113).

1919 წლის აპრილიდან პონტოელები იწყებენ ეროვნული არმიის შექმნას დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად. 1919 წლის სექტემბერში კონსტანტინოპოლში დაბრუნებული ქრისანტოსი იწყებს დიალოგს ქემალ ათა თურქის წარმომადგენლებთან პონტოს დამოუკიდებლობის პერსპექტივებსა და სტატუსზე. საბოლოოდ, ისევ პონტო-სომხური ფედერაციის იდეამ გაიმარჯვა და 1920 წლის ია-

6 ქრისანტოსი (ერში ქარილაოს ფილიპიდისი 1881-1948) 1913-1938 წლებში იყო ტრაპიზონის მიტროპოლიტი, ხოლო 1938-1940 წლებში ათენის მთავარეპისკოპოსი. თავისი დროის ერთ-ერთი განათლებული ბერძენი იერარქი (სწავლობდა ლაიფციგისა და ლოზანის უნივერსიტეტებში), განსაკუთრებულად გამორჩეული ფიგურაა ამ პერიოდის საბერძნეთის პოლიტიკურ ისტორიაში.

ნვარში შესაბამის შეთანხმებას ხელი მოაწერეს მიტროპოლიტმა ქრისანტოსმა და ალექსანდრე ხატისიანმა, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ 1919-1920 წლებში. შეთანხმებულ იქმნა ასევე სომხეთსა და საბერძნეთს შორის სამხედრო კავშირი თურქეთის მხრიდან პონტოელებზე შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად. ინგლისელებმა შეთანხმების სამხედრო ნაწილს მხარი არ დაუჭირეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ ცოტა ხნით ადრე, 1919 წლის დეკემბრისათვის ცხადი გახდა, რომ სომხეთისათვის დაპირებული “ზღვიდან ზღვამდე” ტერიტორიების მინიჭება არარეალური აღმოჩნდა. მუსტაფა ქემალის სამხედრო ძალები უკვე საკმაოდ ანგარიშგასაწევი იყო და მათგან სომხეთის დაცვა რთული ამოცანა იქნებოდა; ამასთანავე, ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის ნაწილი, ინდოეთის საქმეთა მინისტრ ედვინ მონტაგუს ხელძღვანელობით, უფრთხოდა მუსულმანებისადმი მკაცრ მოპყრობას, რადგან ამას შეიძლებოდა ინდოელ მუსულმანთა შორის მღელვარება გამოეწვია. ფრანგულმა მხარემ ბრიტანეთს წარუდგინა მემორანდუმი, სადაც აღინიშნა, რომ ტრაპიზონის მიმართულებით სომხები აშკარა უმცირესობას წარმოადგენდნენ და მათ ზღვაზე გასასვლელი ვერ მიეცემოდათ (კობახიძე, 2015, გვ. 170-171).

საქმის ასეთმა შემობრუნებამ თავის მხრივ გამოიწვია სომხების შეთანხმების ჩაშლა ქემალთან 1920 წლის დეკემბერში. ასე დარჩა პონტოს მოსახლეობა თურქული აგრესიის პირისპირ სრულიად მარტო და დაუცველი. (Αλλαμάνη და Παναγιωτοπούλου, 1978, გვ. 113). ამას მოჰყვა 1922-23 წლებში თურქებისგან პონტოელების სისტემატიური დევნა და განადგურება, რასაც 1994 წელს საბერძნეთის ოფიციალური გადაწყვეტილებით მიენიჭა გენოციდის სტატუსი. მოგვიანებით იგივე სტატუსი აღიარა სამმა სახელმწიფომ: შვედეთმა 2010 წელს, სომხეთმა და ჰოლანდიამ 2015 წელს. პონტოს მსხვერპლთა მოსაგონრად საბერძნეთმა ოფიციალურად დააწესა 19 მაისი.

როგორც აღვნიშნეთ, ვენიზელოსი მხარს არ უჭერდა პონტოს დამოუკიდებლობას. შესაბამისად, პონტოელებში მისადმი უარყოფითად განწყობილების რიცხვი ცოტა არ იყო. თეოფილაქტოსი, როგორც ვენიზელოსის მხარდამჭერი, თავის პუბლიკაციაში ცდილობს მისი პოზიცია დაასაბუთოს და თანამემამულეებს აუხსნას ვენიზელოსის შეხედულებების მართებულობა. პრემიერ-მინისტრის სიტყვას მოკლე შესავალი უძღვის. ავტორი აღნიშნავს, რომ ვენიზელოსის კონკრეტული სიტყვის გამოქვეყნება განპირობებული იყო

იმით, რომ ისინი, ვინც ვერ ერკვევიან მრავალტანჯულ პონტოსთან⁷ დაკავშირებულ ბევრ საკითხში, სწორედ „დიდი მმართველის“ ანუ ვენიზელოსის მიერ წარმოთქმული ეს მიმართვა დაეხმარება, რომ ბევრ დეტალში გაერკვნენ.

ვენიზელოსმა გაზეთში დაბეჭდილი სიტყვა წარმოთქვა, როგორც აღვნიშნეთ, პარიზის მშვიდობის კონფერენციის მერე ათენში, ბერძნულ პარლამენტში გამართულ სხდომაზე და ერთგვარად შეაჯამა ამ კონფერენციის პოზიცია პონტოსთან დაკავშირებით. პარიზის კონფერენციაში, რომელიც პუბლიკაციაში ყველგან იხსენიება როგორც მშვიდობის კონფერენცია, 32 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას, მათ შორის საბერძნეთი 2 წარმომადგენლით (ერთ-ერთია ვენიზელოსი).

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი ე. ვენიზელოსი თავის სიტყვას იწყებს ამერიკის პრეზიდენტის, ვუდრო უილსონის (1914-1921) ინიციატივის შესახებ საუბრით, რომელიც პარიზის კონფერენციაზე ამერიკულ დელეგაციას წარმოადგენდა. უილსონი⁸ გამოსულა ინიციატივით მხარი დაეჭირათ სომხებისთვის დაპირებული სავაჭრო გასასვლელისთვის, რომელიც სხვა რეგიონებთან ერთად ტრაპიზონსაც მოიაზრებდა. ეს შესაძლებელს გახდიდა ორი სახელმწიფოს (სომხეთის და პონტოს) ფედერაციის პრინციპით მოწყობას. ეს შეთავაზება მოსახლეობამ, რომელსაც უშუალოდ ეს საკითხი ეხებოდა, უგილვებელყო. იმ შემთხვევაში თუ მთლიანად ტრაპიზონის ვილაიეთი შეძლებდა თურქული მმართველობისგან გამოყოფას, ვენიზელოსი ისევ და ისევ მხარს დაუჭერდა მის სომხეთთან გაერთიანებას, რადგან მას ღრმად სწამდა, რომ პონტოს ტერიტორიის მოსახლეობას იმდენად ძლიერად ჰქონდა თავისი ბერძნული იდენტობის განცდა, რომ მას არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა, მით უფრო, სხვა ქრისტიან ხალხთან თანამშრომლობით.

ვენიზელოსი გამოთქვამს იმედს, რომ ამერიკის პრეზიდენტის ეს ინიციატივა არ გამოიწვევს ტრაპიზონის ვილაიეთის დანაწევრებას

7 მრავალტანჯული პონტო – თეოფილაქტოსის მემუარებში პონტო, როგორც წესი, ამ კონკრეტული ეპითეტით იხსენიება, რაც მისი ისტორიის და იქ განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, სულაც არ არის გადაჭარბებული.

8 უნდა აღვნიშნოთ, რომ პრეზიდენტ უილსონის როლი და წვლილი ოსმალეთში მცხოვრები მცირე ერების თვითგამორკვევის საქმეში განუზომელია. მას ამ საკითხზე საგანგებო სიტყვა აქვს წარმოთქმული, რომელმაც ამ ერებში პატრიოტული განწყობა და ეროვნული მოძრაობა გააძლიერა (დეტალები იხ. ჭყოიძე, 2018, გვ. 109).

და მისი რომელიმე ნაწილის ჩამოშორებას. ამ სიტყვაში არაერთხელ არის გამოხატული პრემიერის სურვილი, რომ პონტოს მთლიანობას არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დამუქრებოდა საფრთხე და მაშინაც კი, თუ ის რაიმე პოლიტიკური ნიშნით გამოეყოფოდა თურქეთს, არ მოხდებოდა მისი ცალკეულ ნაწილებად დაყოფა და დანაწევრება. იმ შემთხვევაში თუ სომხები მოიპოვებდნენ გარკვეული ფორმით ავტონომიას, პარიზის კონფერენციის სპეციალურ სხდომაზე, რომელსაც სომხეთის ორი წარმომადგენელი ესწრებოდა, მას სომხებმა დაუდასტურეს, რომ ტრაპიზონის რეგიონში მათ არ ექნებოდათ არანაირი ტერიტორიული გაფართოების თუ დაუფლების ზრახვები. ამაზე მას იმიტომ მოუხდა აქცენტის გაკეთება, რომ ამერიკის პრეზიდენტი თავის ერთ-ერთ დოკუმენტში საუბრობს სომხების შავ ზღვაზე გასვლის შესაძლებლობაზე ტრაპიზონის მეშვეობით „და მეც ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ ამ ასპექტზე გამემახვილებინა ყურადღება“ – აღნიშნავს გამოსვლის ბოლოს ბერძენი პრემიერ-მინისტრი (Θεοφύλακτου, 1997, გვ. 115).

როგორც აღვნიშნეთ, ვენიზელოსის სიტყვას თეოფილაქტოსი ურთავს თავის კომენტარებს და მისი პოლიტიკური ხაზის გულმხურვალე დამცველად გვევლინება. ავტორი მას ძალიან დიდ პატივს სცემს. თავის მემუარებში, როგორც წესი, დიდ კაცად/ ადამიანად/ მმართველად იხსენიებს⁹. ეს პატივისცემა არ იყო ცალმხრივი. როცა თეოფილაქტოსი საბოლოოდ საბერძნეთში დასახლდა, მას ერთი წლის ვადით (1929 წელს) თრაკიის რეგიონის მინისტრის პოსტი ეჭირა ვენიზელოსის მთავრობაში¹⁰.

თავის კომენტარებში ავტორი ჯერ პუნქტებად გადმოსცემს ვენიზელოსის ამ სიტყვის მთავარ შინაარსს (რომ მკითხველს ძირითადი აქცენტების აღქმა გაუადვილოს) და მერე, იქვე განმარტავს იმ საკითხებს, რაც პრემიერის ამ სიტყვაშია დასმული და მათ არ-გუმენტირებულად აანალიზებს. თეოფილაქტოსი გამოჰყოფს შე-

9 მაგ. დიდი მმართველი, გვ. 112; დიდი ბერძენი პოლიტიკოსი, გვ. 115; დიდი ადამიანი, გვ. 53. ვენიზელოსის მხარდაჭერა არამხოლოდ ცალკეული ეპითეტებით, არამედ მთლიანად სტატიის ზოგად პათოსშიც იგრძნობა.

10 თავის ემოციურ განწყობასა და ამ პოსტზე არჩევის დეტალებს დაწვრილებით მოგვითხრობს ავტობიოგრაფიაში. ამ მონაკვეთის თანახმად, მას თანხმობის მიცემაზე საგანგებოდ რჩევა უკითხავს თავისი თანამემამულე პონტოელ-ბისთვის. „ამ ჩემს მისიაში ვგრძნობ, რომ ჩემი სინდისი მშვიდადაა, რადგან ყველაფერი გავაკეთე, რაც შესაძლებელი იყო, რომ ყოფილიყო წარმატებული. არამხოლოდ ჩემმა მეგობრებმა, არამედ ჟურნალისტებმაც აღიარეს, რომ ჩემი ეს სამსახური იყო წარმატებული“ – წერდა ის (Θεοφύλακτου, 1997, გვ. 53-54).

მდეგ საკითხებს: 1. ამერიკის პრეზიდენტ უილსონს დაევალა რა სომხეთის საკითხის მოგვარება, მან ამ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ სავაჭრო კონტექსტში არ განიხილა, ანუ მისი შემოთავაზების თანახმად, სომხებს უნდა მისცემოდათ არამხოლოდ სავაჭრო გასასვლელი შავ ზღვაზე ტრაპიზონის გავლით, არამედ ტრაპიზონის რეგიონის ნაწილი უნდა გადასცემოდა მათ თვითონ ქალაქის ჩათვლით. 2. ამის საპირწონედ, ვენიზელოსმა შესთავაზა ორი სახელმწიფოს დაარსება, ორივე ევროპული მანდატით, პონტოურის და სომხურის, ურთიერთმეგობრობისა და მოკავშირეობის პრინციპზე ფედერაციის ფორმით. 3. ადგილობრივმა, ანუ დაინტერესებულმა მოსახლეობამ ამ გამოსავალზე უარი თქვა. 4. ვენიზელოსი, რომელიც ჯერ კიდევ სარგებლობს პონტოს ბერძნული მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერით, აცხადებს, რომ მას არ ემინია სხვა ქრისტიანულ ქვეყნებთან ურთიერთობის და მხარს დაუჭერს ბერძნულ-სომხურ თანამშრომლობას, რაც მიაჩნია ერთვარ საშუალებად პონტოს თურქული ბატონობისგან თავდასახსნელად, მხოლოდ ცალსახად იმ პირობით, რომ არც ერთ შემთხვევაში არ მოხდება პონტოს რეგიონის რაიმე ფორმით დანაწევრება (Θεοφύλακτου, 1997, გვ. 116).

თავის კომენტარებში თეოფილაქტოსი ასევე აღნიშნავს, რომ მშვიდობის სამიტიზე, სადაც მოხდა პონტოს და სომხების საკითხის განხილვა, წარმოდგენილი იყო ეკატერინოდარის (კრასნოდარის სახელი 1920 წლამდე) „პონტოელთა კავშირის“ სპეციალური დოკუმენტი (ეს კავშირი იმ პერიოდისთვის 5 ათასამდე ბერძენს აერთიანებდა, კრასნოდარში ბერძენები 1828 წლის მერე დასახლდნენ). ეს დოკუმენტი ამ სამიტიზე არ გაითვალისწინეს. პონტოელების ინტერესების დასაცავად იგივე სამიტიზე პარიზის პონტოელთა წარმომადგენლობის მიერ შემუშავებული დოკუმენტიც იქნა გაგზავნილი, რაც საერთოდ არც განუხილავთ და უცნობია რა ბედი ეწია ამ დოკუმენტს (Θεοφύλακτου, 1997, გვ. 117-118).

პუბლიკაციის დასასრულ ავტორი მოუწოდებს მკითხველს კეთილგონიერებისკენ და ნაადრევი დასკვნებისგან თავის შეკავებისკენ. პასუხისმგებლობის დაკისრების დროც მოვა. მანამდე სახვადასხვა რეგიონში არსებულ პონტოელთა ყველა კავშირს ევალება მოვლენებს ჩაუღრმავდეს, დეტალები დააზუსტოს, პონტოს საკითხის ყველა ასპექტში გაერკვეს და გადამოწმებული ინფორმაცია მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს, ვინც იბრძვის პონტოსთვის საკუთრივ თურქეთში და მის ფარგლებს გარეთაც. პონტო-

ელი ხალხი მოელის გაიგოს ყველა ის მიზეზი, რამაც ამ საკითხის მოგვარება შეაყოვნა.

გაზეთ „თავისუფალი პონტოს“ ეს კონკრეტული პუბლიკაცია წარმოაჩენს და ადასტურებს შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ პონტოს მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილი ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად დამოუკიდებლობის, ან უკიდურეს შემთვევაში, საბერძნეთთან მიერთების მომხრე იყო, საქართველოში მოღვაწე პონტოელები ეთანხმებოდნენ მაშინდელი ბერძენი პრემიერ-მინისტრის, ელეფთერიოს ვენიზელოსის პოზიციას, რომელიც ასევე ემთხვეოდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ვუდრო უილსონის ხედვას ამ საკითხზე. ვენიზელოსისთვის საუკეთესო გამოსავალი იყო ტრაპიზონის ვილაიეთი ყოფილიყო სომხურ-პონტოური ფედერაციის ნაწილი. ბათუმში მოღვაწე ბერძენი აქტივისტები იყენებდნენ რა მაშინდელი მასმედიის ერთადერთ საშუალებას (ანუ პრესას), ცდილობდნენ არგუმენტირებულად და გასაგებად აეხსნათ მოსახლეობისთვის ამ პოზიციის მართებულობა. სწორედ ამიტომ ბეჭდავს თეოფილაქტოსი არამხოლოდ ვენიზელოსის სიტყვას, არამედ მის ვრცელ კომენტარებს, სადაც თავის მხარდაჭერას პრემიერ-მინისტრისადმი ცალსახად და შეუფარავად გამოხატავს.

დასასრულ უნდა დავძინოთ, რომ ბათუმის ბერძნული გაზეთების („არგონავტი“ და განსაკუთრებით, „თავისუფალი პონტო“) შინაარსი და გავრცელების არეალი ცალსახად მიანიშნებს ბათუმის ზოგად ბერძნულ კონტექსტსა და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. შესაბამისად, ამ დეტალების შესწავლა გასათვალისწინებელია ბათუმის მრავალმხრივი, მრავალეროვანი, მრავალკულტურული და მრავალპოლიტიკური ხასიათის წარმოსაჩენად; მით უფრო, რომ ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ბერძნების ეროვნული მოძრაობისთვის წლების განმავლობაში ბათუმი ერთგვარ „პლაცდარმად“ მოიაზრებოდა. ეს კი თავის მხრივ შესაძლებლობას მოგვცემს „პონტოს საკითხს“ და შავი ზღვისპირეთთან დაკავშირებული ბევრი ასპექტის კვლევას ახალი პერსპექტივა შევძინოთ და იმდროინდელ საერთაშორისო პროცესებში ზოგადად საქართველოს როლი უკეთ წარმოვაჩინოთ.

ბიბლიოგრაფია:

- ბერძენიშვილი, ნ. (1973). საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 6. თბილისი. გამომცემლობა მეცნიერება
- კობახიძე, ბ. (2015). საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი. თსუ
- ჭყოიძე, ე. (2019). შავი ზღვისპირეთისა და კავკასიის ბერძნები 1917-1921 წლებში. საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“, 25-27 ოქტომბერი, 2018. თბილისი. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო/ საქართველოს ეროვნული არქივი, გვ. 107-113
- Αγτζίδης, Β. (1992). Το κίνημα ανεξαρτησίας του Πόντου και οι αυτόνομες Ελληνικές περιοχές στη Σοβιετική Ένωση του μεσοπολέμου. Δελτίο Κέντρου Μικρασιατικών Σπουδών. τ. 9. 157-196
- Αλλαμανή, Ε. და Παναγιωτοπούλου, Κ. (1978). Γ. Χριστόπουλος – Μπαστιάς (επιμ.). Ιστορία του Ελληνικού Έθνους, Νεώτερος Ελληνισμός από το 1913 έως το 1941. τ. 15ος. Αθήνα. Εκδοτική Αθηνών
- Bennett, G. H. (1995). British Foreign Policy during the Curzon Period, 1919-24, Studies in Military and Strategic History. London. Palgrave Macmillan
- Helmreich, P. C. (1974). From Paris to Sèvres (The Partition of the Ottoman Empire at the Peace Conference of 1919-1920. Columbus Ohio State University Press
- Θεοφυλάκτου, Θ. Κ. (1997). Γύρω στην άσβεστη φλόγα (Βιογραφικές Αναμνήσεις, Αγώνες για την ανεξαρτησία του Πόντου). Θεσσαλονίκη. Εκδοτικός Οίκος Αδελφών Κυριακίδη α.ε.
- Koliopoulos, J. S. და Veremis, Th. M. (2010). Modern Greece: A History since 1821. John Wiley & Sons Ltd. Wiley & Blackwell. West Sussex, United Kingdom
- Kitromilides, P. M. (2006). Introduction: Perspectives on a Leader. კრებულში: Paschalis M. Kitromilides (ed.). Eleftherios Venizelos: The Trials of Statesmanship. Athens. Institute for Neohellenic Research/National Hellenic Research Foundation. გვ. 1-11
- Smith, M. L. (2006). Venizelos' Diplomacy, 1910-23: From Balkan Alliance to Greek-Turkish Settlement. კრებულში: Paschalis M. Kitromilides (ed.), Eleftherios Venizelos: The Trials of Statesmanship, Athens. Insti-

tute for Neohellenic Research/National Hellenic Research Foundation.
გვ. 134-192

ინტერნეტ რესურსები:

საბერძნეთის ეროვნული ბანკის საგანმანათლებლო ფონდის
ბერძნული სალიტერატურო და საისტორიო არქივი
<https://greekarchivesinventory.gak.gr/index.php/f4qy-s5bx-g9km>

BATUMI'S GREEK NEWSPAPER (1920) ABOUT PONTIC QUESTION

In the 1910s Batumi, the littoral city of Georgia on the eastern coast of the Black sea, became a very important place for Greek activists from Pontus. It had an ideal location for them, as it was the nearest non-Ottoman big port-city to Trabzon. Establishing newspapers became the most important means for the Greeks in Batumi to spread information about their activity throughout the Russian empire. Thus, the newspaper "Eleftheros Pontos" ("Free Pontus") appeared in 1919.

The current article deals with a publication by Th. Theofylaktos ("Eleftheros Pontos" № 90, 25 May, 1920), which was republished in his memoirs "Around the unextinguished flame" (in Greek "Τύρω στην άσβεστη φλόγα"). It refers to Greek prime-minister Eleftherios Venizelos' (1864-1936) speech delivered to the Greek Parliament at the beginning of 1920. Venizelos sums up his position on the Pontic question supported at the Peace conference of Paris. Th. Theofylaktos is Venizelos' warm follower and provides his comments on this speech in order to explain and, somehow justify, Venizelos' position and to make it more popular among the Pontic Greeks. Additionally, Greek demands presented on the Peace conference and its analysis is provided in the current article.

THE GREEK COMMUNITY'S CONTRIBUTION TO BATUM'S POLITICAL, SOCIAL AND ECONOMIC LIFE, 1860^s–1900^{s*}

აღადმიანთა მოდგმის უდიდესი ნაწილი იდეებისთვის იბრძვის. სოციალიზმი – ეს ქართული დემოკრატიის დევიზია. ის ხომ სწორედ ამისთვის იბრძვის და სწორედ ამიტომ მოუწოდა ფეხზე წამომდგარ აფხაზეთის დემოკრატიას, რათა გვერდიგვერდ და საერთო ძალისხმევით ვისწრაფოთ მიზნისკენ.

თებერვლის თვეში აფხაზები იკრიბებიან, რათა აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლობა. სწორედ მათ უნდა წარმოაჩინონ ხალხის პრობლემები და სურვილები, წარმოადგინონ მათი პოზიციები სხვადასხვა საკითხთან მიმართებით.

ჩვენმა წარმომადგენლებმა უნდა დააფიქსირონ შეხვედრაზე აფხაზი დემოკრატების აზრი და უცვლელად და შეუღამაზებლად დააფიქსირონ ერის პოზიციები. ამასთან, უნდა ისაუბრონ რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით, რათა აღორძინების საშუალება მიეცეს აფხაზეთს. აფხაზებმა უნდა შეძლონ და გააკეთონ დიადი საქმეები და როგორც უწინ აფხაზებში თვლიდნენ, დემოკრატია მისცემთ მათ განვითარების საშუალებას.

აფხაზი ერის გადაწყვეტილებები დაკავშირებულია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და სწორედ ამიტომ წარმომადგენლებმა უნდა გაარკვიონ, თუ რა ადგილს დაიკავებენ ისინი ამ ერთიან სახელმწიფოში.

აფხაზებმა ქართველებთან დადეს შეთანხმება, რომ ისინი თავისუფლები იქნებიან საშინაო საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაში; რომ ადგილობრივი მთავრობის და აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის სახელით ენიჭებათ უფლებამოსილება, წარმოადგინონ თავიანთი პოზიცია: აფხაზეთი შედის საქართველოს შემადგენლობაში, თუმცა, ეს მათ ხელს არ შეუშლის, დამოუკიდებლად მართონ საშინაო საქმეები და, ვგონებ, ამას კანონის ძალით დაამტკიცებენ საქართველოს დიდ ნაციონალურ ყრილობაზე.

აფხაზეთს ექნება მართვის სადავეები, მას ექნება ავტონომია, თუმცა, როგორც სახელმწიფო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და აფხაზეთი უნდა იყვნენ ურთიერთკავშირში. აი, რა იდეის მიმდევრები ვართ ჩვენ.

გაერთიანებულ ქართულ-აფხაზურ დემოკრატიას შეუერთდებიან თანამოაზრეები და ერთობლივად წავლენ სოციალიზმის მიმართულებით. აი, რისკენ ვისწრაფვით ჩვენ!

აფხაზების წარმომადგენლობა საჭიროა იმისათვის, რომ გადაიჭრას ისეთი საკითხი, როგორიცაა დამოუკიდებელი მმართველობის მოწესრიგება და რეგულირება. ეს მთავრობა (სოციალ-დემოკრატიული მთავრობა) უნდა იყოს დემოკრატიულ აფხაზეთთან მიმართებით, იმისათვის, რომ აფხაზეთის მაცხოვრებლებმა აღიდგინონ ის უფლებები, რომლებიც მათ მიანიჭა რევოლუციამ.

ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ გაერთიანებული დემოკრატია და ერთიანი სახელმწიფო ფრონტი იყოს მისაღები აფხაზებისთვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აფხაზეთის საკითხების გადაჭრის ყრილობაზე ჩვენ გვსურს შემდეგი: აფხაზეთს გააჩნდეს სრული უფლებამოსილება საშინაო საქმეების დამოუკიდებლად წარმართვისა და ავტონომია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში.

თებერვლის რევოლუციით მოპოვებული უფლებებით აფხაზები სრულფასოვნად უნდა სარგებლობდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე. კანონი უნდა კანონობდეს თანაბარუფლებიანი ურთიერთობის პირობებში და ეს კანონი აფხაზეთის საკეთილდღეოდ უნდა ადაპტირდეს.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ვიბრძვით შემდეგისთვის:

ა) მიწის საკითხი – ჩამოერთვას მემამულეებს მათი საგვარეულო

- მიწები, წაერთვას მიწები ეკლესიებს და ღვთისმსახურებს და გადაეცეთ გლეხებს, რომელთაც არ გააჩნიათ მიწები;
- ბ) აიკრძალოს საგვარეულო უპირატესობები;
- გ) შეიქმნას ერობები, რათა ადგილობრივად მოგვარდეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: გზების დაგება, სწეული ხალხის მკურნალობა, ახალი სკოლების, ბიბლიოთეკებისა და სამკითხველო ადგილების გახსნა, გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა, სასოფლო-სამეურნეო საკითხების გადაჭრა.
- დ) იყოს კანონი, რომელიც დაიცავს დასაქმებულის შრომას, დააზღვევს მის ნაშრომს მუშათა კლასის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
- ე) დემოკრატიული უფლებებისა და კანონის ძალაში შესვლა.

ავტორი: დიმიტრი გულია

სოხუმის საოლქო კომისიის მიმართვა ხალხს დემოკრატიული (სამაზრო) ერობის არჩევნების საკითხებთან დაკავშირებით

ბატონებო, საოლქოს შემადგენლობის წევრებო!

ამ დრომდე მმართველები, რომლებსაც ჩვენ ვემორჩილებოდით, და რომლებიც ებრძოდნენ დემოკრაციას, არ იძლეოდნენ საშუალებას, რომ სოხუმის საოლქოს წარმომადგენლებს შეექმნათ ერობა, რომელიც ადგილზე მოაგვარებდა რიგ საკითხებს და დაეხმარებოდა ადგილობრივ მოსახლეობას. როგორ უნდა აღგედგინა ქვეყანა, როგორ უნდა მოგვეგვარებინა ეროვნული პრობლემები და საქმეები, როდესაც ყოველივე ეს ხდებოდა მოსახლეობის გვერდის ავლით, ხოლო გადაწყვეტილებებს იღებდნენ ჩინოვნიკები, რომლებმაც, იმის მაგივრად, რომ ეზრუნათ ერის განვითარებაზე, დახმარებოდნენ მას წამოდგომაში, დაიწყეს მოსახლეობის რუსიფიკაცია და შედეგიც ცხადია: სოხუმის საოლქო, აფხაზეთი – უმდიდრესი ადგილი, რომელიც წესით უნდა ყვაოდეს, – ჩინოვნიკების მიერ ჩადენილ ქმედებათა გამო განადგურდა, ხოლო მოსახლეობა დარჩა განათლების გარეშე.

გამოვლილმა ომმა, მღელვარებამ და შეტაკებებმა მოსახლეობა დატოვა საარსებო რესურსის გარეშე. ერის თვითმყოფადობის საკითხებმა, რომლებსაც ასე განვიხილავდით, ვერსად პოვა პასუხი. ყველაფერში სრული ქაოსი სუფევდა და არცერთი წამოწყება არ მიუყვანიათ ლოგიკურ დასასრულამდე, პრობლემების გადაწყვეტამდე.

იქიდან გამომდინარე, რომ სკოლები არ იყო აშენებული, რიგითი ბავშვები დარჩნენ განათლების გარეშე. არ იყო აშენებული საავადმყოფოები და ადამიანები დარჩნენ დაუცველნი „ისპანკის“ პანდემიისა და სხვა დაავადებების წინაშე. თუკი ვისაუბრებთ გზებზე – ისინი ცოტა თუ არის სადმე, და სადაც არის, ისიც გვარიანად გაფუჭებულია. გაჩერებულია ფოსტის მუშაობაც.

ის, რაც მოსახლეობის ცხოვრების რიტმის განუყოფელი ნაწილი უნდა ყოფილიყო, განადგურებულია. თუკი ჩვენ გვექნება მიწათმოქმედებისთვის შესაბამისი ცოდნა, ჩვენი მაღლიანი მიწისა და კლიმატის გათვალისწინებით, შეგვიძლია, მოსავალი გავზარდოთ ათჯერ. მუშათა კლასს და გლეხებს ძალიან შემოაკლდათ საკვები და ცხოვრებისათვის სხვა აუცილებელი მოხმარების საგნები. მათ საკუთარი თავის შენახვის შესაძლებლობა დაკარგეს. გართულებულია კრედიტის აღების პროცესიც, ვინაიდან ირგვლივ ფინანსური კრიზისი და არასტაბილურობა მძვინვარებდა. აქედან გამომდინარე, საოლქოებს გაუჭირდათ ფულის შოვნა, რამაც კიდევ უფრო გაართულა ხალხის ცხოვრება.

ბატონებო! დიდმა რევოლუციამ ყველა მაცხოვრებელს მისცა საშუალება ეცხოვრა დემოკრატიაში. რევოლუციამ დააკანონა საშინაო საკითხების დამოუკიდებლად მართვის შესაძლებლობა, რამაც მოსახლეობა ნელ-ნელა ფეხზე დააყენა. დადგა ნანატრი დღე აღორძინებისა. ჩვენ გვეძლევა განათლების დონის ამაღლების საშუალება. არსებობს ხალხი, ვისაც არ სურს ეს ცვლილებები და არც ქვეყნის აღორძინებას ლამობს. მათ სურთ ერთიანი ძალებით შეეწინააღმდეგონ სიახლეებს და ცდილობენ წარსულში დაგვარუნონ.

ვისაც გული შესტკივა თავის ხალხზე, ყველას, ვისაც სურს შთამომავლობისთვის უკეთესი მომავალი, დროის დაკარგვის გარეშე, უნდა დაიწყონ ზრუნვა მხარის ასაღორძინებლად, რაც მოიცავს იმ კანონიერი უფლებებით სარგებლობას, რომლებიც მათ მოიპოვეს დიდი ბრძოლის შედეგად. აღნიშნულ საკითხებში დაგეხმარებათ ადგილობრივი დემოკრატიული ერობა, რომელიც გადაგიჭრით სხვადასხვა პრობლემას.

უკვე 50 წელს აღემატება, რაც რუსეთში ერობები არსებობს. მიუხედავად იმ დროში მოქმედი მთავრობის კანონების არასრულყოფილებისა, ერობა სკოლებსა და საავადმყოფოებში (ავად თუ კარგად) მაინც მუშაობდა. ამჟამად საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, კანონმდებლობაში რიგი ცვლილებების შეტანით, დაიწყო ერობების დაარსება. აღნიშნული ერობები იქნება თანაბარი

უფლებებით ყველა ეროვნების ხალხისთვის და ეს ჭეშმარიტებაა! მათი წყალობით ხალხი უკეთ დაინახავს გამოსავალს არსებული სიტუაციიდან გამოსაძვრენად და ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. უკეთ გაერკვევიან ვითარებაში და ობიექტურად გადაწყვეტენ, თუ ვინ სურს რომ იყოს მისი წარმომადგენელი, რომელსაც ფარული და გამჭვირვალე კენჭისყრის შედეგად აირჩევენ.

ეროვის ამოცანაა დაარეგულიროს და მოუფრთხილდეს მოსახლეობის ფულს, მოუფრთხილდეს ხალხის ქონებას, დახმარების ხელი გაუწოდოს უმწეოებს (სამუშაო ადგილების შექმნით), დააგოს გზები, გახსნას ადგილობრივი ფოსტა, დააყენოს სატელეფონო ჯიხურები, დააზღვიოს სახელმწიფო ქონება და დაწესებულებები, იზრუნოს ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებაზე, მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებაზე (ააშენონ სკოლები), ვაჭრობისათვის შექმნას კარგი პირობები, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის გამოყოს მანქანები. ერობა იზრუნებს ინფრასტრუქტურის განვითარებაზეც: ააშენებენ სკვერებს. ეცდება დაასაქმოს მოსახლეობა და დააზღვიოს ისინი გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან.

ძირითადად ამ საკითხებით იქნება დაკავებული ერობა. ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყარო უნდა გახდეს გადასახადების გადამხდელი. ასე ხალხი მიიღებს როგორც დახმარებას, ისე სესხსაც (სურვილის შემთხვევაში) მთავრობისგან.

არ უნდა გვერეოდეს აფხაზეთის საბჭოსა და ეროვის არჩევნები: აფხაზეთის საბჭო კანონის ძალით ზედამხედველობს მთელ რეგიონს, ხოლო ერობა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, სოხუმის საოლქოში იმოქმედებს კანონი. შეიქმნება ერობები – ერთი სოხუმის (ადგილობრივი) საოლქოსთვის, დანარჩენი – გუდაუთა-გაგრის, გუმისთის, კოდორისა და სამურზაყანოსთვის. ეს ოთხი მხარე წარმოდგენს მთავარ ერობებს, თუმცა იქნება აგრეთვე წვრილი საერობო ერთეულები სოფლად.

არჩევნები უნდა ტარდებოდეს გამჭვირვალედ და თანაბარ პირობებში. თითოეული მოქალაქის არჩევანი უნდა იყოს კონფიდენციალური. გუდაუთა-გაგრის თვითმმართველობაში შევა 29 სოფელი, ქალაქ გუდაუთიდან და გაგრიდან წარმოდგენილი იქნება 2-2 ადამიანი, გუმისთიდან – 33 სოფელი, ქალაქ სოხუმიდან – 12, კოდორიდან – 23 სოფელი, ოჩამჩირიდან – 2, სამურზაყანოდან – 38 სოფელი.

იმისათვის, რომ არჩევნებმა ჩაიაროს კანონის დაცვით, სოხუმში

შეიქმნა საოლქო საარჩევნო კომისია. კომისიაში შედიან პარტიის წევრები, ნაციონალური ინტერესების წარმომადგენლები და პროფკავშირის წარმომადგენლები.

გუდაუთაში, გაგრაში, სოხუმში, ოჩამჩირესა და გალში გადაუდებლად უნდა ავირჩიოთ კომისია იმავე პრინციპით, რა პრინციპითაც შეიქმნა კომისია სოხუმში. სამხარეო კომისია ვალდებულია აფხაზი ერისთვის სოფლად აირჩიოს კომისიის წევრები.

მოსახლეობის კომფორტისთვის და მათთვის ზედმეტი ხარჯის თავიდან აცილების მიზნით, როგორც აფხაზეთის საბჭოს, ისე ერობის არჩევნები ჩატარდება ერთსა და იმავე დღეს.

საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს უფლებამოსილი მოქალაქე, რომელიც სიაშიც არის წარმოდგენილი, ხოლო ერობის არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია აფხაზეთში მცხოვრებ ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენელს, მიუხედავად მისი მრწამსისა და სქესისა, რომლებსაც 1919 წლის 1 იანვრამდე შეუსრულდებათ 20 წელი, ადამიანებს, რომლებსაც 1914 წლის 19 ივლისამდე გააჩნდათ საცხოვრებელი სოფლად ან ქალაქში, ან ჯარში მსახურობდნენ, ან რაიმე კავშირი ჰქონდათ აფხაზეთთან (კანონი აფხაზეთის ეროვნული საბჭოს არჩევნების შესახებ, მუხლი 1,2 და მუხლები 1, 2, 3, 4, 8, 9 და 10 – საარჩევნო სიის შექმნის შესახებ). კანდიდატების წარდგენა უნდა დასრულდეს 1919 წლის 12 იანვრამდე.

13 იანვრიდან 17 იანვრის ჩათვლით სოფლის მაცხოვრებელ ამომრჩევლებს შესაძლებლობა ეძლევათ გაასაჩივრონ, თუკი ამომრჩეველთა სიაში რამე უზუსტობაა, ან ვინმე აკლია. 19 იანვრიდან 20 იანვრის ჩათვლით უბნის კომისია განიხილავს მიღებულ რეკომენდაციებს და საჩივრებს. თუკი მომჩივნის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა უბნის კომისიის მიერ, ამ შემთხვევაში, მას შეუძლია საჩივრის წერილით მიმართოს სოხუმის საოლქო სასამართლოს. 25 რიცხვიდან 2 რიცხვამდე საჩივარი განიხილება საოლქო სასამართლოში. 26 იანვრიდან 4 თებერვლამდე განმეორებით გადახედავენ ამომრჩეველთა სიას; 2 თებერვლიდან 8 თებერვლამდე აირჩევენ ერობის წარმომადგენლებს. ქალაქებში ერობის არჩევნები ჩატარდება 2-დან 4 თებერვლამდე.

ქალაქებში ამომრჩეველთა საარჩევნო სიებთან დაკავშირებული საჩივრები განიხილება იმავე თარიღებსა და საათებში, როგორც სოფლად. თუმცა, სოფლის ამომრჩევლებისგან განსხვავებით, საჩივარს ისინი პირდაპირ საოლქო სასამართლოში წარადგენენ, რისთვისაც ეძლევათ ვადა – 4 დღე. საოლქო სასამართლომ 3 დღის

ვადაში უნდა განიხილოს ქალაქელი ამომრჩევლების საჩივრები, რის შემდეგაც 5 დღის ვადაში უნდა გადახედონ საარჩევნო სიებს და შეასწორონ ისინი (ჩაამატონ გამორჩენილი ამომრჩევლები).

საარჩევნო სიის შეჯერების შემდეგ, 12 იანვრიდან 20 იანვრის ჩათვლით, უბნის კომისია გასცემს დოკუმენტს, რომელშიც ასახული იქნება სხვადასხვა პარტიის მიერ წარდგენილ კანდიდატთა ჯგუფების სია.

კანდიდატთა სიის და არჩევნების ჩატარების პროცედურების შესახებ ეცნობება საქალაქო და უბნის კომისიებს, ხოლო სოფლის კომისია მათგან მიიღებს ინფორმაციას.

მოქალაქეებო! როგორც იტყვიან, „როგორ ტაშსაც დაუკრავთ, ისეთი იქნება ცეკვა“. ამიტომ, სწორედ თქვენზეა დამოკიდებული რამდენად გულით და სრული სერიოზულობით მიუდგებით ერობის არჩევნებში მონაწილეობას. თქვენს არჩევანზე იქნება დამოკიდებული თქვენი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, რამდენად ალორძინდება და გაფართოვდება სოხუმის საოლქო. სწორედ ამიტომ, საოლქო კომისია, ნაციონალურ პარტიათა საბჭოები, პროფკავშირები და კომისიის წევრები გამოგიძახებენ და შესაძლებლობებისამებრ შეუდგებით კანდიდატების არჩევას დემოკრატიული ერობისათვის.

სოხუმის საოლქო არჩევნების კომისია

რედაქტორი: ჯგუფი
ზახაროვის ტიპოგრაფია

აფსნი

დემოკრატიული გაზეთი – გამოდის კვირაში 2-ჯერ

ფასი 1 მანეთი და 50 კაპიკი

ორშაბათი, 17 მარტი, 1919 წ. №2

**გაზეთი „აფსნი“
რედაქციის შესახებ**

ხელნაწერების გამომგზავნნი ვალდებულნი არიან, დაწერონ გარკვევით. ხელნაწერი უნდა იყოს ცალ გვერდზე დაწერილი და მეორე გვერდი უნდა იყოს სუფთა. გამოგზავნილი ხელნაწერები (მოთხრობები, ანდაზები, სატირები...) შეირჩევა სარედაქციო ჯგუფის შეფასების მიხედვით. კარგი ხელნაწერი დაიბეჭდება. თუ სარედაქციო ჯგუფი მიიჩნევს, რომ ხელნაწერი ცუდია, ან შინაარსობრივად და

გრამატიკულად გასასწორებელია, ან გაურკვეველია, გაასწორებენ მას და დაიბეჭდება გაზეთში, მაგრამ თუ ხელნაწერის გასწორება რთული იქნება და არც შინაარსი იქნება გაზეთისთვის მისაღები, ამ შემთხვევაში ხელნაწერი არ დაიბეჭდება.

გაზეთ „აფსნისთვის“ დასაბეჭდი სტატიები და ხელნაწერები უნდა გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე: სოხუმი, უჩიწელსკაია სემინარია.

სოხუმი, 17 მარტი

ეს დიდი ომი, როგორც იქნა, დასრულდა, დაწყნარდა სიტუაცია. სიმშვიდეა.

ძალიან ბევრი ადამიანი დაიღუპა, ზოგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა და უმრავლესობისთვის კარგი არაფერი მოუტანია.

ბრძოლა ჯერ არ დასრულდებოდა, ხალხი საბოლოოდ რომ არ მიმხვდარიყო, რომ მოტყუვდა. ამდენი ადამიანი ერთმანეთს გადაეკიდა, ბევრიც დაიღუპა. ეს ხალხი სახელმწიფოებმა და ბურჟუაზიამ დაღუპა, დაზარალებული ადამიანები მიხვდნენ, რომ ეს მათ გამო მოხდა.

ზოგი ადამიანი სისულელეების გამო გადაეკიდა ერთმანეთს, თორემ ვის ვებრძოდით – გერმანიას, ავსტრიას, თურქებს თუ ჩვენს ძმებს?! ხალხი, მოქალაქეები, ერთმანეთს გადაგვკიდეს, მოგვატყუეს, თორემ ვის ვებრძოდით?! რატომ ვიბრძოდით?! – არაფრის გამო. ამიტომაც გადაწყვიტეს შეეწყვიტათ ომი. მებრძოლები თავიანთი იარაღებით დაბრუნდნენ სახლებში. ამასობაში კი ამათი შემყურე გერმანია, ავსტრია, ბულგარეთი და ასევე სხვადასხვა ხალხი აჯანყდა. ისინი ყველანი რუსეთს უყურებდნენ. მიხვდნენ, რომ ამ აბსურდულ ომში ჩააგდეს მათ თავიანთი სახელმწიფო.

დანარჩენი სახელმწიფოები, რომლებიც გადაურჩნენ აჯანყებას – ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი, ამერიკა და ასე შემდეგ, – ყოველდღე შიშით ელოდებოდნენ, რომ მათ მხარესაც არ მომხდარიყო რევოლუცია. ეს შესაძლებელი იყო.

რევოლუცია ასე მოედო ყველგან. ამის გამო ომიც შეწყდა და საბოლოოდ დასრულდა.

თუმცა, საუბედუროდ, როცა ეს დიდი ომი დასრულდა, დაიწყო შიდა ომები. ამ ყველაფრის შემდეგ მნიშვნელოვანი გახდა თავისუფლება და დაიწყო ბრძოლა თავისუფლებისთვის. ხალხმა დაიწყო თავისუფალი თვითსახელმწიფოების შექმნა და ამის საშუალება მათ მისცა რევოლუციამ. თავიანთ შიდა საქმეებს თვითონ უვლიდ-

ნენ. რასაც ამბობდნენ იმას აკეთებდნენ. ყველაფერი მათ ხელში იყო. დღეიდან მონობა არ უნდა იყოს! – ეს სიტყვა იყო რევოლუციის პირველი, შეიძლება ითქვას, მთავარი ლოზუნგი. აფხაზეთში კი, სადაც ჯერ არ იყო მშვიდობა, იმედი ჰქონდათ, რომ იქნებ ამ არეულობას მოეტანა მათთვის ის, რაც აქამდე ვერ მოიპოვეს. ვინ იცის, იქნებ ახლა მაინც დამშვიდდეს ქვეყანა!

18 მაისს აფხაზეთის სახალხო კრება უნდა შეგროვდეს და დასხდეს მოსალაპარაკებლად. 18 მარტს აფხაზეთის სახალხო საბჭო უნდა შეიკრიბოს. საბჭოს წევრები, როგორც იცით, არჩეული იქნებიან კენჭისყრით. მათი სია გამოქვეყნებულია ქვემოთ. ხალხმა უნდა აირჩიოს საბჭოს წევრები. არჩევანი მხოლოდ ხალხის ხელშია. აფხაზი ხალხის კეთილდღეობა, მომსახურება, საქმის მართვა და ყველა საჭირო საკითხი საბჭომ უნდა დაადგინოს; აფხაზი ხალხი ტყვეობაში არ უნდა იყოს, მათ უნდა ჰქონდეთ თავისუფლება, თავად უნდა აირჩიონ, როგორ უნდა მართონ, თავად უნდა მოიპოვონ თავიანთი ცხოვრების წესი, ყველანაირი ამოცანა – როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური – თავად უნდა გადაწყვიტონ.

არჩეულები საბჭოში რომ დასხდებიან, ალბათ, დიდ საქმეებს გადაწყვეტენ, დაადგენენ საჭიროებებს. პირველ რიგში, მათ უნდა გადაწყვიტონ: 1. აფხაზეთის ფორმა და ხასიათი – როგორი ხასიათი ექნება, როგორი განწყობა იქნება და როგორი მართვა მოუხდება. 2. მიწის საკითხი; 3. ერობა და სხვა მრავალი წვრილ-წვრილი საკითხი.

საბჭო რომ შეიკრიბება, მათი გადაწყვეტილებები და საქმის მართვის საკითხები დაიბეჭდება ჩვენს გაზეთ „აფსნიში“ და მოსახლეობა მათ ყველა ქმედებას გაეცნობა ჩვენი გაზეთის საშუალებით.

ავტორი: ს. ჭანბა

პირველი აფხაზურენოვანი გაზეთ „აფსნის“ შესახებ

ის ვიპოვე, რასაც ვეძებდი – ჩემი ოცნება ახდა. საბოლოოდ, ჩემი თვალთ ვნახე, ვნახე და მივალწიე პირველი აფხაზურენოვანი გაზეთის პირველი ნომრის გამოცემას. ამ გაზეთის გამოცემიდან სულ სხვა დრო დადგება, ახალი დრო საუკეთესო იქნება აფხაზი ხალხისთვის. ბედად ვთვლი, რომ ეს პატივი მერგო. გაზეთის გამოცემის სათავეში დგანან აფხაზი ინტელიგენტები, განათლებული და საუკეთესო ადამიანები. აი, ასეთი ხალხის შრომით იქმნება გაზეთი და მეც ჩემს წვლილს შევიტან, დავეხმარები.

ამ საქმის გამოსვლისა უმრავლესობას არ სჯეროდა. არც ფიქრობდნენ იმაზე, რომ ეს გაზეთი გამოვიდოდა, მაგრამ მე ყოველთვის მჯეროდა და მიხაროდა, გულს არ ვიტეხდი. აფხაზ ხალხს თავისი გაზეთი უნდა ჰქონდეს! გაზეთის გარეშე წინსვლა არ იქნება. საბოლოოდ, ეს შრომა გავწიეთ და დავინახეთ, რომ აფხაზურენოვანი გაზეთი შეიქმნა, პირველი ნომერი გამოვიდა. ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს. ვინც პირველ ნაბიჯს დგამს საქმის გასაკეთებლად, ხედავს, რა შრომაც ახლავს თან ამ საქმეს და ხვდება, რომ ძალიან რთული იქნება სიმართლის წერა, გაზეთის პირველობა და წარმატება. ვინ უნდა გამოგზავნოს სტატიები? ვინ უნდა ააწყოს გაზეთი? ამისთვის ცოტა ხალხი გვეყოლება საქმის დასაწყისში, მაგრამ ჩვენ ამის არ უნდა შეგვეშინდეს და ბეჯითად უნდა შევუდგეთ მუშაობას.

არ არსებობს შრომა სირთულის გარეშე. ყველა ეროვნებას, ვინც პირველად უშვებს გაზეთს, თან ახლავს სირთულები. ეს ყველა დამწყების ბედია. ხალხი ნელ-ნელა მიეჩვევა და დაიწყებს კითხვას, დაეხმარებიან თავიანთ ახალგაზრდობას და ყმაწვილებს წერა-კითხვას ასწავლიან, განათლებას მისცემენ, ხოლო განათლების მქონენი ტიპოგრაფიაში ამკრეფებად იმუშავენ და ვისაც შეუძლია, ყველა მოვა გაზეთში სამუშაოდ.

ისტორია, რა თქმა უნდა, არ დაივიწყებს იმის სახელს, ვინც პირველი აფხაზურენოვანი გაზეთის გამოშვებაში ამკრეფად მუშაობდა, მისი სახელია ელიზავეტა ხარბედია. ეს მან მარტო გააკეთა. ნელ-ნელა შეაგროვა გაზეთისთვის საჭირო ანბანი. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური ანბანის აკრეფა საკმაოდ რთული საქმეა, მან ეს შეძლო.

ასევე ისტორია არ დაივიწყებს იმ ადამიანების სახელებს, ვინც პირველი აფხაზური გაზეთის გამოცემის სათავეში იდგნენ.

აფხაზო ხალხო!

გილოცავთ პირველი აფხაზური გაზეთის, „აფსნის“, გამოშვებას! ყურადღებით იყავით, დაეხმარეთ ხალხს რითაც შეგიძლიათ, რათა კარგისკენ წახვიდეთ. თქვენი გაზეთი „აფსნი“ ამას გააკეთებს.

წერეთ, იკითხეთ, თვალი ადევნეთ! ჩვენც დაგეხმარებით რითაც შეგვიძლია, ჩვენ თქვენ გვერდით ვდგავართ, თქვენი მეგობრები ვართ, ეს კარგი საქმეა და ამ კარგ საქმეში თქვენ გვერდით ვართ!

დღეს-ხვალ გაიხსნება აფხაზური საბჭო, ერობები დაიწყებენ მუშაობას. ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რასაც ხელს მოკიდებენ

და ამის შესახებ თქვენი გაზეთი „აფსნი“ დაწერს და ყველაფერი გეცოდინებათ თქვენც.

ახალი წინსვლა! სინათლისკენ წადით, ხალხო!

ავტორი: ისიდორე რამიშვილი

17 მარტი, 1919 წელი

აყვა, სოხუმი

აფხაზური სკოლები

რევოლუციის შემდგომ რუსეთში ერებმა მიიღეს თავისუფლება და მათ უთხრეს, რომ ეძლეოდათ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად გადაეჭრათ და ემართათ თავიანთი საშინაო საქმეები და განვითარებულიყვნენ. ისეთი ერები, როგორებიც არიან ქართველები, სომხები, ბერძნები – ჩაეჭიდნენ ისეთ მნიშვნელოვან გამოწვევას, როგორიც განათლებაა. ისინი მიხვდნენ, რომ განათლების გარეშე არ შეიძლებოდა ცხოვრება, მიხვდნენ, რომ განათლება მათი ერების წინსვლის და განვითარების საწინდარი იქნებოდა, ამიტომ იმთავითვე დაიწყეს განათლებაზე ფიქრი და დაიწყეს გზების ძიება, თუ როგორ მოეწყოთ უკეთ დაწყებითი კლასები.

სომხებმა და ბერძნებმა ხაზინიდან მიიღეს არასაკმარისი დაფინანსება კლასების გასაუმჯობესებლად, თუმცა, ამჟამად მდგომარეობა საგრძნობლად გამოკეთდა.

მასწავლებლებს გამოუყვეს საკმაო ოდენობის ხელფასი, მისცეს საცხოვრებელი ადგილი, გააუმჯობესეს პირობები და ყველაფერი საუკეთესოდ გააკეთეს. მოსწავლეებმა ნელ-ნელა დაიწყეს სკოლებში სიარული, მათმა რაოდენობამ იმატა და ისინი ყოფინით მოუწოდებენ დანარჩენებს სკოლაში მისვლისკენ. ასე მიყვეს ხელი განათლების დონის ამაღლებას.

ჩვენ რატომ არ ვიქცევით ასე? რატომ არ ვიღებთ მაგალითს მეზობელი ერებისგან? როდესაც ამას ვეკითხებოდით ზოგიერთებს, ისინი გვიპასუხებდნენ: „განათლებულმა ადამიანებმა დაგვლუპეს ჩვენ, აგვირიეს ცხოვრება, ასეთ სწავლას სიკეთე არავისთვის მოუტანია, ამიტომაც არ ვეძებთ მას“. ახლა ამის მთქმელი ცოტაა, მაგრამ ისევ არის ხალხი, ვისაც მაინც სჯერა მსგავსი მოძველებული განათქვამებისა, მაგრამ ვინც ამგვარად ლაპარაკობს, ძალიან ცდება!

ერებს, თუ განათლება არ აქვთ მიღებული, ასევე არ აქვთ ეროვნული თავისუფლება, ისინი თავიანთი ქვეყნის კეთილდღეობაზეც ვერ იზრუნებენ. რაც არ უნდა პატარა იყოს ერი, თუკი მათ შორის

მრავლად იქნებიან განათლებული ადამიანები, მაშინ მოიპოვებენ ისინი თავისუფლებას, მათ ანგარიშს გაუწევენ, როგორც სამეფოს. სწორედ ამ სახით ისეთმა მცირერიცხოვანმა ერებმა, როგორებიც არიან ბელგიელები, ჩერნაგორიელები, სერბები... შექმნეს სამეფოები.

სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ, აფხაზებმა დავიწყეთ წინსვლა, იმისათვის, რომ სამომავლოდ გვექონდეს თავისუფლება. ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს შორის პირველ რიგში უნდა დავსვათ საკითხი სასკოლო განათლების თაობაზე! მასწავლებლები ხელფასს მიიღებენ ხაზინიდან, მაგრამ ამ რთულ პერიოდში, თუკი მათთვის ეს არასაკმარისი იქნება, ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ – ამოვიღოთ საკუთარი ჯიბებიდან ფული და დავეხმაროთ, რომ მათ ჰქონდეთ საკმარისად შეშა, სითბო და მყუდროება! ყველა შესაბამისი ასაკის ყმაწვილი გაგუშვათ სკოლაში. ჩვენ არ უნდა დავტოვოთ არცერთი ბავშვი განათლების გარეშე. მასწავლებლები არ უნდა უშინდებოდნენ სამუშაოს. თითოეული პედაგოგი, რომელიც დაინახავს ერის მისწრაფებას განათლების მიღებისკენ, პირნათლად და მთელი მონდომებით შეუდგება საკუთარი სამუშაოს შესრულებას.

ამ თვის 18 რიცხვში აფხაზური საბჭო მუშაობას დაიწყებს. ჩვენ ეს საბჭო ძალიან გვეიმედება, პირველ რიგში იმიტომ, რომ ისინი წამოჭრიან სკოლაში პირობების გაუმჯობესების საკითხს და დადებითად გადაჭრიან; მეორეც – წამოჭრიან სოფლებში ექიმებისა და ფერშლების გამწესების საკითხს და მესამე აუცილებელი საკითხია გზების მოწყობა.

ეს სამი საკითხი აფხაზებისთვის ფრიად მნიშვნელოვანია, და იმისათვის, რომ გადაიჭრას პრობლემები, უნდა გავაქტიურდეთ და ჩვენ-ჩვენი შესაძლებლობებით დავეხმაროთ ამ საქმეს.

ავტორი: დ. გულია.

სოხუმი და სოხუმის ოლქში

ძარცვა

6 მარტს მინა ბაკურაძეს თავს დაესხნენ და გაძარცვეს. მოიპარეს: ფულად 15000, ოქროს საათი თავისი სამაჯურით, 5 ოქროს ბეჭედი და კიდევ რამდენიმე ნივთი, კერძოდ, ტანსაცმელი. სოხუმის კომისარიატმა მოძებნა და დააკავა მძარცველი. მას მოპარული ნივთები და ტანსაცმელი აღმოუჩინეს. მძარცველი კ. კობახიძე დაპატიმრებულია, მისი საქმე გადაეცემა სასამართლოს.

თავდასხმა

4 მარტს, სალამოს მოქალაქე ეფრემაშვილს ორი მძარცველი თავს დაესხა, მაგრამ ამ დროს პოლიციელი იქვე ახლოს იმყოფებოდა და თავდამსხმელები ადგილზე დააკავა. დამნაშავეები აღმოჩნდნენ მოხალისეები გენერალი გედევანოვის ჯარიდან. თავდამსხმელები – ირ. რენავაი და ამვ. მუკავაი – დაპატიმრებულნი არიან.

1 მაისს, სალამოს, აფხაზ მოქალაქეებს, ბომბორასა და კოლოსო-ვსკის თავს დაესხნენ. ყველა მხრიდან ისროდნენ. თავდამსხმელებმა ადგილზე მოკლეს კოლოსოვსკის დისშვილი, მოქალაქე ჯვაკოვი-კოვი. თავდამსხმელებს პოლიცია ეძებს.

მკვლელობა

24 თებერვალს მუგუძურხვაში, პოლიციელი ლ.როგავა სახლში მოკლეს. მკვლეელი უცნობია.

სასამართლოში

6 მარტს დავიდის ასულს, ნ. ჩერქეზიანის მკვლელობაში ეჭვმი-ტანილს, 12 – წლიანი კატორღა მიუსაჯეს.

აფხაზეთის სახალხო საბჭო

აფხაზეთში მცხოვრები ხალხი თავიანთი საბჭოსთვის დეპუტა-ტებს აირჩევს. კენჭისყრაში მონაწილეობს 41 386 ადამიანი და მათ 40-მდე დეპუტატი უნდა აირჩიონ.

კენჭისყრიდან დეპუტატებად აირჩიეს:

ნომერი 1 – 1. დ. ბემბა, 2. ვარლ ჩაჩბა, 3. გ. ბზუხბა, 4. ი.რა-მიშვილი, 5. ვ. ჯუღელი, 6. ვ. ჩხიკვიშვილი, 7. ვ. ღურჯუა, 8. ი. ფაშა-ლიდი, 9. გ. კარალოვი, 10. ხ. ავდალდეკიანი, 11. პ. ჩაჩა 12. კ. პანი-ევი, 13. ა. ჩუგბარ, 14. დ.ზახაროვ, 15. მ. ტარნავა, 16. ლ. ტუმარკინი.

ნომერი 2 – 1. კ.ვარცც, 2. დ. ძკუია, 3. დ. ბაზბა.

ნომერი 3 – 1. ი. გაბეჩია, 2. კ. დჟვაროვ, 3. ს. ჩემოდანოვ.

ნომერი 4 – თავდგირიძე.

ნომერი 5 – პ. გელოვანი.

ნომერი 6 – ა. მარტინ.

ნომერი 7 – არავინ.

ნომერი 8 – 1. დ. ალანია, 2. მ. ცაგურია, 3. ს.ჭანბა, 4. რ. კაკუბავა, 5. ი. მაან, 6. რ. ჭკოტუა, 7. ა. დემიდოვ.

ნომერი 9 – 1. მ. ცაავა, 2. მ. უბირია, 3. ლ. გავლავა, 4. ტ. კვარა-ცხელია, 5. კ. აქრთაა, 6. ა. სვიჟბა, 7. ა. კირია, 8. ე. კობახია

ეს დეპუტატები ამ თვის 18 რიცხვში სოხუმის საბჭოს წევრები უნდა გახდნენ. ეს ადამიანები არიან აფხაზი ხალხის ბედის გადაწყვეტნი და მოსახლეობის წინაშე პასუხისმგებელნი, მათ ხელშია აფხაზი ხალხის ბედი.

აფხაზურენოვანი წიგნების ყიდვის მსურველთათვის

აფხაზური წიგნებია: ანბანის წიგნი, ამოცანები (მათემატიკა), დიდი დღესასწაულები, ანდაზები და ციტატები, „როგორ გავზარდოთ აბრეშუმის ქია“, „ბატების გაზრდა“, „ქათმების მკურნალობა“, „დაავადებების სამკურნალო წიგნი“. ვისაც უნდა, „გორსკაია შკოლა“ შეუძლია მიიღოს მუზეუმში, ხოლო საეკლესიო წიგნები – მიტროპოლიტის სამსახურში. დ. გულიას ლექსები და სატირები გაიყიდება გოგიჯანოვის ცოლის წიგნის მაღაზიაში, სანაპიროს სტუდენტების კიოსკ „დიოსკურიში“, ასევე თვითონ გულიას სახლში.

რედაქტორი: ჯგუფი
ზახაროვის ტიპოგრაფია

„აფსნი“ №13

ოთხშაბათი, 21 ივნისი, 1919 წ.

მიმართვა მასწავლებლებს

გაზეთ „აფსნიში“ არაერთხელ დაწერილა, რამდენად დიდ საქმედ მიგვაჩნია ყმაწვილების მომზადება სასკოლოდ. დღეს კვლავ გვსურს აღვნიშნოთ, რაოდენ მნიშვნელოვანია თუკი თქვენ, პედაგოგები, აფხაზეთის საშუალო სკოლებისათვის ცოტაოდენ დროს გამოყოფთ აფხაზი მოწაფეების სემინარიისთვის, რეალური მასწავლებლებისთვისა და ქალთა გიმნაზიისათვის მოსამზადებლად.

ამ წლის სემინარიის კურსდამთავრებულები იმედისმომცემნი არიან: ისინი შეძლებისდაგვარად ითავებენ თითო ან ორი მოსწავლის მომზადებას. აგრეთვე, სოფლად მომუშავე მასწავლებლები მოამზადებენ თითო მოსწავლეს მაინც სოხუმის საშუალო სკოლებისათვის. გამოდის 30-მდე მოსწავლე. აფხაზეთისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა. ამასთან, ფრიად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, თუ პედაგოგები ზაფხულში სოფლად დარჩებიან და საკვირაო არდადეგების პერიოდში სკოლაში შეკრებენ ხანდაზმულ მოსახლეობას ანბანის შესწავლის მიზნით. მასწავლებლებისათვის ეს დიდი

პატივია და ისინი ისტორიას შემორჩებიან, როგორც აფხაზეთის პირველი განმანათლებლები.

უწინ აფხაზები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მხოლოდ ფინანსურ სარგებელს და სათანადოდ არ აფასებდნენ განათლებისთვის გაწეულ წვლილს. ამჟამად კი გააცნობიერეს განათლების მნიშვნელობა, მიხვდნენ, რომ ადამიანი, რომელიც ეწაფება სწავლას, ხელს უწყობს განათლების განვითარებას. განათლებაში დაბანდებული ფულადი სახსრები არასდროს დაიკარგება. მე ვარ ერთ-ერთი მათგანი, ვისაც ამისი სწამს!

ავტორი: **დ. გულია**

„აფსნი“ №16

ოთხშაბათი, 19 ივნისი 1919 წ.

სახელმძღვანელოების თარგმანი აფხაზურ ენაზე და მათი ბეჭდვა

გაზეთ „აფსნის“ გამომცემელთა ჯგუფს მოეხსენება, რომ ჩვენს კლასებში სახელმძღვანელოების რაოდენობა მცირეა და საკმარისი არ არის მოწაფეებისათვის. ასეთ პირობებში ძალიან რთულია მუშაობა და ეს აფერხებს სწავლების მიმდინარეობას. მომზადდა და გაიგზავნა წერილი სასწავლო დაწესებულებების კომისართან, რათა აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად გამოყოფილ იქნას თანხა 66.500 მანათის ოდენობით. მიმართვას კომისარი, ისევე როგორც ყველა, ვისაც ეხებოდა აღნიშნული საკითხის განხილვა, ერთხმად დაეთანხმა. მიმდინარე კვირის განმავლობაში ეროვნული საბჭო განიხილავს ამ საკითხს. ვიმედოვნებთ, რომ საბჭოც თანხმობას განაცხადებს თანხის გამოყოფაზე. როგორც კი მივიღებთ დადებით პასუხს, მოვიწვევთ სახელმძღვანელოების მთარგმნელებს და მათ, ვინც ზედამხედველობას გაუწევს მასთან დაკავშირებულ პროცესებს და დაუყოვნებლივ შევუდგებით ამ საქმიანობას.

ავტორი: **დ. გულია**

ცოდნა – სინათლე...

ყოველი ერი ისწრაფვის წინსვლისა და განვითარებისკენ. ის ერებიც კი, რომლებიც ცხოვრობენ სტაბილურად და ფუფუნებით, არ ჩერდებიან მიღწეულით და მიილტვიან განვითარებისკენ. მათი მსჯელობაა: დიდები და პატარები აერთიანებენ თავიანთ შესაძლებლობებს იმისათვის, რომ იყვნენ ყველაზე მდიდრები, განათლებულები და ფეხი აუწყონ თანამედროვეობას. დრო გვიჩვენებს, რომ ერები, რომლებიც არ იცავენ საკუთარ თავს, იქ, სადაც არ აერთიანებენ საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებს, არც ვითარდებიან. დიადი ერი არ დაინდობს დამარცხებულ ერს და ისინი გაიმარჯვებენ არა იარაღით, არა რაოდენობით, არამედ განათლებით, ცოდნით, ლოგიკურად მსჯელობის უნარითა და კულტურით, ვინაიდან არ არსებობს ძალა უფრო ძლიერი. ის ერები, რომლებსაც არ გააჩნიათ განათლება და განათლების გამოყენების უნარები, მოქნილობა, რაოდენობრივად რაც არ უნდა მრავალრიცხოვანნი იყვნენ, ჩაიკარგებიან ზღვაში წვეთივით და გაქრებიან.

ჩვენს დროში, სადაც განათლება და კულტურა არ არის სათანადო დონეზე, ან საერთოდ არ არსებობს, ის ერები ქრებიან ან ერწყმიან ისეთ დიდ სახელმწიფოებს, რომელთათვისაც განათლება, სწავლა და კულტურა იარაღია და ასეთი შერწყმის მაგალითი ბევრია.

რისი იმედი გვაქვს ჩვენ, აფხაზებს?! რით ვართ ჩვენ უკეთესი იმ გამქრალ ერებზე?! ახლოს არის გაქრობის და ასიმილაციის პერიოდი! ასეთი პერიოდი – ვილაცისათვის კარგია, თუმცა, ჩვენთვის ავისმომასწავებელია და ყოველი წუთი უძვირფასესია.

აფხაზებო, გამოფხიზლდით! განანათლეთ თქვენი შვილები! აუხილეთ მათ თვალები! აფხაზებო! თუკი თქვენ ივლით იმ ტემპით, როგორიც ახლა, – დაკარგავთ აფხაზეთს!

განათლებისა და კულტურის გარეშე თქვენ ვერ შეძლებთ ვერც თავისუფლების და ვერც ავტონომიის შენარჩუნებას. იარაღით, ბომბით, საუბრებით აფხაზეთს თქვენ ვერ შეინარჩუნებთ. დღეს იარაღად გვევლინება განათლება, განვითარება, კულტურა. გაიღვიძეთ და იარეთ წინ!

ავტორი: **მ. აილაკირბა**

გაზეთების „ხმა ებრაელისას“ 1918 წლის (№1, 2, 3, 4, 5) და „Еврейская жизнь“-ის 1920 წლის (№1, 2, 3, 4, 6, 7, 8) ნომრების სტატიების თემატური მიმოხილვა.

მოამზადა შორენა ოსიპოვამ

საქართველოში, როგორც კავკასიის ცენტრში, ქართველებთან ერთად მრავალი ერი სახლობდა, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები. მცირე ერების წარმომადგენლები ეწეოდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას და ბევრი მათგანი გამოსცემდა საკუთარ ენაზე დაბეჭდილ სხვადასხვა სახის გამოცემას. ებრაული დიასპორა არ ყოფილა გამონაკლისი, მით უფრო, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს – მე-20 საუკუნის დასაწყისში ძალას იკრებდა სიონისტური მოძრაობა და მისი პროპაგანდა მიმდინარეობდა ყველა ქვეყანაში.

საქართველოში ებრაული სათვისტომო ორ ნაწილად იყოფოდა – ქართველი და რუსეთის იმპერიიდან გადმოსახლებული რუსულენოვანი ებრაელები. მათი ცხოვრების წესი და შეხედულებები საკმაოდ განსხვავებული იყო – ისინი ლაპარაკობდნენ სხვადასხვა ენაზე და დადიოდნენ სხვადასხვა სამლოცველოში. განსხვავებულია მათი პერიოდული გამოცემებიც.

ქართველ ებრაელთა გაზეთი „ხმა ებრაელისა“ 1918-1919 წლებში გამოიცემოდა. 1920 წელს დაიწყო რუსულენოვანი გაზეთის – „Еврейская жизнь“ გამოსვლა. ორივე გაზეთი სიონისტური მიმართულებისაა.

დამუშავდა ამ გაზეთების ჩვენს ხელთ არსებული ნომრები, მასალა თემატურად არის დაჯგუფებული. ქართულ ენაზე გამოსული გაზეთი თემატურად უფრო ფართო აღმოჩნდა – გარდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხებისა, გაზეთში იბეჭდებოდა მხატვრული შინაარსის სტატიებიც.

„Еврейская жизнь“ უფრო საქმიან ხასიათს ატარებს და მასში ძირითადად პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების მიმოხილვა მიმდინარეობს. კრებულში არ შესულა სტატიები სიონისტური კონფერენციების, შეკრებებისა და გამოსვლების შესახებ, პალესტინაში მიმდინარე მოვლენებზე და სტატიები, რომლებიც ეხება სხვა ქვეყნების დამოკიდებულებას პალესტინაში ებრაული კერის შექმნის მი-

მართ. ეს თემები ფართოდ არის გაშუქებული უცხოელი მკვლევარების მიერ და გაზეთის გამომცემლების დამოკიდებულება ემთხვევა დასავლეთ ევროპისა და ამერიკელი მოღვაწეების დამოკიდებულებას ამ საკითხების მიმართ.

გაზეთი ხმა ებრაელისა 1918-1919 წლებში გამოიცემოდა. ეს იყო პირველი ქართულენოვანი ებრაული გაზეთი. დღეს „ხმა ებრაელისა“ ბიბლიოგრაფული იშვიათობაა. სავარაუდოდ, ეგზემპლარები საბჭოთა პერიოდში – 1937-1938 წლებში განადგურდა, როდესაც ცნობილი ებრაელი მოღვაწეების დევნა დაიწყო. გაზეთის დამფუძნებლის შვილი, ფაინა ბააზოვა თავის მოგონებებში წერს, რომ მან და მუზეუმის თანამშრომელმა, დავით შაფთოშვილმა შეაგროვეს მასალები ებრაული მუზეუმისთვის, მათ შორის გაზეთები, მაგრამ, როდესაც შეგროვილ მასალას გადახედეს, აღმოაჩინეს, რომ მასალებში დავით ბააზოვის სიონისტური მოღვაწეობის ამსახველ ფაქტებს წარმოაჩენდა. სიონისტური მოღვაწეობა მიუღებელი იყო საბჭოთა წყობისთვის, შესაბამისად, ეს საბუთები გაზეთის გამომცემლების მამხილებელი იყო.

ფაინა ბააზოვამ და დავით შაფთოშვილმა დიდი გარჯის შედეგად შეგროვებული ოჯახებში შემორჩენილი ცალები დაწვეს. ფაინა ბააზოვა ცხოვრების ბოლომდე წუხდა – რამდენად სწორი გადაწყვეტილება მივიღეთო. თავის სანუგეშებლად მხოლოდ ის დარჩენოდა, რომ მის ოჯახში ინახებოდა ეს დოკუმენტები და ესე იგი სრულიად არ განადგურებულა. ამგვარად, „ხმა ებრაელისა“ უკვე მეოცე საუკუნის დასაწყისში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, მას მოსახლეობაც იშორებდა თავიდან, როგორც კომპრომატს. ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებაში ჩვენ მოვიძიეთ გაზეთის პირველი ხუთი ნომრის ქსეროასლი.

შემთხვევითი არ არის, რომ სიონისტური გაზეთი პირველად ქუთაისში გამოიცა, ქართველი ებრაელობის უდიდესი ნაწილი დასავლეთ საქართველოში იყო დასახლებული და მათი კულტურული ცენტრი ქუთაისში იყო.

გაზეთში არ არის მითითებული რედაქტორი, სტატიების ავტორები ან არ არის მითითებული ან მითითებულია შემოკლებით, ფსევდონიმით და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში – სრულად. „Еврейская энциклопедия“ და სხვა წყაროებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ გაზეთს შლომო ციციაშვილი რედაქტორობდა, გაზეთის გამომცემაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რაბინი დავით ბააზოვი, იბეჭდებოდა მისი შვილის ჰერცელ ბააზოვის სტა-

ტიები ფსევდონიმით პატარა ებრაელი და სხვა. პირველსავე სტატი-
აში ვკითხულობთ, რომ მსგავსი ბეჭდვითი ორგანოს შექმნის იდეა
დიდი ხანია არსებობდა, მაგრამ რიგი მიზეზების გამო ფერხდებოდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველ ებრა-
ელთა ცხოვრება ქუთაისში გააქტიურდა, ფუნქციონირებდა „ცეყი-
რე-ციონის“ პარტიის განყოფილება. ცარიზმის პერიოდში ებრაე-
ლები მკაცრი შეზღუდვების პირობებში არსებობდნენ და მხოლოდ
1917 წლიდან მიეცათ გასაქანი ეროვნული მოღვაწეობისთვის.

„ხმა ებრაელისა“ რედაქცია ქუთაისში, სახალხო ფრაქციის
„ცეყირე-ციონის“ ოფისის მისამართზე იყო განთავსებული. რედაქ-
ცია მუშაობდა ყოველდღე 4-6 სს. უქმე დღეების გარდა. „ხმა ებ-
რაელისა“ – კვირა 11 მარტი, 1918 წელი (11 ნისანი 1850 წ. ჩვენი
გალუთისა). რედაქცია განთავსებულია ქ. ქუთაისში, გაგარინის
შესახვევი, მეკინულოვის სახლი №5, სტამბა „ძმობა“ პუშკინის
ქუჩა სახ. გოკიელოვისა. ხელის მოწერით გაზეთი ღირს – 6 მანეთი
6 თვით, 3 თვით – 3 მანეთი. განცხადებები ფასიანია – წინ პეტი-
ტის სტრიქონი – 75 კაპიკი, ტექსტის უკან – 50 კაპიკი. რედაქციაში
პირადი მოლაპარაკება შეიძლება კვირაობით, სამშაბათობითა და
ხუთშაბათობით 10-12 სს. კანტორა ღიაა ყოველდღე შაბათებისა
და უქმე დღეების გარდა 10-1 სს. დაუბეჭდავ მასალებს რედაქცია
არ ინახავს და ამის შესახებ მიწერ-მოწერას არ კისრულობს; ხე-
ლმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. „თბილისში ხელის მოწერა
გაზ. „ხმა ებრაელისაზე“ მიიღება ვ. ბახანაშვილთან: Иерусалимская
ул. Винный тупик“ („ხმა ებრაელისა“ №2)

პირველი სტატია, რომლის ავტორიც მითითებული არ არის,
სრულდება სიტყვებით: „ჩვენ მოვუწოდებთ საზოგადოებას ხელი
შეუწყოს ამ ერთადერთი მისი სურვილების გამომხატველი ორგა-
ნოს აყვავებას და განმტკიცებას.“

„ხმა ებრაელისა“ №2 ეძღვნება ებრაელთა ინტერესებს საქა-
რთველოში. „ხმა ებრაელისა“ იბრძვის ჩვენი ხალხის თვითმოქმე-
დებისა და აღორძინებისთვის, ეცდება მისცეს მკითხველს სრული
სურათი თანამედროვე მსოფლიო ებრაელების ცხოვრებისა. „ხმა
ებრაელისა“ გააცნობს მკითხველებს საქართველოს ებრაელების
ცხოვრების ყველა მოვლენებთან, გამოეხმაურება ყველაფერ მას,
რაც ალელვებს ებრაულ აზრსა და გრძნობას. გაზეთში მოთავსე-
ბული იქნება წერილები იუდაიკიდან: ისტორიიდან, რელიგიიდან,
ებრაულ ლიტერატურიდან და სხვ. ვეცდებით, აგრეთვე, გავაცნოთ
მკითხველს ებრაელთა შორის არსებული ყველა პარტია.“

(„ხმა ებრაელისა“ №5) „ამ ბოლო დროს რედაქციამ მიიღო მრავალი წერილი საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან, სადაც იწერებოდა, რომ ებრაელობა დიდის აღფრთოვანებით შეხვდა გაზ. „ხმა ებრაელის“ გამოსვლასო. ზოგიერთი ამ წერილებიდან მოთავსებული იქნება ჩვენს გაზეთში“.

ჩვენთვის უცნობია, სად ვრცელდებოდა გაზეთი, როგორც ჩანს, მას ძირითადად კერძო პირები იძენდნენ, თუმცა „ხმა ებრაელისა“ №5 დაბეჭდილია ცნობა, რომ „ამხ. ბ. ელიგულაშვილმა გამოიწერა გაზ. „ხმა ებრაელისა“ 6 თვით ქუთაისის სადგურის რკინის გზის მოსამსახურეთა სამკითხველოსთვის“.

როგორც ჩანს, გაზეთს ჰქონდა გარკვეული ფინანსური სირთულეები. №5 დაიბეჭდა შემდეგი მოწოდება: „გაზ. „ხმა ებრაელის“ კონტორა სთხოვს პროვინციელ ამხანაგებს დაუყოვნებლივ მოგვაწოდონ გაზეთის ხვედრი ფული“.

გაზეთის ბეჭდვა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. „ხმა ებრაელისას“ №5 დაიბეჭდა გაზეთის ფონდში შემომწირველთა სია: 1. იეხიელ დავარაშვილი (ცხინვალი) – 3 მან.; 2. ს.ა. თოფჩიაშვილი – 20 მან., 3. ე.მ. ვანდი – 5 მან., 4. ბ.გ. ელიგულაშვილი – 16 მან., 5. მ. მიზრახი – 18 მან., 6. მ. კრიხერი (ცხინვალი) – 5 მან., 7. რ. გორელიშვილი (თბილისი) – 50 მან., 8. მ. ნამთელაშვილი (თბილისი) – 10 მან., 9. ი. ათენელაშვილი (თბილისი) – 10 მან., 10. ბარსკი (თბილისი) – 25 მან., 11. ბრეგმანი (მის მიერ მოგროვილი თბილისში) – 50 მან.

გაზეთი ორ კვირაში ერთხელ გამოდიოდა და სიონისტური მიმართულების იყო, ღიად უპირისპირდებოდა ებრაელი ასიმილატორების პოლიტიკას. საქართველოში ასიმილატორულ პოლიტიკას ძმები მიხეილ და იოსებ ხანანაშვილები ატარებდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქართველი ებრაელები ეროვნებით ქართველი იუდეური რწმენის ხალხი იყო. ხანანაშვილებს გავლენა ჰქონდათ ორთოდოქსულ წრეებზე, ამიტომ ბევრ სინაგოგაში ჰყავდათ მომხრეები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ სიონისტურ ნაციონალურ პოლიტიკას საქართველოში. ასიმილატორებისა და სიონისტების პოლიტიკური დაპირისპირება ჩანს ქართული პრესის ფურცლებზე, მთელი რიგი სტატიებისა დაიბეჭდა გაზეთებში „სამშობლო“, „სახალხო ფურცლი“ და სხვ.

„ცეყირე-ციონ“ – „სიონის ახალგაზრდობა“ იყო სიონისტური ორგანიზაცია, რომლის უპირველესი მიზანი იყო ებრაელების ისრაელში დაბრუნება, ისრაელის აღორძინება (მიწის დამუშავება, ფერმერობა) და მშობლიური ებრაული ენის შესწავლა. ეს ძირითადი ნაზი გატარებულია გაზეთის ყველა ნომერში.

სიონიზმის საფუძვლები (ახად-ჰაბონიმიდან) („ხმა ებრაელისა“ №5)

„რა არის სიონიზმი, როგორც კომპლექსი საზოგადო ძალების მოქმედებისა?

როგორ უნდა გადანაწილდეს სამოქმედო ძალები პალესტინასა და დიასპორას შორის?“

სიონიზმი გულისხმობს ერის თავისუფალ არსებობასა და განვითარებას ისტორიულ სამშობლოში – პალესტინაში. „თუ სიონიზმი, როგორც გადასწყვეტა ებრაული ეროვნული პრობლემისა, განხორციელდება იმ მომენტში, როდესაც პალესტინაში შექმნილი იქნება ჩვენი ერის ცენტრი, და დიასპორის ქვეყნებში ებრაული საკითხი გადაწყვეტილი იქნება იმ გამკურნებელი მოქმედებით, რომელსაც ეს ცენტრი გამოიჩენს მსოფლიო ებრაელების ეროვნულ ცხოვრებასთან შედარებით, მაშინ, სიონიზმი, როგორც გადამწყვეტი ჩვენი ინდივიდუალური „მესი“, ხელშეუხებლების პრობლემის, არასოდეს არ იქნება განხორციელებული მისთვის, ვინც დარჩება პალესტინის გარეთ.“ დიასპორაში მცხოვრები ებრაელებისთვის შეუძლებელი იქნება ებრაული ენის აღორძინება, მიუხედავად იმისა, რომ სიონისტები ცდას არ აკლებენ ამ მიმართულებით: უცხო ქვეყანაში ებრაელები უცხო ენაზე ლაპარაკობენ, ისინი ცხოველებსაც კი უცხო ენაზე ელაპარაკებიან, პალესტინაა ერთადერთი ადგილი, სადაც ებრაული ენაა უპირველესი. სიონიზმი გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, სულიერ ერთობას, თვითიდენტიფიცირებას ებრაელად. ებრაელები პალესტინაში მხოლოდ თავისი პირადი ცხოვრების მოსაწყობად არ უნდა წავიდნენ, მათ უპირველესად სულიერი ერთიანობა უნდა გაითავისონ. ამიტომ საჭიროა საერთო ატრიბუტების, ნიშნების შექმნა. ძველ სამშობლოში მცხოვრები ებრაელების მიზანია „გააღვიძონ ხალხის გრძნობა, და გაღვიძებისთანავე შეგნებული ნაწილის მთელი ენერგია და უფლება მიმართონ ბედნიერი და ნორმალური ცხოვრების შექმნისკენ ძველ სამშობლოზე.“

გაზეთის პირველივე ნომერში წამოყენებულია ქართველი ებრაელების უპირველესი პრობლემა (სიონისტების თვალთახედვით): „წარსული საქართველოს ებრაელების ცხოვრებისა წარმოადგენს საშინელ სურათს. მთელი მისი ცხოვრება აკვნადან სამარემდე გამოიხატებოდა მხოლოდ ლუკმა-პურის ძებნაში, ალასფერივით წოწიალში ტვირთით ზურგზე... სულიერი სიღატაკე და საშინელი სიბნელე სუფევდა იქ. ის განზე იდგა ყოველგვარ სწავლა განათლებისაგან და გაურბოდა მას, როდესაც მისკენ მოუწოდებდნენ.“

ამგვარად, სიონისტები უპირველეს ამოცანად ერის განათლებასა და მისი კულტურულ და ეროვნულ აღორძინებას მიიჩნევდნენ. „ხმა ებრაელისას“ პირველ ნომერში პირველ გვერდზე განთავსებულია განცხადება: ჰ.გ. შუსტერის მიერ დაარსებული პირველი ებრაული გიმნაზია ეძებს ებრაულის მასწავლებელს, რომელსაც უმაღლესი განათლება უნდა ჰქონდეს მიღებული. ეს უკვე ებრაულის სწავლების ახალ საფეხურს აღნიშნავს, რადგან ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ებრაელებისთვის მშობლიური ენა ქართულია. ებრაულის მასწავლებელი უმაღლესი განათლებით რამდენიმე ათეული წლით ადრე თბილისში წარმოუდგენელი იყო. „ხმა ებრაელისას“ №2 განთავსებულია განცხადება, ორგანიზაცია „ცეყირე-ციონი“ 25 თებერვლიდან ებრაული ენის შესწავლის მსურველებს სთავაზობს, დაესწროს ებრაული ენის საღამოს კურსებს სამშაბათობით და ხუთშაბათობით 4-6 საათამდე. წევრების გარდა მიიღება გარეშე პირებიც, თვიური გადასახადი არანაკლებ 5 მანეთისა, კურსებზე ჩაწერა შესაძლებელია ყოველდღე 3-7 საათამდე სიონისტთა ბიუროში, გარდა ებაელეების უქმე დღეებისა.

ასიმილატორები

სიონისტები უპირველეს მოწინააღმდეგეებად ასიმილატორებს თვლიდნენ. „ჩვენი ბრწყინვალე ასიმილატორები, რომლებსაც გონიათ, რომ მათი „დიპლომატიური მოლაპარაკებით“ ქართველ საზოგადოებასთან, ვითომდა სწყდებოდეს საქართველოს ებრაელების ეროვნული ვინაობის საკითხი... ჩვენ ვეცდებით აგრეთვე თავი წავეჭრათ იმ ასიმილაციის ჰიდრას, რომელიც, მართალია, ჯერ კიდევ უძლურია, მარგამ, რომელიც, თუ არ გავუმკლავდით მას, წარმოადგენს დიდ საფრთხეს. ჩვენი პოზიცია არ არის შეტევითი, ის არის მოგერიებითი და მხოლოდ მოგერიებითი, ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენი საზოგადოების მოწინავე ელემენტებს, ჩვენს ახალგაზრდობას, ყველა მათ, ვისაც სწამს ჩვენი ერის მთლიანობა, მისი განუყოფლობა, ვისშიც იწვის ღვთაებრივი ცეცხლი ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ მუშაობისა, ვინც მოწოდებულია დააყენოს ის სწორ გზაზე და ხელი შეუწყოს რაც შეიძლება უტკიერად ჩატარებას ამ პროცესისას“ („ხმა ებრაელისა“ №1).

(„ხმა ებრაელისა“ №2) მ. თავდიშვილმა სტატია მიუძღვნა ასიმილატორებს „გაკვრით“ სტატიაში თავდიშვილი ვრცლად საუბრობს იმის შესახებ, რომ ებრაელებმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა

2000 წლის წინ დაკარგეს, მაგრამ შეინარჩუნეს ეროვნული სპეციფიკური თვისებები და არ გათქვეფილან მათ გარშემო მყოფ ერებში. ამ მოვლენას სტატიის ავტორი იმით ხსნის, რომ სადაც არ უნდა დასახლებულიყვნენ ებრაელები, ყველგან თავს მოსულებად და უცხოებად თვლიდნენ და საზოგადოებაც ასე აღიქვამდა მათ. ამან ხელი შეუწყო ზნე-ჩვეულებებისა და ენის შენარჩუნებას. ებრაელები არ გამოირჩეოდნენ ბრძოლის უნარით, თუმცა ინარჩუნებდნენ სულიერ სიძლიერეს „მათ შექმნეს მსოფლიო გმირები, მნათობები: რაბი ეიჰუდა ჰალევი, ჰარამბამი, აბარბინელი, სპინოზა, მენდელსონი, ჰეინე, მარქსი და მრავალი სხვა.“ ერის სულიერი სიძლიერის შენარჩუნების მიზეზად შ. თავდიშვილი რელიგიას მიიჩნევს.

თუმცა, მეთვრამეტე საუკუნიდან იწყება მასიური ასიმილაცია, რომელიც ევროპაში დაიწყო და მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის იმპერიაში გაგრძელდა. ასიმილაციის გამო საძირკველი გამოეცალა ერის მთლიანობას, ისინი კარგავდნენ რელიგიას და ეროვნულ მისწრაფებებს. ამ პრობლემის სათავეს თავდიშვილი საფრანგეთის რევოლუციაში ხედავს. რევოლუციიდან ასი წლის შემდეგ საფრანგეთში ებრაელების ხსენებაც აღარ არის, რადგან მათ სხვა მოქალაქეებთან თანაბარი უფლებები მიიღეს. იგივე განმეორდა ევროპის სხვა განვითარებულ ქვეყნებში. პირადი უფლებების მოპოვების შემდეგ ებრაელები აღარ თვლიდნენ საჭიროდ, ეროვნული უფლებებიც მოეთხოვათ. „ასიმილატორთა ბრბო აკუთვნებდა ებრაელის ერს ერთგვარ „სარწმუნოებრივ მისიას“, რომელიც მან უკვე შეასრულაო და გვარწმუნებდნენ, რომ ებრაელი ერი, როგორც ასეთი, აღარ არსებობსო, და სწყვეტდნენ ებრაელი ერის პრობლემას სხვა ძლიერ ერებთან სულიერად და კულტურულად დამორჩილებით და მათშივე გათქვეფით. ამით ისინი ვერ გრძნობდნენ, რომ ამ საშუალებითვე იწვევდნენ საზოგადოებრივ ანტისემიტიზმს. ჩვენს წინაშე წარსდგა ერთგვარი „მონობა თავისუფლებაში“ („ხმა ებრაელისა“ №2).

ამ კრიზისმა გამოიწვია ახალი მოძრაობის წარმოშობა, ეროვნული მოძრაობის, რომლის ლოზუნგი იყო „იებრი – ვეადამ“ (ებრაელიც და ადამიანიც). ამ დროს პირველად ითქვა, რომ ებრაელი შეიძლება დარჩეს ებრაელად და ადამიანად. ამ მოძრაობას მოჰყვა სიონიზმი. „ამ ჩემს სულიერ თავისუფლებას არ გავცვლი არაფერ „უფლებებში“ მთელ ქვეყანაზე“, – ამბობდა ახალ ჰაყამი თავის „ყაბდუთ ბეთოხ ხერუთში“.

სტატიაში შ. თავდიშვილი წერს, რომ სხვა დაჩაგრული ერები: პოლონელები, ჩეხები და სხვები თავისთვის თხოულობენ ავტონო-

მიურ უფლებებს, მაგრამ, ამასთანავე, ცდილობენ, რომ მათ შორის მცხოვრები ებრაელები გაითქვიფონ მათში და მათთან ერთად იზრუნონ მათი ეროვნული უფლებებისთვის. რუსეთის ებრაელობა, თავდიშვილის აზრით, უფრო ღირსეულად მოიქცა. სრულიად რუსეთის ებრაელობის ყრილობის მოწვევა შეუძლებელი იყო ქვეყანაში არსებული სრული ანარქიის გამო, მაგრამ პირველი ნაბიჯები გადაიდგა. თავდიშვილი მიიჩნევს, რომ ამ ყრილობას საქართველოს ებრაელებიც უნდა შეუერთდნენ. როგორც ჩანს, ავტორი მაინც რუსეთის იმპერიის ნაწილად აღიქვამს ჯერაც თავს და რუსეთის ებრაელებთან მეტ საერთოს ნახულობს, ვიდრე ევროპელ ებრაელებთან.

გაზეთის ფურცლებზე დიდი ადგილი ეთმობოდა თვითმმართველობის არჩევნების საკითხს. ადგილობრივი ეროვნული თვითმმართველობის საბჭოების შექმნა კავკასიაში პირველად აზერბაიჯანში დაიწყო, სადაც ძლიერი ებრაული დიასპორა არსებობდა, მოგვიანებით იგივე პროცესები დაიწყო საქართველოში. თავდაპირველად ადგილობრივი თვითმმართველობა რუსეთის სრულიად ებრაელთა ეროვნულ საბჭოსთან შეთანხმებით მოქმედებდა. კავკასიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ „კაჰალიც“ დამოუკიდებელი გახდა და ადგილობრივი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა.

ადგილობრივი თვითმმართველობა

(„ხმა ებრაელისა“ №1) საუბარია ადგილობრივი თვითმმართველობის (ობშინების) დაარსების აუცილებლობის შესახებ. ბენ იეშურუნი თავის სტატიაში „სამომენტო“ („ხმა ებრაელისა“ №1) – „ჩვენი ცხოვრების ორ უდიდეს ნაკლს შეადგენდა და შეადგენს უმიწობა და ეროვნული ორგანიზაციის უქონლობა“. შ. პალევი („ხმა ებრაელისა“ №1) – „მთელი ორი ათასი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ჩვენ, ებრაელებმა, დამოუკიდებლობა დავკარგეთ და გალუთი (დიასპორაში) დავიფანტეთ, ჩვენ შინაურ საქმეებს განაგებდა ჩვენივე თვითმმართველობა (კაჰალი). დიდი ხნის განმავლობაში კაჰალს ყველგან სრული უფლება ჰქონდა (ავტონომია): ის განაგებდა ეროვნულ და სარწმუნოებრივ ყველა საქმეებს. მხოლოდ ბოლო დროს, ზოგან რეჟიმის გამო, ზოგან კი ასიმილაციური მოძრაობის გამო კაჰალის ფუნქციები ძალიან შეზღუდული იქმნა და ბევრ ადგილებზე შინაური საქმეების გამგეობა გადავიდა გაბაების (სტაროსტების) ხელში. რასაკვირველია, ასეთმა გამგეობამ ძალიან შეაფერხა ჩვენი ერის წინმსვლელობის საქმე; შეწყდა ძაფი შემაერთებელი გელუთის

ებრაელობისა, დავკარგეთ წარმომადგენლობა, ძალა წაგვერთვა და ყოველმხრივ უკან ვიხევდით.“

„ხმა ებრაელისას“ რედაქცია სთხოვს მკითხველებს გამოთქვან თავიანთი აზრი ადგილობრივი თითმმართველობის არჩევნების შესახებ.

„რა არის ებრაული თვითმმართველობა კაპალი? ეს არის ისეთი დაწესებულება, რომელიც განაგებს ებრაელთა შინაურ საქმეებს, სრულიად დამოუკიდებლად საერთო სახელმწიფო მთავრობისაგან, მთავრობას აქვს უფლება თვალყური ადევნოს იმას, რომ კაპალის დადგენილებანი არ ეწინააღმდეგებოდეს საერთო-სახელმწიფო კანონებს, თავის მუშაობაში კი კაპალს აქვს სრული ავტონომია და სარგებლობს იურიდიული ყველა უფლებებით ესე იგი, მის დადგენილებას აქვს ისეთივე ძალა, როგორიც სახელმწიფო დაწესებულებებისას, მისი გარდაწყვეტა-დადგენილებანი სავალდებულოა ყოველი ებრაელისათვის. კაპალს ექნება კავშირი სხვა, მის გარეშე მყოფ, დაწესებულებებთან და ეს უნდა მოხდეს კანონმდებლობის საშუალებით. კაპალი უნდა იყოს დემოკრატიული თვითმმართველობა, ერთეული, ადგილობრივი ყველა ებრაელებისთვის.“ კაპალის არჩევაში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა სქესის მორწმუნე ებრაელს. კენჭისყრა უნდა ყოფილიყო პირდაპირი, ფარული ხმის მიცემით. წევრები პროპორციული სისტემით იქნებოდნენ წარმოდგენილები. დიდ ქალაქებში კაპალი უნდა შემდგარიყო 71 წევრისგან, პატარებში – 23. (თუმცა, შ. ჰალევი დასძენს, რომ წევრების რაოდენობა სრულიად რუსეთის ებრაელთა ყრილობამ უნდა განსაზღვროს). ქუთაისის საბჭოში უნდა ყოფილიყო 23 წევრი, მათგან უნდა არჩეულიყო თავმჯდომარე და კაპალის საბჭოს კომიტეტი, რომელიც შედგება 7 წევრისგან: 1 თავმჯდომარე (რომ ჰავადაყ), 2 მისი ამხანაგი (სეგან), დანარჩენი 5 წევრი. კომიტეტის წევრებს უნდა დაენიშნოთ ჯამაგირი და ისინი სხვა საქმით არ უნდა იყვნენ დაკავებული (შ. ჰალევი წერს, რომ, საუბედუროდ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენში (ქუთაისში) გამოჩნდნენ 7 ისეთი ებრაელი, რომლებმაც მთელი თავისი დრო შესწირონ საზოგადო საქმეს, თუ გინდ ჯამაგირითაც. ყოველ შემთხვევაში თავმჯდომარე და ერთი წევრი უსათუოდ ჯამაგირით უნდა იქნენ და, რასაკვირველია, მათ მეტი საქმე არაფერი უნდა ქონდეთ“ („ხმა ებრაელისა“ №2). კაპალის ფუნქციები: 1. კაპალის ბიუჯეტი (გაბაი ჰაკუფა); 2. რელიგიური (მილე დიშმაია), რაბინი, შოხეტები, სასაფლაო და სხვ.; 3. სახალხო განათლება „მილედემათა“; 4. საზოგადოებრივი ზრუნვა: სამკურნალო, ობოლთა თავშესაფრები

და სხვ.; 5. ეკონომიკური დახმარება: კოოპერატივები, ლტოლვილთა (გადასახლებულთა) დახმარება.

„ხმა ებრაელისას“ №2 დაიბეჭდა ცნობა, რომ 1918 წლის 22 და 23 აპრილს თბილისში გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. „ცეყირე-ციონი“ (სიონისტური ორგანიზაცია) ცალკე სიით წარსდგა ამ არჩევნებში, ნომერი 1-ით.

ბაქოს „კაჰალის“ საბჭომ გადაწყვიტა კავკასიის ყველა ადგილობრივი თვითმმართველობის ყრილობის მოწყობა ბაქოში.

„ხმა ებრაელისას“ №2 იტყობინებოდნენ, რომ კაჰალში არჩეულ იქნა 11 პირი, მათ შორის 8 სიონისტი იყო.

„ხმა ებრაელისას“ №3 გამოქვეყნდა ცნობა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ სურამში. არჩევნების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სიონისტებმა მიიღეს 115 ხმა. ადგილობრივი რაბინი დამთვრალიყო და აღშფოთებულს დაეხია სიონისტთა ყველა ბიულეტენი. როგორც ჩანს, ეს რაბინი ასიმილატორების მომხრე იყო.

თბილისის ებრაულ თვითმმართველობის არჩევნებში სიონისტური ორგანიზაცია სახალხო ფრაქცია „ცეყირე-ციონი“ გამოდის „ალგემეინ“ – სიონისტებთან ერთად, სია №6 – გვატყობინებს „ხმა ებრაელისას“ №3. 3-4 წელიწადში ებრაელთა რიცხვი დედაქალაქში საკმაოდ გაზრდილა, თუმცა სრულიად რუსეთის ებრაელთა ყრილობაზე წარდგენილი სია არასრული ყოფილა. ახლო მომავალში თბილისში ჩასატარებელი „კაჰალის“ არჩევნებისთვის ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად რედაქცია მიმართავს ყველა ებრაელს, რომ ჩაეწერონ სიაში. ებრაული თვითმმართველობის საბჭოს კომიტეტები ჩაწერას 10 აპრილამდე აგრძელებდნენ შემდეგ მისამართაბზე: 1. „თალმუდ თორას“ ბინაზე; 2. მ. მაიზელსონის მაღაზიაში სასახლის ქუჩაზე და 3. საქართველოს ებრაელთა სალოცავში.

1918 წლის მაისში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ებრაულმა დიასპორამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა რუსეთის ებრაელობისგან, მათ უარი თქვეს სრულიად რუსეთის ებრაელობის ყრილობაში მონაწილეობაზე, ასევე „ხმა ებრაელისას“ №4 დაიბეჭდა სტატია, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს კაჰალები აღარ იქნება რუსეთის ებრაელთა საბჭოს განკარგულებაში. შემდეგ ნაბიჯად განიხილებოდა „ამიერკავკასიის ებრაული საბჭოს“ შექმნა იმ პირთაგან, რომლებიც ამორჩეულები იყვნენ სრულიად რუსეთის ებრაელთა ყრილობის დელეგატებად. სამომავლოდ იგეგმებოდა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება ყველა დაბასა და ქალაქში. შემდეგ უნდა შემდგარიყო სრულიად ამიერკავკასიის

კაპალების საბჭოების ყრილობა, სადაც უნდა შექმნილიყო მუდმივი ეროვნული საბჭო, უნდა დადგენილიყო კაპალების სამოქმედო გეგმა, რომელიც სავალდებულო იქნებოდა ყველა კაპალისთვის და გამოარკვევდა ებრაელთა მოთხოვნათა მაქსიმუმს, რომელიც უნდა წარდგენილიყო ამიერკავკასიის მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად. „შევუდგეთ მუშაობას ჩვენი და ამიერკავკასიის საკეთილდღეოდ“. „ჩვენ მივესალმებით ამიერკავკასიის რესპუბლიკას, მივესალმებით ამიერკავკასიის ყველა ერებს, მივესალმებით განთავისუფლებულ საქართველოს და დარწმუნებულები ვართ ფედერატიულ რესპუბლიკაში ადგილი არ ექნება უმცირესობის დაჩაგვრას“ („ხმა ებრაელისა“ №4).

(„ხმა ებრაელისა“ №4) „ყველასთვის სასიხარულო ნაბიჯი გადადგა სეიმმა განიხილა რა ამიერკავკასიის გაჭირვებული მდგომარეობა. სეიმმა ღირსშესანიშნავი დასკვნა გამოიტანა: გამოაცხადოს ამიერკავკასია დამოუკიდებელ რესპუბლიკად და საზავო მოლაპარაკება განაგრძოს...“ სტატიის ავტორი წერს, რომ საქართველო და მთელი სამხრეთ კავკასია სამუდამოდ ჩამოშორდა ოდესლაც მძლავრ და ახლა ანარქიით გათიშულ რუსეთს.

რა დამოკიდებულება ჰქონდათ ეროვნულ უმცირესობებს, კერძოდ ებრაელებს ამ ნაბიჯის მიმართ? ისინი სრულად იზიარებენ სახელმწიფოებრივ პოზიციას, ებრაელობა წყვეტს, რომ ისინი აღარ არიან რუსეთის ებრაელობის ნაწილი და ცალკე დიასპორას წარმოადგენენ, რუსეთი აღარ არის ცენტრი ქართველი ებრაელობისთვის. ქართველი ებრაელები უარს ამბობენ სრულიად რუსეთის ებრაელების ყრილობაში მონაწილეობის მიღებაზე და ქართული საკრებულოები (კაპალები) აღარ იქნებიან რუსეთის ებრაული საბჭოს განკარგულებაში.

№4 დაიბეჭდა მგზნებარე მოწოდება ებრაელებისადმი – მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და ხმა მისცენ სია №6, თუ მათთვის ღირებულია ებრაელი ერის ისეთი ფასეულობები, როგორებიცაა: წარსულთან კავშირის შენარჩუნება, მძლავრი ებრაული თვითმმართველობის შექმნა, თუ აღარ სურთ სიღარიბეში ცხოვრება, ენის შენარჩუნება, ებრაელების აღორძინება ისტორიულ სამშობლოში, დემოკრატიული სახალო მმართველობის ქონა, თვითმმართველობის სათავეში ეროვნული კულტურისა და ფასეულობების მატარებელი პირების დანიშვნა. პათოსისა და სტატიის ენით თუ ვიმსჯელებთ, სავარაუდოდ, სტატია დავით ბააზოვის მიერ უნდა იყოს დაწერილი.

„ხმა ებრაელისა“ №4 დაიბეჭდა ბენ-იაკობის სტატია „საპასუხისმგებლო მოვალეობა“. გაზეთის გამოსვლა დაემთხვა არჩევნების

დღეს თბილისში. „22 და 23 აპრილს თბილისში ეყრება საფუძველი ებრაულ ეროვნულ შენობას, ეროვნულ თვით მართველობას. როგორც იქნა თფილისის ებრაელებს ელირსათ დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული კაპალი...“ კაპალს უნდა გაეერთიანებინა აშკენაზები და ქართველი ებრაელები, პროპორციული არჩევნების შედეგად გამოვლინდებოდა ყველა იდეური მიმდინარეობა ებრაელებს შორის. ავტორის აზრით, ქართველი ებრაელების პრიორიტეტი იყო სია №6, ანუ სიონისტური პარტია, რადგან ქართველი ებრაელებისთვის ნათელი იყო ის ღვაწლი, რომელიც სიონისტებმა გასწიეს ებრაელების გასაერთიანებლად და მათი უფლებების დასაცავად. სიონისტების კანდიდატები იყვნენ ცნობილი მოღვაწეები: მ. შტრაიხერი, მ. გრუზენბერგი (რომელიც არის თვითმმართველობაში გასული თბილისის ებრაელთა წარმომადგენელი), კოკიელაშვილი და სხვა მრავალი. თბილისის ებრაელობამ კაპალის შექმნა დაავიანა სხვა ქალაქებთან შედარებით. სტატიის ავტორი მოუწოდებს ყველა ებრაელს, ქალებსა და კაცებს, რომლებსაც 20 წელი შეუსრულდათ, ხმა მისცენ სიონისტურ პარტიას და თავიანთ კანდიდატს და, რაც მთავარია, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.

„ჩვენი თვითმართველობა“ შ. ჰალევი

(„ხმა ებრაელისა“ №5) ადგილობრივი თვითმართველობის ფარგლებში შეიქმნა კომისიები:

1. სარწმუნოებრივი კომისია. მისი ძირითადი ფუნქციებია სალოცავების, სასაფლაოების, ტეხილის და სხვ. მოვლა-პატრონობა, სისუფთავის დაცვა. ამავდროულად კომისიას დაევალა ზომების მიღება იმისთვის, რომ ებრაელ ხელოსნებსა და ვაჭრებს უფლება მიეცეთ იმუშაონ არაებრაელთა უბნებშიც.

2. საზოგადოებრივი ზრუნვის კომისია. ებრაელ თემს არ ჰქონდა საქველმოქმედო ორგანიზაციები, ყოველი ქველმოქმედება სალოცავთან წარმოებდა. სალოცავი მხოლოდ ლოცვისთვის უნდა იყოს. ამიტომ კომისიას დაევალა თავშესაფრების და იაფი სასადილოების შექმნა, აგრეთვე იგეგმებოდა მოხუცთა თავშესაფრის შექმნა, რადგან მოხუცი უშვილო ებრაელი განწირული იყო სიღარიბისთვის.

3. განათლების კომისია. მას ევალებოდა სასწავლო დაწესებულებების დაარსება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დაწყებითი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც პირველი ადგილი ებრაულ ენას დაეთმობოდა, ხოლო ქართული და რუსული

(სახელმწიფო ენები) შეისწავლებოდა როგორ მეორადი. კურსდამთავრებულებს უნდა შეძლებოდათ ებრაულად თავისუფლად ლაპარაკი, წერა და კითხვა (უნდა ეკითხათ თანახმი და გემარა ორიგინალის ენაზე), ებრაელი ერის ისტორია. კომისიას ევალებოდა აგრეთვე საღამოს სკოლების მოწყობა მოზრდილებისათვის, ასევე ბიბლიოთეკა, სამკითხველო.

დაწყებითი სკოლა უფასო და სავალდებულო უნდა ყოფილიყო, იგეგმებოდა აგრეთვე სახელოსნო სასწავლებლების შექმნა.

4. ეკონომიკურ კომისიას ევალებოდა კორპორაციების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა ებრაელ ხელოსნებს.

5. „კაჰალს“ ევალებოდა უფასო საავადმყოფოების მოწყობა ღარიბებისთვის, „საზაფხულო კოლონიების“ შექმნა ბავშვებისთვის, რაც სასარგებლო იქნებოდა მათი ფიზიკური განვითარებისთვის.

6. თვითმმართველობა ბიუჯეტს მიიღებს და დამოუკიდებლად აწარმოებს მას. ანგარიშში ასახული უნდა ყოფილიყო ხარჯები. თვითმმართველობას შეეძლო დაეწესებინა საწევრო გადასახადი თავისი საქმიანობისათვის.

7. ერეც-ისრაელის კომისია. ამ კომისიას ეკისრებოდა თანხების შეკრება ისრაელში არსებული ორგანიზაციებისთვის, ასევე უნდა დახმარებოდა „გადასახლების“ (რეპატრიაციის) მსურველებს.

„კაჰალის“ ოფიციალურ ენად განისაზღვრა ებრაული.

„აგუდათ ისრაელი თუ კაჰალი“ („ხმა ებრაელისა“ №5) (სტატიის ბოლოს მინაწერი ემეტ)

ბოლო დროის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ყველა კუთხის ებრაელობამ გამოიღვიძა, ჩააფიქრა და აამოძრავა. ნელ-ნელა ისწავლეს მტრისა და მოყვარის გარჩევა. სიმპათიით შეხედა „კაჰალის“ დაარსების იდეას. მაგრამ სიონისტების აზრით, „აგუდათ ისრაელი“ უკმაყოფილო დარჩა ერის გამოღვიძებით და სასწრაფოდ გადაწყვიტა ზომების მიღება. სტატიის ავტორის აზრით, „აგუდათ ისრაელმა“ ყველაზე იაფ და მარტივ ხრიკს მიმართა: გამოსცა დეკრეტი, რომელიც კრძალავდა სალოცავებში „კადიშის“ გაყიდვას, დაამახინჯა სიონისტების მოწოდებები და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა სცადა. მაგრამ, ავტორის მტკიცებით, ხალხი აღარ არის გულუბრყვილო და არ მისცემს უფლებას „აგუდათ ისრაელს“ „ითვითმპყრობელოს“. სიონისტების აზრით, ყველა პოლიტიკურ პარტიას აქვს უფლება იარსებოს, მათ შორის „აგუდათ ისრაელს“, თუმცა ეს უკანასკნელი (სიონისტების აზრით)

პარტიად ვერ ჩაითვლება, რადგან არ ჰქონდა პროგრამა და მისი ლოზუნგები იყო: „ძირს განათლება! ძირს სასწავლებელი! ძირს ხალხის ნება, გაუმარჯოს პლუტოკრაციას! გაუმარჯოს შემთხვევითი პირების ბატონობას!“ „აგუდათ ისრაელი“ „კაჰალის“ წინააღმდეგი იყო, რადგან თვითონ სურდა თვითმპყრობელობის ხელში ჩაგდება. ავტორი ამბობს, რომ „კაჰალი“ ებრაელებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია უპირველეს ყოვლისა იმისთვის, რომ ახალი თაობა ებრაულად აღიზარდოს.

კორესპონდენცია. თბილისი / თბილისელი ებრაელი („ხმა ებრაელისა“ №5)

რევოლუციის შემდეგ თბილისში არჩევნები ოთხჯერ ჩატარდა: ქალაქის თვითმმართველობის, დამფუძნებელი კრების, სრულიად რუსეთის ებრაელების ყრილობისთვის და ბოლოს – თბილისის ებრაული ეროვნული საბჭოსთვის, „კაჰალისთვის“ (22-23 აპრილს). არჩევნებმა ცხადყო, რომ ებრაელებს არ დაუკარგავთ ეროვნული თვითშეგნება და უმეტესად ემხრობოდნენ სიონისტებს – „ლემანა ჰაბაა ბირუშალაიმ“ (მომავალი წელი იერუსალიმში) (ცარიელი სიტყვები არ ყოფილა. პათეტიკური სიტყვებით განმსჭვავული სტატია ცხადყოფს, რომ სიონიზმი ძალას იკრებდა საქართველოში, რაც გულისხმობდა ქართველი ებრაელების მისწრაფებას გაერთიანებულ იყვნენ თავიანთ თანამოდემებთან პალესტინაში.

არჩევნების შედეგები, თბილისის ებრაულ ეროვნული საბჭოსთვის (კაჰალისათვის) („ხმა ებრაელისა“ №5)

სიათა ნომრები	სია №1 „პარტიათა გარეშე“	სია №3 „ნეცახ ისრაელ“	სია №5 „ბუნდი“	სია №6 „სიონის- ტები“	სია №7 „ფოყალე ციონ“
„ახალციხელ“ ებრაელების სალოცავში	4	1	6	608	2
დიდ სალოცავში	108	126	131	175	57
თალმუდ- თორაში	141	202	185	153	71
სულ	253	329	322	936	130
რამდენი კანდიდატი გავიდა	4	5	5	15	2

№1 სიით გავიდნენ:

1. მონინ – დოქტორი მედიცინისა (სიონისტი),
2. პოლიაკ – ინჟინერი,
3. ბოგად – კომერსანტი,
4. სპექტორი – აქიმი.

№3 სიით გავიდნენ:

1. მარკუსი – ყოფილი რაბინი,
2. ფრეიდზონი (სიონისტი),
3. იოფე (სიონისტი),
4. ბიხოვი (სიონისტი),
5. კორონა.

№5 სიით გავიდნენ:

1. ლურიე – ნაფიცი ვეჭილი,
2. გეფშტეინი,
3. ბროდსკი – ვეჭილი,
4. ხეიფცი,
5. ლევი.

№6 სიით გავიდნენ:

1. ლ. შტრეიხერი, აქიმი, კავკასიის სიონისტთა ცენტრალური კომიტეტის წევრი, დელეგატი სრულიად რუსეთის ებრაელთა ყრილობაზე,

2. გრუზენბერგი მ.ო. – ნაფიცი ვეჭილი, თბილისის ქალაქის თვითმმართველობის ხმოსანი,

3. კოკიელაშვილი ე.ი. – პედაგოგი,

4. სობოლ ი.ლ.

5. გორელიშვილი რ.ი.,

6. რამენდიკ ბ.გ. – აქიმი,

7. შათარაშვილი მ.შ.,

8. ბერმან ფ.ი.,

9. ელიაშვილი ნ.დ.,

10. გედალინ გ.ა. – აქიმი,

11. ბაბურაშვილი ი.დ.,

12. ფლიტ ა.ს.,

13. ბარსკი გ.შ.

14. ხასმიანიკ ა.ნ.,

15. ხარლაფ ხ.ი.

№7 სიით გავიდნენ:

1. მახთეი ა.ე.
2. აქსელროდ ი.ს.

ამ მონაცემების მიხედვით ნათელი ხდება, რომ ქართველი ებრაელების თბილისის სინაგოგაში მცირე გამონაკლისის გარდა, ყველამ სიონისტებს მისცა ხმა. გამარჯვებულ კანდიდატებს შორის ქართული დაბოლოების მქონე გვარები მხოლოდ სიონისტების სიაში გვხვდება, ისიც მხოლოდ მესამედი (5 წევრი). რაზე მიუთითებს ეს ფაქტი? შესაძლოა, ქართველ ებრაელებს შორის არ იყო ბევრი საკმარისად განათლებული ადამიანი ან, შესაძლოა, აქ ჩანს დაპირისპირება ქართველ ებრაელებსა და აშკენაზებს შორის. ეს დაპირისპირება არაერთხელ აისახა ქართული პრესის ფურცლებზე.

„თბილისის „კაჰალის“ პრეზიდენტში გავიდეს: თავმჯდომარეთ – მ.ო. გრუზენბერგი (სიონ.), თავმჯდომარის ამხანაგათ – მ.ლ. შტრეინერი (სიონ.), მდივანთ – ბერმანი (სიონ.).“

მზადდება და ახლო მომავალში გამოვა წიგნაკი: „ებრაელთა თვითმმართველობა (კაჰალი)“. მისამართი ქუთაისი, ფოშტის ყუთი №54, რედ. გაზ. „ხმა ებრაელისა“.

თვითმმართველობა საზღვარგარეთ

გაზეთში საუბარია აგრეთვე თვითმმართველობის არჩევნებზე ქვეყნის საზღვრებს გარეთაც: მოსკოვში აირჩიეს რაბინი მაზე და იურისტი ო. გრუზენბერგი.

„პეტროგრადში თვითმმართველობის არჩევნები დიდი სიციხველით ჩატარდა. ებრაელების ყველა პარტიები განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ მას და ძლიერი აგიტაცია გააჩაღეს. სულ საბჭოში ასარჩევი იყო 70 კაცი, არჩევნების შედეგები ასეთია: სიონისტებმა მიიღეს 35 ადგილი (50%) ორთოდოქსებმა მიიღეს 9 ადგილი (13%), „სახალხო პარტიამ“ და „ბუნდმა“ რვა ადგილი (11,4%). „სახალხო ჯგუფმა“ 5 ადგილი (2,8%), „უპარტიოებმა“, „დემოკრატიულმა ჯგუფმა“ და „ფოყალე ციონმა“ თითო ადგილი (1,4%).

რუსეთში ადგილობრივი თვითმმართველობა უფრო განვითარებული იყო. 1918 წლის 18 იანვარს სრულიად ებრაელთა ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა მოეწყო. აქ შემუშავდა ყრილობის პირობები:

ყრილობა გაიხსნება 15 არჩეული დეპუტატის შეგროვებისთანავე.

თითო მოხსენებას დაეთმო 40 წუთი.

ყრილობას შეუძლია, აგრეთვე, წამოაყენოს ლენერალ-როდნერები, რომლებსაც დაეთმო 30 წუთი. თანახმად 10 დელეგატის განცხადებისა, ორატორების დრო შეიძლება განსაზღვრულ იქნას. 20 დელეგატის მოთხოვნით, კამათი შეიძლება შეწყვეტილ იქმნეს. თუ წინააღმდეგი არ იქმნა 1-მეოთხედი დელეგატებისა. დელეგატების გამორიცხვა შეიძლება არაუმეტეს 3 სხდომისა, რისთვისაც საჭიროა 2-მესამედი დელეგატების თანახმობა.

ყველა მუხლები მიღებულ იქმნენ. დადგენილ იქმნა, რომ დელეგატი მიიღებს ყოველდღიურ 25 მანეთს და ბილეთის ფასს იქით და აქეთ.

ებრაული ეროვნული ბლოკის სიით გავიდა 7 დეპუტატი, რომლებიც აპირებდნენ ებრაული ფრაქციის შექმნას, ეს დეპუტატები იყვნენ:

1. მინსკის გუბერნიიდან – ი. ბრუცკრსი;
2. მოგილევის გუბერნიიდან – ი. მაზე (მოსკოვის რაბინი);
3. კიევის გუბერნიიდან – ნ. სირკინი;
4. პოდოლის გუბერნიიდან – ა. გოლდშტეინი;
5. ბესარაბიის გუბერნიიდან – ი. კოგან-ბერნშტეინი;
6. ხერსონის გუბერნიიდან – ვ. ტიომკინი და ა. გრუზენბერგი.

არჩეულებს შორის ყველა სიონისტი იყო, გარდა გრუზენბერგისა, რომელიც უპარტიო იყო.

არჩევნები ჩატარდა ოდესაშიც, მასში მონაწილეობა 34 000 პირმა მიიღო.

მოსკოვის კაჰალი: პრეზიდიუმი შედგება შემდეგი პირებისგან: თავმჯდომარე – ი. მაზე (სიონისტი), თავმჯდომარის ამხანაგები – ი. ნაიდირი (სიონისტი), მ. ნუროკი (მასორეთ ვეხერუთ), პევზნერი და ფუკსი, მდივანი – მ. კლენიმანი (სიონისტი), მოლარე – პონიზოვსკი, მისი ამხანაგი – მონოსზონი; ამათ გარდა, პრეზიდიუმში შედიან აგრეთვე: ზლატოპოლსკი (სიონისტი), ლევონტინი (სიონისტი) და ტრაინინი.

უკრაინაში ებრაულ საქმეთა „გენ სეკრეტარმა“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ რაღამ (უკრაინის პარლამენტი) მოიწონა პროექტი ებრაული თვითმმართველობის არჩევნების შესახებ. მოწოდებაში ეწერა, რომ ადგილობრივი ებრაული თვითმმართველობის არჩევნები 4 თებერვალს უნდა ჩატარებულიყო. კიევის ებრაელთა „კაჰალის“ საბჭოში აირჩა 60 კაცი: ამაში სიონისტები გავიდნენ 27, „ბუნდი“ – 7, შეერთებული სოციალისტები – 7, ხელოსანთა სიით – 5, ორთოდოქსი – 4,

ფოცალე ციონ – 4. ელისავეტპოლში კაპალის არჩევნებში 50 კანდიდატიდან, სიონისტები გავიდნენ 29, „ბუნდ“ – 4, შეერთებული სოციალისტები – 3, ორთოდოქსი – 4, დანარჩენი სიით 1-3.

საფრანგეთის კონსული კიშინოვში შეხვდა დოქტორ ი.მ. ქოგან-ბერნშტეინს, როგორც იქაურ სიონისტთა ბელადს. კონსულმა აღნიშნა, რომ დიდი სიმპათიით უყურებს იმ პარტიებს, რომლებსაც შეუძლიათ გამოავლინონ საკუთარი ნება, სიონისტებმა კი ყველა არჩევნებში აჩვენეს, რომ მათ ეს კარგად შეუძლიათ.

დამოკიდებულება ომის მიმართ

ებრაელების დამოკიდებულება ომის მიმართ მისი მსვლელობის დროს იცვლებოდა.

ბენ იეშურუნი თავის სტატიაში „სამომენტო“ („ხმა ებრაელისა“ №1) წერს ომის შესახებ: „ომმა უნდა გაანთავისუფლოს პატარა ერები და მიანიჭოს მათ თავისუფალი ეროვნული ცხოვრება.“

(„ხმა ებრაელისა“ №2) „ჩვენი ყოფნისა და არსებობის უმთავრეს საკითხს დღეს წარმოადგენს ომისა და ზავის საკითხი. ყოველი მოქალაქის გრძნობა და გონება მიპყრობილია ამ საკითხისკენ, ვინაიდან იგი შეიცავს არა მარტო რევოლუციის შენარჩუნების და ამიერ-კავკასიის საზღვრების დაცვის საკითხს, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის სივრცეზე მცხოვრები ერების, როგორც ასეთების ყოფნა არყოფნის, კერძოდ, ყველა მოქალაქის ფიზიკურად არსებობის საკითხს, თუ ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ მათ იმ ნაწილს, რომელიც იმავე სარწმუნეობის აღმსარებელია და ეკუთვნის იმავე რასას, როგორსაც თვით ოსმალები, და რომელიც, როგორც ეს ნოე ჟორდანიამ განაცხადა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე საერთო მდგომარეობის შესახებ მოხსენების გაკეთების დროს, თურმე ვერ ჩაითვლება საიმედო ელემენტად. ეს არიან მაჰმადიანები, რომლებსაც არავითარი სურვილი არ ჰქონდათ ოსმალეთთან ომისა, რომლებიც თურმე ხმაღს არ გაატიტვლებენ, მახვილს არ ამართავენ მის წინააღმდეგ და რომლებიც უკეთეს შემთხვევაში ნეიტრალიტეტის დაცვას პირდებიან, თუ, ვინიცობაა, ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება გაჩაღდა...“ „მთელი თავისი სიმძიმით ომი, ბუნებრივია, უნდა დააწვეს სომხებსა და ქარელთველებს... ბრძოლა იქნება სამკვდრო-სასიცოცხლო, რადგან საქართველოს ერთადერთ სამხედრო და სავაჭრო ნავსადგურს, ბათუმს უაღრესი, მაგრამ დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს ქართული ერისთვის, მისი ეკონომი-

კური განვითარებისთვის და მისი დაკარგვა იქნება მომასწავებელი საქართველოს დამბობისა, ქართველი ერის სიკვდილისა“.

(„ხმა ებრაელისა“ №5) „ისინი, ვინც ეხლანდელ ომის წარმოებაში ხელმძღვანელობის როლს თამაშობენ, დღითი დღე მეტათ მკაცრი და სასტიკი ხდებიან, თანდათან აშკარავდება მათი უმთავრესი მიზნები ომის წარმოებისა და ვხედავთ, რამდენი სიყალბე ყოფილა მათში, როდესაც გაიძახოდნენ, „ჩვენ ვიბრძვით ერთა თავისუფლებისათვის, ვიბრძვით წვრილი ერების საკეთილდღეოთ, მათ განსათავისუფლებლათ“. ჩვენ კი ვხედავთ, რომ მცირე ერები სისხლით იღევიან, აწიოკებულნი, აოხრებულნი იბრძვიან არსებობისათვის, ითელებიან, იჭყლიტებიან დიდი სახელმწიფოების ფეხქვეშ, უკანასკნელნი კი ხედავენ ამას გულცივათ და დინჯეთ, აუჩქარებლათ განაგრძობენ თავიანთ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებენ წვრილი ერების ზურგზე“. ავტორის აზრით, დაპირისპირებული მხარეები ანგარიშს უწევენ მოწინააღმდეგეს, რომელიც მნიშვნელოვანია სტრატეგიულად ან მნიშვნელოვანი გახდება მომავალში. ხოლო მცირე ერები, რომელთაგან სარგებელს ვერ ნახავენ, დაჩაგრულ მდგომარეობაში არიან – უყურებენ როგორც მწერს. ამ მცირე ერებში მოიაზრება საქართველოც: „ამ წვრილ ერთა ფერხულში უბედურის როლში გაეხვია საქართველოც, რომელიც ჩვენი აზრით, განიცდის ისეთ ხანას, როდესაც უკეთეს შემთხვევაში, უნდა გადაწყდეს მისი კარგს თუ გლახა პირობებში არსებობის საკითხი მომავალში, უაღრეს შემთხვევაში კი – მისი ყოფნა არ ყოფნისა. ჩვენ სწორედ გვინდა შევჩერდეთ ამ საკითხზე და ამ მხრივ, ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის მხრივ და შევეხებით საქართველოს კი არა, როგორც სახელმწიფოებრივ ერთეულს, არამედ, ქართველ ერს და მის არსებობას მომავალში“. სტატიის ავტორის აზრით, მცირე ერებიდან გადარჩენის ალბათობა მხოლოდ მაღალი კულტურისა და ეროვნული თვითშეგნების მქონე ერებს აქვთ. ქართველები მეტად გაიტაცა ომის მსვლელობამ, მათ ყველაფერი გვერდზე გადადეს. ავტორის აზრით, აუცილებელია, ქართველმა ერმა თავის მომავალზე იფიქროს. „საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს ერის ეთიკას და მორალს, საჭიროა ამ მხრივ მისი, რაც შეიძლება, მაღლა დაყენება, ვინაიდან ეს გაუადვილებს ერს უბედურების გადატანას და უზრუნველყოფს მის არსებობას მომავალში“. საჭიროა დაწესებულებების დაარსება, რომელიც განამტკიცებს ერის კულტურულ განვითარებას.

რევოლუცია

ორგვარი დამოკიდებულება რევოლუციის მიმართ:

1. ბენ იეშურუნი თავის სტატიაში „სამომენტო“ („ხმა ებრაელისა“ №1) „...მედგრად დავიცვით რევოლუცია, მის მიერ მოპოვებული თავისუფლებანი, ხელი შევუწყით მის მშვიდობიანათ დაბოლოვებას და სასტიკათ შევებრძოლოთ ანარქიას, რომელმაც უფსკრულში გადასტყორცნა მთელი რუსეთი და რომლის ტალღები საქართველოსაც და მასთან ერთად ჩვენც გვიქადის ჩაყლაპას...“

შ. პალევის ამბობს, რომ რუსეთის ებრაელობას მხოლოდ რევოლუციის შემდეგ მიეცა შესაძლებლობა, აეგოთ თვითმმართველობა (შ. პალევი „ხმა ებრაელისა“ №1).

2. ებრაელების დარბევა ჰამადანში. „რუსის ჯარი, რომელიც რუსეთში ბრუნდებოდა, ჰამადანში, გამოვლის დროს, შეუდგა ებრაელთა უბნის რბევას. საბოლოოთ დარბეულია ყველა მაღაზიები და სახლები, განიავებულია მთელი მათი ქონება, დარბევის შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს მთელ უბანს, რომელიც მთელი დღე და ღამის განმავლობაში იწვოდა...“ „რუსეთის „რევოლუციონურათ გაწვრთნილმა“ ჯარმა ერთხელ კიდევ მოიქნია კუდი და მოიქნია. რასაკვირველია, ჩვენსკენ, ებრაელებისკენ!

ჩვენ კიდევ ძალიან კარგათ გვახსოვს და ვფიქრობთ, არც დაგვავიწყებს – ის „საქმენი საგმირონი“, რომელიც ჩაიდინა ამავე რევოლუციურმა ჯარმა კალუმში და ტარნაპოლში წარსული წლის ივლისში, როდესაც ის „ძლევამოსილი“ უკან მორბოდა კერენსკის განთქმული შეტევის დროს.

ეს იყო პირველი შავი ფურცელი რუსეთის რევოლუციის ისტორიაში...

მაშინ, კალუმის პოგრომების დროს გაიძახოდნენ და პრესაშიც სწერდნენ, რომ ეს არის რევოლუციის სახელის გატეხა, მისი სამარცხვინო ბოძზე გაკვრაო.

ახლა კი რაღა ითქმის.

ალბათ, ეს რევოლუციის „გაღრმავებას“ უნდა მიეწეროს...“ („ხმა ებრაელისა“ №1).

პალესტინა

სამშობლოში დაბრუნება ებრაელი სიონისტების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იყო. სიონისტების პროგრამის მიხედვით, სა-

მშობლოში დაბრუნებული ებრაელები ხელს მიჰყოფდნენ სოფლის მეურნეობას და ააღორძინებენ ქვეყანას.

1918 წელს ინგლისმა აღიარა პალესტინაში ებრაული სახელმწიფო, შემდეგ მსგავსი კეკლარაცია გამოაქვეყნა გერმანიამაც.

1918 წელი არის პერიოდი, როდესაც მსოფლიოში აქტიურად განიხილება ებრაული სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობა. „ხმა ებრაელისას“ №1 კვითხულობით, რომ ინგლისის შემდეგ გერმანიამაც გამოაქვეყნა დეკლარაცია ებრაელებისთვის პალესტინის გადაცემის შესახებ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დგებოდა გეგმები პალესტინის განვითარების შესახებ: ოდესაში დაარსდა პალესტინის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, რომლის მიზანია სხვადასხვა მცენარეებისა და კულტურების მოშენება პალესტინაში და აგრონომ-ინსტრუქტორების მომზადება; ამერიკაში შეიქმნა ებრაელი მილიონერების ასოციაცია, რომელიც გეგმავდა პალესტინაში 50 ქარხნის აშენებას, ინჟინერმა ფაინჰკლდმა შეიმუშავა სქემა წყლის ძალის გამოყენებისა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა ელექტროენერგიის გამომუშავება ისეთი რაოდენობით, რომ მისი გაყიდვაც კი გახდებოდა შესაძლებელი.

„მ. უსიშკინი, ი. გოლდებერგის და ფ. შაპიროს ინიციატივით, დაარსდა მსხვილი ამხანაგობა „ჰაბონე“; რომლის გამგეობაში შედიან: გოლდებერგი, გოცი, ზლატოპოლსკი, ნაიდირი, პოდლიშევსკი, უსიშკინი და შაპირო. საზოგადოების მიზანია დაუყოვნებლივ შეუდგეს შენობების აგებას პალესტინაში, დაწყებული მუშებისთვის პაწია სახლიდან ვიდრე ნავთსადგურებამდის და რკინის გზებამდის.

საზოგადოება ღებულობს თავის თავზე შეკვეთით სახლების შენებას უკვე ნაყიდ კერძო პირების მიერ მიწაზე, ან და თვითონ ყიდულობს ახალშენებში და ქალაქის განაპირა უბნებში მიწას, ჰყოფს მას ნაწილებათ, აშენებს იქ სხვა და სხვა ზომის სახლებს საამშენებლო ტექნიკის, სანიტარიის და ჰიგიენის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და მერმეთ ყიდის, როგორც უკვე დასახლებულებზე პალესტინაში, აგრეთვე მათზე, რომლებიც ჯერ არ ცხოვრობენ მის გარეთ, მაგრამ სურთ, წინდაწინვე შეიძინონ მამული ებრაელების სამშობლოში. შემდეგ განსაზღვრულია აგება საზოგადო შენობებისა და ცენტრების.

ყველა ახალშენობებსა და ქალაქებში იქნება საკმაო რიცხვი სალოცავებისა, სხვა და სხვა ტიპის შენობებისა, საზოგადო აბანოებისა და სასტუმროებისა, არის აგრეთვე პროექტების მთელი რიგი კურორტების და სანატორიუმების მოწყობის შესახებ ხაიფაში, ქარმელზე, ტებერიაში და ახალშენებში: მეთილში, იერიხონში...“ („ხმა ებრაელისა“ №1).

„გაზეთ რესპუბლიკის“ №170 მოთავსებულია შემდეგი ცნობა: „... ინგლისი უკვე ადგამს რეალურ ნაბიჯებს ებრაელების სახელმწიფოს მოსაწყობად პალესტინაში. ... მათი მიზანია – განხორციელება პალესტინაში ებრაელების პირველი უნივერსიტეტის და პირველი პოლიტექნიკუმის მოწყობის გეგმისა, რომელთა დაარსება განზრახულია იაფაში და იერუსალიმში.“

„ქ. ადესაში გაიმართა დიდი მანიფესტაცია ებრაელების რესპუბლიკის გამოცხადების გამო. მანიფესტაციამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო... უკრავდა სამხედრო მუსიკის 4 ორკესტრი, ებრაელებს მიესალმნენ ინგლისის კონსული პიკტონ ბეგე და აგრეთვე ამერიკის და სხვა პოლიტიკური მოღვაწეები.

აგრეთვე მიტინგი გაიმართა მოსკოვში, პეტროგრადში, ხარკოვში, კიევი, ეკატერინოსლავში და რუსეთის თითქმის ყველა სხვა ქალაქებში... სხვათა შორის, ასეთივე მიტინგი მოხდა პარიზში და ლონდონში. ამ უკანასკნელში სიტყვა წარმოსთქვეს ლორდ როტშილდმა, სერ მარესაიკსმა და ლორდ რობერტსესილმა, რომელმაც თავისი სიტყვები დაამთავრა „ლემანა აბაა ბირუშალაიმ („ხმა ებრაელისა“ №1).

სირიელების ახალშენის (ლონდონში) დელეგატებმა, მაჰმადიანმა და ქრისტიანმა არაბებმა მიულოცეს ბრიტანეთის სამხედრო კაბინეტს იერუსალიმის აღება.

სიონისტთა ორგანიზაციის სახელით ინგლისის პრემიერს მიულოცეს ლორდ როტშილდმა, ნახუმ სოკოლოვმა და ხაიმ ვეიცმანმა.

პრეზიდენტმა ვილსონმა ამერიკის სიონისტთა ლიდერი ლუი ბრანდისი დანიშნა იმ კომისიის წევრად, რომელსაც დავალებული აქვს მომავალი საზავო კონფერენციისთვის საჭირო მასალების დამზადება.

ამერიკის პრესა დიდ მნიშვნელობას აძლევს ბრანდისის დანიშვნას და უკავშირებს მას ინგლისის დეკლარაციას ებრაელებისთვის პალესტინის გადაცემაზე.

სხვათა შორის, მრავალი წლის განმავლობაში ამერიკის ელჩებად კონსტანტინოპოლში ინიშნებოდნენ მხოლოდ ებრაელები.

ინგლისის მიერ პალესტინაში ებრაული რესპუბლიკის აღიარებას ქართველი ებრაელები დიდი სიხარულით შეეგებნენ და „მაქაბეების“ დღესასწაულის შემდეგ 28 ნოემბერს (ქისლევს) ონში მიტინგი გამართეს. მიტინგის გამართვის ინიციატორი იყო რაბინი დავით ბააზოვი, რომელიც აგრეთვე ითვლება გაზეთ „ხმა ებრაელისას“ ერთ-ერთ დამაარსებლად და საქართველოში სიონისტური

მოძრაობის, ფრაქცია „ცეყირე-ციონის“ წინამძღოლად. დღესასწაული საკმაოდ მასშტაბური იყო, ესწრებოდა „მთელი დაბის საზოგადოება“; ყველა ორგანიზაციას გაეგზავნა მოსაწვევი. სალოცავის ეზოში იდგა თეთრი და ცისფერი ებრაული დროშებით მორთული ტრიბუნა. ღონისძიება ოთხ საათზე დაიწყო. რაბინი დავით ბააზოვი მგზნებარე სიტყვით გამოვიდა, მიიტინგს „მისალმნენ“ მაზრის კომიტეტის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით – ნაფიცი ვექილი კოწია ჯაფარიძე, ეროვნულ-დემოკრატების სახელით – კოწია წულუკიძე, სამღვდელოების სახელით – მ. გორდუზიანი და მაზრის კომისარიატის სახელით – ივლიანე იაშვილი. 5 საათზე მიტინგი დაიხურა, მოწაფეები „ათიკვას“ სიმღერით და ხელში ეროვნული დროშებით დაიდრნენ ქალაქის ქუჩებისკენ, მსვლელობას ხალხი შეუერთდა, მათ მოიარეს ქალაქი და ნელ-ნელა დაიშალნენ.

7 დეკემბერს მიტინგი გაიმართა ახალციხეში – ეს მიტინგი, ონის მიტინგის მსგავსად, დავით ბააზოვის მიერ იყო ორგანიზებული. ღონისძიებას ქალაქის ინტელიგენცია ესწრებოდა. შეხვედრა საღამოს 4 საათზე ახალციხის ძველ სინაგოგაში დაიწყო. სინაგოგის თავზე აღმართული იყო ებრაული დროშები, ებრაელები ტრადიციულ სადღესასწაულო სამოსში იყვნენ გამოწყობილი, სამკლავურებად ეროვნული დროშის ფერი ლენტები ეკეთათ. სიტყვა წარმოთქვა დავით ბააზოვმა, შემდეგ მონაწილეებს მისალმნენ: მაზრის სახელით მაზრის კომისარი შალვა მაღლაკელიძე, ქართველების სახელით – ლევან ფირალოვი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით – გარდავაძე, ქართველ მოწაფეთა წრის სახელით – იგდინანოვი; რუსულ ენაზე პოლკის „კამანდირი“, ქალაქის თავი, მოწაფე სარაჯევი, რედაქცია „შარჟუმის“ წარმომადგენელი; სომხურ ენაზე – „დაშნაკცუტიუნის“ წარმომადგენელი. გამოსვლებს შორის ებრაელი მოწაფეები აასრულებდნენ ებრაულ სიმღერებს (შირებს), ბოლო სიტყვით „ცეყირე-ციონის“ ფრაქციის სახელით ებრაელი მოსწავლე – გერცელ ბააზოვი გამოვიდა. ჰერცელ (გერცელ) ბააზოვი იყო დავით ბააზოვის ვაჟი, მწერალი, სიონისტური მოძრაობის აქტივისტი და საბჭოთა პერიოდში რეპრესირებული მოღვაწე. მიტინგი 9 საათზე დასრულდა და სტატიის ავტორის აზრით, მას 1000-მდე კაცი დაესწრო.

საინტერესოა ვინმე კ.ე.ვ.-ს მიერ „ხმა ებრაელისას“ №2 დაბეჭდილი კერძო წერილი. მოქმედება ხდება სპარსეთში 1917 წლის 11 დეკემბერს, ავტორმა წაიკითხა ინგლისის მთავრობის მიერ გამოცემული დეკლარაცია და გაუზიარა ეს ცნობა თავის მოსაუბრე ხუთ

სხვადასხვა ადგილას დაბადებულ ებრაელს. ამ ხუთიდან ყველა სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდა (დეკლარაცია მათ სპარსელმა ებრაელმა უთარგმნა, რომელიც 9 ენაზე ლაპარაკობდა), მაგრამ ყველა ერთნაირი აღფრთოვანებით შეხვდა ამ ცნობას, რაც მათ სულიერ ერთიანობაზე მეტყველებდა. ავტორი აღნიშნავს, რომ მხოლოდ ამ წუთას იგრძნო მან თავი ნამდვილ ებრაელად და გახდა ნამდვილი ებრაელი ანუ სიონისტი, რადგან ამ ორ ცნებას შორის, მისი აზრით, ტოლობის ნიშანი უნდა დაისვას.

1918 წლის 3 მარტს გაიხსნა ინგლისის სიონისტთა კონგრესი, რომელმაც მისალოცი დეპუტა გაგზავნა ბერლინში, როგორც ინგლისის დეკლარაციის გამოძახილი. პეტროგრადის გაზეთების ცნობით, დეკლარაციამ დიდი გამოძახილი გამოიწვია გერმანიაში. გერმანელი ებრაელები თანაგრძნობით შეხვდა დეკლარაციას. რუსული გაზეთების თვალთახედვით, გერმანიამ შეცდომა დაუშვა, როდესაც პირველად არ გამოაქვეყნა მსგავსი დეკლარაცია და პირველობა ინგლისს დაუთმო, აგრეთვე გამოქვეყნდა ცნობები, რომ ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სიმპათია გამოხატა სიონიზმის მიმართ.

„ხმა ებრაელისას“ №2 გამოქვეყნდა ცნობა, რომ, ერთი მხრივ, ლონდონის, ნიუ-იორკის და პარიზის კაპალები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ რუსეთის კაპალებთან ტელეგრაფის საშუალებით მსოფლიო ებრაელთა ეროვნული ყრილობის მოწყობის შესახებ, რომელიც პალესტინაში უნდა ჩატარებულიყო. ყველა ქვეყანაში უნდა არჩეულიყვნენ დელეგატები ამ კონგრესზე დასასწრებად.

(„ხმა ებრაელისა“ №5) სიონისტური დელეგაცია ლონდონიდან გამგზავრა პალესტინაში. დელეგაცია შედგებოდა ხაიმ ვეიცმანისგან (თავმჯდომარე), იოსებ კოუენისგან, ზაფოსაგან და ექქიმ ედერისგან (მდივანი); ლეონტინი, ლაზარტინი და როზენენკი ახლდნენ დელეგაციას ატაშეებად. ამერიკის დელეგაცია მოგვიანებით აპირებდა შეერთებოდა დელეგაციას, ასევე გეგმავდნენ პროფესორი სილვენი და ლევი პარიზიდან. სოკოლოვის ბიურო დარჩა ლონდონში და მოქმედებდა პალესტინის დელეგაციასთან, ინგლისის სიონისტთა ორგანიზაციასთან და ნეიტრალურ ქვეყნებთან შეთანხმებით.

ებრაელთა ადგილობრივი შიდა პრობლემები

გარდა სიონისტებისა და ასიმილატორების დაპირისპირებისა, ებრაულ საზოგადოებაში სხვა სირთულეებიც იკვეთებოდა. მაგალითად, 1918 წლის 11 თებერვალს ქუთაისში მოხდა ინციდენტი არონ

ელიგულაშვილის ცოლის დაკრძალვისას. ეს ინციდენტი ქართულ პრესაში, გაზეთ „ჩვენ ქვეყანაში“ გაშუქდა. გაზეთის №29 ნომერში ვინმე „დამსწრემ“ გააშუქა „ხებრა კადიშას“ (დამსაფლავებელი საზოგადოება „წმინდა ძმობის“) უსამართლო მოთხოვნა, რომელიც ბატონ ელიგულაშვილს წარუდგინეს, მეუღლის დაკრძალვაში მას 5000 მანეთი მოსთხოვეს. 14 თებერვალს სპეციალურად ამ საქმის გამო შექმნილმა კომისიამ განიხილა ეს გახმაურებული საქმე. კომისიამ დაადგინა, რომ „ხებრა კადიშას“ არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა ელიგულაშვილისთვის 5000 მანეთი, რადგან ამის თაობაზე არ ყოფილა რაიმე სახის დადგენილება. დამკრძალავი ორგანიზაციის არჩევნები არ იყო ლეგიტიმური, რადგან მასში მხოლოდ რამდენიმე ათეული ადამიანი მონაწილეობდა, რომლებმაც რამდენიმე წევრი აირჩიეს, ხოლო ამ წევრებმა თვითნებურად მოიწვიეს დანარჩენი წევრები. „ხებრა კადიშას“ წევრები მოქმედებდნენ შემდეგი პირების ზეგავლენით: ისხაკ შალომის ძე გაგულაშვილი და რუბენ ბინიაშვილი. ეს პირები, შემუშელ დავითაშვილი და ძმები რუბენ და აბრამ ბინიაშვილები სალოცავის ეზოში ყვიროდნენ: „ღარიბო ხალხო, მდიდარს თავი არ დავაძლევინოთ!“ ამ წამოძახილებს მოჰყვა აურზაური. მხილებულმა პირებმა აღიარეს დანაშაული და თანამდებობებიდან გადადგნენ. მათ ელიგულაშვილის ცოლის სახელზე ფული შესწირეს საავადმყოფოს, თუმცა ისხაკ გაგულაშვილს მაინც მოსთხოვეს „გაბაის“ (სტაროსტის) თანამდებობის დატოვება. კომისიის ოქმს ხელი მოაწერეს: თავმჯდომარემ – რაფაელ რიჟინაშვილმა, კომისიის წევრებმა: იაკობ კაკიტელაშვილმა, ისრაელ რიჟინაშვილმა, მეიერ ელიგულაშვილმა. პარტიის წარმომადგენლები: 1. სიონისტებისგან – მიხეილ რიჟინაშვილი, 2. „აგულათ ისრაელისგან“ – აბრამ ბუზიაშვილი, 3. „ს. ფ.“ გაბრიელ თავდიდაშვილი. 4. „ეროვნული დემოკრატებიდან“ – ს. მეკინულოვი.

2 აპრილს ღამით გაქურდეს რ. და ბ. ქურქჩიშვილების მაღაზია, საიდანაც წაუღიათ 35 000 მანეთის საქონელი.

2 მარტს ონში „მობოლშევიკე“ ჯარისკაცებმა გაძარცვეს ონელი ებრაელები, ამ ძარცვაში ქართველ მილიციონერებსაც მიუღიათ მონაწილეობა.

„ხმა ებრაელისას“ №4 კვლავ ისმის მოწოდება ებრაელების მიმართ, რომ დაეხმარონ გაჭირვებაში მყოფ თავიანთ თანამოძმეებს. სტატიის ავტორია ვინმე ს. ც-ლი. თბილისის ებრაულ სამლოცველოს თავი შეაფარა 200 მთიელმა ებრაელმა. ამ ლტოლვილების მდგომარეობა სავალალო იყო: ქალები, კაცები, მშობიარე ქალები,

მეძუძური დედები და ბავშვები სივიწროვესა და ანტისანიტარიულ პირობებში იმყოფებოდნენ, რაც დაავადების გაჩენის საფრთხეს ქმნიდა. თბილისის ებრაელობა შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მათ, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ს. ც-ლი მიმართავს თავის თანამოქალაქე ქუთაისელებს და მოუწოდებს მათ, გაუწიონ დახმარება თანამოძმეებს...“ ავტორი მოუწოდებს რაბინებსა და გაბაებს, ხმა ამოიღონ და გადადგან ნაბიჯები თანოძმეების დასახმარებლად. ასევე, სასწრაფოდ იყო მოსაგვარებელი ლტოლვილი ბავშვების საკითხი, ისინი უნდა გაეგზავნათ სასწავლებელში. სტატია მკაცრი ტონით არის დაწერილი, ის უფრო მოთხოვნაა, ვიდრე თხოვნა, რადგან ავტორის აზრით, ებრაელის მიერ ებრაელის დახმარება არის მოვალეობა და არა კეთილი ნება. „ფული უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: Тифлисъ, Сергиевская №16 М.О. Грузенбергу“.

1918 წელს შეიქმნა ებრაული შრომის ბიურო. ომისგან დაზარალებულთა დამხმარე კომისიამ დაარსა შრომის ბიურო, სადაც შედიოდა თბილისის ებრაული სათემო საბჭოს წარმომადგენელი. ბიუროს მიზანი იყო, დახმარება აღმოეჩინა თბილისში მყოფი 200-მდე ლტოლვისთვის. ბიურო ცდილობდა დაესაქმებინა ისინი.

ქუთაისში კერძო ინიციატივით შედგა ებრაელთა რაზმი, რომელიც 1918 წელს წვრთნას გადიოდა, წვრთნის დასრულების შემდეგ ისინი გეგმავდნენ ქართულ პოლკებში ჩაწერას.

ანტისემიტობი

„ხმა ებრაელისას“ №3 დაბეჭდილ სტატიაში ავტორი წერს, რომ ძნელია გამოიძებნოს ებრაელების დევნაში უფრო გაწაფული ქვეყანა, ვიდრე რუსეთი, თუმცა, ის რაც ქუთაისში ებრაელების ქუჩაზე შაბათს 31 მარტს მოხდა, აჭარბებს რუსეთის ძალადობრივ პოლიტიკას. საქართველოს ებრაელებს არ ახსოვდათ ასეთი აწიოკება. ამიერკავკასიის მთავრობის დადგენილებით, მეორე მობილიზაციის დღედ 2 აპრილი გამოცხადდა. ავტორის განცხადებით, ქუთაისის ხელისუფლებამ რუსეთის იმპერიის „საუკეთესო ტრადიციებში“ დადგმული სცენარით იმოქმედა და შაბათს – ებრაელების უქმე, სადღესასწაულო დღეს შეუტია ებრაელთა უბანს მობილიზაციამდე 2 დღით ადრე. მილიციელები ებრაელების უბანს მოედნენ, შეიჭრნენ სალოცავებში, გამოიყვანეს იქიდან მამაკაცები (ავტორის მტკიცებით, ჭაღარა მოხუცებიც კი). „აბლავა“ ჩატარდა არა დეზერტირებზე, არამედ ებრაელებზე. ებრაელები ჯგუფებად ჩაატარეს ქუჩაში, გა-

რწმემო მოტირალი ქალები და ბავშვები იდგნენ. ეს იყო ებრაელების მწუხარების დღე. ავტორი აქვე დასძენს, რომ ებრაელები არ გაურბოდნენ სამხედრო სამსახურს, დეზერტირების რიცხვი ებრაელთა შორის იგივეა, რაც სხვა ერებს შორის და ებრაელები მოვალენი არ არიან, პასუხი ავონ რამდენიმე უპასუხისმგებლო ებრაელის გამო. ასეთი ქმედებით ებრაელთა სალოცავები შეურაცხვეს. ავტორი მოუწოდებს ქართველ დემოკრატებს, დადგნენ ებრაელთა უფლებების დასაცავად.

სადაა სამართალი? ავტორი ებრაელი სტუდენტი

(ხმა ებრაელისა, №5)

სტატიიში მოთხრობილი შემთხვევა, რომელიც მოხდა ქუთაისში.

საუკუნეების განმავლობაში ებრაელი ერი განიცდიდა ჩაგვრას, რასაც, სტატიის ავტორის აზრით, ბოლო მოუღო რუსეთის რევოლუციამ, რომელმაც ებრაელებს მისცა „სხვა ერებთან გათანასწოების“ საშუალება. თუმცა, „დღესაც არ ეღება ბოლო იმ სამარცხვინო მოვლენებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ძველი მთავრობის დროს.“ ებრაელი ხალხი კვლავ „კანონ გარეშე“ იყო. ამის მაგალითია ე.წ. „აბლავა“ ებრაელებზე ქუთაისში. ამას დაემატა ებრაელებისთვის „ფართლის მიღების საშუალების დაკეცვა“. ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოებას მიუღია ფართალი მოსახლეობაში გასანაწილებლად პურისა და შაქრის ბარათებით. ფართლის გაყიდვა დაწყებულია ხუთშაბათს, 2 მაისს. სტუდენს არაფერი გაუგია ამის შესახებ, საღამოს 9 საათზე გაუვლია მაღაზიასთან და დაუნახავს რიგში მდგომი ადამიანები. ახალგაზრდას უკითხვას, რის რიგში იდგნენ და გაუგია, რომ დილიდან ფართალი იაფად უნდა გაყიდულიყო. სტუდენტს ძმა გაუგზავნია რიგში დასადგომად, რომ დილით შეეცვალა იგი და ფართალი ეყიდა. დილის 6 საათზე სტუდენტმა ძმის ადგილი დაიკავა. დუქანი 9-ზე იხსნებოდა. სტუდენტის წინ და შემდეგ ებრაელები იდგნენ. დილიდან ვინმე სტუდენტი არიგებდა ნომრებს რიგში, მაგრამ ებრაელი სტუდენტის წინ მდგომი ებრაელი ხელცარიელი დატოვა, სტატიის ავტორსაც დააკვირდა და გვარი ჰკითხა, რომ მიხვდა, რომ ისიც ებრაელი იყო, უბრძანა, დაეტოვებინა რიგი, იგივე ბედი ეწია მის შემდეგ მდგომ ებრაელსაც. შეწუხებული ებრაელი სტუდენტი შორიანლოს იდგა გაბრაზებული და დაბნეული ამ უსამართლობით, ვიღაც უცნობმა რიგიდან გაკვირვებულმა და აღშფოთებულმა თქვა: „კაცო, ურიებს ფართალს არ აძლევენო; ჩემს წინ რიგში 6 ურია იდგა და ექვსივე გამორეკესო.“

ებრაელებს ტყუილად მოუხდათ 12-15 საათი რიგში დგომა. ავტორი სვამს კითხვას: „ვინაა ამის ინიციატორი, საიდან გამომდინარეობს ასეთი სამარცხვინო საქციელი და მოვლენა, რომელსაც აქ ჰქონდა ადგილი?“ თუ ეს მომდინარეობდა „ცენტრიდან“, ის დასაგმობია „როგორც კონტრ-რევოლუციონერი“, ხოლო თუ ორიოდ უვიცი პირისგან, მაშინ ხალხმა უნდა აიმაღლოს ხმა. „ფართლის განაწილების დროს თავი იჩინა ანტისემიტურმა მოვლენამ არა მასსის მხრივ, არამედ თავით ფართლის გამანაწილებელ ადმინისტრაციის მხრივ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველი, ნიკოლოზის რეჟიმის დროს.“ ამას ცალკეული პირები იმით ამართლებდნენ, რომ ებრაელები მდიდრები იყვნენ, გაჰქონდათ ფართალი და ჰყიდდნენ. „ჩვენი მდგომარეობის ტრადიციაც იმაში გამოიხატება, რომ ერთმა ებრაელმა ცუდი საქმე რომ ჩაიდინოს, ხელს ადებენ მთელ ებრაელობას და მათგანვე თხოულობენ პასუხს, ან და თუ ორიოდ მდიდარია, მაშინ ყველა ებრაელებიც „მდიდრებია“. მოვიგონე ფინსკერის სიტყვები: „ებრაელი ბურჟუასთვის – პროლეტარია, პროლეტარისათვის – ბურჟუა და ყველა კლასებისათვის კი – საზიზღარი კონკურენტი.“ სინამდვილეში მრავალი ქუთაისელი ებრაელი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა და ქუთაისის „ღარიბთა ფონდის“ დახმარებით სარგებლობდა. სტუდენტის აზრით, მდგომარეობას გამოასწორებდა ებრაელების ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელიც შეძლებდა ამ ეროვნული უმცირესობის ინტერესების დაცვას და მისი ნების გამოხატვას. ავტორი მოუწოდებს დემოკრატებს, აიმაღლონ ხმა სამართლიანობის დასაცავად (სქოლიოში მინაწერია: „რადგან მე საჭიროდ ვსცანი მომეთავსებინა ეს წერილი, მხოლოდ ებრაელების ორგანოში, ამიტომ ... დამეცადა ზემოხსენებულ გაზეთის გამოსვლამდის ამიტომ დამიგვიანდა.“)

ებრაელების საზღვარგარეთ, მათი უფლებები

კიდევ ერთი პოგრომი! ებრაელების დარბევა ჰამადანში. სტატიის ავტორი – მ. – სახელი მითითებული არ არის – მოუწოდებს ქართველ ებრაელობას, დაეხმარონ უსახლკაროდ დარჩენილ ჰამანდელ ებრაელებს. „ქუთაისელი ებრაელობა, რომელიც ასეთ მხურვალე მონაწილეობას იღებდა და დიდ დახმარებასაც უჩინდა ძველი დამხობილი მთავრობის მიერ მოწყობილ „პოგრომების“ მსხვერპლთ – რუსეთის ებრაელებს, იმედია, არც ახლა გაექცევა სპარსეთში მცხოვრებ ძმებს და არ დატოვებს მათ მარტო-მარტო

მათ უბედურებაში და აღმოუჩენს საჭირო, მატერიალურ დახმარებას. თფილისში დაშავებულთა სასარგებლოთ იმართება საღამო, რომელშიდაც იღებენ მონაწილეობას საუკეთესო ძალები და რომელიც, უნდა ვიფიქროთ, დასტოვებს კარგს შემოსავალს. საჭიროა ჩვენც რაიმე გზით დავეხმაროთ!“ („ხმა ებრაელისა“ №1).

ქ. მოსკოვში ბ. ნადირის და ჩლენოვის ინიციატივით და მეცადინეობით გადაწყდა, რომ ებრაელ ჯარისკაცებს და ოფიცრებს ლაზარეთებში ეძლეოდეს ქაშერი ხორცი“ (№1).

ბაქოში სიონისტების მეთაურობით დაარსდა საზოგადო ქაშერი სასადილო „ბეთ-ლენხემი“ (№1).

ებრაელთა ყრილობა შვეიცარიაში: კოპენჰაგენიდან სიონისტთა ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტს ატყობინებენ: 10 იანვარს ციურიხში გაიხსნება შვეიცარიის ებრაელთა კონგრესი.

„ხმა ებრაელისას“ №2 დაიბეჭდა სტატია „ებრაელები, არაბები და სომხები“, რომელიც გადმოგვცემს ინგლისურ გაზეთ „თაიმსში“ დაბეჭდილი წერილის შინაარს. სტატიაში საუბარია ამ სამი ერის ინტერესების ერთიანობაზე და, რომ სასურველია, ისინი გაერთიანდნენ საერთო ბრძოლისთვის. ეს აზრი გამოითქვა ინგლისში ჩატარებული მიტინგების ფონზე. მიტინგებზე ინგლისს პალესტინაში გამარჯვებას ულოცავდნენ, ხოლო, თავის მხრივ, ინგლისი დაპირებას იძლეოდა, რომ პალესტინაში ებრაელების უფლებებს დაიცავდა, არაბები და სომხები მოუწოდებდნენ ებრაელებს, ოსმალებისგან დაჩაგრულ სხვა ერებს დახმარებოდნენ. ცნობილმა ინგლისელმა მოღვაწემ, ჰერბერტ სამუელმა იგივე აზრი გამოთქვა. აგრეთვე გაიჟღერა აზრმა, რომ გათავისუფლებულ ერებს ექნებოდათ სწრაფვა ევროპისკენ, რაც ევროპის პოზიციებსაც გაამყარებდა მცირე აზიაში.

გერმანულ გაზეთ „ფოსსიშე ცაიტუნგში“ დაიბეჭდა სტატია თურქეთის პოზიციის შესახებ. თურქეთი არ აპირებდა საკუთარი პოზიციების დათმობას პალესტინაში. გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა მთავარ ვეზირს, რომელმაც განაცხადა, რომ ოსმალეთი ერთადერთი მხარეა ევროპაში, სადაც არ არსებობს ანტისემიტიზმი, ვეზირმა დასძინა, რომ თურქეთის პარლამენტი შეუდგა კანონ-პროექტის განხილვას, რომელიც საფუძველს დაუდებს ებრაელთა ავტონომიას პალესტინაში.

„ხმა ებრაელისას“ №3 დაბეჭდილ სტატიაში ავტორი რუსეთს აფასებს როგორც ებრაელების მიმართ ყველაზე შეუწყნარებელ ერს. „მისი მთელი სახელმწიფოებრივი ყურადღება აქეთკენ იყო

მიქცეული და უკეთეს პოლიტიკოსათ და სახელმწიფო აღმშენებლათ ის ითვლებოდა, ვინც მეტს უნარს და ენერგიას გამოიჩინდა ამ, ებრაელების დევნის დარგში.“

(„ხმა ებრაელისა“ №3) ყველაზე მეტი უბედურება ომს ებრაელებისთვის მოაქვს. რუსეთში და რუმინეთში ომს იმდენი უბედურება არ მოუტანია ებრაელებისთვის, რამდენიც ომის შემდგომმა ანარქიამ, რომელმაც ანტისემიტიზმის გამწვავება გამოიწვია. მიმდინარეობდა ებრაელების ძარცვა. კავკასიაშიც იგივე სცენარი განვითარდა, დაღესტანსა და ყუბანში ანარქიამ ანტისემიტიზმის გამძაფრება გამოიწვია. სამწუხაროდ, იგივე მოხდა ცხინვალში, ონში, აბაშაში და ა.შ. ავტორი მოუწოდებს ებრაელებს, სასწრაფოდ შექმნან ანარქიზმისგან დაზარალებული ებრაელების დამხმარე საზოგადოებები. უბრალო შეწირულობა საკმარისი არ არის, საჭიროა ორგანიზებული მუშაობა, – წერდა ავტორი. დამხმარე საზოგადოების შექმნისკენ ავტორი თბილისელ და ქუთაისელ ებრაელებს მოუწოდებს (ავტორი მითითებული არ არის – ინიციალი ს.).

რევოლუციის შემდეგ რუსეთში დაარსდა საზოგადოება „თარბუთი“, რომლის მიზანი იყო ებრაული კულტურის გავრცელება ებრაელთა შორის. „თარბუთის“ განყოფილებები რუსეთის თითქმის ყველა ქალაქში გაიხსნა, ეს განყოფილებები ხელმძღვანელობდნენ სწავლა-განათლების საქმეს დაწყებული საბავშვო ბაღებიდან გიმნაზიებამდე. ოდესაში „თარბუთმა“ დააარსა სამასწავლებლო ინსტიტუტი, სამასწავლებლო კურსები მოსკოვში, ოდესაში, ხარკოვში, გიმნაზიები მოსკოვში, ხარკოვში, ბაქოში, სამარყანდში და სხვა. „თარბუთმა“ დააარსა ბიბლიოთეკები, გამოსცა სამეცნიერო წიგნები და სხვა.

(„ხმა ებრაელისა“ №3) „მოსკოვში სასტუმრო „ნოვო ვარვარინსკოე პოდვორიეს“ და ლურიეს სასადილოდ წასულ ფესახში დაეცნენ შეიარაღებულნი. ჯერ სასადილოში მყოფ ებრაელებს წაართვეს ფული და ნივთები, შემდეგ გაეშურნენ სასტუმროში, „გაჩხრიკეს“ ყველა იქ მცხოვრებნი და გაიტაცეს ფული, ოქრო, ბრილიანტი და სხვა ნივთები, სულ 500 000 მან. ღირებული.“

(„ხმა ებრაელისა“ №3) ვენაში გაიხსნა ავსტრიის „ფოყალე-ციონის“ ყრილობა, ყრილობაზე განიხილეს ავსტრიის ებრაელთა კონგრესის მოწვევის საკითხი.

ვარშავის პრესის გამოანგარიშებით, პოლონეთის 10 გუბერნიის 1800 სასაფლაოზე დაუსაფლავებიათ 80 000 სალდათი, ეხლანდელი ომის მსხვერპლნი.

სმოლენსკის, ვიტებსკის და მოგილოვის გუბერნიებში თავი მოიყარა 250 000 მეტმა ლტოლვილმა, რომლებიც გამოიქცნენ გერმანელების მიერ ზავის შემდეგ დაკავებული ადგილებიდან.

(„ხმა ებრაელისა“ №4) „სიონიზმი ინგლისის საზოგადოებრივ აზრში: ინგლისის დეკლარაციის გამოცემის გამო ლონდონში გამართულ მიტინგზე საინტერესო სიტყვა წარმოუთქვამს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს, რობერტ სესილს: „ერთი დიდი ნაბიჯი, და ჩემის აზრით რამდენიმე დარგში უდიდესი ნაბიჯი, ჩვენ გადავდგით ამ პრინციპის (ერების თვითგამორკვევის) განსახორციელებლათ მით, რომ ჩვენ ვსცანით სიონიზმი. ეს არის პირველი დადებითი ღონის ძიება, რომელიც ჩვენ ვიხმარეთ მსოფლიოს მოწყობის დარგში ომის შემდეგ. ეს არის ეროვნების სცნობა, ეს რაღაც მეტია. ეს არ არის აგრეთვე ერის დაბადება, იმიტომ რომ ებრაელმა ერმა მიუხედავად საუკუნოები დევნისა და ტყვეობისა, შეინარჩუნეს თავის ეროვნული გრძნობები ისე, როგორც თითქმის სხვა არავინ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეხლა სწარმოებს ერის აღორძინება: მე არ მინდა ვიწინასწარმეტყველო ამ დიად მოვლენების საბოლოო შედეგების შესახებ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამას ექნება დიდი გავლენა მსოფლიოს ისტორიაზე და დიდი შედეგები კაცობრიობის მომავალი ისტორიისთვის, რომელიც ჩვენ არ შეგვიძლია გავითვალისწინოთ.“ მარკ საიკსი – ინგლისის ახლო აღმოსავლეთის განყოფილების უფროსი: „მე ვგრძნობ, და ყველა აქ მყოფი უნდა გრძნობდეს, რომ ეს მომენტი მოასწავებს შემაბრუნებელ მუხლს თქვენი ერის ისტორიაში. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს არის აგრეთვე შემაბრუნებელი მუხლი მთელი მსოფლიოს ისტორიისა, მე ღრმად მწამს სიონიზმის მისსია. მე მასში ვხედავ რაღაც უფრო დიდს, ვიდრე ერების ლიგას, ეს არის ლიგა კონტინენტებისა, ლიგა რასისა, და ბოლოს კიდევ ლიგა იდეალებისა. ეს არაჩვეულებრივი მოჩვენებაა. მე ვერ წარმომიდგენია უცებ ზღაპრული გარდაქმნა, მაგრამ მე მჭიდროდ მრწამს, რომ თქვენ იწყებთ კეთილ და შეუკავებელ გარდაქმნას. მე ვიმედოვნებ, რომ თქვენ იქ შეჰქმნით ძალას, დამყარებულს არა სისხლისა და ოქროს ბატონობაზე, არამედ დამყარებულს დიდ გონებრივ ძალაზე. მე მრწამს, რომ თქვენ პალესტინაში დაინახავთ იდეალების დიდ ცენტრს, რომელიც გაუშვებს თავის სხივებს მსოფლიოს ყველა კუთხეებში, სადაც მოიპოვება თქვენი ერი.“

(„ხმა ებრაელისა“ №4) „ებრაელების ცხოვრებიდან“. ებრაული ეროვნული ფონდის შემოსავალი 1917 წლის ნოემბერში შეადგენდა 146 941 ფრანკს უკანასკნელი კურსით.

მოსკოვში დაარსდა პალესტინის აღორძინების საზოგადოება

მოსკოვში შედგა „ებრაული სამართლის საზოგადოების“ (ჰამიშბათ ჰაყიბრი) დამფუძნებელთა კრება. „ამ საზოგადოების მიზანია, თანახმად ი.ი. მაზესა და ი.ს. იუნოვიჩის სიტყვისა, მეცნიერულათ გამოკვლევა და შემუშავება ძველი ებრაული კანონებისა და იმ ფორმებისა და მეთოდების გამორკვევა, რომელიც შეეფერება ეხლანდელ ცხოვრებას, ებრაელების სახელმწიფოს პირობებში.“ ებრაელებს მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ ევროპული კანონების ბრმად გადმოღება, არამედ კანონები დაემყარებინათ ებრაული სამართლის საფუძველზე. საზოგადოება გეგმავდა იურიდიული ფაკულტეტის მომზადებას იერუსალიმის უნივერსიტეტში, ფუნდამენტური ბიბლიოთეკის დაფუძნებას, წიგნებისა და სპეციალური ჟურნალების გამოცემას და სხვ. საზოგადოების მისამართი იყო: მოსკოვი, პრეჩისტენკა №16 „ჰამიშფათ ჰაყიბრი“.

მოსკოვში დაარსდა „ებრაელ აქიმთა კავშირი“, რომელიც გეგმავდა პირველი შესაძლებლობისთანავე ისრაელში გამგზავრებას.

მოსკოვში დაიწყო ებრაული ყოველკვირეული გამოცემის ბეჭდვა „Еврейское слово“, რომელიც სიონისტური მიმართულების იყო, მას ი. ს. ტურქელტაუბი რედაქტორობდა.

მოსკოვში გამოდიოდა ჟურნალი ებრაულ ენაზე ს. ი. აიზენშტადის რედაქტორობით „ჰარეც ვეჰაყაოდა“ („მიწა და შრომა“).

მოსკოვის „ფოყალე-ციონის“ კომიტეტმა დაარსა ბ. ბოროხოვის სახელობის კლუბი.

რუსეთში ჩატარებულ არჩევნებში პირველი ადგილები დაიკავა სიონისტურმა პარტიამ. ყრილობაზე სიონისტების 65% გასულა.

მოსკოვიდან მოვიდა ცნობები, რომ რუსეთის ებრაელთა ყრილობა არ შემდგარა. იგეგმებოდა საბჭოს შექმნა ყრილობის მოსაწვევად.

დაარსდა 2 დიდი რაიონული კავშირი კოოპერატიული საზოგადოებებისა და სხვა დარგის. პირველში შედის უკრაინის გუბერნიები და მეორეში კი – (სამხრეთი კავშირი) ხერსონის, ბესარაბიის და ეკატერინოსლავის გუბერნიები. სუბსიდიას აძლევს ებრაული კოლონიზაციური საზოგადოება.

„რუმჩეროდის“ თავმჯდომარემ, იუდოვსკიმ ნება დართო ებრაელებს ჩამოეყალიბებინათ სამხედრო შენაერთები, რომელთა ძირითადი დანიშნულება კონტრევოლუციური ბრძოლა უნდა ყოფილიყო. უკვე შედგა პირველი ებრაული პოლკის შტაბი, რომელიც იღებს იარაღს.

რუმინელებმა კიშინიოვში დაშალეს ებრაელების როტა და მისი წინამძღოლი ვანშენბაუმი დააპატიმრეს. დაარბიეს ებრაელთა ოჯახები (ჩაუტარეს ჩხრეკა).

კოპენჰაგენში კვლავაც განაგრძობდა არსებობას ებრაული სასწავლებელი „ბეცალელი“:

იერუსალიმში გაიხსნა ახალი საბავშვო სამკურნალო.

ოდესაში პალესტინის კომიტეტმა შექმნა მებოსტნეობისა და მევენახეობის სასწავლებელი, რომელსაც 3000 რუბლი გამოუყო და ყოველთვიურად 2000 რუბლი დაუნიშნა. სასწავლებელს სათავეში ედგნენ ლანდესმანი, როზენტალი და ეტინგერი.

(„ხმა ებრაელისა“ №4) სიონისტთა ცენტრალურმა კომიტეტმა რუსეთში დაარსა „ჩლენოვის ფონდი“, რომლის სახსრები უნდა მოხმარებოდა სიონიზმის მიზნების განხორციელებას.

მოსკოვში დაარსდა „პალესტინის პოლიტექნიკური საზოგადოება“. მისი დამაარსებლები იყვნენ მოსკოვში მოღვაწე ებრაელი ინჟინრები. მიზნად ისახავდა პალესტინის მოწყობას, მიწის დამუშავებას და მრეწველობის განვითარებას.

(„ხმა ებრაელისა“ №5) ვარშავაში 1918 წელს გაიმართა კონფერენცია, სადაც იმსჯელეს კაპალების შექმნაზე, რაბინების სწავლა-განათლებაზე, პალესტინაზე და ა.შ. რეზოლუცია არ გამოუტანიათ, მასალები გადაეცა შემსწავლელ კომისიას. კონფერენციამ აირჩია 2 კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტი.

ეროვნული უმცირესობები და ერთიანი საქართველო

„ხმა ებრაელისა“ მეორე ნომერში დაიბეჭდა სტატია, სადაც საუბარია ერთიან საქართველოზე: ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად დასახელებულია ომისა და ზავის, ასევე რევოლუციის მონაპოვარის შენარჩუნების საკითხი. გათვალისწინებული უნდა იყოს მთელი ამიერკავკასიის საზღვრების დაცვის საკითხი, რაც გულისხმობს აქ მცხოვრები ერების ყოფნა არყოფნის, მათი ფიზიკურად არსებობის საკითხს. თუმცა, აქ ცალკე საკითხად დგება ოსმალებთან საერთო აღმსარებლობის მქონე პირთა საკითხი. ეროვნული საბჭოს სხდომაზე ნოე ჟორდანიამ განაცხადა, რომ მუსლიმები ვერ ჩაითვლებიან საიმედო ელემენტებად. მუსლიმებს არ ჰქონდათ ოსმალებთან ანუ თურქებთან ბრძოლის სურვილი, ისინი, უკეთეს შემთხვევაში, ნეიტრალიტეტს დაიცავენ ომის შემთხვევაში. ამიერკავკასიის ერთა შეთანხმებული მოქმედება გარეშე საფრთხის (ოსმალების) წინაშე ირღვევა.

წამოჭრილია ბათუმის საკითხი. ერთადერთი სავაჭრო და სამხედრო ნავსადგური უაღრესად დაუფასებელია ქართველებისგან. მისი დაკავება, სტატიის ავტორის აზრით, რომელიც მითითებული არ არის, საქართველოს დამხობის წინაპირობაა. აქ ოსმალების გამარჯვება ნიშნავს ძალმომრეობის გამარჯვებას და რევოლუციის დამარცხებას.

ებრაელები დიდ საფრთხეს ხედავენ ოსმალეთის მხრიდან. 1918 წელს ოსმალეთის საზავო დელეგაცია რაუპ ბეის მეთაურობით, მოითხოვდა ბრესტ-ლიტოვსკში ბოლშევიკებსა და ოსმალეთს შორის გაფორმებული საზავო ხელშეკრულების პირობების აღსრულებას, კერძოდ, ოსმალეთის მფლობელობაში ყარსის, არდაგანისა და ბათუმის გადაცემას. ქართველი ებრაელები მზადყოფნას გამოხატავენ ქართველებთან ერთად, იბრძოლონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, რათა საქართველოს საზღვრები შენარჩუნდეს 1914 წლის მდგომარეობით. ებრაელები უდიდეს საფრთხეს ხედავენ ოსმალეთის მხრიდან, რადგან მათი გაბატონება გამოიწვევს საქართველოს ეროვნულ-კულტურული განვითარების შეფერხებას და ებრაელების კულტურული აღორძინების კოლაფსს („ხმა ებრაელისა“ №2), სტატია ხელმოუწერელია.

„ხმა ებრაელისა“ ერთ-ერთი თანადამფუძნებელი რაბინი დავით ბააზოვი თავის სტატიაში „ჩვენ და ქართველები“ განიხილავს ქართველი და ებრაელი ხალხის ურთიერთობებს ისტორიულ რეტროსპექტივაში. თავის სტატიაში იგი ახსენებს ქართველი საზოგადო მოღვაწისა და გამომცემლის, ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომს „ქართველთა ებრაელნი საქართველოში“, სადაც ზაქარია ჭიჭინაძე ამტკიცებს, რომ ებრაელები მუდამ ერთგულნი იყვნენ და არასოდეს უღალატიათ საქართველოსთვის. ბააზოვი აღნიშნავს, რომ დაბალი კულტურული განვითარების გამო ებრაელებს არ მიუღიათ მონაწილეობა საქართველოს კულტურულ განვითარებაში, მაგრამ მათი ღვაწლი მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების დარგში, რადგან ებრაელმა მოვაჭრეებმა დიდი წვლილი შეიტანეს იმაში, რასაც ჩვენ დღეს სავაჭრო ურთიერთობებს ვუწოდებთ. რაბინი აგრეთვე გამოთქვამს იმედს, რომ ებრაელები სულ მალე გამოვლენ პოლიტიკურ ასპარეზზეც. დავით ბააზოვი და მისი პოლიტიკური პარტია ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც დაიწყო სტატიების ბეჭდვა ქართულ პრესაში ებრაელებისთვის, რათა მათ გაეაზრებინათ თავიანთი მდგომარეობა, იბეჭდებოდა სტატიები ებრაელთა ცხოვრების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი

საზოგადოება ამას მოწონებით შეხვდა. რაბინების კრების მოწყობის მცდელობამ სიონისტებს, დავით ბააზოვის თაოსნობით, დიდი სირთულეები გაუჩინა. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში სიონისტებს უპირისპირდებოდნენ ე.წ. „ასიმილატორები“, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სიონისტები უქადაგებდნენ ებრაელებს, გამიჯვნოდნენ ქართველებს. ასიმილატორები აგრეთვე ამტკიცებდნენ, რომ ქართველი ებრაელები მხოლოდ ებრაულ რელიგიას მისდევენ და ეროვნობით ქართველები არიან. მრავალი კითხვა არსებობს თვითიდენტიფიკაციასა და სახელდების გარშემო. ასიმილატორები ბეჭდავდნენ სტატიებს ქართულ პრესაში, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქართველი ებრაელები ქართველების თანამოაზრენი არიან და მხოლოდ ბააზოვი გამოდის ამის წინააღმდეგო. თავის მხრივ, დავით ბააზოვი ჩივის, რომ სიონისტები პირველები გამოჩნდნენ ქართული პრესის ფურცლებზე, მაგრამ ახლა მათ ყველა კარი დაუკეტეს და ასიმილატორების საპასუხო წერილები რედაქციაშივე რჩება გამოუქვეყნებელი. თითქოს ქართული პრესა გააზრებულად ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ქართველი ებრაელები სინამდვილეში ქართველები არიან. რაბინი ბააზოვი გულისტკივილს გამოხატავს იმის გამოც, რომ ებრაელები არ ეთანხმებიან ასიმილატორებს, მაგრამ სდუმან ნაწილი გულგრილობის გამო, ხოლო ნაწილი შიშის გამო, რადგან, მისი მტკიცებით, მდიდარი ებრაელები დაუშინებიათ ასიმილატორებს: არ გაამხილოთ ებრაელებო, თორემ ქართველებს ეწყინებათ და „დაგემტერებიანო“. ეს მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ქართველ ებრაელებს. ამის დასტურად ბააზოვი პოლონეთში ასიმილატორი ებრაელი ურშტეინის მოღვაწეობას ასახელებს. ურშტეინი მოუწოდებდა ებრაელებს, თავი პოლონელებად გამოეცხადებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი პოლონეთის მტრებად მოიხსენიან. დავით ბააზოვი წერს: „ჩვენდა საბედნიეროთ ქართველები არ არიან შოვინისტები და არც ანტისემიტები არიან მათში“. ამიტომ ბააზოვი მოუწოდებს ებრაელებს, აღიარონ თავიანთი ებრაელობა, მოუწოდებს კულტურული განვითარებისკენ და ამტკიცებს, რომ განათლებული ებრაელი ბევრად დიდ სარგებელს მოუტანს საქართველოს.

მთელი ამ მსჯელობის ძირითადი მოტივი ის არის, რომ ადამიანმა უნდა მოახდინოს თვითიდენტიფიკაცია, არ შერცხვეს თავისი ფესვების და თავისი ხალხის და სამშობლოს საკეთილდღეოდ იმსახურონ, განა ებრაელს არ შეუძლია იყოს საქართველოს სამსახურში? მაგალითად, ლუი ბრანდესი, რომელიც არ მალავს თავის ებრაელობას, ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი მოსამართლეა და

აგრეთვე გამოჩენილი სიონისტი. დავით ბააზოვი წერს ებრაელებზე, მათ შორის სიონისტებზე, რომლებიც დიდ თანამდებობებს იკავებდნენ მსოფლიოს განვითარებული სახელმწიფოების სამსახურში, მაგალითად, ებრაელი პრემიერ-მინისტრი იტალიაში, სხვა მინისტრები და ელჩები, რომელთა სახელები ნახსენები არ არის.

ბააზოვი მოუწოდებს თანამემამულეებს, იყვნენ გულწრფელნი, აღიარონ თავიანთი ებრაელობა, მოითხოვონ იგივე უფლებები, რასაც რუსეთის ებრაელობა მოითხოვს. რაბი ამტკიცებს, რომ ეს არა თუ ხელს შეუშლის ებრაელებს საქართველოს სამსახურში, არამედ მეტი მონდომებით ემსახურებიან სამშობლოს. დავით ბააზოვი წერს, რომ საჭიროა ებრაული სასწავლებლები, სადაც ბავშვები ისწავლიან რელიგიას და გაეცნობიან ებრაელი მწერლების: სეყედია გაონის, იეჰუდა ჰალევისა და სხვათა შემოქმედებას. თუ ებრაელები არ შეიძენენ ამ ცოდნას, მოხდება ასიმილაცია. დავით ბააზოვი წერს, რომ ებრაელთა კულტურული განვითარება წაადგება ქართულ კულტურასაც და მაგალითად მოჰყავს ნათან ელიაშვილი, რომელმაც ებრაულად თარგმნა „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაბეჭდილი პიესა „იძულებულნი“. სტატიის ბოლოს ბააზოვი კიდევ ერთხელ მოუწოდებს ქართულ პრესას, არ იყოს ცალმხრივი და გამოაქვეყნოს როგორც ასიმილატორების, ასევე სიონისტების შეხედულებები („ხმა ებრაელისა“ №2).

(„ხმა ებრაელისა“ №3) კვირას 25 თებერვალს (1918 წელი) (26 ადარს) მოხდა ქართველი ებრაელების სალოცავის შენობის საძირკვლის ჩაყრა. ზეიმს დაესწრნენ ბაქოს ებრაული ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები, თავმჯდომარე გუხმონის მეთაურობით და ყუბელი ებრაელობა. პირველი ქვა, თელიმის მღერით, ჩააგდო ხახამ ბინიაშვილმა, შემდეგ ქვის ჩაგდება გაიყიდა: პირველი 3000 მან. – მეორე 2000 მ. და სხვ. ყუბის ებრაელთა საზოგადოებამ შესწირა 2000 მან.

შემდეგ სტუმრები მიიწვიეს საუზმეზე. კედლები და ბევრი სტუმრებიც მორთულნი იყვნენ თეთრ-ცისფერი დროშებით

ებრაელები და სხვა ეროვნული უმცირესობები

(„ხმა ებრაელისა“ №3) ფესახის დღესასწაულის მესამე დღეს ცხინვალში ოსები შეიჭრნენ. ყუმბარები ფეთქდებოდა და ტირილის ხმა ისმოდა, მოსახლეობა დასახლებიდან ვერ გარბოდა, რადგან ერთი მხრიდან ხანძარი მძვინვარებდა, ხოლო მეორე მხრიდან

ტყვიების წვიმა მოდიოდა. დღის 3 საათზე ოსებმა შტაბი დაიკავეს, ამის შემდეგ მცველები გაიფანტნენ, დარჩა მხოლოდ რამდენიმე ებრაელი, რომლებიც განაგრძობდნენ ბრძოლას. ებრაელთა უბანს შესეულმა ოსებმა დაიწყეს ებრაელების უბნის დარბევა, ძარცვა და ძალადობა, არ ინდობდნენ ქალებს და ბავშვებსაც. დარბევა მთელ ღამეს გაგრძელდა, ოსების განსაკუთრებული გაბოროტება ებრაელების წინააღმდეგობამ გამოიწვია. ებრაელები სოფლებში გაიხიზნენ. ორი დღის თარეშის შემდეგ ოსებმა გაიგეს, რომ გვარდიელები უახლოვდებოდნენ გორიდან. მათ დატოვეს ცხინვალი და ცხინვალში ჯარი შემოვიდა ს. მაისურაძისა და ვ. ჯუღელის ხელმძღვანელობით (ავტორი ი. ჯი-ლი).

რუსეთი

გაზეთში განიხილება პოლიტიკური ვითარება რუსეთში. №3: ბრესტ-ლიტოვსკის ზავის საფუძველზე რუსეთი კარგავს შემდეგ მხარეებს: პოლონეთს, ლიტვას, ბალტიის მხარეს, უკრაინას, ბესარაბიას, კავკასიის ნაწილს. კარგავს გუბერნიებს: 3 ბალტიის, 3 ლიტვის, ეკატერინოსლავის, კიევის, ვოლინის, პოდოლის, ჩერნიგოვის, პოლტავის, ხერსონის, ბესარაბიის, ბათომის ოლქი და ყარსის ოლქის ნაწილი. ჯამში ეს არის 707 000 კვადრატული ვერსტი 46 მილიონი მოსახლით, გუბერნიების დაკარგვის შემდეგ რუსეთს 17 500 000 მცხოვრების ნაცვლად 129 000 000 მოსახლე დარჩებოდა. გარდა მოსახლეობისა, რუსეთი კარგავდა ნაყოფიერ მიწებს: 28 174 ათასი დესიატინა სახნავ-სათესი, რომელიც დაახლოებით 2 896 მილიონ პურს და კარტოფილს აძლევდა. წინათ ერთ სულ მოსახლეზე 45 ფუთი პური და კარტოფილი მოდიოდა, ტერიტორიების ჩამოცილების შემდეგ კი ეს რიცხვი 39 ფუთამდე მცირდებოდა. გარდა ადამიანური და სასოფლო-სამეურნეო რესურსისა, რუსეთი კარგავდა ინფრასტრუქტურულ რესურსებსაც, მაგლითად, რკინიგზას: მისი სიგრძე სულ 6000 ვერსტი იყო, 17 500 ვერსტი მის ფარგლებს გარეთ რჩებოდა; კარგავდა 9 200 ფაბრიკასა და ქარხანას 612 000 მუშითა და 575 მანქანით (სტატია მომზადებულია გაზეთ „Новая жизнь“ მასალების მიხედვით).

(„ხმა ებრაელისა“ №3) რა უჯდებოდა რუსეთს ჯარის შენახვა? მისი გამოანგარიშებით ეს თანხა 1 მილიარდ მანეთს უდრიდა, თუ ამ თანხას ერთ სულ მოსახლეზე გადაიანგარიშებდნენ, გამოდიოდა, რომ ჯარის შენახვა ერთ სულ მოსახლეს თვეში 6 მანეთი უჯდებოდა.

P. S.

„ხმა ებრაელისა“ სტატიების მოკლე თემატური მიმოხილვა ასახავს სიონისტური მიმართულების ქართველი ებრაელების თვალსაზრისს 1918 წლის მიმდინარე მოვლენების შესახებ საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ. სტატიების შესწავლის პროცესში გამოვლინდა რამდენიმე საინტერესო დეტალი, როგორცაა, მაგალითად, შიდა დაპირისპირება ქართველ და რუსეთიდან ჩამოსულ ებრაელებს შორის, ასევე იდეოლოგიური დაპირისპირება თვით ქართველ ებრაელთა წრეებში, ანტისემიტიზმის გამოვლინებები მეოცე საუკუნის დასაწყისში, გამოიკვეთა საქართველოსა და საზღვარგარეთ მოღვაწე ცნობილი ებრაელების სახეები, საინტერესოა აგრეთვე მცირე ერების დამოკიდებულება მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან, როგორ აღიქვამდნენ ისინი დამოუკიდებელ საქართველოს და რა ასპარეზი ეხსნებოდათ 1918-1921 წლებში. ეს პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ებრაელებისთვის, რადგან დადგა პალესტინაში ებრაელთა სახელმწიფოს შექმნის საკითხი.

„Еврейская жизнь“ გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1920 წლის 28 ივნისს. იყო საქართველოს სიონისტური ორგანიზაციის კომიტეტის ორგანო. გაზეთის სათაურის ქვეშ დაბეჭდილი იყო ლოზუნგი: „სიონიზმი ესწრაფვის შექმნას პალესტინაში სამართალდამცავი თავშესაფარი. ბაზელის პროგრამა.“ გაზეთის რედაქტორი მ. ლ. შტრეიხერი. გაზეთი დაიბეჭდა მ. ვიტენზონის სტამბაში, ვერის დაღმართი №12.

პირველ ნომერში დასახელებულია მიზეზი, რის გამოც დაიწყო გაზეთის გამოცემა: აზერბაიჯანში განვითარებულმა უკანასკნელმა მოვლენებმა საქართველოს ებრაელობას დააკარგვინა ბეჭდვითი ორგანოები, რომლებიც ებრაელთა ცხოვრებას აშუქებდა. რედაქცია იღებდა ცნობებს, პერიოდულ გამოცემებს ევროპიდან და პალესტინიდან, რაც ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო. მოცემული გამოცემის მიზანი იყო ებრაული საკითხის, სიონისტური ფრაქციების საქმიანობის, დიასპორის ცხოვრების გააშუქება. გამოცემლები ვარაუდობდნენ, რომ საზოგადოება კარგად შეხვდებოდა და მორალურ და მატერიალურ თანადგომას გაუწევდა საქართველოში გამოშვებულ ერთადერთ სიონისტურ გაზეთს. ყოველი ნომრის ბოლოში იბეჭდებოდა ცნობები, ვინ და რამდენი შესწირა პრესის ფონდს.

№6-დან ვგებულობთ, რომ გასაბჭოებასთან ერთად ბაქოში სიონისტური მოძრაობა შეჩერდა. ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ებრაულენავანი გამოცემების ნაწილს აქვს ბაქოს ბიბლიოთეკის ბეჭდები, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აზერბაიჯანში მცხოვრებმა ებრაელებმა კულტურული ცხოვრება საქართველოში განაგრძეს.

„Еврейская жизнь“ მნიშვნელოვანი გამოცემა იყო პალესტინაში წასვლის მსურველთათვის, რადგან საქართველო 1920 წელს ფაქტობრივად გამშვებ პუნქტს წარმოადგენდა რუსეთის იმპერიიდან აღთქმულ მიწაზე მიმავალი ებრაელებისთვის.

დამუშავდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ამ გაზეთის ნომრები: №1, 2, 3, 4, 6, 7, 8. მასალა თემატურად არის დაჯგუფებული. ნაშრომში არ შესულა სტატიები სიონისტური კონფერენციების, შეკრებებისა და გამოსვლების შესახებ, პალესტინაში მიმდინარე მოვლენებზე და სტატიები, რომლებიც ეხება სხვა ქვეყნების დამოკიდებულებას პალესტინაში ებრაული კერის შექმნის მიმართ. ეს თემები ფართოდ არის გააშუქებული უცხოელი მკვლევრების მიერ და გაზეთის გამომცემლების დამოკი-

დებულება ემთხვევა დასავლეთ ევროპისა და ამერიკელი მოღვაწეების აზრს ამ საკითხების მიმართ.

ებრაულ-არაბული დაპირისპირება პალესტინაში
ჟაბოტინსკის სასამართლო (№1, 1920)

პოლკოვნიკ კოლბინის მოთხოვნას ჟაბოტინსკის მიმართ სამხედრო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენზე სამხედრო სამინისტროს მდივანმა, სერ ა. ვილიამსონმა უპასუხა: „ჩვენს მიერ ჟაბოტინსკის და სხვა ებრაელი და მუსულმანი პირების დაპატიმრებასა და სასამართლოს განაჩენზე ცნობების მიღებამდე სამხედრო სასამართლოს განაჩენი – 15-წლიანი კატორღა შეიცვალა და 1 წლით ციხე მიესაჯა.“

პოლკოვნიკი კოლბინი: „ნებადართული იქნება ჟაბოტინსკისთვის სასამართლოს მეორე განჩინების გასაჩივრება?“

სერ ვილიამსონი: „სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაცემთ, რადგან ამ საქმის შესახებ დამატებით ცნობებს არ ვფლობ.“

„ებრაელი ქალების გაუპატიურებაში მსჯავრდებულების საქმე თუ გადაიხედა და შეურბილდათ მათაც სასჯელი?“

სერ ვილიამსონი ინფორმაციას არ ფლობდა არც ზემოთ აღნიშნულ საკითხზე, რადგან არ იცნობდა იერუსალიმში განვითარებული საქმის მსვლელობას.

იერუსალიმში მომხდარი დარბევის (პოგრომის) შესახებ (№1, 1920)

პალესტინაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე ნიუ-იორკის ადგილობრივი ებრაელები ითხოვდნენ ებრაელთა კონგრესის დაუყოვნებლივ მოწვევას.

ყველა ებრაული გაზეთი გამოთქვამდა აღშფოთებას იერუსალიმში განვითარებული მოვლენებისა და ადგილობრივი ინგლისური ხელისუფლების მიმართ.

ინგლისის პარლამენტში გაგზავნილი მოთხოვნა (№1, 1920)

ო. გურმა მიმართვა გაუგზავნა ინგლისურ პარლამენტს. მიმართვა შემდეგ საკითხებს მოიცავდა: 1) შეისწავლა თუ არა საგარეო საქმეთა მინისტრმა იერუსალიმში დარბევების მიზეზი (დარბევების დროს ბევრი ებრაელი დაიღუპა და დაშავდა); 2) დააპატიმრეს და დასაჯეს წამქეზებლები? 3) მიეთითა ოკუპირებული ტერიტორიების მთავარსარდალს, რომ სიონისტურ კომისიას განეგრძო შეუფერხებელი მუშაობა და, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციას თავისი

საქმიანობის წარმართვისას უნდა ეხელმძღვანელა ბულფორტის დეკლარაციით?

მიიღეს სამხედრო მინისტრის მდივნის, უილიამსონის პასუხი: „გამოსაძიებელი კომისია უკვე შეკრებილია. დარბევის წამქეზებლებისა და ორგანიზატორების უმეტესობა უკვე დაპატიმრებული და გასამართლებულია. ადგილობრივ ხელისუფლებას არ მიუღია ახალი განკარგულებები, რადგან ეს ზედმეტად ჩაითვალა. სიონისტური კომისია განაგრძობდა საქმიანობას.

სხვა დეპუტატის მიერ გაგზავნილ მიმართვაზე: აკმაყოფილებს თუ არა ხელისუფლებას ადგილობრივი მმართველობის მოღვაწეობა ადგილობრივი ებრაელებისა და არაბების მშვიდობიანი თანაცხოვრების დანერგვის საქმეში? უილიამსონმა უპასუხა, რომ რამდენადაც ეს ეხება სამხედრო სამინისტროს, ის კმაყოფილია.

იერუსალიმი (№1, 1920)

იერუსალიმის სათვისტომოს წარმომადგენლები – დ. ელინი და ბატონი რეუბენი გაემგზავრნენ ლონდონში ბრიტანეთის ხელისუფლებისთვის მცირე ხნის წინ იერუსალიმში მომხდარი არაბულ-ებრაული დაპირისპირების შესახებ ანგარიშის წარსადგენად. დელეგატებს უნდა მოეთხოვათ ზემოხსენებული მოვლენების დროს ადგილობრივი მმართველობის მოქმედებების შემსწავლელი კომისიის დაუყოვნებლივ გაგზავნა იერუსალიმში.

პასუხი არაბების დამცველ ნაფიც მსაჯულს (№1, 1920)

სტატიის ავტორი ს. პაიკინი მიმართავს ბატონ ანინს მისი სტატიის – „ჩამი პასუხი საქართველოს სიონისტურ ორგანიზაციას“, საპასუხოდ. თავის სტატიაში ბატონი ანინი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ საქართველოს სიონისტური ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარის მიერ სტატიაში აღწერილი თანამდროვე პალესტინის მდგომარეობა არ შეეფერება სინამდვილეს.

ანინის მტკიცებით, სტატიაში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები, პალესტინაში ებრაული მოსახლეობის სიმჭიდროვის შესახებ, მცდარია. ამის დასამტკიცებლად არაბების დამცველს მოჰყავს ციტატა დავით ტრიტჩის წიგნიდან, სადაც წერია, რომ 1912 წელს პალესტინაში ებრაელთა საკუთრებაში არსებული მიწა დაახ. 40 000 ჰექტარს შეადგენდა, ხოლო მოსახლეობა – 72 000. შესაბამისად, ერთ კვადრატულ კილომეტრზე მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 19-20 ადამიანს და არა 150-200, როგორც ამას სიონისტები ამტკიცებენ. თუმცა, ბატონ ანინს გამოერჩა, რომ სტატიაში ლაპარაკია ებ-

რაულ კოლონიებზე, რომლებიც მჭიდროდ არის დასახლებული და არა სრულად ებრაელების მიერ შეძენილ ტერიტორიებზე. ბატონი ანინი აგრეთვე ამტკიცებს, რომ ებრაელების მოთხოვნა პალესტინაზე ისეთივე კანონიერია, როგორც ანტანტის მიერ სირიის მოთხოვნა. იგი ებრაელთა კოლონიზაციურ პოლიტიკას აიგივებს იმპერიალისტურ კოლონიალიზმთან, რაც პაიკინის აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან იმპერიალისტური კოლონიზაციის დროს მოსახლეობის დიდი ნაწილის უფლებები ილახება გამარჯვებული ძალის მხრიდან. ხოლო პალესტინა ყოველთვის იყო ებრაელთა სამშობლო და აღთქმული მიწა. „ებრაელ ხალხს არასოდეს დავიწყებია იგი და ფსიქოლოგიურად მჭიდროდ უკავშირდებოდა მას.“

პაიკინის სიტყვებით, 2000 წლის წინ რომაელების მიერ ებრაელთა პალესტინიდან განდევნის შემდეგ არაერთხელ მოხდა ებრაელთა მასობრივი ემიგრაცია სამშობლოში. ებრაელთა რიცხვი პალესტინაში ხშირად აღწევდა მოსახლეობის 50%-ს. წინა აზიაში მიმდინარე მოვლენების ფონზე ებრაელი მოსახლეობა მცირდებოდა. პალესტინა ოდესღაც აყვავებული აგრარული ქვეყანა ყოფილა, მაგრამ 2000 წლის განმავლობაში იგი სრულიად დაიქცა, მასზე არ ზრუნავდა არცერთი სახელმწიფო, რომლის გავლენის სფეროშიც შედიოდა. პალესტინის არაბული მოსახლეობა მიწების ნახევრის ათვისებას თუ ახერხებდა, მოძველებული ფეოდალური მიდგომა ართულებდა ტექნიკური პროგრესის დანერგვას. ადგილობრივი მოსახლეობა, ავტორის აზრით, ვერ განვითარდებოდა დამხმარე ძალის გარეშე. საჭირო იყო ძალა, რომელიც თავის ენერგიასა და მონდომებას ჩადებდა გაუდაბურებული მხარის აღორძინებაში. ეს, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი იყო არაბული მოსახლეობისთვის. ასეთ ძალად პაიკინს ებრაელები მიაჩნდა. აღმოსავლეთ ევროპის ებრაელობა ჩაიძირა სოციალურ და პოლიტიკურ უუფლებობაში. მათ სურდათ საკუთარი ცხოვრების შეცვლა ეროვნული თვითგამორკვევის საფუძველზე, რაც გულისხმობდა ეროვნული კერის შექმნას იმ ტერიტორიაზე, რომელიც ისტორიულად იზიდავთ.

პაიკინის თქმით, ებრაელები არ შეჭრილან სხვის ტერიტორიაზე, არავის გაყრა და არაფრის გაფუჭება არ ჰქონიათ განზრახული; ისინი მივიდნენ უდაბნოში, რომელიც თითქმის დაუსახლებელი იყო და არავის საკუთრებას წარმოადგენდა არც მორალურად და არც ფაქტობრივად, მივიდნენ, რათა შეექმნათ და აეღორძინებინათ სახელმწიფო იქაურ მაცხოვრებლებთან ერთად. ავტორი ეყრდნობა

„ეროვნული დემოკრატიის“ პრინციპებს და აცხადებს, რომ ამ პრინციპების თანახმად, მიწა უნდა გადანაწილებულიყო იმ ადამიანებს შორის, რომელთაც სურდათ მისი დამუშავება. ამის დამადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის გარემოება, რომ ინგლისელი და ამერიკელი მუშები ითხოვდნენ პალესტინის ებრაელებისთვის გადაცემას.

ავტორისთვის გაუგებარია, რომელი დემოკრატიული პრინციპებით ხელმძღვანელობდა ბატონი ანინი, როდესაც ითხოვდა, რომ უდაბნოს დაუმუშავებელი მიწები არაბი ფეოდალების ხელში დაეტოვებინათ და პალესტინა სირიისთვის მიეერთებინათ. ბატონი ანინის მტკიცებით, ებრაელთა პრეტენზიებმა პალესტინაზე გამოიწვია არაბი მოსახლეობის საპროტესტო მანიფესტაციების ტალღა და ბოლოს ებრაელთა დარბევა იერუსალიმში. პაიკინი უარყოფს არაბი მოსახლეობის პროტესტს ებრაელების წინააღმდეგ, მისი აზრით, გაუნათლებელი და ღარიბი არაბები ალაჰის წყევლითა და შოლტის ცემით გარეკეს მანიფესტაციებზე. ამ დემონსტრაციებში გლეხები თითქმის არ ყოფილან წარმოდგენილი, ბრბო ძირითადად შედგებოდა უსაქმური ბიჭებისგან და ჟანდარმებისგან. არავისთვის ყოფილა უცნობი, რომ ებრაელების დარბევა იერუსალიმში პროვოცირებული იყო ებრაული კოლონიზაციის მოწინააღმდეგე „არაბი ეფენდების“ ჯგუფის მიერ, რომლებსაც ეშინოდათ თავიანთი დიდი მამულების დაკარგვის. ადგილობრივი არაბული მოსახლეობის 70% ბრიტანული ხელისუფლების მიმართ გაგზავნილ პეტიციაში კეთილგანწყობას გამოხატავდა ებრაელი იმიგრანტების მიმართ. 30-წლიანმა გამოცდილებამ დაარწმუნა უბრალო არაბები, რომ ებრაელები კეთილგანწყობილები იყვნენ არაბების მიმართ, გარდა ამისა, არაბები ცდილობდნენ მიეზიდათ ებრაელებისთვის და შვილებსაც კი აგზავნიდნენ ებრაულ სკოლებში. ებრაელი მუშა პალესტინაში შრომის სიყვარულს, სრული დემოკრატიზაციის პრინციპებს, კულტურასა და თანამედროვე ტექნიკას ნერგავდა. ყოველივე ეს აკლდა არაბ მოსახლეობას და სხვა წყაროდან ვერ ღებულობდა. არაბებს ესმოდათ და აფასებდნენ ამას.

რაც შეეხება ებრაელების პროტესტს, კოლონიაში არაბული შრომის გამოყენების თაობაზე, ის მიმართული იყო არა არაბების წინააღმდეგ, არამედ თვით ებრაელების წინააღმდეგ, რადგან არ სურდათ ხელფასებისა და შრომის პირობების მოწესრიგება. მუდამ დაჩაგრულ ებრაელ ხალხს არ შეიძლება არ ესმოდეს და არ ითავისებდეს დაჩაგრულის პოზიციას. ასე რომ, ტყუილად იტვირთა ბატო-

ნმა ანინმა არაბების უფლებების დაცვა, როდესაც თვითონ არაბებს არ აზინებდათ საკუთარი მომავალი. ანინი წერდა, რომ არაბები ისე ისწრაფვიან პალესტინისკენ, როგორც პეპლები სინათლისკენ, რადგან ისინი მიისწრაფიან იმ ადგილებისკენ, სადაც გაიარა გუთანმა და სადაც ბოლავს ქარხნის მილი. თუმცა, დამასკოში, ბეირუთში და სირიის სხვა მსხვილ ქალაქებში გახსნილი საემიგრაციო პუნქტები მსურვების ემიგრაციას ახდენდა ამერიკაში და არა პალესტინაში, რადგან აი ქარხნები ჯერ არ იყო. მიწა კი საკმარისი იყო არამხოლოდ პალესტინაში, არამედ სირიაშიც, სადაც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წამოწყება იმხელა ხარჯებთან არ იყო დაკავშირებული, როგორც პალესტინაში. როდესაც პალესტინაში ამუშავდებოდა ქარხნები იქ საკმარისი ადგილი იქნებოდა ებრაელებისთვისაც, არაბებისთვისაც და ჩამოსული არაბებისთვისაც.

კარგი იქნებოდა, რომ ბატონ ანინს თავისი დასკვნები ფაქტების საფუძველზე გაეკეთებინა და დრო არ ეხარჯა დონ-კიხოტობაზე.

(№1, 1920)

სან-რემოს გადაწყვეტილების შემდეგ. დროებითმა კომიტეტმა იერუსალიმში მიმართა მთავარსარდალს: „ორშაბათს 8 იორს (26 აპრილს) მთელ ქვეყანაში გამოცხადდა მარხვა და გაფიცვები ჩვენი ძმების დამნაშავეებად ცნობის გადაწყვეტილების გამოტანის საწინააღმდეგოდ. ყველა მაღაზია და სახელოსნო დაიკეტა. სინაგოგები და სხვა საზოგადოებრივი შენობები გადავსებული იყო გაფიცულებით. შუადღისას მოვიდა დეპეშა სან-რემოდან. ებრაული მოსახლეობა არ გაჩერდება, ვიდრე არ დაკმაყოფილდება ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები:

1) დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ თავდაცვით ქმედებებში მონაწილე პირები: ჟაბოტინსკი და სხვანი;

2) გამოიგზავნოს სპეციალური საპარლამენტო კომისია დარბევების გამომწვევი მიზეზებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ქმედებების შესასწავლად.“

ნიუ-იორკი. თურქეთთან საზავო ხელშეკრულებაში ბალფურის დეკლარაციის ჩართვამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ამერიკაში, ებრაული გაზეთების გამომცემლობების სიახლოვეს უამრავი ხალხი ირეოდა დამატებითი ცნობების მისაღებად. ამერიკაში გავრცელდა ჭორები, რომ ბოლოდროინდელი მოვლენების შემდეგ ინგლისი უარს ამბობდა პალესტინის მანდატზე. ყველა ებრაული გაზეთის პირველ გვერდზე სან-რემოს ამბები იბეჭდებოდა, ებრაელები ელოდნენ, რომ სამხედრო ხელისუფლებას პალესტინაში საერო შეცვლიდა,

გათავისუფლდებოდნენ უკანონოდ დაკავებული და პალესტინა კარს გახსნიდა იმიგრანტებისთვის.

პალესტინა (№1, 1920)

ზემო გალილეაში

ფრანგების მიერ ზემო გალილეს ოკუპაციის დროიდან არ წყდებოდა ბედუინების თავდასხმები ფრანგულ პოსტებზე და ქრისტიანულ დასახლებებზე. ებრაელებს თავიდან არ ეხებოდნენ, მათ არათუ არ ძარცვავდნენ, გარკვეულ თანაგრძნობასაც კი გამოხატავდნენ მათ მიმართ და არწმუნებდნენ, რომ „არ ებრძოდნენ მშვიდობიან მეზობლებს“. ბედუინები ებრძოდნენ ფრანგებს, რომლებიც მოვიდნენ მათი მშობლიური მთებიდან გასაძევებლად.

ანტიებრაული პროპაგანდის შედეგად, რომელიც ძირითადად დამასკოდან მიმდინარეობდა, ურთიერთობები დაიძაბა და ებრაელი კოლონისტები იძულებულები გახდნენ მიეტოვებინათ დიდი შრომის შედეგად ათვისებული კოლონიები. მოყვანილია ამონარიდები ებრაელი კოლონისტების წერილებიდან. ბედუინები პარტიზანულ ომს აწარმოებდნენ, ამიტომ გზები უსაფრთხო არ იყო. „ჩრდილოეთისკენ მიმავალი გზა უსაფრთხო არ არის, ამ დროს ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამ გზით თითქმის ყოველდღიურად. ახლა ჩვენთან თელხაეში (კოლონია) 88 ადამიანი, რომლებიც იუდეიდან მოვიდნენ. ჩვენს შორის არიან დემობილიზებული ლეგიონერებიც. ქვემო გალილეაში ჩვენს რაზმში ჩაწერის 50 მსურველი გამოჩნდა. ყველა სამუშაო შეკრებაზე ვიღებთ რეზოლუციებს მოწოდებით, დავიცვათ ჩვენი დასახლებები. ინგლისელების გავლენის სფერო ვრცელდება დასახლება „ვაზაიას“ ხაზზე, ფრანგებს თავიანთი ავან-პოსტები განლაგებული აქვთ დასახლება „ჰაცადიაში“ – ჩვენი სამი დასახლების ზოლი მოქცეულია გავლენისგან თავისუფალ ზოლში. ყოველდღიურად გვემუქრება ამ ადგილებში თავშეყრილი ბედუინების თავდასხმის (ალყის შემორტყმის) საფრთხე. გარდა ამისა, არსებობს წყლის, საკვებისა და ტყვია-წამლის გარეშე დარჩენის საფრთხე. ფრანგებმა და ინგლისელებმა მიატოვეს ეს საშიში ადგილი, ჩვენ კი არ ვფიქრობთ დაძვრას. აქ არიან ჩვენი ამხანაგები, ჩვენი ხელით შექმნილი კოლონიები, აქ ყოვლილი ნაბიჯი გაუღენთილია ჩვენი ოფლით და მზად ვართ, დავიცვათ ჩვენი სისხლით. არცერთ მტკაველს არ დავთმობთ ბრძოლის გარეშე...“

„კფარ-ელადიდან“ გამოგზავნილ სხვა წერილში ჩვენ ვკითხულობთ: „საღამოს ფრანგები გამოჩნდნენ კფარ-ელადში, გამთენიისას კი მატუელები (არაბები სოფელ მატულიდან) გამოჩნდნენ მა-

ტულიდან. ფრანგებმა უკან დაიხიეს და განთავსდნენ დასახლების უკან. ბედუინებმა სცადეს თავდასხმა სოფელ „თელხაიზე“, მაგრამ ჩვენმა ამხანაგებმა ცეცხლი გაუხსნენ და უკუაქციეს.

გამარჯვებით აღფრთოვანებული არაბები ჩვენს სამ სოფელს ერთდროულად დაესხნენ თავს, მაგრამ ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ უკან დავახევინეთ. ცოტა ხნის წინ ჩვენ შემოგვიერთდა 50 კაცი იუდეიდან და ქვემო გალილეიდან. მრავალი მშრომელი მზად არის მიბაძოს მათ მაგალითს. მაგრამ დგება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დრო, ცენტრალურმა კომიტეტმა გვირჩია, ყველა დავრჩეთ ადგილზე. ყველა მხნე განწყობას ვინარჩუნებთ. ტყვიების ზუზუნში ჩავატარეთ ეროვნული საბჭოს არჩევნები.

ვიდრე ერთნი პოსტზე ვიდექით, სხვები მიდიოდნენ ხმის მისაცემად, დანაშაულად მივიჩნიეთ არჩევნების თუნდაც ერთ საათით დაყოვნებას. ჩვენს შორის ორი ამხანაგი ახლახანს ჩამოვიდა ლიტვიდან „რუსლანით“.

გასაოცარია, როგორ მოქმედებს პალესტინის ჰაერი ჩვენს დაშინებულ ძმებზე რუსეთიდან.

მუდმივმა მორიდებულობამ და კრძალვამ, რომელიც მათი თვალებიდან გამოსჭვიოდა, ადგილი დაუთმო გაბედულებასა და გმირობის სურვილს. ისინი ერთ-ერთი ყველაზე გულადი მესანგრეები არიან და ფუჭად არ უშვერენ თავს არაბულ ტყვიებს.“

ზემო გალილეიდან იერუსალიმში ახლადჩამოსულებმა გვაუწყეს, რომ წესრიგი დიდი ხანია დამყარდა და ინგლისის ჯარებმა გააძევეს მოთარეშე ბედუინების ბანდები და დაიძრნენ იორდანესკენ.

არაბების თავდასხმები (№2, 1920)

არაბული დაჯგუფებები თავს დაესხნენ ებრაულ სოფელ მარაგას. ორი ებრაელი – მოსე კლევარტოვსკი და ჰაიკოვიჩი მოკლეს, ერთი – ნახმან კარნუელი – დაიჭრა.

საფრანგეთის ჯარები გალილეაში ენერგიულ ზომებს ღებულობდნენ ძარცვის წინააღმდეგ. არაბული სოფელი გალასა, სადაც ტრუმპელდორისა და მისი ამხანაგების მკვლელები ცხოვრობდნენ, გადაწვეს.

იაფაში გამართულ დიდ მიტინგზე ყურადღება გამახვილდა არაბების ხშირ თავდასხმებზე გალილეაში დაარსებულ ებრაულ კოლონიებზე. გადაწყდა მათ საშველად 1000 ადამიანის გაგზავნა. მუშათა კავშირმა თავის მხრივ 300 კაცი გამოყო.

პალესტინა (№1, 1920)

გალილეიდან (ამონარიდი კერძო წერილიდან)

როდემდე იქნება გალილეის კოლონიები ახალგაზრდობის გარეშე. ბედუინების იმდენად გათავხედნენ, რომ თავს ესხმიან კოლონიას ადმინისტრაციის ცხვირწინ, თანაც ადმინისტრაცია თითქოს ხელს უწყობს მათ. ძველი კოლონისტები მედგრად იბრძვიან, მაგრამ მათ ძალებს აღემატება არბაბებთან გამკლავება, რომელთა რიცხვი ათობით და ასობით აღემატება კოლონისტების რიცხვს. ცოტა ხნის წინ არაბები თავს დაესხნენ კოლონია „მასახს“. კოლონისტები წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული და ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართეს დასახმარებლად, მაგრამ მიუხედავ იმისა, რომ იქვე განლაგებული იყო ინდოელების რაზმები, დასახმარებლად მხოლოდ 7 კაცი გამოგზავნეს. 400 ბედუინის თავდასხმა უკუაგდეს, მაგრამ მინდორში მობალახე საქონელი გაიტაცეს არაბებმა. ებრაელებს 3 კაცი მოუკლეს. რამდენიმე საათში დახმარება მოვიდა მეზობელი მუშათა დასახლებებიდან, რაზმი დაედევნა ბედუინებს და საქონლის ნახევრის უკან გამორეკვა მოახერხა. ებრაელმა მოსახლეობამ რაზმის ხელმძღვანელს მიმართა, ითხოვა დამხმარე მრავალრიცხოვანი რაზმის გამოგზავნა, მაგრამ დელეგაციის მიღებაზეც კი უარი მიიღეს. როდესაც „ჰაად გაცირიმის“ საშუალებით ამის შესახებ ეცნობა საოკუპაციო ძალების მთავარსარდალს, ჩვენს კოლონიებში ჯარები შემოიყვანეს. თუმცა ამ ჯარების იმედიც არ გვაქვს, ზოგ ადგილას ასეთი ჯარები თავდასხმის მიზეზიც ხდება. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ დასახლებაზე 2-3 წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ ბედუინები აღარ გაჰყარებიან ამ დასახლებებს. არაბებს ზუსტი ინფორმაცია ჰქონდათ სუსტი წერტილების შესახებ და სწორედ მათ ესხმოდნენ თავს.

ებრაული ლეგიონი ითხოვდა გალილეაში გაგზავნას, მაგრამ მათი ხმა რჩებოდა ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა. ახალგაზრდები უაზროდ იღუპებოდნენ რუსეთში, პოლონეთში, გალიციაში მაშინ, როდესაც ასე სჭირდებოდნენ თავიანთ სამშობლოს.

12 ივლისს „Times“-ში დაიბეჭდა (№3, 1920):

იერუსალიმი, 8 ივლისი

ლეიტანანტი ვლადიმირ ჟაბოტინსკი და ციხე-სიმაგრე აკრაში დატყვევებული მისი 19 მეგობარი ამნისტირებულები იქნენ და გათავისუფლდნენ ჰერბერტ სამუელის მიერ იერუსალიმში საზეიმოდ გამოცხადებული მეფე გეორგ V პალესტინელი ხალხისადმი მიმართვის შემდეგ. მეორე დღეს გმირი პატიმრები დაბრუნდნენ იერუსალიმში, სადაც გრანდიოზული შეხვედრა მოუწყეს.

(№4, 1920)

ნიუ-იორკის გაზეთ „Jewish journal“-ის განცხადებით, სიონისტური ორგანიზაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე გადაწყვიტა არაბთა საქმეების სპეციალური კომიტეტი შეექმნა.

როგორც ცნობილია, თურქეთთან სამშვიდობო შეთანხმების დადებისთანავე ექიმი ვაიცმანი, სოკოლოვი, იულიან მაკი და დოქტორი მ. ნორდაუ მიემგზავრებოდნენ პალესტინაში, შესაძლოა მათ იზრ. ზანგვილი დამგზავრებოდა.

ვარშავული გაზეთის „ჰაცეფირას“ ცნობით, ნათან შტრაუსი, მილიონერი და ფილანტროპი ნიუ-იორკიდან პალესტინაში გამგზავრებას გეგმავდა.

ბარონი ედმუნდ როტშილდი მოლაპარაკებებს აწარმოებდა ლონდონელ სიონისტებთან ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით.

ვარშავული გაზეთი „ჰაცეფირა“ გვაცნობებს, რომ ავსტრიის ჯარის დაახლოებით 2000 ებრაელმა ოფიცერმა ითხოვა ნებართვა პალესტინის ებრაულ პოლკში გადასვლაზე.

ებრაელ ქალთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია დაემთხვა სიონისტთა მსოფლიო კონფერენციას. ლონდონში გამართულ ამ ორ შეკრებაზე შეთავაზებულ იქნება პალესტინის ასაღორძინებლად ებრაელ ქალთა მობილიზაციის პროექტი.

საბჭოთა ხელისუფლებამ პატიმრობიდან გაათავისუფლა 68 დელეგატი, რომლებიც რუსეთის სიონისტურ კონგრესზე შეიკრიბა მოსკოვში. დელეგატები დააპატიმრეს სან-რემოს დადგენილების შესახებ ენთუზიაზმით სავსე სიტყვების წარმოთქმისთვის.

ებრაული პარტიების დაპირისპირება სიონისტურ პარტიასთან

„ეროვნული საბჭო“ (№1, 1920)

გამოქვეყნდა სტატია „ვიკონტის“ ავტორობით. საუბარია დაპირისპირებაზე თბილისის ებრაელთა ეროვნულ საბჭოზე სიონისტებისთვის ისეთ პრინციპულ საკითხზე, როგორიცაა, ენის საკითხი. ვიკონტის მონაყოლით, ეროვნული საბჭოს მორიგ სხდომაზე უნდა განხილულიყო საბავშვო მოედნის მოწყობის საკითხი. ამ სხდომაზე მემარცხენე ებრაული პარტიები უმეტესობაში იყვნენ. საბავშვო მოედნის საკითხს მოჰყვა ენის საკითხი. არც ერთი პარტია არ ყოფილა გაფრთხილებული დღის წესრიგის შესახებ. საბოლოო ჯამში, მემარცხენე პარტიებმა სამუშაო ენად ებრაული არ აღიარეს, რასაც

სიონისტური პარტიების პროტესტი მოჰყვა. შემდეგ მოწვეულ სხდომაზე სიონისტურმა პარტიებმა, განსაკუთრებით კი, „ცეყირე-ციონმა“, მწვავე განცხადებები გააკეთეს ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ მემარცხენე პარტიებმა პროვოკაცია მოაწყვეს და სხდომა სკანდალით დასრულდა. „ფოალეი-ციონის“ წარმომადგენლები ადგილებიდან წამოიყვრებდნენ ხოლმე ცალკეულ ფრაზებს, მოხსენებით გამოსვლა შეუძლებელი გახდა. რამდენიმე პარტიამ გაიწვია თავიანთი წარმომადგენლები პრეზიდიუმიდან. ენობრივ საკითხზე ერთიანი პოზიცია მაინც ვერ შემუშავდა. ერთადერთ გამოსავლად ავტორი ეროვნულ საბჭოში ყველა ფრაქციის წარმომადგენლის პროპორციულად წარმოდგენას ხელდავდა. სხვა შემთხვევაში, ეროვნული საბჭოს მართვა სრულიად მემარცხენე პარტიების ხელში იყო.

„ჩანახატები“ (№1, 1920)

სტატია ეხება თბილისის ებრაელთა კავშირის ეროვნული საბჭოს სხდომას, სადაც უნდა განხილულიყო საბავშვო მოედნის საკითხი და საბოლოოდ სამუშაო ენის განსაზღვრის ნიადაგზე დიდი დაპირისპირება მოხდა. ე.წ. „ებრაული პროლეტარიატის“ წარმომადგენლები „ქაფმომდგარები“ ამტკიცებდნენ „წითელი იდიშის“ უპირატესობას და მას ლიტერატურულ ენას უწოდებდნენ. ებრაულისა და იდიშის ნაკლოვანება-უპირატესობებზე სტატიის ავტორი არაფერს ამბობს. თუმცა, მას სხვა კითხვა უჩნდება, როგორ გაჩნდა „ებრაელ პროლეტარებს“ შორის მსხვილი მეწარმე ენჩმენი? როდესაც მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლებმა დატოვეს ებრაული ეროვნული საბჭო, ბატონი ენჩმენი დროებით წარმომადგენლად აირჩიეს.

„პროგრამისთვის წამებულები“ – ლიამოშკი (№1, 1920)

ეს სტატიაც „ჩანახატების“ პირველი ნაწილის მსგავსად, სარკაზმით არის გაჟღენთილი. ავტორი მკითხველებს ახსენებს, რომ ეროვნული საბჭოს არჩევნების წინ ყველა საყვედურობდა უპარტიოებსა და ხელოსნებს, რომ მათ სამოქმედო პროგრამა არ ჰქონდათ, ამიტომ ნაუცბათევად შექმნეს პროგრამა, მაგრამ მნიშვნელოვანი რამ გამორჩათ: პროგრამა შინაგან რწმენასა და შეხედულებებს უნდა ემყარებოდეს. ამგვარად, პროგრამის ერთ-ერთი ავტორი, ვინმე ბატონი ც., პროგრამის წამებულად იქცა, როდესაც ებრაული ენის ალორძინების მომხრე იდიშიც დამცველთ ბანაკში აღმოჩნდა.

ბერლინის აღება (№6, 1920)

ამ სახელწოდებით გამოქვეყნდა სტატია გაზეთ „ჰოლამში“. ეს იყო სტატია ბერლინში სიონისტებისა და ასიმილატორების დაპირისპირების შესახებ. სტატიის ავტორის აზრით, ასიმილატორების ებრაელობა მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი წელიწადში ერთხელ „იომ-ქიფურზე“ მიდიოდნენ სინაგოგაში, რომელიც შესახედაობითა და რიტუალთა კირხეს უფრო ჰგავდა. ისინი შიშით უყურებდნენ აღმოსავლელ ებრაელებს, რომლებიც ომის დროს ჩავიდნენ ბერლინში და საკუთარი უფლებებისთვის იბრძოდნენ. ადგილობრივი ებრაელების აზრით, ეს ადამიანები საფრთხეს უქმნიდნენ და დისკრედიტაციას უწევდნენ გერმანელი მოსახლეობის თვალში.

ბერლინელი ებრაელების საზოგადოებრივი საქმიანობა შემოიფარგლებოდა წელიწადში რამდენჯერმე გამართული შეკრებებით, სადაც წყდებოდა ისეთი ყოფითი საკითხები, როგორიცაა სინაგოგის გაფართოება, დამკრძალავ საზოგადოებაში ახალი წევრების მიღება ან ქველმოქმედება. ებრაული სათვისტომო კლერიკალურ ლიბერალურ ცხოვრებას ეწეოდა. ახალგაზრდობას წარმოდგენა არ ჰქონია საერთო ებრაულ მისწრაფებებზე, ისინი იბრძებოდნენ გერმანულ პატრიოტულ მოტივებზე.

ამ ასიმილატორებს ებრძოდნენ სიონისტები, განსაკუთრებით აქტიურობდა „ჰაფოელ-ჰაცაირი“. მათ იმდენად კარგად წარმართეს საარჩევნო კამპანია, რომ დაამარცხეს ასიმილატორები მოლოდინების მიუხედავად.

„ფოალეი-ციონის“ მეხუთე კონფერენცია (№8, 1920)

1920 წლის ივლისში გაიმართა ებრაული სოციალურ-დემოკრატიული პარტია „ფოალე-ციონ“ კონფერენცია, რომელზეც მოხდა განხეთქილება. განხეთქილება არ ყოფილა მოულოდნელი. პარტიის წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებიდან სხვადასხვაგვარად უყურებდნენ საკითხს. ამერიკელი და ინგლისელი ებრაელები თვლიდნენ, რომ პროგრამა უნდა გაფართოებულიყო ეროვნული ინტერესების კუთხით. რუსი და უკრაინელი „ფოალეი-ციონისტები“ იმყოფებოდნენ კომუნისტური იდეების გავლენის ქვეშ და ძალიან დაშორდნენ თავიანთ დასავლეთ ევროპულ და ამერიკელ თანაპარტიელებს. დაპირისპირება უფრო გამძაფრდა სან-რემოს კონფერენციის გადაწყვეტილების შემდეგ, რადგან ამ გადაწყვეტილებამ არჩევანის წინაშე დააყენა „ფოალეი-ციონი“ – ეთანამშრომლათ სიონისტებთან ებრაული პრობლემის გადასაჭრელად ეროვნული ბრძოლით ან მიეტოვებინათ ებრაული ქუჩა.

ვენაში არსებობდა „ფოალეი-ციონის“ მსოფლიო კავშირის ბი-

ურო, რომელიც ცდილობდა დაპირისპირების აღმოფხვრას. ის ხან დასავლურ გავლენებს მიჰყვებოდა, ხან კი ექცეოდა მემარცხენე აღმოსავლეთ ევროპული განწყობების გავლენის ქვეშ. მემარცხენეებმა შექმნეს „პარტია ფოალეი-ციონის საორგანიზაციო კომიტეტი“, რომლებიც მესამე ინტერნაციონალის პლატფორმაზე აპირებდნენ მოკავშირეების გაერთიანებას.

მომწიფებულ დაპირისპირებას წინ უძღვოდა კონფერენციის მონაწილეთა კამათი – დაეწყოთ კონფერენცია თუ დალოდებოდნენ რუსეთის წარმომადგენლებს. მემარჯვენეებმა (დასავლური ორიენტაციის დელეგატებმა) კონფერენცია აღმოსავლელი ებრაელების ჩამოსვლამდე დაიწყეს.

პირველი ხუთი დღე კონფერენცია მემარცხენე დელეგატების მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობდა. თუმცა არც ამ დღეების განმავლობაში იყო ერთობა. ამერიკელი, ინგლისელი და პალესტინელი დელეგატები აკრიტიკებდნენ ცენტრალურ ბიუროს, რადგან მან მონაწილეობა არ მიიღო მსოფლიო სიონისტურ კონფერენციაში. ბრძოლა რუსეთიდან და უკრაინიდან ჩამოსული დელეგატების გამორჩენის შემდეგ დაიწყო. მემარცხენეები თვლიდნენ, რომ პრობლემას მხოლოდ მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია გადაჭრიდა. პარტიას უარი უნდა ეთქვა სიონისტურ პარტიასთან ურთიერთობაზე და გაერთიანებულიყვნენ მესამე ინტერნაციონალის ეგიდით. მემარჯვენეები აღნიშნავდნენ, რომ მეორე ინტერნაციონალმა კრაზი განიცადა და ვერ გაერთიანდებოდნენ მესამე ინტერნაციონალში, თუ გათვალისწინებული არ იქნებოდა ებრაული პროლეტარიატის განსაკუთრებული მდგომარეობა.

მემარჯვენეები ცდილობდნენ პარტიის ერთიანობის დაცვას და დათმობებზე წავიდნენ. მათ მონაწილეობა არ მიუღიათ კენჭისყრაში მესამე ინტერნაციონალთან გაერთიანების საკითხთან დაკავშირებით. კენჭისყრის შედეგად 178 მომხრე, 1 მოწინააღმდეგე (კაპლანსკი) აღმოჩნდა და 179 დელეგატმა თავი შეიკავა. მემარჯვენეებმა დატოვეს კონფერენცია და ცალკე ატარებდნენ სხდომებს. მემარცხენეებმა ჩამოაყალიბეს ბლოკი „აგუდათ ჰაავოდა“. მათ მიაჩნდათ, რომ პარტიის მომხრეებს დამოუკიდებლად უნდა ემუშავათ პალესტინაში, სიონისტებთან კავშირის გარეშე.

მემარჯვენეების გადაწყვეტილება უცნობი იყო. კაპლანსკიმ გამოთქვა აზრი განხეთქილების შესახებ: „საკითხის არსი შემდეგშია: აპირებს სოციალისტური რევოლუცია გადააბიჯოს ებრაელი

ხალხის გვამს, თუ ებრაელმა მუშამ მონაწილეობა უნდა მიიღოს პროლეტარიატის მსოფლიო ბრძოლაში, რათა შექმნას თავისთვის განსაკუთრებული პირობები და ფორმები, რომლებიც შეესაბამება მის ეროვნულ წეს-ჩვეულებებს და უზრუნველჰყოფს მის არსებობას.“

კულტურა და განათლება
(№1, 1920)

ოდესაში დოქტორ ი. კლაუზნერის რედაქტორობით ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოცემული ხელოვნებისა და ლიტერატურის ყოველთვიური გამოცემა „გაშილაოხ“ იგივე თანამშრომლების მიერ უკვე იერუსალიმში გამოიცემა. გამოვიდა პირველი ნომერი, სადაც დაიბეჭდა ც. ჩერნიხოვკის სონეტები, ზ. რაბინოვიჩის ესკიზები, კლაუზნერის, კოპელიოვიჩის, ცმილიანსკის და სხვათა სტატიები.

იერუსალიმში გაიხსნა ებრაული სტენოგრაფიის კურსები ქალაქ ბერშევაში ხელისუფლების ხელშეწყობით გახსნა გამოცემული სპეციალისტებით დაკომპლექტებული ოსტატთა სკოლა.

საზოგადოება „ჰაბიმა“ (№1, 1920)

ბერლინში დაარსდა თეატრალური საზოგადოება „ჰაბიმა“, მისი განყოფილებების გახსნა იგეგმებოდა პროვინციაშიც.

საქართველო (№1, 1920)
სოხუმი

ადგილობრივი ეროვნული საბჭო წარმატებულად მუშაობდა: გაიხსნა ებრაული სკოლა და ებრაული ენისა და სხვა საგნების სალამოს კურსები. ქალაქში არსებობდა „ცეყირე-ციონის“ ერთადერთი ბიბლიოთეკა, რომელსაც ბევრი მკითხველი ჰყავდა.

საზოგადოება „ჰაბიმა“ (№1, 1920)

ბერლინში დაარსდა თეატრალური საზოგადოება „ჰაბიმა“, მისი განყოფილებების გახსნა იგეგმებოდა პროვინციაშიც.

ბრაზილია (№2, 1920)

მაიორ ელიეზერ ლევის ძალისხმევით 1918 წელს ბრაზილიაში სიონისტური ორგანიზაცია „აჰაბათ ციონ“ ჩამოყალიბდა. ორგანიზაციამ ყოველკვირეული გაზეთი „Vozde Israel“ (ისრაელის ხმა) დააფუძნა, ასევე დაარსა დაწყებითი სკოლა ორივე სქესის ებრაელი

ბავშვებისთვის „Externato Mixto Dr Weijzman“ (დოქტორ ვეიცმანის შერეული სკოლა).

ებრაული მუსიკალური საზოგადოება ლონდონში (№2, 1920)

საზოგადოების პირველი კონცერტი „Queen Hall“-ში 21 ივნისს გაიმართა. ებრაელმა მოღვაწეებმა დოქტორ მაქს ნორდაუმ, ნახუმ სოკოლოვმა, დოქტორ კალიშმა, ლაზარე სამინსკიმ (კომპოზიტორმა და პეტროგრადში ებრაული ხალხური სამუსიკო საზოგადოების ყოფილმა თავმჯდომარემ) მოამზადეს მოხსენებები.

მუსიკალური პროგრამა მოიცავდა პალესტინელი, იემენელი, პოლონელი, რუსი, ესპანელი, ქართველი ებრაელების რელიგიურ და ხალხურ მელოდიებს თანამედროვე კომპოზიტორების (ახრონის, მილნერის, როზოვსკის, სამინსკის და სხვათა) არანჟირებითა და ლონდონის საუკეთესო არტისტების შესრულებით.

კონცერტები დაიგეგმა პარიზშიც.

ვლადივოსტოკი (№2, 1920)

ცოტა ხნით ადრე ჩამოყალიბებული თემი 3000-მდე ადამიანს აერთიანებდა. მათი ძირითადი ნაწილი რუსეთის ევროპული ნაწილიდან ჩავიდა. თემის საბჭო 21 წევრისგან – 14 სიონისტი და 7 მემარცხენე პარტიების წარმომადგენლებისგან შედგებოდა. ეს თემი უჩვეულო საქმით, სამხედრო ტყვეებზე (ძირითადად ავსტრიიდან) ზრუნვით იყო დაკავებული.

ქალაქში მოეწყო ებრაული ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საბავშვო ბაღი, გაიხსნა ებრაული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი წრე.

სიონისტურ სახალხო ფრაქცია „ცეყირე-ციონთან“ არსებული ახალგაზრდული ორგანიზაცია „კადიმა“ (№2, 1920)

ორგანიზაციასთან დაიგეგმა ებრაელი ახალგაზრდობის კლუბის გახსნა, რომლის დეტალური პროექტი კულტურულ-საგანმანათლებლო კომისიამ წარადგინა. დასრულდა ებრაული ისტორიის სასწავლო კურსი, ებრაული ენის შემსწავლელ კურსებზე 30-ზე მეტი ადამიანი სწავლობდა.

(№3, 1920)

განცხადებები: თბილისის ებრაული საზოგადოებრივი გიმნაზია აცხადებს მოსწავლეების მიღებას ანბანის, უმცროს და უფროს მისაღებს კლასებში, ასევე 1, 2 და 3 ძირითად კლასებში. მიღება ყოველდღე შაბათის გარდა 9-დან 11 საათამდე გიმნაზიის შენობაში: ბე-

ლგის ქუჩა №8. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე ვ.რ. შენგერი და გიმნაზიის გამგე ა.ს. ცუნზერი.

იუგოსლავია (№3, 1920)

ბელგრადში შეიქმნა სიონისტური ორგანიზაცია „Jafa berura“, რომლის მიზანიც ებრაულ მოსახლეობაში ებრაული ენისა და ლიტერატურის გავრცელება იყო. დააარსეს შერეული სკოლა.

ბერლინი, ებრაული უნივერსიტეტი (№3, 1920)

ცნობილმა ებრაელმა პროფესორმა აინშტაინმა და რაიხსტაგის დეპუტატმა ლანდაუმ განათლების მინისტრს მიმართეს თხოვნით, მიეცა უფლება გაეხსნათ ებრაული უნივერსიტეტი აღმოსავლეთ ევროპიდან დევნილი ებრაელი სტუდენტებისთვის, რომლებმაც არ იცოდნენ სახელმწიფო ენა.

განათლების მინისტრის თანხმობის შემდეგ გადაწყდა, რომ ებრაული უნივერსიტეტი ბერლინის უნივერსიტეტის მოდელის მიხედვით შეიქმნებოდა (იგივე კურსი, იგივე ფაკულტეტები), მას მიეცემოდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი.

ვენა (№3, 1920)

ვენაში დაფუძნდა ებრაული ენისა და ლიტერატურის შემსწავლელი კლუბი. მასში ასეულობით ადამიანი გაერთიანდა. მათ დადგეს რამდენიმე ებრაული სპექტაკლი, ყოველკვირეულად მართავდნენ ლიტერატურულ საღამოებს. კლუბის წევრების ნაწილი ყოველდღე აწყობდნენ გასაუბრებებს ებრაულ ენაზე, მეტყველების დახვეწის მიზნით. კლუბის მიზანი იყო ხალხის გაერთიანება ეროვნული და არა პარტიული ნიშნით.

ჩიკაგო (№3, 1920)

ამერიკელი სიონისტების კონგრესზე ნათან შტრაუსმა იერუსალიმის უნივერსიტეტში ბაქტერიოლოგიური კაბინეტის შესაქმნელად 100 000 დოლარი გაიღო, სხვა პირებმა ამ მიზნისთვის 150 000 დოლარი გაიღეს.

(№4, 1920)

პირველ გვერდზე კონცერტის ანონსი: თბილისის ებრაულ სახლში, ბელგიის ქუჩა №8, 16 აგვისტოს შედგება კონცერტი, მონაწილეობას მიიღებენ რ. გარბუზოვა (ვიოლონჩელი), ბ.ი. ზალიპსკი, პ. ილიჩენკო და დიდი ორკესტრი მ.ა. ბელსკის ხელმძღვანელობით. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

(№4, 1920)

სოხუმის ებრაულ საზოგადოებრივ სკოლას ესაჭიროება „ივრით-ბენვრითის“ მასწავლებელი. სასურველია ჰქონდეს სეფარდული გამოთქმა. დაწვრილებით მოიკითხეთ რედაქციაშია (პლენანოვის 55, სიონისტთა ბიურო).

პატარა ფელეტონი (№4, 1920)

ნური

პოეტური ჩანახატი სამშობლოს მონატრებაზე: დამასკოელ ნური-ებნ-აბდალასა და მის მოსაუბრეს ინგლისურ ყაზარმაში მოუხდათ ერთად ყოფნა. ნური სევდიან არაბულ სიმღერას მღერის და ავტორს საკუთარი სამშობლო ახსენდება (ანონიმური W).

პატარა ფელეტონი 5681 წელი (№6 1920). ავტორი ბარ-კოხბიანელი

ებრაელები მწველი ტკივილით ეგებებოდნენ ყოველ ახალ წელს. ისინი ოცნებობდნენ აღთქმულ მიწაზე და ერთმანეთს ახალ წელს ულოცავდნენ სიტყვებით „ლეშანო გაბო ბირ იერუშოლაიმ“.

დასრულდა ომის წლები. ებრაელი ლტოლვილები გზებზე მიიზღაზნებოდნენ, მათი ქმრები და შვილები სანგრებში იწვნენ ყველა ფრონტზე.

მიდიოდნენ... სად? რისთვის?..

მეომარი ხალხები შეიკრიბნენ მშვიდობის დასამყარებლად. ისტორიას უნდა განესაზღვრა ახალი გზა, სასამართლოს გადაწყვეტილებები უნდა დაფუძნებულიყო ძმობისა და ღირსების პრინციპებზე. ებრაელები სიფრთხილით უყურებდნენ მოვლენებს. და მოხდა საოცრება. სან-რემოს აქტმა გაამართლა ისრაელის ოცნებები. სინამდვილემ გაამართლა ისტორიული გიჟი მეოცნებეები, რომლებმაც ამაყად განაცხადეს სასამართლოზე ებრაელი ერის შეულახავ უფლებებზე.

5681 წელს ებრაელები სხვებთან თანასწორები ეგებებიან. საახალწლო მილოცვა სხვა დატვირთვით ითქმოდა.

ამ წელმა უნდა ცხადჰყოს, რომ პალესტინისკენ ლტოლვა მხოლოდ სიტყვები არ ყოფილა. ებრაელთა ძალა უნდა მდგომარეობდეს არა იმაში, რომ ისინი ბევრნი არიან, არამედ მათ ერთსულოვნებაში.

თბილისის ებრაული საზოგადოებრივი გიმნაზია (№7, 1920)

გიმნაზია აცხადებს გოგონებისა და ბიჭების მიღებას ანბანის, 1, 2 და მე-3 ძირითად კლასებში. მიღება წარმოებს ყოველდღე დილის

9.00-დან 11 საათამდე გიმნაზიის შენობაში (ბელგიის ქუჩა №8). პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე ვ. რ. შენგერი, გიმნაზიის გამგე ა.ს. ცუნზერი.

კულტურული ცხოვრება ბესარაბიაში (№7, 1920)

ებრაელების კულტურულმა ცხოვრებამ ბესარაბიაში ალორძინება რუმინეთის ხელისუფლების ქვეშ გადასვლის შემდეგ დაიწყო. საერო ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ მდგომარეობა უფრო განიმუხტა. ებრაული მოსახლეობა შეეგუა ანტისემიტ მთავრობას, მით უფრო, რომ ეს მთავრობა მის შიდა საქმეებში არ ერეოდა. საზოგადოებრივი ცხოვრების მოგვარება ებრაელებმა სკოლით დაიწყეს. განსაკუთრებით აქტიურობდნენ „ცეყირე-ციონი“ და საზოგადოება „თარბუთი“. „ცეყირე-ციონმა“ სახალხო სკოლის ორგანიზებას მიჰყო ხელი, ხოლო „თარბუთმა“ – პედაგოგიურ კურსებს და საბავშვო ბაღებს. ამ ორგანიზაციების ჩართვამდე ბესარაბიაში 10 ებრაული სკოლა არსებობდა. „ცეყირე-ციონის“ ცენტრალური კომიტეტის კიშინიოვის ფილიალის წყალობით გაიხსნა კიდევ ორი პროფესიული სკოლა, გაიხსნა ხუთი სახალხო სკოლა, სადაც სწავლება ებრაულად მიმდინარეობდა. ბესარაბიის ტერიტორიაზე არსებობდა ოთხი ებრაული გიმნაზია.

საზოგადოება „თარბუთმა“ ბესარაბიის სხვადასხვა ნაწილში გახსნა საბავშვო ბაღები ებრაელთა ყველა ფენის წარმომადგენლებისთვის, თუმცა მოთხოვნა მათზე მუდმივად მზარდი იყო. „თარბუთმა“ დააარსა კიშინიოვში სახალხო უნივერსიტეტი. აქ ისწავლებოდა ებრაელთა ისტორია, ლიტერატურა, ეკონომიკა, სტატისტიკა, ებრაული ეროვნული აზრის ევოლუციის ისტორია და პალესტინის-მცოდნეობა.

„ცეყირე-ციონი“ ჩაერთო ძველი ყაიდის ებრაული სკოლების – ხედერების სრულყოფაში. რადგან ამ სკოლების მასწავლებელთა უმეტესობა სიონისტები იყვნენ, ეს პროცესი შედარებით მარტივად წარიმართა და მეტ-ნაკლებად მიუახლოვდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამას. ბესარაბიაში რამდენიმე ებრაული ბიბლიოთეკა მუშაობდა.

ებრაული დღესასწაულები (№8, 1920)

ეროვნულმა საბჭომ მიმართა საქართველოს მთავრობას თხოვნით, გაეთავისუფლებინა ებრაელი მოსამსახურეები ებრაული დღესასწაულების (ახალი წელი და იომ-ქიფურის) დღეებში. შრომის მინისტრმა გასცა განკარგულება, დაკმაყოფილებულიყო ეროვნული

საბჭოს თხოვნა ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში. შრომის სამინისტრომ მიმართა ეროვნულ საბჭოს – არ ეთხოვა დასვენების დღეები ცალკეულ შემთხვევებში, არამედ ეცნობებინა მთელი წლის ეროვნული დღესასწაულების შესახებ.

სიონისტური ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტი (№8, 1920)

12 ოქტომბრის სხდომაზე კომიტეტმა განიხილა ემიგრაციის საკითხი. კომიტეტმა მიიღო ცირკულარი კონსტანტინოპოლიდან: ლონდონში არსებული ცენტრალური სიონისტური კომიტეტი იტყობინებოდა, რომ მათ გარეშე არ გაიცემოდა პალესტინაში შესვლის ნებართვა.

საქართველოს სიონისტური ორგანიზაციის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ეცნობებინა პალესტინაში ემიგრაციის მსურველებისთვის, მოცემულ ეტაპზე თავი შეეკავებინათ საკუთრების ლიკვიდაციისგან და გადაეგზავნათ მონაცემები ლონდონში, ასევე წერილობით ეთხოვათ, არ შეეფერხებინათ ემიგრაციის მსურველები საქართველოდან და ნება დაერთოთ ადგილობრივი სიონისტური ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტისთვის მიემართა უშუალოდ ინგლისის ხელისუფლებისთვის.

თათბირი „კერენ-ჰაისოდის“ გარშემო (№8, 1920)

კვირას 10 ოქტომბერს სიონისტური ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით, გაიმართა სხვადასხვა ებრაული ორგანიზაციის თათბირი „კერენ-ჰაისოდისთვის“ შეწირულობის აგროვებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური კომიტეტი. მის შემადგენლობაში შევიდა ალგემენის 3 წარმომადგენელი, „ცეყირე-ციონის“ ფრაქციის 3 წარმომადგენელი და შემდეგი პირები: ზ.მ. კარლინსკი, ს.ი. ნოვოგრუდსკი, ბ.გ. რამენდიკი, ა.ი. სობოლი, მ.ვ. გურშტეინი, ნ. ხასმეინიკი და ბ-ნი პინესი.

17 ოქტომბერს გამართულ ბოლო სხდომაზე დადგინდა – მომავალ (24 ოქტომბრის) სხდომაზე უნდა არჩეულიყო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შემდგარი საორგანიზაციო კომიტეტი და მოწვეულიყო ებრაელი მოქალაქეების შეკრება „კერენ-ჰაისოდისთვის“ შემოწირულობების შესაგროვებელი კომიტეტის ასარჩევად.

საქალაქო სიონისტური კომიტეტი (№8, 1920)

12 ოქტომბრის სხდომაზე კომიტეტმა დაადგინა ძვირფასი ამხანაგების – გ.ი. ბერმანისა და ა.ი. ბახანაშვილის ხსოვნის პატივსა-

ცემად დარგულიყო ხეები გერცლის ტყეში და მათი პორტრეტები განთავსებულიყო ბიუროს შენობაში.

„ცეყირე-ციონ“ (№8, 1920)

13 ოქტომბრის ვაადის სხდომაზე მიიღეს: აბრამოვიჩი, შკოლნიკოვი („გეზოლუცის“ დელეგატი) და მ. ხარლაფი. ვაადი შემდეგი წევრებისგან შედგებოდა: პაიკინი – თავმჯდომარე, აბრამოვიჩი – თავმჯდომარის მოადგილე, შკოლნიკოვი – მდივანი, ბატი – ხაზინადარი; ვაადის წევრებისგან: ა. ფოი („კადიმას“ წარმომადგენელი), ა.ბ. კუშნერი, ხ. ხარლაფი, მ. ხარლაფი და ს. შეინერმანი.

ინფორმაცია საქართველოს სიონისტური ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტისგან (№8, 1920)

კომიტეტმა მიიღო ცნობები პალესტინიდან, რომელთა გამოქვეყნებას სთხოვდნენ:

1. ნახუმ ერუზალინჩინი – ცოცხალი და საღსალამათი იყო. იქორწინა, ჰყავდა 3 წლის გოგონა. არ განიცდიდა გაჭირვებას. ჰქონდა საკუთარი სახლი იერუსალიმში. მუშაობდა მასწავლებლად.

2. სოლომონ ბორისის ძე შვარცი ცოლთან ერთად მაისიდან იმყოფებოდა იერუსალიმში. მუშაობდა გაზეთ „ჰაარეცში“.

3. დ. შვარცი – ჯანმრთელად იყო. სთხოვდა ინჟინერ დავით სოლომონის ძე ბოგდანოვსკის, მიეწერა და ეცნობებინა მარია დანილის ასულ ლიბერზონის ადგილსამყოფელი. მუშაობდა იერუსალიმის სკოლაში გამგედ.

4. პინხოს მარგოლინი – ხარკოვი – მისი ცოლი რევეკა და შვილი თეოდორი ჩავიდნენ პალესტინაში. მუშაობდა საზოგადოება „ჰაბონეს“ თავმჯდომარედ.

5. მ. სემიატინი – როსტოვი დონზე – ცოლ-შვილთან ერთად იმყოფებოდა იაფაში. ჯერ ვერ მოეწყვნენ.

6. ლევ გაკახი – ოდესა – ცხოვრობდა იერუსალიმში, შეეძინა ვაჟი, ეწეოდა კერძო პრაქტიკას.

ყველა ითხოვდა წერილების მოწერას.

ებრაელთა შევიწროვება საზღვარგარეთ

პოლონეთის დარბევებზე (№1, 1920)

პარიზი. პოლონეთში მომხდარი დარბევების შემდეგ აქ ჩამოვიდა ათასობით ებრაელი ლტოლვილი.

ამ გარემოებამ უკმაყოფილება გამოიწვია პოლონელ „დიპლომატებში“. ისინი მთელი ძალისხმევით ცდილობდნენ ლტოლვილების

გასახლებას, რადგან ეს უკანასკნელები თავიანთი გარეგნული იერ-სახით ასახავდნენ დარბევათა საშინელებას.

დიპლომატებმა მიაღწიეს საწადელს და დაიწყო ადამიანების დაკავება ქუჩებში. დაკავებულები ბელგიაში გაგზავნეს. რადიკალური და სოციალისტური პრესა ასაჩივრებდა ამგვარ ფაქტებს. პოლონურმა წარმომადგენლობამ მათ საპასუხოდ შემდეგი განცხადება გააკეთა:

„პარიზის გარკვეული უბნები შეივსო ქვეყნის საზოგადოებრივი და ეკონომიკური კეთილდღეობისთვის საზიანო ელემენტებით. გასაკვირი არ არის, რომ ხელისუფლებამ მიიღო ზომები მათ მოსაშორებლად. სიმართლეს არ შეესაბამება ზოგიერთი ადგილობრივი გაზეთის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ ეს ლტოლვილები დარბევების მსხვერპლი არიან. ასე წერა მხოლოდ ბოლშევიკურ გაზეთებს შეუძლიათ.“

ემიგრანტების დახმარების კომიტეტის მოთხოვნით გადასახლებები და დაპატიმრებები შეწყდა.

პოლონეთისა და გალიციის სხვადასხვა ნაწილიდან იგზავნებოდა ცნობები ჯარისკაცების მიერ ებრაელებზე თავდასხმის შესახებ. თავდამსხმელები სასტიკად სცემენ ებრაელებს ქუჩებში დევნას თვალწინ აგლეჯენ წვერს და ართმევენ თუ რამე ჰქონდათ თან ფასეული. ებრაელებმა არაერთხელ მიმართეს მთავარსარდალს მსგავსი ძალადობის შეწყვეტის მოთხოვნით, მაგრამ დაპირებების მიუხედავად, დაზარალებულთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდებოდა.

ვენა

ანტისემიტებმა ვენაში ფართო აგიტაცია გასწიეს პოლონეთიდან და უკრაინიდან დარბევების შემდეგ გამოქცეული აღმოსავლეთევროპელი ებრაელების წინააღმდეგ. ანტისემიტები მოითხოვენ ებრაელების გასახლებას ავსტრიიდან. ამ ანტისემიტურ მოძრაობას სათავეში ედგნენ „დამოუკიდებელი“ სოციალ-დემოკრატები.

ავსტრიის პარლამენტის ებრაელი წევრი შტრაპკარი ენერგიულად იცავდა „უცხო“ ებრაელებს და, როგორც ჩანს, საკმაოდ წარმატებულადაც. სოციალ-დემოკრატებმა ვერ მოახერხეს მათი გაძევება.

აღმოსავლეთ ევროპიდან ჩამოსულ ებრაელებს შორის ბევრი გამოჩენილი მეწარმე და ფაბრიკანტი იყო. მათი განდევნა საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის ფინანსურ-ინდუსტრიულ პოლიტიკას.

ჩეხოსლოვაკია

სლოვენის ბოჰემიაში აქტიურად მიმდინარეობდა წინასაარჩევნო კამპანია. ებრაელებს მიეცათ საშუალება ეროვნულ საბჭოში აერჩიათ წევრი დამოუკიდებელი ავტონომიური უმცირესობისგან. აქაც ძირითადი დაპირისპირება ასიმილატორებსა და ნაციონალისტებს შორის მოხდა. არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდათ სრულწლოვან მოქალაქეებს, რომელთა რიცხვი 50 000 აჭარბებდა და სავარაუდოდ, უნდა არჩეულიყო 5 წევრი. ეჭვგარეშეა, რომ ნაციონალისტები გაიმარჯვებდნენ პროვინციაში, მაგრამ დიდ ქალაქებში ვითარება უფრო რთული იყო.

პრალა

ცოტა ხნის წინ აქ შედგა „ცეყირე-ციონისა“ და „ჰაფოელ-ჰაცაირის“ კონფერენცია, რომელსაც 150-ზე მეტი დელეგატი და მრავალი სტუმარი დაესწრო. შეადგინეს ცენტრალური კომიტეტი, მის ადგილსამყოფელად იერუსალიმი დასახელდა.

ვენა

11 აპრილს ჩატარდა მიტინგში უნგრეთში მომხდარი მოვლენების წინააღმდეგ. პ. შტუკესსა და რაბინ ხაესს დაევაღათ, აცნობონ ანტანტას ებრაელების მდგომარეობის შესახებ უნგრეთში.

ბუდაპეშტი

ბოლო დარბევების შემდეგ ბუდაპეშტში დაიკარგა 700 ებრაელი.

ვარშავა

ებრაული საინფორმაციო ბიურო გვაცნობებს: ვარშავაში შედგა სამგლოვიარო შეხვედრა, რომელიც თელ-ჰაიში მომხდარ მოვლენებს მიეძღვნა. მოხსენებებით გამოვიდნენ პოლონური სეიმის წევრები, ასევე გრინბაუმი და პოდლიშევსკი. მრავალათასიანმა კრებამ გამოხატა პოლონელი ებრაელების განზრახვა: სრული თავდადებით ემსახუროს პალესტინას.

ამერიკა

ამერიკის სიონისტურმა ფედერაციამ ითავა 2 მილიონი დოლარის შეგროვება აღმოსავლეთ ევროპაში დარბეული ებრაელებისთვის პალესტინაში მიწების საყიდლად, თანხის ნაწილი გადაეცა სახალხო განათლების ფონდს პალესტინაში.

ვენა (№2, 1920)

ავსტრიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პარტია მეთაურობდა, მიექანებოდა ანტისემი-

ტიზმისა და მონარქიზმის გზით. გერმანულ სამხედრო პარტიას ბევრი მომხრე ჰყავდა ავსტრიაში, ასევე უნგრეთში მძლავრობდა მონარქიული მოძრაობა. უსიამოვნო შემთხვევა მოხდა ვენის უნივერსიტეტში, როდესაც მონარქისტმა სტუდენტებმა გალიციელი ებრაელის უმნიშვნელო ქცევის გამო დაუპირისპირდნენ ყველა „აღმოსავლელ ებრაელს“. აღმოსავლელ ებრაელებს მიემხრნენ ადგილობრივი ებრაელი სტუდენტებიც. ამის ფონზე იმძლავრა ანტისემიტურმა მოძრაობამ. ერთ-ერთი ბოლო გამოცდის დროს ანტისემიტები შეიჭრნენ სიმღერით „Deutschland aber Alles“ და „Wacht am Rhein“ და აუდიტორიიდან ებრაელი სტუდენტები გამოყარეს. ამის შემდეგ ალყა შემოარტყეს შენობას, გამოყარეს ებრაელი სტუდენტები და აღარ უშვებდნენ მათ შიგნით. პოლიცია შორიდან უთვალთვალებდა მათ, თუმცა აშკარად მონარქისტებს თანაუგრძნობდა. ბოლოს დემოკრატმა სტუდენტებმა და რევოლუციონერებმა ველარ მოითმინეს მონარქისტული გამოსვლები და დაარბიეს მოძალადე სტუდენტები. ანტისემიტები მუქარით დაიშალნენ, უნგრეთში გავუსწორდებით დემოკრატებსო.

(№2, 1920)

რუსეთიდან ბათუმში ჩასული ლტოლვილები ყვებოდნენ, რომ კაპიტან ვრანგელის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე: ქერჩში და ფეოდოსიაში დაარბიეს ებრაელები.

საბჭოთა ბაქოში / A.R. (№6, 1920)

ბოლშევიკების მოსვლასთან ერთად ბაქოში სრულიად შეჩერდა ებრაული საზოგადოებრივი ცხოვრება. სამხრეთ კავკასიის ყველაზე დიდი ებრაული სათვისტომო, სტატიის ავტორის აზრით, სასაფლაოს დაემსგავსა. შეჩერდა ებრაული ორგანიზაციებისა და პარტიების საქმიანობა. მემარცხენე სუსტი პარტიები, როგორებიცაა „ბუნდი“ და „ფოალე-ციონი“ ცდილობდნენ აქტიურობას და საბჭოთა პლატფორმაზე დადგომას, მაგრამ ბოლშევიკებში ისინი უნდობლობას იწვევდნენ.

ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ სოციალისტურმა ფრაქციებმა მოითხოვეს ეროვნული საბჭოდან „ბურჟუაზიული“ ფრაქციების გარიცხვა და ძალაუფლების უმცირესობისთვის გადაცემა. უმცირესობამ ვერ გაბედა მუშა დეპუტატების საბჭოს მოწვევა, რადგან შეეშინდათ უმცირესობაში აღმოჩენის. ებრაულმა ეროვნულმა საბჭომ თავი დათხოვნილად გამოაცხადა და საკუთარი საქმეების წარმართვა საბჭოს პრეზიდიუმს დაავალა ვითარების შეცვლამდე.

საბჭოს ამ გადაწყვეტილებას სოციალისტურმა პარტიებმა უპასუხეს სტატიით გაზეთ კომუნისტში, სადაც ამხელდნენ „კლერიკანელ სიონისტებს“.

დაპირისპირება გამოიწვია ბრძოლამ ებრაული სკოლისთვის, რომელიც ბოლშევიკების მოსვლამდე დაიწყო. ქალაქში გააკრეს პლაკატები „რეაქციონერი სიონისტების“ წინააღმდეგ. სოციალისტურმა პარტიებმა სახალხო საბჭო მოიწვიეს, მაგრამ უმცირესობაში აღმოჩნდნენ. კრება დაიხურა. საზოგადოების მხარდაჭერის არქონის პირობებში ფრაქციებმა ხელისუფლებას მიმართეს. სახალხო განათლების კომისარიატმა ერთ-ერთ პირველ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება ებრაულ ენაზე სწავლების აკრძალვის შესახებ. საბავშვო ბაღების მასწავლებლებად მიწვეულ ებრაელებს წაუყენეს პირობა – იდიში ან რუსული, დაუმორჩილებლობა საბოტაჟთან იგივედებოდა. ებრაული სკოლების სათავეში ჩააყენეს იტკინი (ბუნდი), რომელიც არ ითვალისწინებდა ებრაული სათვისტომოს ინტერესებს.

სხვა ებრაული დაწესებულებებიც განადგურდა. კოოპერატიული სამომხმარებლო საზოგადოება „აგულო“, რომელიც იაფი პროდუქტებით ამარაგებდა ღარიბ ებრაელ და არაებრაელ მოსახლეობას, იძულებული გახდა თვითლიკვიდაცია გამოეცხადებინა. სასადილო „ბე-ლენემ“ თავიდან სხვა კოოპერატიულ სასადილოებს შეუერთდა და ქაშერი საკვები შეინარჩუნა, მაგრამ მალევე რეკვიზირებული იყო და რომელიღაც საბჭოთა დაწესებულების სასადილოდ გადაკეთდა. „ებრაული სახლი“ კომუნისტების მოსვლისთანავე დაიკეტა. სკოლის შენობაში ჯარისკაცები განთავსდნენ, სინაგოგის ეზოში – ცხენები.

ებრაულმა პრესამ – „Кавказский еврейский вестник“, „Еврейская Воля“ – არსებობა შეწყვიტა. ბოლშევიკების მოსვლისთანავე „ფოალეი-ციონმა“ გამოსცა „უნზერ ვორტის“ საპირველმაისო ნომერი, მაგრამ ამით ებრაული პრესის გამოცემა დასრულდა.

ბოლშევიკების მოსვლისთანავე იმძლავრა ანტისემიტიზმმა ადგილობრივ მოსახლეობაში. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელებს აქტიური როლი არ ჰქონიათ პოლიტიკურ მოვლენებში და ბოლშევიკ ხელმძღვანელებს შორის უმეტესწილად რუსები, სომხები, ქართველები და თათრები იყვნენ, ბოროტი განზრახვის მქონე პირები ცდილობდნენ, ყველაფერი ებრაელებისთვის გადაებრალებინათ. აღსანიშნავი იყო წითელარმიელების ანტისემიტური დამოკიდებულება ებრაელების მიმართ, ისინი ხშირად იყენებდნენ სიტყვას ურია

(жид).

შემორჩა მხოლოდ მუშა ახალგაზრდობის რამდენიმე არტელი, რომლებიც პალესტინაში გადასახლებისთვის ემზადებოდა. სიონიზმის მუხტი ჯერ კიდევ ცოცხლობდა მოსახლეობაში, მაგრამ მცირდებოდა პალესტინაში მალე გადასახლების იმედი. პალესტინაში გადასახლება შორეულ ოცნებად იქცა. მხოლოდ გადასახლების ხელისშემშლელი პირობების გადალახვა გააღვივებდა სიონიზმს.

(№8, 1920)

ცნობები თეთრი ტერორის შესახებ უნგრეთსა და პოლონეთში – ერთ-ერთმა მათგანმა გადაიტანა კომუნიზმი შიგნით, ხოლო მეორემ მისი საფრთხე გარედან. ორივე შემთხვევაში უარყოფითი განწყობის მსხვერპლი ებრაელები გახდნენ. მათ იჭერდნენ ცალ-ცალკე, უწყობდნენ დარბევებს (პოგრომებს), ყრიდნენ მატარებლის ვაგონებიდან, აპატიმრებდნენ, აუპატიურებდნენ, ბევრი მათგანი უკვალოდ დაიკარგა.

სამყაროს ეს ნაწილი ავსტრო-უნგრეთსა და რუსეთს შორის მდებარეობდა, მრავალეროვნული იყო და ყოველ ერს თავისი მისწრაფებები გააჩნდა. ამ ეროვნულ მრავალფეროვნებაში ებრაელები დიდი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი, თუმცა მათ არ გააჩნდათ საკმარისი გამბედაობა, რომ საკუთარი უფლებების შესახებ განეცხადებინათ. ყველა ერს ებრაელი ხალხის მიმართ ანტიპატია აერთიანდებდა. ომმა გააუარესა ებრაელების მდგომარეობა, რადგან მანამდე სახელმწიფოები იცავდნენ მათ, როგორც მოქალაქეების უფლებებს. გამწვავებული ეროვნული შუღლის პირობებში კი ეს გართულდა. ამას დაემატა ისიც, რომ ებრაელებს ხშირად ბოლშევიზმისადმი კეთილგანწყობაში ადანაშაულებდნენ. თუმცა ებრაული გაზეთის მკითხველებისთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ეს უსაფუძვლო ბრალდება არჩევნების შედეგებით ბათილდებოდა, სადაც ებრელები ხმას არ უჭერდნენ რადიკალურ ძალებს.

500 000 მიტოვებული ობოლი / ჟაკ ლორიას სტატია (№8, 1920)

დარბევების მსხვერპლთა დასახმარებელ მსოფლიო კონფერენციაზე კარლსბადში ანიტა მიულერმა ილაპარაკა 500 000 ობოლი ებრაელის ბედზე, რომლებიც უპატრონოდ დადიან უკრაინაში, რუსეთში, გალიციაში. მათი სიკვდილიანობა შემადრწუნებლად მაღალი იყო. ზამთრის პირს ისინი განსაკუთრებით საჭიროებდნენ დახმარებას. მრავალი პროექტი იყო შეთავაზებული, მაგრამ ბავშვთა თავშესაფრების შექმნა მიწაზე, სადაც ებრაელები იღევნებოდნენ, სწორი

არ იქნებოდა. ამ ბავშვებს სახლი პალესტინაში უნდა ეპოვათ. პალესტინის ბავშვთა სახლები უნდა ყოფილიყო ასევე სკოლები ხელობათა კურსებით.

ებრაელების მდგომარეობა უნგრეთში / ლ. ბატ-გაამი (№8, 1920)

ბოლო დრომდე უნგრეთი აგრარული ქვეყანა იყო, თუმცა წარმოების განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი გახდა ქალაქების არსებობა. ებრაელი მოსახლეობა ოდითგანვე ქალაქებში ცხოვრობდა, სადაც ეწეოდა ვაჭრობასა და მეწარმეობას, მათ შორის იყვნენ მეცნიერებიც, რომლებმაც გავლენა იქონიეს უნგრეთის კულტურული დონის ამაღლებაზე. რევოლუციამდე ისინი ყველა უფლებით სარგებლობდნენ, როგორც უნგრეთის მოქალაქეები. წითელი ტერორის შემდეგ მოვიდა შავი რეაქცია, რომელმაც ბრალი დასდო ებრაელებს ბოლშევიზმში. ხელისუფლება ამძაფრებდა ანტისემიტურ განწყობებს. უნგრელები მანამდეც გამოირჩეოდნენ არატოლერანტული დამოკიდებულებით რუმინელებისა და სერბების მიმართ, მაგრამ ებრაელი უპირველესი მტერი გახდა. განსაკუთრებული სისასტიკით იქცეოდა ჯარი, რომელიც არბევდა ებრაელ მოსახლეობას. ბუდაპეშტის უნივერსიტეტში გამოაკრეს წარწერა – „ძაღვები და ებრაელები უნივერსიტეტში არ დაიშვებიან“. რადგან მასწავლებელთა უმეტესობა ებრაელი იყო, ხელისუფლება იძულებული გახდა დაეკეტა უნივერსიტეტი. ებრაულმა პარტიებმა მონაწილეობა ვერ მიიღეს დამფუძნებელი კრების არჩევნებში, რადგან სოციალისტებსა და მემარცხენეებს არ მისცეს მონაწილეობის უფლება. ევროპის განვითარებული სახელმწიფოები ბოიკოტს უცხადებდნენ უნგრეთს, მაგრამ აქტიური პროტესტი არავის გამოუხატავს. ამ დროს კი უნგრულ ჯარში დგებოდა ჯგუფები ებრაელთა შესავიწროებლად. იყო აღურიცხავი მსხვერპლი.

გრაფმა ანტონიმ მიმართა ადმირალ ხორტის და მიუთითა, რომ ანტისემიტიზმი არყევდა უნგრეთის პოლიტიკურ მნიშვნელობას და, თუ შევიწროებები გაგრძელდებოდა, უნგრეთი დაკარგავდა დამოუკიდებლობას. ამაზე ადმირალმა ხორტიმ უპასუხა, რომ ანტისემიტიზმი ძალიან მაღალი ფასია უნგრეთის დამოუკიდებლობისთვის.

ებრაელები პოლონეთში (№8, 1920)

ებრაული დელეგაციების კომიტეტმა პარიზში მიმართა ებრაულ საქმეთა სამინისტროს ლიტვაში პოლონეთის ჯარების საზაფხულო გადაადგილების დროს ებრაელთა დარბევასთან დაკავშირებით.

დეპუტამ ამცნო კომიტეტს, რომ პოლონურმა ჯარმა ვილნაში

გაძარცვა ებრაელები, მინსკიდან ცნობები ჯერ მიღებული არ იყო, გროდნოში ადგილი ჰქონდა ექსცესებს, რომელსაც მოჰყვა მსხვერპლი.

ლიტველი ჩინოვნიკი გორფინკელის რაპორტიდან დარბევებზე ლანდაროვოში (№8, 1920)

10 ივლისს პოლონელი ჯარისკაცების ჯგუფი შეიჭრა სინაგოგაში მსახურების დროს. ხალხი 70 წელს გადაცილებულ რაბინთან ერთად იძულებით სამუშაოებზე წაიყვანეს. გზად მათ სცემდნენ ჯოხებით. მეორე დღიდან ებრაელთა მდგომარეობა დამძიმდა და ისეთი სახე მიიღო, რომ 13 ივლისიდან მათ დაიწყეს ტყეებსა და მინდვრებში მიმალვა. ებრაული თემის თავმჯდომარის, ზასის თხოვნით, მასთან მეზობელი ქრისტიანები მივიდნენ გამოსასარჩლებლად, მაგრამ ჯარისკაცებმა ისინი გაყარეს. ჯარისკაცებმა ზასი აიძულეს, ნაძარცვით დაეტვირთა მათი ურმები. ზასმა თავის დაღწევა ადგილობრივი ჟანდარმის 200 მარკით მოქრთამვით გადაირჩინა.

14 ივლისიდან ჯარისკაცებმა მიტოვებული სახლების ძარცვა დაიწყეს და არ დაუტოვებიათ არცერთი უღარიბესი სახლიც კი. რაც ვერ წაიღეს, დააზიანეს. გაძარცვეს აფთიაქი, შემდეგ გადაწვეს. გაანადგურეს ადგილობრივი ბიბლიოთეკა და ებრაული ფოლიანტები. ძარცვის შემდეგ ჯარისკაცებმა დაიწყეს გაქცეული ებრაელების ძებნა, იპოვეს რაბინოვიჩის ოჯახი – მშობლები და სამი შვილი, რომლებსაც დახვრეტიტ ემუქრებოდნენ, მაგრამ პოლონელი ოფიცრის ბრძანებით, გაათავისუფლეს. მიმალული ებრაელთა ნაწილი შეეწირა დარბევას.

„ლეტუბის“ კორესპონდენტი წერდა პოლონელი ჯარისკაცების მიერ მოწყობილ დარბევებზე და ადამიანურ მსხვერპლზე, ასახელებდა მოკლულების გვარებს.

გაზეთ „დერ ტოგ“-მა გამოაქვეყნა წერილი კოველიდან. 12 ივნისს მატარებელს პოზნანიდან საჯარისო შენაერთები ჩასულა. მათ მაშინვე დაიწყეს ებრაული მოსახლეობის დარბევა, შეიჭრნენ სინაგოგაში და გადაკეტეს ყველა გასასვლელი, წვერს აჭრიდნენ მამაკაცებს და სცემდნენ მათ, დახიეს ბიბლიის გრაგნილები, დააზიანეს რიტუალური ნივთები. სტატიას დაზარალებულთა ჩამონათვალი ახლავს.

თავდასხმა ებრაელ დეპუტატზე (№8, 1920)

ვარშავის გაზეთები წერდნენ, რომ სადგურ სკერნევიცაში პოლონური სეიმის დეპუტატ რაბინ პერლმუტერს თავს შეიარაღე-

ბული პირი დაესხა, რომელსაც წვერით გაუთრევია. სადგურზე და-
მნაშავე დაუკავებიათ, მაგრამ მალევე გაუშვიათ.

პოლონელი სოციალისტების ექსცესებთან დაკავშირებით. 24
ივლისის სხდომაზე დეპუტატმა ზულავსკიმ სხვა დეპუტატებთან
ერთად სეიმის წინაშე მოთხოვნა წააყენა. იგი მიმართავდა პრე-
მიერ-მინისტრსა და სამხედრო მინისტრს ებრაელების მიმართ ძა-
ლადობასთან დაკავშირებით. დეპუტატის თქმით, ადგილობრივმა
ხელისუფლებამ დაუშვა ებრაელებზე ძალადობა, რასაც შეიძლება
ტრაგიკული შედეგები გამოეწვია. მოყვანილია რამდენიმე ფაქტი.
19 ივნისს დანციგში მიმავალი მატარებლიდან დეპუტატმა გაიგონა
ყვირილი და დაინახა რამდენიმე შეუიარაღებელი ჯარისკაცის თა-
ვდასხმა ორ ებრაელზე, რომლებსაც მოსჭრეს წვერი და პლატფორ-
მაზე გადაადგეს. ამის მომსწრე ჟანდარმებს არ ჰქონიათ რეაგირება
ფაქტზე. ძალადობის ფაქტებს ჰქონდა ადგილი რეკრუტების დაკავე-
ბის დროს. სამხედრო პატრულმა სანოკში დააპატიმრა 24 ებრაელი,
რომლებიც ჯარისგან თავის არიდებაში იყვნენ ეჭვმიტანილი. ისინი
დააკავეს იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ყველა საბუთი წესრიგში
ჰქონდათ. ებრაელი და არაებრაელი ეჭვმიტანილების მიმართ რა-
დიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება იყო. ლეიტენანტი
როსსე განსაკუთრებული სისასტიკით მოექცა ებრაელ პატიმრებს.
ზემოთქმულის საფუძველზე დაისვა კითხვები:

1) მზად იყო მინისტრი გამოეძიებინა ლოვიცის ჟანდარმების
საქმე?

2) მზად იყო მინისტრი დაესაჯა ძალადობაში მხილებული ლეი-
ტენანტი როსსე?

3) რა ზომებს მიმართავს მთავრობა, რომ ებრაელი დაუცული
იყოს?

ებრაელი კოლონისტები საქართველოში

ებრაელ კოლონისტებთან (ა. არკაფი) (№1, 1920)

გაშლილ მინდორზე ჩადგმული 4-5 სახლი, 20 მკვიდრი, რომე-
ლიც მონდემებით ამუშავებს მიწის ყველა გოჯს, მორბენალი ბავ-
შეები – სულ ეს არის ღრმადელეს კოლონია.

რამდენიმე ოჯახი რუსეთიდან მიემგზავრებოდა პალესტინაში,
მაგრამ ვერ ჩააღწიეს და ჩარჩნენ თბილისში. ეროვნული საბჭოს
დახმარებით, შეიძინეს სამუშაო იარაღები, დასახლდნენ თბილისის
შემოგარენში და წალკოტს დაამსგავსეს ეს ადგილი, რომელიც ებ-
რაელების თავშეყრის ადგილად იქცა რელიგიური დღესასწაულე-
ბის დროს.

ტფილისის ებრაული ეროვნული საბჭო (№1, 1920)
სოციალურ-ეკონომიკური განყოფილება
განყოფილება ზრუნავდა კოლონისტების ცხოვრების კეთილმოწყობაზე ღრმადელეში, რომლებიც ითხოვდნენ მიწის იჯარით გადაცემას.

ებრაელთა პოლიტიკური ცხოვრება საქართველოში
თბილისი (№1, 1920)
პარასკევს, 22 ივნისს შედგა ეროვნული საბჭოს ფრაქციათაშორისი ყრილობა, რომელზეც განიხილეს თბილისის ეროვნული საბჭოს სხდომაზე მომხდარი ინციდენტი.

საქართველოს სიონისტური ორგანიზაციის კომიტეტი (№1, 1920)

8 ივნისის სხდომა
თავმჯდომარე დოქტორი, მ. ლ. შტრაიხერი
კომიტეტმა თავდაპირველად განიხილა ზოგიერთი საორგანიზაციო საკითხი – სარედაქციო კოლეგიის შექმნა (რადგან განზრახული ჰქონდათ ბეჭდური ორგანოს გამოცემა).

მოწინააღმდეგე პაიკინი განხილვის გადატანას ითხოვდა, მაგრამ შტრეიხერმა დაარწმუნა შეკრებილები. გადაწყდა 7 წევრის არჩევა. აირჩიეს: ა. ნემეროვსკი, ს. პაიკინი, ელიაშვილი, ი. ლუბანიცკი, მ. ხარლაფი და ა. ფოი.

„ცეყირე-ციონმა“ წარადგინა ბიხოვი, რომელმაც ვერ გაიმარჯვა და ხელახლა წარადგინეს Allgemein-ის მხარდაჭერით.

(№1, 1920)

ბოლო დღეებში ქართველმა და სპარსელმა ებრაელმა ბიჭებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს სკაუტობის მიმართ. რადგან ბავშვები არ ფლობდნენ რუსულ ენას, მათთან მეცადინეობა ცალკე ტარდებოდა.

(№1, 1920)

სიონისტურმა ორგანიზაციამ კარლსბადის სიონისტურ კონფერენციაზე გასაგზავნად ექიმი ა.ნ. კაცენელსონი აარჩია.

ქალაქის სიონისტური კომიტეტი: 27 ივნისს დაგეგმილი ხელახალი არჩევნები გადადო.

ქალაქის სიონისტურმა კომიტეტმა განაცხადა საინფორმაციო ბიუროს გახსნის შესახებ, რომელსაც საქართველოს სიონისტური ორგანიზაციის ბიურო დააარსებდა.

„ებრაული სახლი“ (№1, 1920)

დასრულდა სახლის კეთილმოწყობის სამუშაოები. სახლის გახსნა იგეგმებოდა 4 ივლისს ებრაულ კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოების საზაფხულო ფართში.

ზამთრის ბინად ბატონმა ხოდრსკიმ პლენხანოვზე მდებარე საკუთარი სახლის 12 ოთახი გამოყო, სადაც უკვე განთავსებული იყო სიონისტური ორგანიზაციის ბიურო.

№21 აგვისტო, კვირა 1920 წელი

ქუდის ქვეშ ლოზუნგი: „სიონიზმი ცდილობს შექმნას უფლებადამცველი თავშესაფარი ებრაელებისთვის პალესტინაში.“ ბაზელის პროგრამა.

კვირას, 1 აგვისტოს დაინიშნა „ბიკურ-ჰოილიმის“ საერთო კრება ბელგიის ქუჩა №8, დასაწყისი დღის 12 საათზე.

სოხუმი (№2, 1920)

21 აპრილს ჩატარდა სოხუმის ებრაული ეროვნული საბჭოს არჩევნები. წარმოდგენილი იყო სამი სია: 1. „გაერთიანებული დემოკრატები“, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების ადამიანებს აერთიანებდა; 2. სიონისტური სახალხო პარტია „ცეყირე-ციონ“; „ხევრა კადიშა“. პირველი სიით გავიდა 7 ადამიანი, მეორე – 6, მესამეთი – 2. პრეზიდიუმში აირჩიეს: თავმჯდომარედ ა.პ. მოსტოკი (სიონისტი), თავმჯდომარის მოადგილედ ს.ბ. აბრამოვიჩი („ცეყირე-ციონი“), მდივნად ე. სინელნიკოვი („ცეყირე-ციონი“). პარტიული ნიშნით საბჭოში წარმოდგენილი იყვნენ: სიონისტები – 2, „ცეყირე-ციონ“ – 6, სოციალ-დემოკრატები – 2, სოციალ-რევოლუციონერები – 1. უპარტიოები – 2; ჯგუფი „ხევრა კადიშა“ – 2, სულ 15 კაცი.

არჩევნები აქტიურად ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 70%-მა.

ადგილობრივი სიონისტური ცხოვრებიდან (№2, 1920)

ბათუმის სიონისტური ორგანიზაცია საქართველოს სიონისტურ ფედერაციას შეუერთდა.

საქართველოს სიონისტური ორგანიზაციის კომიტეტმა პროვინციიდან მოსული თხოვნების საფუძველზე მოიწვია სიონისტური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც 27 ივლისს დაადგინა პლენუმის ნაცვლად სიონისტური კენფერენციის მოწვევა.

ბათუმში გადაირჩიეს სიონისტური კომიტეტი. აირჩიეს: თავმჯ-

დომარედ – ბ.ს. პოზდნერი, მოადგილედ ს.ა. ბერკოვიჩი, მდივნად ე.ა. იოსელიანი, ხაზინადარად ს.მ. ვოლოხი, წევრებად ა.ი. პერცო-ვსკი, ი.დ. კენიგსონი, დ.მ. შური, მ. სმოლიაკი, მ. ბინდლერი.

ბათუმის სიონისტური კომიტეტის ბიურო ელექტროობის ჩიხში, სახლში №5, ღია სალამოს 4-დან 6 საათამდე.

(№2, 1920)

გაზეთის წინა ნომერში გაიპარა შეცდომა. საქართველოს სიონისტური ორგანიზაციის კომიტეტის სხდომაზე იაკობ ბიკოვი არ აურჩევიათ სარედაქციო კოლეგიაში; 12 ხმიდან მიიღო 6 და 4 წინააღმდეგი, 2 თავი შეიკავა. გადარჩევის დროს მას 6 მომხრე და 6 მოწინააღმდეგე ჰყავდა. საკითხი ღია დარჩა, ბიკოვი უარს აცხადებს კოლეგიაში შესვლაზე.

(№2, 1920)

თბილისის ებრაული სიონისტური ეროვნული საბჭოს გადამდგარი თავმჯდომარის, გ. რამენდიკის და მისი მოადგილის ფ.ო. ბერმანის ნაცვლად აირჩიეს სიონისტი ა.ს. ფლიტი (თავმჯდომარე), უპარტიო ს.გ. ენჩმენი (მოადგილე) და სიონისტი ბ.ს. რაბინოვიჩი (მოადგილე).

(№2, 1920)

პარასკევს, 30 ივლისს ებრაული სახალხო სახლის შეკრება დოქტორ მ.ლ. შტრაიხერის თავმჯდომარეობით გაიმართა. მონაწილეობა მიიღო 80 ადამიანმა. შეკრების დასაწყისში ბატონმა შენდეროვმა მიმართა დამსწრე საზოგადოებას თხოვნით, მსგავსი შეკრებები პარასკეობითა და ებრაულ უქმე დღეებში არ ჩატარებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უარს აცხადებდა დასწრებაზე. დამსწრეებმა ერთხმად მოიწონეს მისი წინადადება.

კრებამ მიიღო დამატებითი საწევრო 300 რუბლის ოდენობით ყველა წევრისგან და კანდიდატისგან საზაფხულო ფართის მოსაწყობად.

შემდეგ გაიმართა არჩევნები. 93 კანდიდატიდან გავიდა 86. აირჩიეს 6 წევრი. ებრაულ სახლში მოხვედრა მხოლოდ მკვეთრად ანტი-საზოგადოებრივ პირებს არ შეუძლიათ.

გულუხვი საჩუქარი (№2, 1920)

ძმებმა ხოდორკოვსკებმა თბილისის ებრაულ ეროვნულ საბჭოს 2 ვაგონი შეშა შესწირეს სასადილოსთვის.

თბილისის ებრაული ეროვნული საბჭოს სასადილო (№2, 1920)

თბილისის ებრაული ეროვნული საბჭოს სასადილო ბოლო დროს ფინანსურ კრიზისს განიცდის. სასადილო იაფფასიან სადილებს არიგებდა. ყიდდა მათ თვითღირებულებით, მაგრამ, გარდა ამისა, სასადილო დაახლოებით 60 სადილს უფასოდ გასცემდა, რაც მას დღიურად 2400 რუბლი უჯდებოდა. საბჭოს არ შეეძლო ამხელა ფულის საწევროების ხარჯზე ანაზღაურება. სახსრების მოსაზიდად საბჭო უახლოეს შაბათს გეგმავდა ებრაულ სახლში საღამოს მოწყობას. ეროვნული საბჭო იმედს გამოთქვამდა, რომ ხალხი დაეხმარებოდა თანამოძმეებს და არ გასწირავდა მათ შიმშილისთვის. უფასო სადილებით ზოგი 1-2 კვირის განმავლობაში სარგებლობდა, ვიდრე სამუშაოს იშოვიდნენ.

სასადილოს თავიანთი შრომით უანგაროდ და მონდომებით ეხმარებოდნენ ებრაელი ქალები.

ბიკურ-ხეილიმ (№2, 1920)

კვირას 11 ივნისს შედგა საზოგადოება „ბიკურ-ხეილიმის“ წლიური შემაჯამებელი შეხვედრა, მას 50-60 კაცი ესწრებოდა. საბჭოში აირჩიეს 9 კაცი: ორლოვი, პ. ხოდორკოვსკი, ზლატინა, მარიაშკინი, ფიშერი, პლოტკინი, სმოლენსკი, კუშნერი და პიკი. კანდიდატები: შავეიჩი, ხირიკი და ქალბატონი გილელსი.

თ. ჰერცლის პანაშვიდი (№2, 1920)

11 ივლისს, კვირას, გარდაცვალების 16 წლისთავზე დიდ სინაგოგაში თ. ჰერცლის პანაშვიდი გაიმართა. სიტყვით გამოვიდნენ ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ებრაული ეროვნული საბჭოს განცხადება (№3, 1920)

ეროვნულ საბჭოსთან არსებულ სკოლას ესაჭიროება ებრაული ენის მასწავლებლები, ვაკანტურია გამგის თანამდებობაც (ებრაული ენის ცოდნა აუცილებელია). ბათუმი, „კავტოსს“ კანტორა, მიმართეთ ვოლფმანს.

სოხუმის ებრაულ საზოგადოებრივ სკოლას ესაჭიროება „ივრით ბეივრით“ მასწავლებელი (ანუ ებრაული ენის მასწავლებელი, რომელიც ებრაულად ჩაატარებს გაკვეთილებს). სასურველია მასწავლებელი წარმოშობით სეფარდი იყოს. დეტალებისთვის მიმართონ რედაქციას (სიონისტთა ბიურო, პლენანოვის პროსპექტი №55) საღამოს.

ადგილობრივი ცხოვრება (№3, 1920)

საქართველოს სიონისტური კომიტეტი

საქართველოს სიონისტური კომიტეტის ბოლო სხდომაზე გადაწყდა სიონისტური კონფერენციის ჩატარება 27 აგვისტოს. კონფერენციის პროგრამაში შევიდა შემდეგი საკითხები: 1. ემიგრაციის საკითხი: 1) სამედიკაციო ბიუროს მოწყობა ბათუმში და მისი 2 ფილიალის სხვა ცენტრებში; 2) პალესტინაში მიმავლებისთვის თავშესაფრის შექმნა ბათუმში; 3. სარესტავრაციო ფონდი; 4. Gegenwarisarbeit; 5. პროპაგანდა და აგიტაცია; 6. ფინანსური საკითხები; 7. საორგანიზაციო საკითხები.

ამ კრებაზე ანაზღაურებად მდივნად მიიწვიეს ა. ლუბიანიცკი.

ეროვნულ საბჭოზე (№3, 1920)

4 აგვისტოს კრებაზე განიხილებოდა საზოგადოება „ბიკურ-ხეილიმის“ თხოვნა, სესხად გადასცემოდა 25 000 მანეთის ებრაული საავადმყოფოს დასახმარებლად. საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა მოთხოვნა.

ამავე სხდომაზე წაიკითხეს მოქალაქე შეიმანის წერილი: „დარბეული ებრაელებისთვის თანხის შეგროვების დროს ჩემი მატერიალური მდგომარეობა იყო არასახარბიელო, ამიტომ ეროვნული საბჭოს დაუინებულმა მოთხოვნამ გამაღიზიანა, რის შესახებაც გულწრფელად ვწუხვარ. წერილს ახლავს 1000 მანეთი, რომელიც საბჭოს განკარგულებაშია და, ვიმედოვნებ, რომ საბჭო აღადგენს ჩემს, როგორც ებრაული თემის წევრის, შელახულ ღირსებას.“ ეროვნულმა საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა მოქალაქე შეიმანის თხოვნა.

ბიკურ-ხოილიმ (№3, 1920)

კვირას 1 აგვისტოს ჩატარდა ბ.ხ-ს მეორე გაერთიანებული შეკრება, რადგან საზოგადოების წევრების ნაწილმა უკანონოდ მიიჩნია პირველი შეკრება. მათი აზრით, შეკრება წესდების დარღვევით მოიწვიეს. სავარაუდოდ, მათი მიზანი მმართველობის წევრების შეცვლა იყო, თუმცა, მეორე შეკრებამ იგივე ხელმძღვანელობა დატოვა.

ძმებმა ხოდორსკებმა „Еврейская жизнь“-ს 10 000 მანეთი გადაურიცხეს.

ებრაული ჯიმიადა (№3, 1920)

შაბათს 31 ივლისს ებრაულ ეროვნულ სახლში შეგდა „ებრაული ჯიმიადის“ საღამო. პროგრამა ა. ლიუბნიცკიმ შეადგინა ადგილო-

ბრივი ებრაული მოტივების გამოყენებით. პაროდიებმა, შარუებმა დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

წერილი რედაქციას (№3, 1920)

ებრაული სახლის უხუცესთა საბჭომ მისწერა რედაქციას და აცნობა, რომ გაზეთ „СЛОВО“-ში დაიბეჭდა მ.ზ. შტეინგელის წერილი, რომელიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა ებრაულ სახლში არსებული წესების მიმართ. ამაზე ებრაული სახლის უხუცესთა საბჭომ შემდეგნაირად უპასუხა: რომ სახლის წესდების მესამე პარაგრაფის თანახმად, სახლის წევრად ვერ ჩაითვლება თემიდან მოკვეთილი ან შერცხვენილი პირი. 30 ივლისს ჩატარებულმა სახლის წევრთა საერთო შეკრებამ დაადგინა, რომ შტეინგელი და მისი მსგავსი პირები ვერ იქნებიან ებრაული სახლის წევრები და, შესაბამისად, არ დაინშებიან იქ.

ადგილობრივი ცხოვრება (№4, 1920)

ეროვნულ საბჭოში

ოთხშაბათს, 11 ივლისს შედგა ეროვნული საბჭოს მორიგი სხდომა. სხვა საკითხთა შორის იდგა ბატონი №-ის სათვისტომოში კვლავ მიღების საკითხი და მოთხოვნა 300 000 რუბლზე სინაგოგის მშენებლობის დასასრულებლად. უკანასკნელმა საკითხმა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. მემარცხენე პარტიების წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ ეროვნული საბჭო საერო ორგანიზაციაა და ხელს ვერ შეუწყობს „ებრაელი ხალხის ბნელ ელემენტებს...“ მემარცხენეთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ ეს ფული ყირიმში უნდა გადაერიცხათ. „ცეყირე-ციონი“ და სიონისტები ამის წინააღმდეგები იყვნენ, რადგან ებრაელებს ყირიმში არ ჰქონდათ რაიმე ოფიციალური ორგანიზაცია და სიმწრით ნაშოვნი ფულის ალაღებდნენ გადაგზავნა სწორი არ იქნებოდა. სიონისტურ ბეჭდურ ორგანოში გამოქვეყნდა ცნობა, რომ დაიგეგმა ყრილობა, რომელზეც ყველა სათვისტომოს წარმომადგენელი შეიკრიბებოდა და იქ განიხილებოდა დარბევებისგან დაზარალებული ებრაელების დახმარების საკითხი. რადგან საკითხის გარკვევამდე ფული უმიზნოდ უნდა ყოფილიყო ანგარიშზე, სიონისტების აზრით, გამართლებული იქნებოდა სათვისტომოს თხოვნის გათვალისწინება და ამ ფულის დროებით მოსახმარად გადაცემა. „შეიძლება იყო ათეისტი, რელიგიაზე ნებისმიერი წარმოდგენა შეიძლება გქონდეს, მაგრამ, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ებრაელი ხალხი, ჯერ კიდევ დაკავშირებული

არის მასთან და მათ თხოვნაზე სერიოზული მიზეზის გარეშე უარის თქმა, მხოლოდ იმ მოტივით, რომ ეს ამა თუ იმ პარტიის პროგრამაში გაწერილი არ არის, არაგონივრულია. „მით უმეტეს, რომ ფულს გარანტიებით სესხულობენ და მოთხოვნისთანავე დააბრუნებენ.“

სიონისტების აზრმა გაიმარჯვა, მათ ხელოსნების ფრაქცია შეუერთდა, უპარტიოებმა თავი შეიკავეს.

„ცეყირე-ციონის“ კონფერენცია თბილისში (№4, 1920)

24 აგვისტოს შედგება „ცეყირე-ციონის“ ორგანიზაციის კონფერენცია.

ებრაული სახლი (№4, 1920)

ხუთშაბათს, 12 აგვისტოს ჩატარდა სახალხო სეირნობა თბილისის ებრაული ეროვნული საბჭოს სასადილოს ფინანსურად და ასევე შემოქმედებითად მხარდასაჭერად. ებრაელი ქალების გამოისობით სადამოს პროგრამა საინტერესო და უჩვეულო იყო. ის მიმდინარე წლის ერთ-ერთ საუკეთესო ღონისძიებად ჩაითვა. ო.ლ. რისმა ჩაიკოვსკისა და რახმანინოვის რომანები შეასრულა, ი.ლ. გუტმანმა შეასრულა ყორღანოვის „ებრაული სიმღერა“, ლ.ა. დალინმა წაიკითხა ნაწყვეტი ჰამსუნის „ვიქტორიიდან“, ს.ა. ბახტენიევმა შესრულა იუმორისტული მუსიკალური ნომრები.

პრესის ფონდში (№4, 1920)

ყოველთვიური შემოსავლები

ზ. კარლინსკი – 500 მანეთი თვეში

ი. პალატნიკოვი – 100 მანეთი თვეში.

ერთჯერადი შემოსავლები (№4, 1920)

ბატონ დუბელირის გადმოცემული ს. პივოვაროვისა და ზოლოტარიოვის 500 მანეთი; როზენბერგი – 300; ს. მიჩნიკი – 210; ანტონოვილი, ძმები კაცები, კრიცევსკი – 200-200 მანეთი; ბერმანი, გერმანი, პივოვაროვი, ონიკული, დ. კარლინსკი, შტეინბერგი, დ. პივოვაროვი, ნ. კაცი ნოვაკოვსკი, ზილბერგი, რაბინოვიჩი, დ. რაბინოვიჩი, პიკელნი, სმოლენსკი – 100-100 მანეთი.

განცხადება (№4, 1920): გამოცდილი მასწავლებელი ატარებს ებრაული ენის გაკვეთილებს (გამნალმველებისა და სამხედრო ქუჩების კუთხე), ვასერმანი.

№6, 1920 . 21 სექტემბერი, სამშაბათი

სამგლოვიარო განცხადებები: საქართველოს სიონისტური ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტი, თბილისის საქალაქო სიონისტური კომიტეტი და თბილისის ებრაული ეროვნული საბჭოს სიონისტური ფრაქცია ღრმა მწუხარებით იტყობინებიან დაუვიწყარი მეგობრის ფ. ო. ბერმანის გარდაცვალების შესახებ.

ახლობლების განცხადება შურა ბერმანის გარდაცვალების გამო.

განცხადებები (№6, 1920)

ხ. ი. შუსტერის დაფუძნებული თბილისის პირველი ებრაული გიმნაზია აცხადებს მიღებას. დიდი ვანის ქუჩა №12. მიღება წარმოებს მოსამზადებელი კლასის უმცროს და უფროს განყოფილებებში და 1, 2, 3, 4, 5, 6 და 7 კლასებში გიმნაზიის კანცელარიაში ყოველდღე დილის 9-დან 12 საათამდე. სკოლის დირექტორი ე.ს. რაბინოვიჩი.

თბილისის ებრაული საზოგადოებრივი გიმნაზია აცხადებს, რომ მოსამზადებელი კლასის უფროსსა და უმცროს განყოფილებებში და 1, 2 და 3 კლასებში მიღების მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ყოველდღე, გარდა შაბათისა 9-დან 11 საათამდე. ბელგიის ქუჩა №8. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე ვ.რ. შენგერი, გიმნაზიის გამგე ა.ს. ცუნზერი.

რედაქციისგან (№6, 1920)

რადგან გაზეთის სარედაქციო კოლეგია მონაწილეობდა საქართველოს სიონისტთა მეორე კონფერენციაში და რიგი სხვა ტექნიკური მიზეზების გამო, გაზეთს დააგვიანდა გამოსვლა. შემდეგი ნომრები გამოვა დროულად.

თბილისი, 20 სექტემბერი 1920 წელი

რამდენიმე დღის წინ დასრულდა სიონისტური კონფერენცია თბილისში. იგი განსხვავდებოდა პირველისგან, დღის წესრიგში თეორიული საკითხები პრაქტიკულმა ჩაანაცვლა. საქართველო, კერძოდ კი ბათუმი, იქცა რუსეთის მცხოვრებლებისთვის გამშვებ პუნქტად პალესტინაში. საჭირო გახდა დიდი თანხები მიგრანტების დასახმარებლად, ამ თანხებს ებრაული ფინანსური ინსტიტუტების გარდა, საქართველოს მოსახლეობისგანაც მოელოდნენ. კონფერენცია აგრეთვე შეეხო ეროვნული უმცირესობების უფლებებს საქართველოში.

საქართველოს სიონისტთა მეორე კონფერენცია (ქვემოთ მოყვანილია კონფერენციის რეზოლუციები. დაწვრილებითი ანგარიში დაიბეჭდება შემდეგ ნომერში) (№6, 1920)

გადაწყდა, პალესტინასთან დაკავშირებით მხედველობაში მიღებული იქნას ლონდონში ჩატარებული სიონისტური ორგანიზაციის მსოფლიო კონფერენციის დადგენილებები, გათვალისწინებული იქნას, რომ საქართველო, კერძოდ კი ბათუმი, წარმოადგენს მნიშვნელოვან ტრანზიტულ პუნქტს პალესტინაში მიმავალთათვის. საქართველოს სიონისტთა მეორე კონფერენციამ დაადგინა:

1. საემიგრაციო მოძრაობის მოსაწესრიგებლად და დასარეგულირებლად ბათუმში გაიხსნას პალესტინის ცენტრალური ბიურო;

2. პალესტინის ცენტრალური ბიუროს ფუნქციები:

1) საინფორმაციო პუნქტის გახსნა, რომელიც ბიულეტენებისა და ცირკულარების მეშვეობით გააშუქებს ემიგრაციასთან დაკავშირებულ ცნობებს;

2) მოაწყოს ბათუმში: ა) საერთო საცხოვრებელი 30 კაცზე; ბ) სასადილო ან სხვა პუნქტი საკვებით დასახმარებლად 50 კაცზე, სამედიცინო პუნქტი და შრომის ბიურო;

3) შესაბამის ოფიციალურ დაწესებულებებთან ურთიერთობების დამყარება საემიგრაციო და საიმიგრაციო საბუთების მისაღებად;

4) კონტროლის ფუნქცია, რაც გულისხმობდა მატერიალურად იმ პირების დახმარებას, რომლებიც პირველ რიგში ესაჭიროება პალესტინას;

5) სიონისტთა მსოფლიო ორგანიზაციასთან უშუალო კავშირის ქონა პალესტინის საკითხებთან დაკავშირებით

6) ორკვირეული ბიულეტენის გამოცემა, რომელსაც უნდა გაეშუქებინა მუშაობა პალესტინაში;

3. სახსრები, რომელიც გამოიყოფა მეორე პუნქტში აღწერილი საქმიანობისთვის – 2 240 000 რუბლი თვეში, აქედან: ბიურო, საკანცელარიო ხარჯები – 20 000, ხელფასები – 30 000, საერთო საცხოვრებელი – 30 000, სასადილო – 150 000, ბიულეტენი – 10 000, ემიგრანტების მგზავრობის ხარჯები – 2 000 000.

4. მსოფლიო სიონისტური ორგანიზაციის რეზოლუციის თანახმად, ბიუროს აკონტროლებს კონფერენციის მიერ არჩეული სამი პირი, ერთ-ერთი მათგანი „ცეყირე-ციონიდან“ უნდა ყოფილიყო. სასურველი იყო მუშაობაში ებრაული ინსტიტუტების წარმომადგენლების ჩართვა;

5. ბიურო მუშაობდა საქართველოს სიონისტური კომიტეტებთან შეთანხმებით, თუმცა დამოუკიდებელი იყო თავის ქმედებებში და ანგარიშვალდებული მხოლოდ საქართველოს ცენტრალური კო-

მიტეტის პლენუმის წინაშე;

6. საქართველოს კომიტეტს დაევალა გაეხსნა სამედიკაციო ბიუროები საქართველოს იმ ნაწილებში, სადაც შეიქმნებოდა საჭიროება, ეს უწყებები ბათუმის ბიუროს უნდა დაქვემდებარებოდა.

პრესის ფონდში (№6, 1920)

ყოველთვიური შემოწირულობები: დ.ს. ბერკოვიჩი – 2000 რუბლი თვეში, ზ. კარლინსკი – 500

ბ-ნი დუბილერის ხელით: ხ. გლეიზერი – 300, კაცი და ლ. ბერმანი – 300; ფ. ბელზიცმანი – 250, გაიტლერი, ზ. ცომიკინი, ხ. ბენდეტოვიჩი, ი. ფიშელევიჩი – 200, ი. პალატნიკოვი, ბალტერი, ტულმანი და ა. სტარიკოვსკი – 100.

ერთჯერადი შემოწირულობები:

ბელზიცმანი, გლეიზერი და მ.ა. ფლისი 200-200, რინენბერგი, ი. პალატნიკოვი, ა. სტარიკოვსკი, ზ. შტეინგელი, გაიტლერი, შლიფერი, შტეინბერგი, გენდელი და ბეტკინი – 100-100.

ბაქოს სიონისტური რაიონული კომიტეტების ყოფილმა თავმჯდომარემ მ. ვ. კოგანმა – 25 000 რუბლი. ადოლფ იაკობმა – 530.

რედაქტორი მ. ლ შტრეიხერი

(№7, 1920)

„ცეყირე-ციონის“ თბილისის ვაალი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უდროოდ დაღუპული ისაას მოსეს ძე ვოლფის გარდაცვალების გამო.

სიონისტების მეორე კონფერენცია საქართველოში (№7, 1920)

კონფერენციის საზეიმო გახსნა 30 აგვისტოს გაიმართა ებრაულ სახლში. წარმოითქვა პროგრამული სიტყვა, მისალმებები და გაიმართა გენერალური დებატები.

შტრეიხერმა განაცხადა, რომ: „პალესტინას მაინც დაიკავებს ვინმე და მთავარი კითხვაა – ჩვენ დავიკავებთ მას თუ სხვები!“

სან-რემოს აქტი არ იყო შეწყალების აქტი, არამედ ხალხების მიერ გააზრებული გადაწყვეტილება, რომ ეს ქვეყანა დაესახლებინა ებრაელ ხალხს, რადგან მიჩნეული იყო ყველაზე სანდო ელემენტად. მეორე საკითხი იყო მუშაობის აუცილებლობა. დღის წესრიგში იდგა ყველაზე რთული და აქტუალური – ემიგრაციის საკითხი. მომხსენებელი იყო ამხანაგი მახლისი (ბათუმის სიონისტური ორგანიზაციის თავმჯდომარე), რომელმაც დეტალურად განიხილა ეს საკითხი.

საქართველო (№7, 1920)

ბათუმში დაარსდა პალესტინის ცენტრალური კომისია. თავმჯდომარედ აირჩიეს ბ. პევზნერი, მდივნად – ბერკოვიჩი, წევრებად: იტიკინი და იოცელევიჩი. კომისიამ მიიღო თავის შემადგენლობაში ბათუმის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე მ. ო. ვოლფეზონი.

ბათუმიდან გაემგზავრა ემიგრანტთა 10-კაციანი ჯგუფი, მათ შორის უკრაინის ცენტრალური კომიტეტის წევრი ვილენსკი.

ბათუმში გაიმართა სიონისტების დიდი შეკრება, სადაც 80 ახალი „შეკელის შემსყიდველი“ (შემომწირველი) გაერთიანდა, უმეტესად, ესენი მუშა-ხელოსნები იყვნენ. შეგროვდა 13 000 რუბლი. ონმა შეკრება 2000 რუბლი „კერენ-ჰაისოლისთვის“.

ადგილობრივი სიახლეები (№7, 1920)

„იომ-ქიფურის“ დღესასწაულთან დაკავშირებით სინაგოგებში შეგროვდა 35445 რუბლი, აქედან 15600 რუბლი ქართულ სინაგოგებში.

მუშაობა დაიწყო საქართველოს სიონისტური ფედერაციის ცენტრალურმა კომიტეტმა. კომიტეტი ზრუნავდა პალესტინაში გასამგზავრებელი ემიგრანტებისთვის ვიზის მიღებაზე, რაც ინგლისის ადგილობრივმა მისიამ დააკმაყოფილა.

საქართველოს სიონისტური ფედერაციის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე მ. შტრეიხერი და უკრაინის ცენტრალური კომიტეტის წევრი ვილენსკი შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს, ნოე რამიშვილს. მათ ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ საემიგრაციო საკითხებზე. მინისტრმა კეთილგანწყობა გამოხატა და აღუთქვა აუცილებლობის შემთხვევაში დახმარება.

ცენტრალური კომიტეტის კანცელარია მუშაობდა ყოველდღე 11.30 – 13.30 გარდა შაბათისა და გამოსასვლელი დღეებისა მიხედვით გამზირ 55-ში, ტელეფონი 18-23.

ემიგრაციის მსურველთა დიდი ნაკადი მუდმივად აკითხავდა კანცელარიას ანკეტების შესავსებად, სადაც გრაფაში – სასურველი სამუშაო – წერდა – მიწის დამუშავება.

პროვინციებში დაიგზავნა ცირკულარები „კერენ-ჰაისოლისთვის“ შესაწირის შეგროვების თაობაზე. თბილისშიც დაინიშნა კრება ამ საკითხთან დაკავშირებით.

პრესის ფონდმა კვლავ მიიღო შემოწირულობა: დ.ს. ბერკოვიჩი – 2000, ზ. კარლინსკი – 500, ხ. გლეზერი – 300, კაცი და ლ. ბერმანი – 300 და ა.შ.

(№8, 1920)

ებრაული ახალგაზრდული კორპორაცია „ბარ-კობა“ 23 ოქტომბერს თბილისში წარმოადგენდა სალამოს სპექტაკლს. პროგრამა: „ებრაული ჯიმიადა!!!“ ავტორი ა. ლიუბანიცკი. წარმოდგენილი იყო ახალი სიმღერები, იუმორისტული გამოსვლები და შარჟები თბილისის ებრაულ საზოგადოებაზე. ადგილები შეზღუდული იყო. მსურველებს უნდა მიეკითხათ სიონისტური ორგანიზაციის კანცელარიისთვის მიხეილის გამზირზე.

ახალგაზრდათა კავშირი „კადიმა“ აცხადებდა, რომ მიიღებდა ებრაული ენის შესწავლის მსურველებს. ჩასაწერად უნდა მიემართათ სიონისტური ორგანიზაციის ბინისთვის.

პალესტინაში გადასახლებაზე (№8, 1920)

რუსეთში არ წყდებოდა სამოქალაქო ომი. ებრაელთა გადასახლება რუსეთიდან პალესტინაში მხოლოდ ბათუმისა და კონსტანტინოპოლის გავლით იყო შესაძლებელი, მაგრამ ვითარებას ართულებდა რუსეთიდან საქართველოში გადმოსვლისთვის საჭირო ფორმალობების დაცვა. ემიგრანტები დიდი ხნით ყოვნდებოდნენ სასაზღვრო პუნქტებში, მაგალითად, ვლადიკავკაზში, საიდანაც შველას ითხოვდნენ. ამ სირთულეების აღმოსაფხვრელად ესტუმრნენ შტრეიხერი და ვილენსკი შინაგან საქმეთა მინისტრს, ნოე რამიშვილს. მათ ითხოვეს დადგენილიყო საერთო წესი ემიგრაციის მსურველთა შემოსვლისთვის საქართველოში. შემუშავდა შემდეგი პირობები:

საშვი გაიცემოდა იმ პირებზე, რომლებიც სიონისტური ორგანიზაციის წარდგენის შემდეგ თანხმობას მიიღებდნენ ინგლისის ხელისუფლებისგან პალესტინაში გადასვლაზე; ვიზის მქონე პირები ვლადიკავკაზიდან ან ბაქოდან უნდა ჩასულიყვნენ ბათუმში ან ფოთში საქართველოს ტერიტორიაზე გაჩერების უფლების გარეშე; ქართული ფულის ვალუტაზე გადაცვლის თავიდან ასაცილებლად სიონისტური ორგანიზაცია ვალდებული იყო, შეეძინა ბილეთები ემიგრანტებისთვის; რუსეთში საქართველოს კონსულის მიერ გაცემული ნებართვა საკმარისი უნდა ყოფილიყო საზღვრის გადასაკვეთად და არ ექვემდებარებოდა ყოველ პუნქტში გადამოწმებას. ამ შეთანხმებების საფუძველზე სირთულეებს ხვდებოდნენ მხოლოდ ის ებრაელები, რომლებიც მოუწესრიგებელი საბუთებით არ მგზავრობდნენ, რაც ხშირად სამოქალაქო ომის ბრალი იყო.

გარდაცვალების ცნობა (№8, 1920)

მ. შტრეიხერმა თავის გაზეთში გამოაქვეყნა ცნობა აბრაამ ია-

კობის ძე ბახანაშვილის გარდაცვალების შესახებ. ბახანაშვილი იყო თბილისის ებრაული ეროვნული საბჭოს წევრი. გულმხურვალე სიონისტი მეგობრებმა დიდი პატივით დაკრძალეს.

საქართველოში (№8, 1920)

ბათუმი – ადგილობრივი სიონისტური ორგანიზაცია 1920 წლის 23 ოქტომბერს გეგმავდა საღამოს ემიგრაციის მსურველთათვის თანხის მოსაგროვებლად. ბათუმის ცენტრალურმა პალესტინურმა ბიურომ დააფინანსა 6 ადამიანის გამგზავრება პალესტინაში. თანხების უკმარისობის გამო ბიურო ემიგრაციის მსურველებს ნაწილობრივ ეხმარებოდა მატერიალურად.

ახალციხე – აქ ძლიერ იგრძნობოდა სიონისტური სულისკვეთება. 300-400 ახალგაზრდა ემზადებოდა პალესტინაში გასამგზავრებლად.

სოხუმი – სასულიერო სამეურნეო ხელმძღვანელმა სოხუმში მ.ს. მინკოვმა აცნობა საზოგადოებას, რომ გ.ს. ლემბერგმა 1 500 000 რუბლი გაიღო სამლოცველო სახლის ასაშენებლად.

კორპორაცია ბარ-კოხბა (№8, 1920)

კორპორაციის არსებობის წლისთავი

2 ოქტომბერს სიონისტური ორგანიზაციის შენობაში გაიმართა თბილისის ახალგაზრდა ებრაელთა ორგანიზაციის ბარ-კოხბას წლისთავისადმი მიძღვნილი შეკრება.

ზეიმს დაესწრნენ მსხვილი ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლები: ებრაული ეროვნული საბჭოდან ა.ს. ფლიტი, ებრაული სახლიდან ანთოშვილი, საქართველოს სიონისტური ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტიდან მ. შტრეიხერი, საქალაქო სიონისტური კომიტეტიდან კუშნერი, „ცეყირე-ციონის“ ვაადიდან ხ. ხარლაფი, „გეხოლუციდან“ ნ. შკოლნიკოვი, წრიდან „კადიმა“ ლ. ტარანი და სხვანი.

საღამოს პირველი ნაწილი ოფიციალური იყო (მოხსენებები, ანგარიშები), მეორე – არაოფიციალური. საპატიო უფროსად აირჩიეს მ.ლ. შტრეიხერი.

ახალგაზრდათა ეს კორპორაცია განსხვავდებოდა სხვებისგან. მისი წევრები არ სვამდნენ და ეწეოდნენ, მკაცრად იცავდნენ განაწესს და დისციპლინას. 4 წევრისგან შემდგარ ორგანიზაციას წლის განმავლობაში 25 კაცი შეემატა, კიდევ 25 ვერ გაუძლო მკაცრ დისციპლინას და მიატოვა გაერთიანება.

ადგილობრივი ცხოვრება (№8, 1920)

ეროვნული საბჭო. სოციალურ-ეკონომიკური განყოფილება

ბოლო თვეების განმავლობაში დიდი ყურადღება ეთმობოდა ეროვნული საბჭოს სასადილოს. სასადილოს კომისია აგროვებდა შემოწირულობებს, აწყობდა საღამოებს, მართავდა იაფ სადილებს უმუშევრებისთვის და ა.შ. კომისია ასევე გასცემდა უპროცენტო სესხებს და ყველანაირად ცდილობდა დახმარებოდა უმუშევრებსა და გაჭირვებულებს. ეროვნული საბჭო გეგმავდა „შრომისმოყვარეთა სახლის“ დაარსებას.

ებრაელთა უფლებები საზღვარგარეთ

მეორე გვერდზე წარწერა დიდი ასოებით: მოქალაქე ებრაელებო! (№2, 1920)

ებრაული ავტონომია ლიტვაში: დეკრეტი ებრაული თემების შესახებ კანონის გამოყენების შესახებ

B.C.D.J. – ავტორი – ორგანიზაცია

ებრაულ საქმეთა სამინისტროსთან არსებული ბეჭდვის (გამომცემლობის) კომიტეტმა შინაგან საქმეთა, სახალხო განათლების და ფინანსთა სამინისტროებთან ერთად შეიმუშავა დეკრეტი, რომელიც შეეხება ებრაული თემების (ანუ ეროვნული) საბჭოებს. ეს დეკრეტი 19 პარაგრაფისგან შედგებოდა:

პირველი: გარკვეულ ადგილას დასახლებული ებრაელები ქმნიან ებრაულ თემს, ერთ არეალში მხოლოდ ერთი თემი შეიძლება იყოს. ებრაული თემი იურიდიული პირის უფლებებით სარგებლობდა, ჰქონდა უძრავი ქონების შეძენის, შემოწირულობების შეგროვების, მემკვიდრედ გამოსვლის, სასამართლოში მხარედ გამოსვლის უფლება. თემი განკარგავდა აგრეთვე კულტურისა და რელიგიის საკითხებს, თუმცა, კერძო პირებსაც ჰქონდათ მსგავსი საქმიანობის წარმოების უფლება, მაგრამ თუ ეს ორგანიზაციები ღებულობენ სუბსიდიებს ადგილობრივი თვითმმართველობისგან ან ხელისუფლებისგან, ამ თანხების განკარგვა ხდებოდა თემის საბჭოს მითითებით. ამგვარად, სათემო (ეროვნული) საბჭოები ერთაერთი ორგანოა, რომელთანაც ურთიერთობს ხელისუფლება ებრაულ საკითხებში.

პარაგრაფი 12. თემის კავშირს აქვს უფლება, თემის წევრებს დაუწესოს გადასახადი. თუ გადასახადი არ დაიფარებოდა „ანაზღაურების საბუთში“ განსაზღვრულ ვადაში, გადასახადის ამოღება უნდა მომხდარიყო იძულებით. გადასახადების აკრეფის ერთიანი სისტემის შესაქმნელად პერიოდულად უნდა შეკრებილიყვნენ თემე-

ბის წარმომადგენლები.

პარაგრაფი 17. თემი წევრს უფლებას აძლევდა სპეციალურ კომისიაში გაასაჩივროს მასზე დაკისრებული გადასახადი.

პარაგრაფი 19. ავალდებულებდა ყველა სახის თვითმმართველობას, ხელისუფლების ორგანოებს, ებრაული თემის საბჭოსთვის მიეწოდებინა მოთხოვნილი ცნობები თემის წევრის გადასახადების შესახებ.

ეს დეკრეტი ებრაული საქმეების სამინისტრომ ყველა ევროპულ თემს გაუგზავნა.

რუმინეთი (№3, 1920)

რუმინეთის სენატში ისმინებოდა ებრაელი ჯარისკაცის ეფროიმ მირვანის საქმე. მირვანს და კიდევ რამდენიმე ებრაელ ჯარისკაცს კატორღა მიესაჯათ სამშობლოს ღალატისა და დეზერტირობისთვის. სენატმა უდანაშაოლოდ სცნო მირვანი. ამ ამბავმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა, რადგან გაჩნდა ეჭვი, რომ სამხედრო სასამართლომ დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა და ასეულობით უდანაშაულო ხალხზე იძალადა. მთავრობის საგანგებო სხდომამ გამოიტანა გადაწყვეტილება, სამხედრო სასამართლოს მიერ დადანაშაულებული პირების გათავისუფლების შესახებ.

ტრანსილვანია (№3, 1920)

რუმინეთის სამხედრო ხელისუფლების ბრძანებით, გალიციიდან და პოლონეთიდან ჩამოსულ ლტოლვილ ებრაელებს ტრანსილვანია ერთი კვირის განმავლობაში უნდა დაეტოვებინათ. ტრანსილვანიაში მცხოვრები ებრაელები აპროტესტებდნენ ამ ფაქტს. რუმინეთის მთავრობამ გააუქმა თავისი გადაწყვეტილება.

ებრაული დიასპორა სხვადასხვა ქვეყანაში

დიასპორა (№3, 1920)

ამერიკა

ამერიკელი ებრაელები ფართო პროპაგანდას ეწეოდნენ ამერიკის ფინანსურ წრეებში ლიტვისთვის სესხის გამოყოფის თაობაზე. ფილადელფიის ებრაელთა სათვისტომომ მიმართა შეერთებული შტატების ებრაულ მოსახლეობას მოწოდებით დახმარებოდა ლიტვას, რომელმაც თავის ებრაულ მოსახლეობას ეროვნული ავტონომია მიანიჭა და ყოველი დოლარი, რომელიც გადაეცემა ლიეტუვის მთავრობას დაეხმარება ლიეტუვის ებრაელობას. ამ გზით ლიეტუ-

ვამ ამერიკაში სესხი ძალზე სახარბიელო პირობებით მიიღო.

ნიუ-იორკი (№3, 1920)

ებრაელი კოლონისტების რიცხვმა ამერიკაში 60 000 მიაღწია. მათ ასი აკრის ფართობის მიწა აქვთ დაკავებული, რომელიც 60 000 დოლარად ფასდება.

კონსტანტინეპოლი (№3, 1920)

თურქეთის დიდ რაბინად ხაიმ-ნახუმის ნაცვლად, რომელმაც უარი განაცხადა თანმდებობაზე, რაბინი ხაიმ ბიჯრანუ, ანდრიონოპოლის რაბინი აირჩიეს.

იაპონია (№3, 1920)

იოკოგამაში ევროპული რუსეთიდან და ციმბირიდან ლტოლვილი ბევრი ებრაელი შეიკრიბა. რამდენიმე ათას ებრაელს იაპონიის მთავრობა კარგად შეხვდა და დაეხმარა დასახლებაში. ებრაელები გაერთიანდნენ ეროვნულ თემად, რომელსაც სათავეში ეროვნული საბჭო ჩაუდგა. დააარსეს ებრაული სკოლა, სადაც სწავლა ებრაულად მიმდინარეობდა და ბიბლიოთეკა. სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ და ბიბლიოთეკამ თხოვნით მიმართეს პალესტინას, მათთვის ებრაული ჟურნალ-გაზეთები მიეწოდებინათ.

ლიეტუვაში (№3, 1920)

პირველი მინისტრი გალვანოვსკი ებრაულ სათვისტომოებზე 9 აპრილს გამართულ საბჭოს სხდომაზე გალვანოვსკიმ ისაუბრა ებრაულ სათვისტომოებში ვიზიტის შესახებ. მან მოინახულა პონევეჟი, პოსვოლი და ვობოლნიკი. მინისტრმა მოინახულა საავადმყოფოები, ბავშვთა სახლები და სხვ. მან განაცხადა, რომ პონევეჟაში ებრაული სათვისტომოს ქმედებები სამაგალითოა სხვა ერებისთვის. გალვანოვსკიმ აღნიშნა, რომ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს კარგი ურთიერთობა აქვთ და ამ ურთიერთობების გაღრმავებას ემსახურება ადგილობრივი ავტონომიის ორგანოები.

ცენტრალური ებრაული ბანკის შექმნა (№3, 1920)

ის სულ მალე შეიქმნება ლიეტუვაში. წესდება უკვე დამტკიცებულია.

გეხოლუცი (№4, 1920)

წერილი ვარშავიდან: დასავლეთში ვერ წარმოიდგენენ, რამხელა სამუშაო გასწია პიონერულმა მოძრაობა „გეჰოლუც“, რომლის შთამაგონებელი „ცეყირე-ციონია“ მონაწილეობენ უფრო მეტად 16-დან

25 წლამდე ახალგაზრდები, რომლებიც ჯგუფებად სახლდებიან ფემერობის შესასწავლად. სწავლის შემდეგ ისინი ღებულობენ საბუთს, რომელიც აძლევთ საშუალებას ჩაეწერონ პალესტინის კომიტეტის სამედიკაციო განყოფილებაში.

ვარშავის სიონისტურ ორგანიზაციასთან არსებულ პალესტინის კომიტეტს მართავდა მ.ლ. ლევიტი, რომელიც სათავეში ედგა პიონერულ მოძრაობას. ბობრუისკიდან გამოსული 96 პიონერი ვარშავიდან ვენაში გაემგზავრა. პალესტინის კომიტეტის დელეგატმა ისინი საზღვრამდე გააცილა. ეს ბელორუსიდან წამოსული პირველი ჯგუფი იყო, უახლოეს მომავალში ელოდნენ ჯგუფებს მინსკიდან, სლუცკიდან, ოსლიანიდან, სმილვიციდან და სხვ. ვარშავაში ჩამოვედნენ შეპეტოვკადან, როვნოდან, სლავუტიდან, ლუცკიდან და ა.შ. პალესტინის კომიტეტმა ასობით ჰალუციმს მისცა მოწმობა.

დიასპორა (№4, 1920)

გალიცია. კრაკოვში დიდი სახალხო მიტინგი ჩატარდა, სადაც დოქტორ შემარია ლევინი, დიდი Actions-Comitee-ს წევრი გამოვიდა მოხსენებით – პალესტინის მომავალი. ბუნდის წევრები მიტინგის ჩასაშლელად მივიდნენ და დოქტორ ლევინის გამოსვლის შემდეგ ბუნდის წევრი, ბატონი ბლუმი გამოვიდა. მისი გამოსვლის დროს მოხდა შეკამათება მერქაზის წევრ სიონისტ სიმონ კორნგოლდსა და ბუნდის წევრ გელფმანს შორის. ამ უკანასკნელმა (როგორც ჩანს, სიტყვიერ პაექრობაში დამარცხებულმა) დანიტ დაჭრა სიონისტი, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

იტალია. რომში ჩატარდა ებრაელთა თემების კავშირი. წარმომადგენლად აირჩიეს ალფონს პოსიფი.

(1920, №7)

რამდენი ებრაელი მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში? აშშ-ს ზუსტი მონაცემები გააჩნია, ინგლისი სტატისტიკურ გამოთვლებს აწარმოებდა, საფრანგეთის ციფრები ზუსტი არ აღმოჩნდა, რუსეთსა და თურქეთს მსგავსი მონაცემები არ გააჩნდა, ავსტრო-უნგრეთის მონაცემები ასევე არაზუსტი იყო.

ამერიკის ჯარში ებრაელთა რიცხვი 250 000 აღწევდა ანუ 4-5%. ინგლისის ჯარში იმსახურა 50 000-მდე ებრაელმა ჯარისკაცმა. საფრანგეთის ჯარში – 60 000-70 000-მდე.

დიასპორა (№8, 1920)

კანადა. სახელმწიფომ ადგილობრივ სამედიკაციო კომიტეტს მიწის დიდი ნაკვეთი აჩუქა, რათა შენობა აეშენებინათ კომიტეტისთვის და საერთო საცხოვრებელი ახლადჩამოსული ემიგრანტებისთვის.

სახელმწიფო მზადყოფნას გამოხატავდა მიეღო 1000 ობოლი უკრაინიდან. პროფესორმა ხეიფეცმა ითავა თანხის მოგროვება ობლებისთვის. შეგროვების პროცესი წარმატებულად მიმდინარეობდა და იმედი ჰქონდათ 1 000 000\$ მოაგროვებდნენ.

საბჭოთა რუსეთი. ამერიკაში დაბრუნდა დახმარების კომიტეტის ორი წარმომადგენელი. მაქს ფაინი და მ. ფიშერი აღმოსავლეთ ევროპაში ებრაელთა მდგომარეობის შესასწავლად იყვნენ. მათ იმოგზაურეს პოლონეთში, გალიციაში, უკრაინასა და საბჭოთა რუსეთში. მათი თქმით, ებრაელების ეკონომიკური მდგომარეობა რუსეთში ძალიან მძიმე იყო, მაგრამ დარბევები ბოლშევიკების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე არ ყოფილა. ფაინი და ფიშერი იყვნენ მოსკოვში, პეტროგრადში და სხვა ქალაქებში, შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათ შორის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ჩიჩერინს. მოსკოვში გახსნეს დახმარების ცენტრალური ბიურო, რომლის განყოფილებები რუსეთის სხვა ქალაქებშიც უნდა გახსნილიყო.

უკრაინაში მდგომარეობა ძალიან მძიმე აღმოჩნდა – ათასობით ობოლი მშვიერი და ავადმყოფი უსახლკაროდ დაეხეტებოდა. ამერიკულმა კომიტეტმა მოახერხა მათთვის მცირე დახმარების აღმოჩენა.

საბჭოთა მთავრობამ დახმარება აღუთქვა ფაინსა და ფიშერს დაზარალებულების დახმარებაში.

ეროვნული და სხვა ფონდები (№8, 1920)

კონსტანტინოპოლში „კერენ-ჰაისოდისთვის“ (ძირითადი ფონდი) თანხების შეგროვებამ წარმატებულად ჩაიარა. ევროპული სახელმწიფოების წარმომადგენლებმა დიდი თანხები გაიღეს.

ბალდადში ცნობილმა ებრაელმა ებრა სასონმა ებრაულ ფონდს 10 000 ფუნტი სტერლინგი შესწირა.

შანხაიში კერენ ჰაისოდისთვის 20 000 ფუნტი სტერლინგი შეგროვდა.

პერუში (აღმოსავლეთი ავსტრალია) შეგროვდა 20 000 ფუნტი სტერლინგი.

ეგვიპტეში კერენ ჰასიოდისთვის 16 000 ფუნტი შეგროვდა, ალექსანდრიაში – 6000, ქაიროში – 1000, პორტ-საიდში – 10 000.

გერმანიაში სიონისტურმა ორგანიზაციამ პროპაგანდისა და ძირითადი ფონდისთვის თანხის შეგროვების მიზნით გადაწყვიტა სპეციალური ბიურო გაეხსნა.

ჰოლანდიაში ახალგაზრდა მიზრახის ორგანიზაცია ქმედით ნაბიჯებს დგამდა „პალესტინის აღსადგენად“ თანხის შესაგროვებლად. მათ მიმართეს მსოფლიო ახალგაზრდა ებრაელობას.

